

၁၁၆၁၄

ရက်လာဆောင်မြို့

ခားသားအုပ္ပါ

მანანა გორგიშვილი

შეუვალი კაცი

(დოკუმენტური პროზა)

© თამაზ ვაშაძე, 2022
© მანანა გორგიშვილი, 2022

რედაქტორი სოსო სიგუა
ტექნიკური რედაქტორი ლევან თითმერია
კორექტორი ცია გოგოჭური
დამკაბადონებელი ხათუნა პაპუაშვილი
გამომცემლობა „საარი“, 2022
ISBN 978-9941-493-75-1

ბეჭდებისაბან

მანანა გორგიშვილის წიგნი – „შეუვალი კაცი“, რომელსაც მკითხველი ახლა გაეცნობა, თამაზ ვაშაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზეა დაწერილი.

მოგეხსენებათ, თამაზ ვაშაძე ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა, ზვიად გამსახურდიას ერთ-გული თანამებრძოლი, რომელმაც იწვნია ტრიუმფის სიხარული და დევნის სიმწარეც, მეგობართა თანადგომაც და ლალატიც.

იგი დაიბადა ცნობილი მსახიობის მიხეილ ვაშაძის ოჯახში და ადრევე კარგად იცნობდა ქართული კულტურის მოღვაწეებს. მაგრამ თავისი ცხოვრების გზად აირჩია მშენებლის პროფესია.

იყო მშენებლობის მინისტრის მოადგილე, მიწისძვრით დანგრეული საქართველოს რეგიონების აღდგენის შტაბის უფროსი, მრავალი საქვეყნო საქმის შემოქმედი, ინიციატორი და გადამწყვეტი.

მის ცხოვრებაში მაინც უმთავრესია ეროვნულ მოძრაობასთან თავისი პროფესიის დაკავშირება, როცა იგი საქმით აშენებდა ახალ საქართველოს. თუმცა, ისიც მინდა იცოდეთ, რომ საუკეთესო ორატორიც არის და მისი სიტყვაც აღმშენებლობის ნაწილი იყო.

ამ წიგნში თქვენ გაეცნობით ეროვნულ მოღვაწეს, დაუღალავ ადამიანს, უკომპრომისო და პრინციპულ ქართველს, რომელმაც არ დათმო თავისი მრწამსი და რვა წელი გაატარა დევნილობაში – საბერძნეთში, დედის შორეულ სამშობლოში.

თამაზ ვაშაძე იყო თბილისის პირველი მერი. მას არ დასცალდა, რომ თავისი დიდი ენერგია და უნარი მოეხმარა დედაქალაქის აღმშენებლობისათვის.

დღეს თამაზ ვაშაძე 85 წლისაა – კვლავაც შემართული და შეუვალი, კვლავაც იმედით და მომავლის რწმენით აღსავსე.

ვულოცავ ამ საიუბილეო თარიღს ბატონ თამაზს, ვულოცავ ამ წიგნის გამოსვლას, ვუსურვებ მხნეობას და დღეგრძელობას!

პროფესორი სოსო სიგუა
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი



„ღვთის ნებით ადამიანს სიცოცხლე სიკეთის
ქმნისთვის ენიჭება. უფლის მადლით სიკეთის თესვა
და მადლის ქმნა ყველას არ შეუძლია, რამეთუ „მრა-
ვალნი არიან წოდებულ, მცირედნი – რჩეულ“.

თავი პირველი

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ...“

მკათათვის ხვატი მოსდებოდა ქალაქს. დასიცხული მგზა-
ვრები ავტობუსის გაჩერების პატარა ფარდულებს იყვნენ შეფა-
რებულნი. ქალაქი დუღდა, მაგრამ მხოლოდ სიცხე არ იყო ამის
მიზეზი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა დაძაბული მდგო-
მარეობა. მთავარი ქუჩა გადაკეტილი ჰქონდათ მომიტინგებს.

რას ითხოვდნენ? უსამართლობას აპროტესტებდნენ უკვე
მერამდენე ხელისუფლების გულგრილობის, არაპროფესიონა-
ლიზმის, არსებული გაუსაძლისი მატერიალური მდგომარეობის
გამო...

კაცობრიობის არსებობის მანძილზე ბევრჯერ მოხდა ლირე-
ბულებათა გადაფასება. პილიტიკური ქარტეხილები ცვლიდნენ
სახელმწიფო მოწყობის ფორმებს. იმპერიები იმსხვრეოდნენ
და მათ ადგილს უფრო ჰუმანური მმართველები იკავებდნენ.
ცივილიზაცია ამსხვრევდა ძველ, დრომოქმულ, ბარბაროსულ,
ბუნდოვან შეხედულებებს და მათ ადგილს თანამედროვე და
მეცნიერების მიღწევებზე დაფუძნებული რეალობა იმკვიდრებ-
და, მაგრამ ყველა დროსა და ეპოქაში ყველაზე მნიშვნელოვა-
ნი ადამიანი იყო – ევოლუციის მწვერვალზე მყოფი ბუნების
შეუდარებელი ქმნილება, რომლის ფენომენი დღემდე იწვევს
აღფრთოვანებასა და გაოცებას. „ადამიანი ყოველთვის ყვე-
ლაზე საინტერესო მოვლენა იყო და იქნება ადამიანისათვის“
(ბელინსკი). დღეს დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და
ადამიანი თავისი მრავალმხრივი და ამოუცნობი ბუნებით კვლავ

მნიშვნელოვანი და უპირველესი საზრუნავია, რადგან თავად დემოკრატიული საზოგადოება ხომ თითოეული ინდივიდის კე-თილდღეობასა და სამართლიანობას ეფუძნება. დემოკრატიას თითო-ოროლა ადამიანები ვერ ქმნიან. ყველა, საზოგადოების თითოეული წევრი უნდა აცნობიერებდეს ამის აუცილებლობას და თავად საზოგადოებაც უნდა იყოს დაინტერესებული და ზრუნავდეს ამისათვის, გულისხმიერებითა და თანაგრძნობით ეკიფებოდეს სხვის ტკივილს და გაჭირვებას.

ამ ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე იმდენად მღელვარე ისტორიული კატაკლიზმების მოწმენი გავხდით, რომ თითქოს ღირებულებათა გადაფასებას გადავაყოლეთ ადამიანი, ადა-მიანი თავისი ტკივილით, ფიქრით, ოცნებით... ადამიანი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული, მაგრამ ახლოს მისვლის შემდეგ საოცრად ინდივიდუალური, გამორჩეული შინა-განი ბუნებით. ყოველდღიურ ფუსტუსა და წვრილმან ყოფით პრობლემათა გადაწყვეტაში თითქოს ერთგვარად გულგრილები გავხდით სხვისი ტკივილის მიმართ, გვავინყდება ჩვენს გვერ-დით მყოფი მოყვასი. არადა, რამდენი საინტერესო ადამიანია ირგვლივ. მხოლოდ სურვილია საჭირო, რომ დაინახო, აღმოაჩი-ნო და შეაფასო. ლირებულებათა გადაფასების მიუხედავად უც-ვლელი და მარადიულია ერთი ჭეშმარიტება: ყველაზე მნიშვნე-ლოვანი ცხოვრებაში ადამიანური ურთიერთობებია. სწორედ ექსტრემალურ პირობებში მუღავნდება ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება, მისი თვისებები, ხასიათი... ისტორიული კატაკლიზმები, გარემო, ეკონომიური თუ სოციალური პირობები და ბოლოს სახელმწიფოს მოწყობის სხვადასხვა ფორმაცია ცვლის ადამიანს და ამავე დროს აყალიბებს მას, ანრთობს მის ნებისყოფას... მაგრამ მთავარია, არ დავკარგოთ ის სულიერება, რაც მამა-პა-პათაგან გადმოგვეცა, ის ეროვნული სული და თვითმყოფადობა, რამაც აქამდე მოგვიყვანა, რამაც გამოგვატარა უამრავ ქარ-ტეხილს და შეგვაძლებინა არაერთხელ აღვედგინა ფენიქსივით თავი. ეს მხოლოდ ერთეულების ხვედრია და ამის მაგალითები სულ ახლო ნარსულში მოგვეპოვება. კომუნისტური მმართვე-

ლობის 70-წლიანმა რეჟიმმა ბევრი რამ გვასწავლა, მანამდე კი ორასწლოვანი სხვა ქვეყანაზე დამოკიდებულების და ერის მიძინების ხანა იყო...

ახლა კი, როდესაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სამი ათეული წელი გავიდა, თითქოს ერთ ადგილს ვტკეპნით, ერთ წრეზე ვტრიალებთ... ნაბიჯი ვერ გადავდგით წინ...

ავტობუსის გაჩერების ფარდულს რამდენიმე ადამიანი შეფარებოდა. შუახნის ქალი გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო. გვერდით შეძენილი პროდუქტებით სავსე ნაჭრის პარკი ედგა. ერთი შეხედვით გაგიკვირდებოდა, როგორ შეძლო ამ კაფანდარა ქალმა ასეთი სიმძიმის აქამდე მოტანა. იქვე ორ ნაბიჯზე საზამთროს და ნესვის მომცრო ბორცვები დაედგა გამყიდველს. პატარა საჩრდილობელს შეფარებული ელოდა მყიდველს, რომელიც ჯერჯერობით არ ჩანდა.

ამ მცხუნვარე ზაფხულის პირობებში საგაზეთო მასალის მოსამზადებლად რესპონდენტთან შესახვედრად ვემზადები. ჩემი უურნალისტური პროფესიის წყალობით წლების მანძილზე ძალზე ბევრი რესპონდენტი იყო ჩემს პრაქტიკულ საქმიანობაში. ყველაზე მეტად სწორედ ამ ნიშნით მომწონს ჩემი პროფესია. შეარჩევ თემას, მონიშნავ რესპონდენტებს და შემდეგ იწყება საინტერესო და შინაარსიანი სამუშაო პროცესი. ზოგი რესპონდენტი თავისი აზრიანი პასუხებით გამახსოვრებს თავს, ზოგი საკუთარი პროფესიისადმი დამოკიდებულებით. ჩვენი ყოველდღიურობა ხომ სავსეა მოულოდნელობებითა და უცნაურობებით. განსაკუთრებით მაშინ, თუ უურნალისტი ხარ და აქტიურად მუშაობ ამ სფეროში, სისტემატიურად გიხდება ურთიერთობა სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. ეცნობი ამა თუ იმ სფეროში არსებულ პრობლემებს, წინააღმდეგობებს და კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ყველგან, ყველა სფეროში თითქმის ერთი და იგივე მდგომარეობაა და გამოსავალი მხოლოდ ერთია: სახელმწიფოს და საზოგადოების ნება და ინტერესი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ერთიანი ნებით კი ძალა და ენერგია, პროფესიონალიზმი, მონდომება არ უნდა დავიშუროთ,

რათა შევძლოთ გვერდზე გადავდოთ, დროებით მაინც დავივიწყოთ პირადი ინტერესები და კეთილდღეობა და ვცადოთ პირველ რიგში სახელმწიფო და საზოგადო ინტერესები დავაყენოთ.

უამრავი პროფესიის ადამიანს შევხვედრივარ. ყველა პროფესიას თავისი ხიბლი და განსაკუთრებულობა აქვს. მთავარია თვითონ ადამიანმა შესძლოს მისი პიროვნული თვისებები მოარგოს ამა თუ იმ პროფესიის თავისებურებას, აღმოაჩინოს მასში მისთვის მისაღები ნიუანსები, მონახოს თავისი ადგილი პროფესიულ საქმიანობაში, აღმოაჩინოს მისეული სათქმელი, საკუთარი ადგილი. სწორედ აქედან იწყება პროფესიონალიზმის გზისკენ მიმავალი გზა, რომელსაც უპირველეს ყოვლისა საკუთარი პროფესიის სიყვარული და ღრმა ცოდნა სჭირდება.

არიან ადამიანები, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ, ყოველგვარი აღიარებისა და ჯილდოების მოლოდინის გარეშე აკეთებენ თავის საქმეს. მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ქვეყნის საკეთილდღეოდ მთავარია თითოეულმა ჩვენგანმა კეთილსინდისიერად, საქმის სიყვარულით ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

ამ ფიქრში დანიშნულ ადგილამდეც მივალნი. არ ვიცი, რისი ბრალი იყო, რომ დილიდან ასეთი აზრები მიტრიალებდა თავში – საყველთაო, საკაცობრიო, პროფესიონალიზმი... მე ხომ დღეს უნდა შევხვდე ადამიანს, რომელმაც თავისი ცხოვრების მეტად საინტერესო გზა გაიარა – კომუნისტური რეჟიმის ხანა, ეროვნული მოძრაობის პერიპეტიები, უზარმაზარი 70-წლიანი იმპერიის მსხვრევა, დამოუკიდებლობის გამოცხადება, სახელმწიფო გადატრიალება და დღევანდელობა. ამის გააზრებაც კი რთულია, იმდენად წინააღმდეგობრივია თითოეული ეს საფეხური, რომელიც გავიარეთ.

გაღებულ კართან შეუხანს გადაცილებული მაღალი, მხარეჭიანი, უჩვეულო გარეგნობის მამაკაცი დამხვდა, რომელიც დარბაზში შემიძლვა. ოთახში შესულმა უმალ ვიგრძენი, რომ საოცარ, მეტად უჩვეულო, საინტერესო, მრავალი ისტორიის, მოგონების გარემოში მოვხვდი. დიდი დარბაზის კედლები, რომელსაც შუაგულში დედაბოძი ჰყოფდა, წარწერებით იყო აჭრე-

ლებული. აშკარად ეტყობოდა ამ წარწერებს სიძველე. მომერიდა მათი თვალიერება და ეს რომ შემამჩნია თვითონ მითხრა:

– გაგიკვირდება, აქ დიდი სუფრები იშლებოდა და ყოველ ჯერზე ყველა სტუმარი აქ თავის ავტოგრაფს ტოვებდა. წლების მანძილზე ვინ არ ყოფილა აქ... – იგი ოდნავ ჩაფიქრდა, თითქოს მოგონებებს მიჰყვა, – იცით, ყველა ცდილობდა, რომ ეს წარწერები დაეტოვებინა აქ სტუმრობის მოსაგონებლად, ბევრი მათგანი ცოცხალი აღარაა... – დანანებით თქვა ბოლოს და ჩაფიქრდა. მე კი დრო ვიხელთე და ნელ-ნელა დავიწყე კედლების თვალიერება. მართლაც ვინ არ იყო აქ დაფიქსირებული – ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, რეზო ჩხეიძე, სალომე ბალათურია, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, გიგა ლორთქიფანიძე, ოლიკო ულენტი, ელიზბარ ჯაველიძე, ვასილ კიკნაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ლევან გოთუა, გრიგოლ აბაშიძე, გოგი დოლიძე, გიორგი წერეთელი, ზაურ ბოლქვაძე, დოდო ალექსიძე... ბევრი წარწერა სიძველის გამო ვერ გავარჩიე. ჰო, აი, ისინი – დიდება საქართველოს! – ზვიად გამსახურდია, ვაშა! – ვაშაძეებს! – ვაშა ჩემს საქართველოს! – მუხრანი. 8.V. 92 წ.

ერთი კედელი მთლიანად ფოტოებით არის მოცული, ძირითადად მიხეილ ვაშაძის კინოსა და თეატრში განსახიერებული როლების ამსახველი ფოტოებია... ჩემი რესპონდენტი ხომ ცნობილი მსახიობის მიხეილ ვაშაძის შვილი თამაზ ვაშაძეა. იქვე მერაბ კოსტავას ფოტოთი 1991 წლის კალენდარია, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებს: „...ან გამარჯვება, ან სიკვდილი, უკან დასახევი გზა არა გვაქვს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“ და ხელს ანერს მერაბ კოსტავა.

პირველ რიგში კარების მოპირდაპირედ ძველებურ ყაიდაზე მოწყობილი ბუხარი მომხვდა თვალში, რომლის წინ ცეცხლის გასაღვივებელი მოწყობილობები იყო დალაგებული. ყველაზე მეტად თვალში მოსახვედრი რელიგიური კუთხე იყო თითქმის ყველა კედელთან ხატებით, ჯვრებით და სანთლებით. ერთ-ერთ კედელთან, ჩაშენებულ თაროზე ძველებური თიხის დოქები იყო

ჩამნკრივებული. იქვე კედელზე, ასეთივე ჩაშენებულ თაროზე უჩვეულო კომპოზიცია იყო მოწყობილი, ძველებური ხის ქვასა-ნაყები, ნახშირის უთო, თიხის ნაირ-ნაირი ჭურჭელი, თუნგები და ბევრი ისეთი ნივთი იყო, რისი სახელიც კი არ ვიცოდი.

დარბაზის შუაში საყრდენ ბოძზე ორი ფოტოსურათი შევნიშნე. კითხვის დასმაც არ დამჭირდა, ჩემი მასპინძელი მიხვდა ჩემს ინტერესს და ამისსნა, რომ ერთ-ერთი მისი დე-დის ფოტო იყო, ხოლო მეორე მისი ახლახანს გარდაცვლილი მეუღლის.

და ოთახის ერთ კუთხეში იატაკზე ქვევრების თავსახურები მოჩანდა. ბევრი ფანტაზიაც არ იყო საჭირო, რომ წარმოგედგინა, თუ როგორი ნადიმები იქნებოდა აქ მრავალი წლის განმავლობაში, რა სიხალისე, რა მჭერმეტყველება, რა სადღე-გრძელობები გაიჟდერებდა... სწორედ ამ თავყრილობებსა და შეცვედრებზე წერს თავის მოგონებებში დიდი რეჟისორი რეზო ჩხეიძე: „კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მინდოდა მეამბნა ამ საუკეთესო და საუკხოო ქართველი ადამიანის შესახებ. ბატონ მიხეილს უყვარდა თავის დიდ დარბაზში სტუმრების მოწვევა და დიდი, ლამაზი ლხინის გამართვა. ეს იყო ნამდვილი ხალხური ზეიმი. ჯერ იყო და მასპინძლის მიერ მოწეული და დაყენებული არაჩვეულებრივი ღვინო, უგემრიელესი იმერული პურ-მარილი, სიმღერა, ხუმრობა, მსჯელობა, მოსწრებული კალამბურები, ჯანსაღი სიცილი, ბატონი მიხეილის და მისი ვაჟის ბატონი თამაზის, როგორც ოჯახის ბატონ-პატრონების სიდარბაისლით ნაქები სიტყვა-პასუხი...“

დიდი დრო დამჭირდა, რომ ყველაფერი კარგად დამეთვალიერებინა. ბოლოს კი საქმეს შევუდექით. საინტერესო ინტერვიუ გამოვიდა. თამაზ ვაშაძემ – მშენებელმა, საზოგადო მოღვაწემ, პილიტიკოსმა, თბილისის ყოფილმა პირველმა მერმა დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში საკმაოდ მკაცრად შეაფასა. მთავარი მისი სათქმელი მაინც ის იყო, რომ ნებისმიერ საქმეში პროფესიონალიზმია მთავარი. კმაყოფილი ვიყავი, საინტერესო მასალაა და ინტერვიუ კარგი გამოვა-თქო, ვფიქრობდი.

დიდხანს ვისაუბრეთ, ბევრი რამ გავიხსენეთ, დრო ისე გავიდა, ვერც კი შევამჩინიე. ცოტა არ იყოს გავთამამდი და ჩემს რესპონდენტს ჩემი სურვილი გავუმხილე იმის თაობაზე, რომ დიდი ხანია სურვილი მაქვს ჩვენს უახლოეს ისტორიაზე რამე დავწერო. ისტორიაზე, რომელმაც ჩვენს თვალწინ ჩაიარა და დღემდე სხვადასხვა აზრი არსებობს იმდროინდელ მოვლენებსა და ფაქტებზე. რა თქმა უნდა, იმედია, ყველაფერ ამას ისტორია თავის ადგილს მიუჩინს და მომავალ თაობებს გაუყალბებლად, შეულამაზებლად მიაწვდის ინფორმაციას, მაგრამ ერთი რიგითი ადამიანის ცხოვრების ფონზე უფრო მეტად მკაფიოდ და მკვე-თორად საგრძნობი იქნება ისტორიული პერიპეტიები, ცვლილე-ბები, გადაწყვეტილებები და პროცესები. ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე კი მითხრა:

– რატომაც არა, შეიძლება...

ცოტა ხანში გაზიეთების შეკვრა და პატარა, თხელი წიგნი გადმომცა.

– ჯერ ამას გაეცანი და შემდეგ ვნახოთ.

ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს მომავალი შეხვედრების იმედად.

ახლა ჩემს საწერ მაგიდაზე კომუნისტური პერიოდის გაზიე-თების გროვა და სულ პატარა წიგნი დევს – გივი ჭელიძის „ყვირილას პირას იზრდებოდა ფალავანი“, 1962 წელს გამო-ცემული. დამეთანხმებით, კომუნიზმის ზეობის პირობებში არ იყო ადვილი ახალგაზრდა ბიჭზე ასეთი წიგნის გამოცემა. სა-გაზიეთო მასალებსაც გადავხედე და დავრწმუნდი, რომ ჩემი გადაწყვეტილება ჭეშმარიტად აუცილებელი და საჭირო იყო. გაზიეთებიდან შევიტყვე, რომ მხოლოდ წიგნი კი არ გამოუციათ თამაზ ვაშაძის შესახებ, ფილმიც გადაუღიათ. აი, ამონარიდი 1963 წლის 9 იანვრის იმდროინდელი რესპუბლიკის მთავარი გამოცემის „კომუნისტის“ წერილიდან – „გზა მომავლისა“ – „ასე ჰქვია მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელიც საქართველოს

სსრ ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიაშია შექმნილი. ფილმზე მომუშავე ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ მისდიეს გატკეპნილ გზას და ორიგინალურად გადაწყვიტეს თემა, რომელიც ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, ყოველდღიურობას ასახავს. ფილმში მოთხოვთ ახალგაზრდა ადამიანზე, რომელიც იოლ გზას ეძებდა ცხოვრებაში, ფუქსავატურად ატარებდა დროს, აქეთიქით აწყდებოდა, მაგრამ ადამიანების დახმარებით შეიგნო, რომ დღეს საჭიროა შრომა, რომ მხოლოდ შრომით ფასდება ადამიანი. ამ ჭაბუკს ახლა ყველა იცნობს საქართველოში, მაგრამ მისი ბიოგრაფია ბევრმა არ იცოდა და აი, მაყურებლის თვალწინ იშლება კომუნისტური შრომის დამკვრელის, ჭიათურელი მშენებლის თამაზ ვაშაძის ბიოგრაფია. ამ ფილმის გმირიც თვითონ თამაზია. იგი თავის თავს თამაშობს. კინოაპარატი გვიჩვენებს ადამიანებს, ჭიათურას, მშენებლობის ხარაჩოებში ჩამალულ კედლებს. ყველგან ჩქეფს შრომა, შენდება, იქმნება და გჯერა, თამაზი აუცილებლად უნდა ჩაბმულიყო შრომის ფერხულში, რომელიც მის გარშემოა გაჩალებული. ფილმის ავტორებმა საინტერესოდ მოვითხრეს ნამდვილი ამბავი. მოკლედ და დამაჯერებლად დაგვიხატეს თამაზ ვაშაძის ცხოვრებიდან პატარა, მაგრამ ჩვენი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელიც თავისი მნიშვნელობით სცილდება ერთი ადამიანის ბიოგრაფიას და აღმზრდელობით ხასიათს იღებს“. და ეს ყოველივე მოთხოვთ 22 წლის ჭიათურელ ყმაწვილზე. რაც უფრო მეტად ვეცნობოდი იმ დროის პერიოდულ პრესას – „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ჭიათურის მაღაროელი“, „ლელო“, „სოფლის ცხოვრება“, „თბილისი“, კიდევ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი ჩემი გადაწყეტილების აუცილებლობაში.

ამჯერად ერთ პატარა ამონარიდს მოვიყვან იმდროინდელი გაზეთიდან: „არიან ადამიანები, რომელიც ბავშვობის ასაკი-დანვე იხვეჭენ კოლექტივის ნდობას და სიყვარულს. ერთ-ერთი მათგანია ჩვენი ინსტიტუტის სამშენებლო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების მესამე კურსის სტუ-

დენტი თამაზ ვაშაძე. სულ ახალგაზრდა იყო თამაზი, ქ. ჭიათურის ერთ-ერთ ობიექტზე რომ დაიწყო მუშაობა. ბეჯითმა, შრომისმოყვარე და თავმდაბალმა ჭაბუკმა მალე დაიმსახურა კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული. ბრიგადამ, რომელსაც თამაზ ვაშაძე ხელმძღვანელობდა, საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია. მას პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი. ადვილი არ არის იმუშაო და ისწავლო, მაგრამ თამაზმა ამ სიძნელის გადალახვაც შეძლო და გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. თამაზ ვაშაძის ბრიგადის ენერგიული შრომის შესახებ რესპუბლიკაში იყო ცნობილი. მალე თამაზი მეტროპოლიტენის მშენებლობაზე გადმოიყვანეს თბილისში და გვირაბგამყვანთა ერთ-ერთი ბრიგადა ჩააბარეს. ამჟამად ეს ბრიგადაც კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელს ატარებს. ენერგიული შრომა და საზოგადოებრივი საქმიანობა თამაზს ხელს არ უშლის იყოს კარგი სტუდენტი. იგი წარმატებით და დროულად აბარებს გამოცდებს. თამაზ ვაშაძე შრომისა და სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითია“.

დღეს, როდესაც კომუნისტური წყობა ისტორიას ჩაბარდა, ბევრი რამ ჩვენთვის მიუღებელი, გაუცნობიერებელი გახდა. თუმცა, უნდა ვალიარო, რომ ბევრი რამ მისაღები, სამაგალითო, შესანარჩუნებელი იყო. თუნდაც ის, რომ უმუშევრობა დანაშაული იყო, სრულწლოვანი ადამიანი ვალდებული იყო ემუშავა და თუ კარგად იმუშავებდა, არ იზარმაცებდა, ჯილდოსა და დაფასებასაც დაიმსახურებდა.

ასევე აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ბევრი რამ მიჩქმალული, დამალული, აკრძალულიც კი იყო. ბევრი გაყალბებული ფაქტიც გახდა ცნობილი საზოგადოებისათვის და ჯერ კიდევ ბევრი რამ აღმოსაჩენია.

გუნდის გუნდი და სტაციონი

მდინარე ყვირილას ვიწრო ხეობაში, ყოველი მხრიდან ციცაბო კლდეებით შემოზღუდულ ქვაბულში XIX საუკუნის ბოლოს გაშენდა ჭიათურა, რაც იქ მანგანუმის მოსაპოვებლად დაფუძნებულმა ჭიათურის შავი ქვის მომპოვებელი საზოგადოების დაარსებამ განაპირობა და უკვე მეოცე საუკუნის 40-ან წლებში ჭიათურა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი იყო. განსაკუთრებით განსხვავებული ეგზოტიკით ხიბლავდა იგი მნახველს. ქალაქის თავზე მოძრავი სამგზავრო საკიდი საბაგირო გზები უჩვეულო ხიბლს სძენდა ამ ქალაქს, რომელიც მანგანუმის მოპოვებით მსოფლიოში მონინავეთა შორის მოიხსენიებოდა. სწორედ ჭიათურის მთაგორიანმა რელიეფმა განაპირობა ბაგირგზების მშენებლობა, აქ საბაგირო გზები ყველაზე მოსახერხებელი სატრანსპორტო საშუალება იყო.

ჭიათურა თავისი ვიწრო ქუჩებით იყო გამორჩეული, სადაც კოპნია, ლამაზი სახლები იყო ჩარიგებული. ერთ-ერთ ასეთ სახლში ცხოვრობდა თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი მიხეილ ვაშაძე. იგი ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრში მოღვაწეობდა.

პატარა ქალაქია ჭიათურა, ყველა ერთმანეთს იცნობს. გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ბევრი საცხოვრებელი სახლი აშენდა და კეთილმოენყო ქალაქი, რადგან საკავშირო მნიშვნელობის წარმოებების არსებობის გამო მუშახელი მუდამ საჭირო იყო და ემატებოდნენ დიადი საბჭოეთის სხვადასხვა კუთხიდან. აქ ერთ პატარა, ლამაზ სახლში ცხოვრობდა ბერძენი ავრამ მარუფიდი, მრეწველი, რომლის წინაპრებიც თურქეთის მიერ ბერძენთა გენოციდის შედეგად დასახლდნენ ჭიათურაში. ავრამს სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. მის ოჯახს ყველა იცნობდა. მისი შვილები საქართველოში დაიბადნენ, მიიღეს განათლება. თავად ავრამი განათლებული ადამიანი იყო, შექმნა ოჯახი, რომლითაც ამაყობდა. ჭიათურაში მას ორი პურის საცხობი ჰქონდა. რეპრესიების დროს ერთ-ერთი ვაჟი, ვანო

მილიციაში დაიბარეს და უკან აღარ დაბრუნებულა. ოჯახმა მის შესახებ ვერაფერი გაიგო. ამბავი მოდიოდა, ვითომ ციმბირში გადაასახლეს და დახვრიტეს. მეორე ვაჟი 6 წლის არისტი მარუფიდი ბერძნულ გემს გააყოლა მამამისმა საბერძნეთში. გემის მზარეულს სთხოვა დახმარება, ქვაბში ჩასვეს და ასე გააპარეს. ნათესავს მისწერა, არისტის გიგზავნი და მიმიხედეო. არისტი მარუფიდმა დაამთავრა ათენში საშუალო სკოლა და ჩააბარა სორბონის უნივერსიტეტში. იგი 12 წლი სწავლობდა სამედიცინო ფაკულტეტზე სორბონაში და მთელ საბერძნეთში ცნობილი არის იმით, რომ მან მანოლიზ გლეზოსთან ერთად აკროპოლიში გერმანელი ფაშისტების დროშა ჩამოხსნა და საბერძნეთის დროშა დაკიდა. ფაშისტებმა მიაგნეს მას, სასტიკად სცემეს და შიშველი დააგდეს თოვლში. ამ ამბის ამსახველი ფოტოები იმ დროის მსოფლიოს წამყვანმა გაზიერებმა დაბეჭდეს. ფაშიზმის განცევნის შემდეგ კი იგი განთავისუფლებული იქნა ციხიდან. არისტი მარუფიდი საბერძნეთის ეროვნული გმირია და დასაფლავებულია პანთეონში. ერთი ვაჟიც, კონსტანტინეც გააპარა საბერძნეთში ავრამმა, მას აქ დარჩა ცოლ-შვილი. იხვეწებოდა, ჩემი ცოლ-შვილი გამოუშვითო, მაგრამ ისე გარდაიცვალა, ვერ აისრულა ნატვრა.

ავრამის ქალიშვილები ელენე და ოლღა სილამაზით, განათლებით გამორჩეულები იყვნენ. ელენემ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. ის შესანიშნავი მოქართულე და პატრიოტი იყო. ოლღა ცოლად გაჰყვა ჭიათურელ მიხეილ ვაშაძეს, რომელიც პროფესიით მსახიობი იყო. მათი ოჯახი ყველასათვის მისაბაძ, სამაგალითო ოჯახად ითვლებოდა.

ოლღა მარუფიდი შესანიშნავი, ულამაზესი, განათლებული ქალი იყო, რომელსაც დიდ პატივს სცემდნენ არა მხოლოდ ჭიათურაში. იგი საქართველოში დაიბადა, ქართულ ტრადიციებზე გაიზარდა, შექმნა შესანიშნავი ქართული ოჯახი, რომლითაც მთელი საქართველო ამაყობდა და მათ ხშირად ცნობილი საზოგადო მოღვაწეები სტუმრობდნენ. როდესაც საქართველოში ჩამოვიდა მსოფლიო ტრაგიკოსი ათანასია პაპადანასიუ, რო-

მელმაც მარჯანიშვილის თეატრში ითამაშა სპექტაკლ „ელექტრაში“, დიდმა ვერიკო ანჯაფარიძემ, რომელიც გამოირჩეოდა არა მხოლოდ როგორც დიდი მსახიობი, არამედ როგორც დიდი პიროვნება, დარბაზიდან სცენაზე აიყვანა ოლღა მარუფიდი და გააცნო საქართველოს საპატიო სტუმარს, როგორც ღირსეული ქართველი და ღირსეული ბერძენი საქართველოში. ეს მართლაც უდიდესი მოვლენა იყო. და კიდევ, როდესაც ჩამოსული იყო ბალანჩინი, მან პირველი კონცერტი ჩაატარა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ოთარ ეგაძემ ჭიათურაში გაუგზავნა მოსაწვევი ოლღას და იგი პირველ რიგში იჯდა ბალანჩინის ამ საოცარ კონცერტზე.

1948 წელი ერთ-ერთი ურთულესი ომის შემდგომი წელი იყო. იმ დროს მიხეილის და ოლღას ვაჟი, თამაზი 9 წლის იყო. ყველა ოჯახს უჭირდა. ომის შემდგომი პერიოდი მეტად ძნელი იყო ყველასათვის. ამ მხრივ არც მიხეილის ოჯახი გამოირჩეოდა. ყოველდღიურად უნდა გეზრუნა მომავალი დღის საკვებზე, რასაც საკმაოდ კარგად ართმევდა თავს ოლღა. ხშირად იგი ბოლოკის ფოთლით მომზადებული წვნიანით აპურებდა საკუთარ ოჯახს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ომიანობის დროს სამსახურებრივად ტალონების განაწილების უფროსად იყო დანიშნული, ოჯახში ზედმეტი, სხვისი ლუკმა არ შესულა.

ავრამ მარუფიდი საბერძნეთიდან იწერდა წიგნებს და მის სახლში ათენიდან მოსული უნიკალური წიგნები ინახებოდა და კიდევ ერთი რვეული, რომელსაც გაკრული ხელით ქართულად ეწერა – ნისიათა რვეული. ამ რვეულში ერთი ფურცელი იყო, სადაც გარკვევით ეწერა სოსო ჯუღაშვილი – ორი ბუხანკა, ნისია. დიახაც, ეს სწორედ ის ჯუღაშვილია, ბოლოს ყველა სტალინს რომ ეძახდა. რევოლუციამდე, ცნობილი ფაქტია, რომ ის ჭიათურაში, სოფელ სვერის გამოქვაბულში ემალებოდა ოხრანკას. ეს რვეული წელი მოქმედების ნალმი იყო ამ ოჯახის-თვის, რადგან სულ უმნიშვნელო ანონიმური დასმენის გამოც, ყოველგვარი შემოწმების და გამოძიების გარეშე ხვრეტდნენ, აპატიმრებდნენ, აციმბირებდნენ ადამიანების. რეპრესიების

დროს საბერძნეთში გადახვეწილი კონსტანტინე მარუფიდი იწერებოდა, „სტალინს მიწერეთ წერილი, ხომ იცით, მას ჩვენ კარგად ვიცნობთ, ბუხანკა პურის ამბავი ხომ გახსოვთო“. ელენეს ამის გახსენებაზე ეცინებოდა, იმისთვის რომ დაგვეჯერებინა და სტალინისთვის მიგვეწერა, ჩვენ ის ხალხი ვართ, ნისია რომ გაქვთ ჩვენი ბუხანკა პურის და დაგვეხმარეთ. მართლაც, ეს რომ გაეგოთ, ვის დაინდობდნენ, მთელ ოჯახს გააქრობდნენ. წარმოუდგენელია აუდელვებლად წაიკითხო მიხეილ ვაშაძის მოგონება ამ ამბებზე: „მაშინ ძლიერ გამოვიხსენი ჩემი მეუღლე, რომელიც მანქანაში იმის გამო შეაგდეს, რომ დედას და დას გამოეთხოვა. ანიოკებულმა ბერძნებმა მთელი ოჯახის სიმდიდრიდან მხოლოდ ლოგინების წალება შესძლეს. ქუჩაში ტირილი ისმოდა. ჭიათურაში დაბადებული ახალგაზრდები, რომლებმაც ბერძნულიც არ იცოდნენ, კედლებს თავს ურტყამდნენ, შემზარვად ბლაოდნენ. ასე გამოეთხოვნენ მშობლიურ ჭიათურას. ქალაქების გამარჯვებული მდივანი და მისი დამქაშები ამაყად დააბიჯებდნენ, რადგან „ლირსეულად“ ჩაატარეს „სახელოვანი“ ოპერაცია“.

ერთხელაც, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური რეპრესიების ცეცხლი ტრიალებდა ოლღა მარუფიდმა საბერძნეთიდან ჩამოსული წიგნები ეზოში გაიტანა და მათი დაწვა დაიწყო. თამაზი ცეცხლის აალებამ გააკვირვა. პატარა ცნობისმოყვარეობამ ეზოში გაიყვანა და კოცონის დანახვამ ძალიან გაახარა. პატარა კი იყო, მაგრამ გაუკვირდა, როცა დაინახა, რომ დედა აგიზგიზებულ ცეცხლში ყრიდა იმ წიგნებს, რომელთაც ადრე სათუთად, რუდუნებით უფრთხილდებოდა. გაოცებული უყურებდა და ვერ გადაეწყვიტა, მიზეზი ეკითხა თუ არა. დედის მკაცრი სახის დანახვაზე მიხვდა, რომ აზრი არ ჰქონდა კითხვის დასმას. ამ დროს დედას სახე შეეშალა, აალებულ წიგნებს შორის ერთერთს დასწვდა, ცეცხლსაც არ მოერიდა და ჯერ კიდევ სულ ოდნავ ნაპერწკლებდანინწკლული წიგნი ხელში აიღო, ფრთხილად მოაცალა ნაცარი, სულს უბერავდა ფრთხილად და სანამ უბეში ჩაიდებდა, თამაზმა გარკვევით დაინახა ყდაზე გამოსახუ-

ლი ჯვარი. მერე და მერე ყმაწვილობაში ახსენდებოდა, რომ ეს ბიბლია იყო. ნისიების რვეულიც, თავისი ბუხანკების ჩანაწერით ამ ცეცხლს შეეწირა. კარგად მიხვდნენ, რომ ამ რვეულის გამოჩენა კარგს არაფერს მოუტანდა მათ ოჯახს. ელენემ ხმა რომ არ მისცა არჩევნებზე ბერიას, სწორედ ამას მიიჩნევდნენ მიზეზად, რომ ერთ მშვენიერ დღეს თამაზის დედა, დეიდა და ბებია გადაასახლეს. ის მოუამული დღე არასდროს გავა მეხსიერებილან. მათ სახლს საბარებო მანქანა მოადგა, სადაც გამოიძახეს ქალები და უბატონოდ უბრძანეს ძარაზე ასვლა. ერთ ხანს ვერ მიხვდა პატარა თამაზი, რა ხდებოდა. ჯერ ბებია ავიდა, მერე დეიდა და ბოლოს, დედაც რომ იქ ავიდა და ძარა ჩაკეტეს, დაუფიქრებლად შეახტა მანქანას და ჯერ კიდევ გაჩერებულზე ასვლას აპირებდა.

– დედა, დეიდა, ბებია... – ანგარიშმიუცემლად ყვიროდა.

გაყინული, ცრემლშემშრალი თვალები ჩარჩა მეხსიერებაში. მილიციელებმა ხელებში კონდახის რტყმევით ჩამოაგდეს ძირს. მანქანაც დაიძრა და გაურკვეველი მიმართულებით წავიდა.

მარუფიდის ქალები შუა აზიაში გადაასახლეს. ოლღა რამდენიმე თვეში დაბრუნდა უკან. მიხეილ ვაშაძეს იმდენი დამსახურება კი ჰქონდა, რომ მისი მეუღლე, ორი შვილის დედა შეეწყალებინათ და დაებრუნებინათ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მაშინდელი ცეკას მდივანს ილია თავაძეს, ბერიას ყოფილ პირად მდივანს და შემდგომში თეატრალური ინსტიტუტის რექტორს, რომელიც დიდ პატივს სცემდა მიხეილ ვაშაძის შემოქმედებას. ელენემ ჩიმკეტის ოლეში გაიცნო და დაუმეგობრდა ვახტანგ ბოჭორიშვილს, შემდეგ გათხოვდა, ცოლად გაჰყვა გავრილ პაპანდოპულოს, რომელიც წინააღმდეგობის მონაწილეთა შორის იყო, რომლებიც სტალინმა იქ გადაასახლა. სამოციან წლებში კი სალონიკში გადავიდნენ და იქ ცხოვრობდნენ. ბებია კი ჩიმკეტში დაკრძალეს.

ელენე მარუფიდი სიცოცხლის ბოლომდე სალონიკში ცხოვრობდა თავის ქმართან ერთად. სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა საქართველო და ქართველები. ერთხელ საბერძნეთში

რუსთაველის თეატრის გასტროლები იყო. რობერტ სტურუა მთელ დასთან ერთად სტუმრობდა საბერძნეთს. ერთხელაც ქართული ლაპარაკი გაუგია ელენეს მეუღლეს, თუმცა მან ქართული კარგად არ იცოდა, მაგრამ იცოდა მისი ცოლისთვის რა მნიშვნელოვანი იყო ყველაფერი ქართული. ჰოდა, მთელი დასი დაპატიუა სახლში, გაუმასპინძლდა და შემდეგ კახი კავსაძე ხშირად ჰყვებოდა ამ ისტორიას, ელენე მარუფიდის გაცნობა, მისი შესრულებით ქართული სიმღერების მოსმენა რამდენად საოცარი და სასიამოვნო იყო მათთვის.

ოლდას მეუღლე მიხეილ ვაშაძე, ცნობილი ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ჭიათურაში დაბადა სიმონ ვაშაძისა და ლალო უგრეხელიძის ოჯახში, სადაც ათი შვილი იზრდებოდა, შვიდი ვაჟი და სამი ქალი. ვაშაძეები რაჭიდან ჩამოსულან ჭიათურაში. სიმონი აქ დაიბადა.

ვაშაძეებს რთულ პერიოდში მოუწია ცხოვრება. მეოცე საუკუნის დასაწყისი მეტად მძიმე პოლიტიკური კატაკლიზმებით გამოირჩეოდა და მისი მსახვრალი ხელი მტკიცნეულად აისახა მათ მრავალშვილიან ოჯახზე. აი, როგორ იხსენებს თავის მემუარებში მიხეილ ვაშაძე ამ ამბებს: „ჩემმა ძმამ კალენიკემ ჩვენს დიდ ეზოში ცალკე აიშენა სახლი და ცოლ-შვილთან ერთად იქ დამკვიდრდა. სწორედ კალენიკეს უბედურებით დაიწყო ჩვენი ოჯახის მსხვრევა. 1922 წლის გაზაფხულის ერთ დღეს იგი მუცელში ხანჯლის ჩაცემით მოკლეს. ამის შემდეგ ყოველი დღე დედაჩემის ტირილით იწყებოდა. 1924 წელს, 28 აგვისტოს მარიამობისას, დილით ადრე სროლა ატყდა. აჯანყებამ დროებით გაიმარჯვა. თითქოს წამიერად გამოანათა ნათელმა სხივმა, მაგრამ მეორე დღეს ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა. დაიწყო რეპრესიები. იმ ღამეს დაიჭირეს ლადია. პატიმრები ვაგონებში ჩაყარეს და შორაპანში წაიყვანეს. ჭიათურაში აჯანყება 24 საათით ადრე დაიწყო და ინიციატივა მოქმედებისა „ჩეკას“ ჩაუვარდა ხელში. 28 აგვისტოს გამოცხადდა სამხედრო წესები.

ჭიათურა-საჩხერეს მოადგა დამსჯელი რაზმი ქუთაისიდან ვალიკო ტალახაძის მეთაურობით, რომელმაც საჩხერის ვაგზალში მდგომი სამი ვაგონი ეჭვმიტანილი ხალხით გაავსო... სავსე ვაგონები ჭიათურიდან შორაპანში წაიყვანეს. იქ კი დახურულ ვაგონებში დაამწყვდიეს. ზესტაფონში მატარებელი არ გააჩერეს, არგვეთისკენ წაიყვანეს, იქ გააჩერეს, სადაც დღევანდელი ფეროშენადნობი ქარხანაა. დაუშინეს ტყვიამფრქვევების ცეცხლი დახურულ ვაგონებს და შიგ მყოფი ხალხი დაცხრილეს“.

ვაგონში ჩაცხრილულთა შორის ორი იყო სიმონის შვილი – ლადია და იონა. მეოთხე ძმა, პავლეშა, რომელიც მაშინ ოცი წლის იყო, ქალის კაბით გააპარეს 1924 წელს აჭარის ტერიტორიიდან, ის იყო ჭიათურა-საჩხერის აჯანყების ხელმძღვანელი. იგი ლევილშია დაკრძალული. დიდი პატრიოტი იყო, მეგობრების დამხმარე, მაგრამ აქ, საქართველოში მის და-ძმებს პავლეს არსებობა წინსვლასა და დაწინაურებაში მუდამ ხელს უშლიდა.

ვაშაძეების ორი და ჭიათურის დედათა მონასტერში იყო, მაშინ ქალწულთა მონასტერი ერქვა, პირველი იღუმენი იყო იულია ვაშაძე. ერთი და, ნეო ქუთაისში იყო გათხოვილი, ერთიც, ქრისტინე ვაშაძე ჭიათურაში იყო გათხოვილი. ერთ-ერთი ძმა, გრიგოლ ვაშაძე იყო დიდი პატრიოტი, რეპრესირებული კაცი, ორჯერ გადაასახლეს, პირველად 37-ში გადაასახლეს, ბაბრიუსკში იყო გადაასახლებული, იქ რუსი ითხოვა ცოლად, ჩამოვიდა, მუშაობდა კადრების უფროსად ტრესტში და ერთ მშვენიერ დღეს ისევ გადაასახლეს, პროფესიით ინჟინერი იყო. მის შვილს, მიხეილს, ბაუმანის უნივერსიტეტი ჰქონდა წარმატებულად დამთავრებული, მისი მეგობრები იყვნენ პირველი თაობის კოსმონავტები, ისიც ჩარიცხეს კოსმონავტების სიაში, მაგრამ ორ თვეში გამოუშვეს, რომ ნახეს მისი ოჯახის მდგომარეობა, მამა გადასახლებული, ბიძა ემიგრაციაში... საფრანგეთში მყოფი პავლე სულ დარდობდა, ჩემს გამო როგორ იტანჯებითო. მიხეილი ნაბოლარაა.

სიმონ ვაშაძე იყო პირველი, ვინც მარგანეცი ურმით ჩაიტანა ზესტაფონში, ამის ფოტოც კი არსებობს, რომელიც ერთ დროს საჯარო ბიბლიოთეკაში ეკიდა. იგი ძმასთან ერთად ეზიდებოდა ურმით მარგანეცს რკინიგზის გაყვანამდე. სიმონი და ლალო სოფელში მიწის დამუშავებით და საქონლის მოვლით ირჩენდნენ თავს. ერთ დღეს სიმონი ვენახში ვაზს წამლავდა, როდესაც რამდენიმე კაცი დაადგა.

— გამარჯობა, — მიესალმა ერთ-ერთი ისე, რომ ცხენიდან არც ჩამოსულა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, — უპასუხა გაკვირვებულმა სიმონმა.

— რა ღმერთი, რის ღმერთი, — შეჰევირა ერთ-ერთმა და მათრახი გადაუჭირა. — აბა, ახლავე წამოდიო.

მოკიდეს ხელი, მიიყვანეს სადგურში, ჩასვეს მატარებელში და ჩამოიყვანეს თბილისში.

გაოცებული იყო სიმონი, ვერ გაეგო მის თავს რა ხდებოდა, რას ერჩოდნენ, რას ითხოვდნენ... კითხვასაც აზრი არ ჰქონდა, მაინც არ ეტყოდნენ. მხოლოდ ის გაიგო, რომ ესენი გამომძიებლები იყვნენ თბილისიდან. მაშინ პატარა მატარებელი იყო, გადასვეს შორაპანში და შორაპნიდან ჩავიდნენ თბილისში. ჩაიყვანეს თბილისში და მიიყვანეს ენკავედები. როდესაც კაბინეტში შევიდნენ, იქ დამხვედრი გაოგნებული სახით მიაშტერდა.

— ეს ვინ მომიყვანეთ, ეს ბებერი რად მინდა, სიმონ ვაშაძე უნდა მოგეყვანათ.

— სიმონ ვაშაძეა, — უპასუხეს.

— 24 წლის სიმონ ვაშაძე უნდა მოგეყვანათ, ეს ვინ არის? — სიმონ ვაშაძე მაშინ 86 წლის იყო.

მიხვდა სიმონი, ვისაც ეძებდნენ, მის შორეულ ნათესავს, ახალგაზრდა სიმონ ვაშაძეს, რომელიც კომუნისტების დაუძინებელი მტერი იყო, მაგრამ მოასწორ და გაასწორ გერმანიაში. გაოგნდნენ, ვერაფერი თქვეს. წამოიყვანეს, გაუმასპინძლდნენ ალექსანდროვის ბალში და ისევ უკან გამოაგზავნეს ჭიათურაში.

დაბრუნებულს არაფერი უთქვამს, მოღუშული შევიდა სახლში, არაფერი მკითხოთ, დაწვა და ალარ ამდგარა, გარდაიცვალა. არავინ იცის, მის გულში რა ხდებოდა.

სიმონ ვაშაძის შთამომავლობა არის განსაკუთრებული შტო საქართველოსთვის დამსახურების მიხედვით. უშეცდომო ხალხი იყო, მათ ზვარაკად შესწირეს თავი საქართველოს.

მიხეილი, საქართველოს სახალხო არტისტი, მთელი ცხოვრება ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრის მსახიობი იყო. იგი ყვარყვარეს როლის საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა. ბატონმა რეზო ჩხეიძემ თავის მოგონებებში აღნიშნა, რომ თბილისიდან ხშირად ჩადიოდნენ ჭიათურაში, რათა მიხეილ ვაშაძის შესრულებული როლები ეხილათ. 35 წლის მანძილზე, ყოველ სეზონზე იდგმებოდა ჭიათურის თეატრში „ყვარყვარე თუთაბერი“, დარბაზი მუდამ სავსე იყო და მიხეილის მიერ შესრულებული ყვარყვარე საუკეთესო იყო. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ დოდო ალექსიძემ 1956 წელს რუსთაველის თეატრში მიინვია მიხეილი ორი სპექტაკლის სათამაშოდ. მაშინ ყვარყვარეს ეროსი მანჯგალაძე ასრულებდა. საბოლოოდ, რადგან სპექტაკლზე დასწრების მსურველი ბევრი იყო, ოთხი სპექტაკლი ითამაშეს. საყოველთაოდ ცნობილია თუ როგორი აღტაცება და მოწონება დაიმსახურა თავად პიესის ავტორის პოლიკარპე კაკაბაძისგან მიხეილ ვაშაძის მიერ შესრულებულმა ყვარყვარემ. იგი ჭიათურაშიც ხშირად ესწრებოდა სპექტაკლებს და მიუხედავად იმისა, რომ თავისი სიტყვაძუნნობით იყო ცნობილი, სპექტაკლებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს ემოციურად გამოხატავდა და დიდ პატივს სცენმდა მიხეილ ვაშაძეს.

მიხეილ ვაშაძის მეგობრებს, ოჯახის წევრებს, კოლეგებს კარგად ახსოვთ მისი სიტყვები – „მსახიობს ვერ ვიტან ცხოვრებაში, მსახიობი უნდა იყოს სცენაზე“. სცენაზეც და კინემატოგრაფშიც შესრულებული როლებით ის შეუდარებელი იყო. მის დასახასიათებლად საუკეთესო ამონარიდს მოვიხმობ დევი აბაშიძის წერილიდან: „ზემო იმერეთი. ერთი მოსახვევიც და თავზე დაადგები ხევში ჩაფენილ ლამაზ ქალაქს – ჭიათურას.

ბოლო დაღმართს დაეშვები და ათ წუთში მიხეილ ვაშაძის სახლ-თან გაჩერდები. სახლები იმერეთში კაცის ხასიათის მიხედვით არიან განლაგებულნი, ზოგი გზიდან შორსაა, ზოგიც ახლოს, ზოგი ქუჩისაკენ ზურგითაა, ზოგიც პირდაპირ ქუჩას გადაჰყურებს. ბატონი მიხეილის სახლიც სწორედ პირით ქუჩისაკენ იდგა. ამიტომ ჭიშკართან მიმდგარი ნაცნობი (ქალაქში ბატონ მიხეილს ყველა კარგად იცნობდა) ხშირად გადასძახებდა – „მას-პინძელოს“. ბატონი მიშა ის კაცი გახლდათ, რომლის ლვინის დოქი მუდამ სველი იყო და „მისატანებელი“ მჭადი და ყველი ან ხილეული მისაგნებ ადგილზე ჰქონდა გადანახული“.

ამ სახლში ხშირად იშლებოდა სუფრა, რომელსაც საზოგადოებისათვის ცნობილი და პატივსაცემი ადამიანები ესწრებოდნენ: შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, ეთერ ფალავა, აკაკი ბელიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, პავლე ფრანგიშვილი, მარიკა ბარათაშვილი, მხატვარი რობიკო სტურუა, ედუარდ შევარდნაძე...

ერთ-ერთ სუფრაზე, სადაც მაშინდელი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ედუარდ შევარდნაძეც იმყოფებოდა, მას შეუმჩნეველი არ დარჩენია ამ ოჯახის ახალგაზრდა წევრის, თამაზ ვაშაძის წარმატებული საქმიანობა რაიონის აღმშენებლობის საქმეში... და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან რესპუბლიკის ყველა გაზეთი წერდა მის წარმატებებზე.

ჭიათურა გარდა იმისა, რომ მარგანეცის წარმოებით ერთ-ერთი პირველი მონინავე სამრეწველო ქალაქი იყო საკავშირო მასშტაბით, მჩქეფარე კულტურული ცხოვრებითაც გამოირჩეოდა. ინტელიგენციისა და მაღაროს მუშების ინიციატივით იქ დრამატული წრე დაარსდა, ხოლო შემდგომში პროფესიული თეატრის შექმნას ჩაეყარა საფუძველი. დრამატული წრის წევრები ძირითადად მაღაროს მუშები და მარგანეცის მტვირთავები იყვნენ. დრამატული თეატრი 1894 წლის 11 დეკემბერს დაარსდა, ხოლო 1910 წლიდან მას მუდმივმოქმედი დასი ჰყავს.

მე-20 საუკუნის 20-30 წლები თეატრის ოქროს ხანად მიიჩნევა. ამ წლებში თეატრმა დადგა: დავით კლდიაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის, შექსპირის, მოლიერის, ლოპე დე ვეგას და სხვათა პიესები. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი „ყვარყვარე თუთაბერი“ ქართული თეატრის ისტორიაში ამ პიესის ერთ-ერთ საუკეთესო განხორციელებად ითვლება, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელი, საქართველოს სახალხო არტისტი მიხეილ ვაშაძე ამ სცენური სახის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად. თეატრმა 1949 წელს ბინა ახალ შენობაში დაიდო და მას აკაკი წერეთლის სახელი მიენიჭა.

ჭიათურაში გასტროლები ჰქონდა რუსთაველის სახელობის თეატრს, ჭიათურის თეატრი კი გასტროლებზე იყო ზუგდიდში. ჩამოტანილი ჰქონდათ „ოიდიპოსი“, მთავარ როლში აკაკი ხორავა, ასევე სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე... ზემო იყო ჭიათურაში, დარბაზი სავსე იყო და ამდენივე დასწრების მსურველი გარეთ იდგა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა აქტიურობდა. თამაზ ვაშაძე აქტიური და მებრძოლი ახალგაზრდა არა მარტო თავის სამუშაო ადგილზე იყო, იგი მამამისის სამეცნიერო წრეშიც მიღებული გახლდათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი დახმარება სჭირდებოდათ. თბილისიდან ჩამოსული საპატიო სტუმრების მიღებასა და სათანადო ყურადღების მიქცევაში ეხმარებოდა თეატრის დირექტორის მოადგილეს ქორიძეს. დაიწყო სპექტაკლი. გამოვიდა ხორავა სცენაზე. მიიხედ-მოიხედა და უცებ ყველასაგან მოულოდნელად გასცა განკარგულება, ყველა შემოეშვათ, ოლონდ ერთი პირობით, დასხედით ყველგან, სადაც შეიძლება, კიბის საფეხურებზე, მაგრამ სიჩუმე იყოსო. დარბაზში სამარისებური სიჩუმე იყო. საოცარი სპექტაკლი ითამაშეს. მთელი ჭიათურა მასპინძლობდა თეატრის დასს.

მეოცე საუკუნის შუახნის პერიოდი ჭიათურისთვის იქროს ხანა იყო. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც თამაზ ვაშაძე შრომასთან ერთად აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ჭიათურას ბევრი ცნობილი ადამიანი სტუმრობდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოფელ ზოდში მცხოვრები გამყრელიძეების

ოჯახი იყო, სადაც ხშირად სტუმრობდა კონსტანტინე გამ-სახურდია. მოგვიანებით იქვე ხშირად დასასვენებლად თბილი-სიდან ჩამოდიოდა ხოლმე რებეკა ვაშაძის და კონსტანტინეს ქალიშვილი ნათელა. ეს ოჯახი თამაზ ვაშაძის ნათესავი იყო და ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. იმ დროს ახალგაზრ-დების შეკრებები ძირითადად საუბრებს, აზრის გაზიარებას, მიმდინარე საკითხების განხილვას, კამათს ითვალისწინებდა. ერთხელაც ნათელამ უთხრა, რომ ზვიადია ჩამოსულიო. შეხვე-დრა შედგა. ზვიადი თავის თავში ჩაკეტილი, უკარება ადამია-ნის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ამის მიუხედავად ახალ-გაზრდებს შორის მეგობრობას ჩაეყარა საფუძველი. ერთხელაც ზვიად გამსახურდიას თამაზ ვაშაძის დახმარება დასჭირდა, რასაც, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დათანხმდა თამაზი. ზვიად გამსახურდიამ ცოლად ითხოვა აკაკი ბელიაშვილის დის შვილი, დალი ლოლუა და წარმატებულმა მშენებელმა თამაზ ვაშაძემ მათი ბინის რემონტი ასევე წარმატებით დაასრულა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ასე ჩაეყარა საფუძველი თამაზ ვაშაძის და ზვიად გამსახურდიას მეგობრობას, რაც წლების შემდეგ მათ პოლიტიკურ საქმიანობაში გადაიზარდა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ბრივ მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანასა და სასიკეთო საქმეების კეთებას დაედო საფუძვლად.

წლების შემდეგ განსაკუთრებული გულისტკივილით იხსე-ნებს თამაზ ვაშაძე იმ პერიოდს, როდესაც ჭიათურის თეატრის დირექტორი იყო მიხეილ ვაშაძე, რომელიც თავის მოგონებაში წერს: „...ბატონ კონსტანტინეს მე არასოდეს შევხვედრივარ. მინდოდა მისი გაცნობა, როდესაც ჭიათურაში, სოფელ ზოდში ისვენებდა... გადავწყვიტე მისი მოწვევა. იმ ხანად ჭიათურის თეატრის დირექტორი ვიყავი. ამ სურვილით და თხოვნით მი-ვედი ქალაქებომში, მაშინდელ მდივანთან ბატონ ზურაბ ბატა-რიძესთან. მოვახსენე ბატონი კონსტანტინეს მოწვევის შესახებ. მან სწრაფად მომიჭრა – საშაროდ გინდა გამიხადო საქმეო და უარი მითხრა. კარგად მახსოვს, როგორ აგდებით იხსენიებდ-

ნენ მას და მის შემოქმედებას. მის აღიარებას 60-იანი წლების შემდეგ გაეხსნა გზა, როცა მარჯვანიშვილის თეატრში დავდგით „მთვარის მოტაცება“, სადაც მეც ვმონაწილეობდი. ბატონმა კონსტანტინემ იკითხა - რომელი ვაშაძის შვილიაო? კონსტანტინე გამსახურდია შემთხვევით გადარჩენილი მწერალი იყო. ალბათ ღმერთმა არ გაიმეტა“.

დამპვდელური ჭრობის გვიათ

„მუშაობა 15 წლის ასაკში დავიწყე ჭიათურის მაღაროებში. მუშიდან თითქმის ყველა საფეხური გავიარე, ვიდრე ამ თანამდებობამდე მოვიდოდი. კერძოდ, ვიყავი ბრიგადირი თბილისის მეტრომშენში, სამუშაოთა მნარმოებელი, სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი, მმართველი, ვიმუშავე რუსთავში, ცხინვალში, დუშეთში, სოხუმში და ყველგან, სადაც კი ვმუშაობდი, ჩემი ცხოვრების წესი იყო, პირადი მაგალითი მიმეცა სხვებისთვის. თუმცა ჩემი პირდაპირი ხასიათის გამო ბევრი უსიამოვნებაც შემხვედრია ცხოვრებაში, მაგრამ მე ბედნიერი ვარ, რადგან ვიცი, ვისთვის ვიღწვოდი - ჩემი საფიცარი ხატია თავისუფლების გზას შემდგარი საქართველო!“

თამაზ ვაშაძე

ომის დამთავრების შემდეგ ჭიათურაში ფართომასშტაბიანი შრომა გაჩალდა. იზრდებოდა და ლამაზდებოდა ჭიათურა, მიმდინარეობდა მანგანუმის მოპოვება, რასაც მუშახელი სჭირდებოდა.

თამაზ ვაშაძე ამ დროს სკოლის მოსწავლე, 15 წლის იყო, როდესაც კლასიფიკატორის მარგანეცის მრეცხავ დანაგარზე დაინტერესი მუშაობა. ოჯახს უჭირდა, ისევე, როგორც ყველას. თან სწავლობდა და თან მუშაობდა. ეშინოდა, დაახლოებით ათი კილომეტრი ფეხით უნდა გაევლო. დილით ხშირად მამა აცილებდა, სანამ ინათებდა, ან ვინმე მგზავრს ჩააბარებდა, რათა მარტოს არ გაევლო ეს მანძილი. მაშინ იქ ხალხში ნათ-

ქვამი იყო, რომ ქვაყუნტიაზე ყაჩაღები იკრიბებიან და ხალხს ატერორებენო. ამიტომ იყო სიფრთხილე საჭირო. ჭიათურაში იმ დროს ყველა მუშაობდა, უმუშევრობა სირცხვილი იყო. თეატრის გვერდზე იყო ბანკი, სადაც მოლარე იჯდა, რომელიც თამაზის გამომუშავებულ თანხას მის მამას აძლევდა. ამით ის საგრძნობლად ეხმარებოდა ოჯახს.

ცოტა ხანში მაღაროში გადაიყვანეს მებიგის დამხმარედ, სადაც უფრო მეტი ხელფასი ჰქონდა. ჭიათურაში 1955-56 წელს დაიწყო დამკვრელური მშენებლობა, გაიხსნა ახალი მაღაროები და დაიწყო ახალი ქარხნების აშენება. ახალგაზრდებს მოუწოდეს, რომ მშენებლობაზე დაეწყოთ მუშაობა, ახალი მარგანეცის და კარბონატების გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობაზე. მათ შორის იყო თამაზ ვაშაძე, რომელმაც კომპლექსური ბრიგადა შექმნა. კომკავშირული ბრიგადები შეიქმნა, სადაც მთელი საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდები იკრიბებოდნენ, რა-საც იმდროინდელი პრესაც ჩვეული წარმატებით აშუქებდა. ჭიათურის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის წინა ხაზზე აღმოჩნდა თამაზ ვაშაძის ბრიგადა, მათ ალალი შრომით მოიპოვეს საპატიო სახელი. „...გუშინ უჩინონი დღეს სახელოვანნი და საქვეყნოდ ცნობილი გახდნენ. მათ შესახებ ალაპარაკდა ყველა: ნაცნობებიც და უცნობებიც. მათი საქმიანობა სამაგალითო გახდა...“ დიდი მოთხოვნა იყო მარგანეცზე. წარმოება იზრდებოდა და საქმეს საქმე ემატებოდა. გაზეთი არ დარჩენილა, სადაც თამაზ ვაშაძე არ იყო მოხსენიებული. აი, რას წერდნენ: „...თამაზ ვაშაძის კომუნისტური შრომის ბრიგადაში ოცდათხუთმეტი წევრია, ოცდათხუთმეტი მუყაითი და გამრჯეა ახალგაზრდა. თითოეულს ერთი ძირითადი მიზანი ამოძრავებს: არ შეარცხვინოს საპატიო სახელი, იბრძოლოს ბრიგადის ღირსების დასაცავად. ზოგჯერ საპატიო მიზეზით რომელიმე მათგანი მოკლე ხნის განმავლობაში მეგობრებს თუ გამოაკლდება, ბრიგადა ცდილობს არ დაიმჩნიოს დანაკლისი. ყველა ცდილობს საერთო წარმატებისათვის. ამ ფაქტმა შესანიშნავი აზრი შთააგონა ბრიგადირს, რამდენიმე კაცის არყოფნა ვერ

შეაფერხებს ბრიგადას. ხოლო გრაფიკი თუ ისე შედგება, რომ ყოველდღიურად ხუთ-ხუთი კაცი დაისვენებს, კვირაში სამუშაო დღეების რაოდენობაც გაიზრდება. ეს აზრი თამაზ ვაშაძემ მშენებლობის უფროსს და ტრესტის მმართველს გაუზიარა. ახალგაზრდა ბრიგადირს მოუწონეს ნათქვამი და წინადადება მისცეს შეედგინა ბრიგადის წევრთა მუშაობისა და დასვენების გრაფიკი. ასე წარმოიშვა დარკვეთის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშენებლობაზე უწყვეტი სამუშაო კვირა. ამ მეთოდით თითქმის მთელი შემადგენლობით პირველი მუშავებს თამაზ ვაშაძის კომუნისტური შრომის სახელოვანი კოლექტივი...“

ამ პერიოდში აუცილებელი გახდა, თამაზი უმაღლესში ჩაბარებისათვის მომზადებულიყო. მათემატიკის პედაგოგი, ნიკუშა აბდუშელიშვილი დათანხმდა დახმარებოდა, მაგრამ მოუცლელობის გამო მას ხელობდ დილის ექვს საათზე ეცალა. ასე დაიწყეს მეცადინეობა. არ იყო ადვილი, დილით უთენია მეცადინეობა, მერე სამუშაო, საღამოს კი მეგობრებთან ერთად დროის გატარება, ახალგაზრდობა ხომ ამის გარეშე წარმოუდგენელია. მით უმეტეს, თუ გულში უკვე შემოიჭრა პირველი სიყვარულის განცდა, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დაიწყო. ისინი ხომ ერთ სკოლაში სწავლობდნენ – თამაზ ვაშაძე და ჭიათურაში სილამაზით, ნიჭიერებით, წესიერებით, კეთილშობილებით გამორჩეული ნაილი არველაძე. თამაზ ვაშაძემ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის ფილიალში სამშენებლო ფაკულტეტზე ჩაბარა. ნაილი არველაძემ – პედაგოგიურ ინსტიტუტში.

და ამ დროს რესპუბლიკის მთავარი გაზეთი „კომუნისტი“ თავის ფურცლებს უთმობს ჭიათურელ მონინავე მშენებელს: „ჩემი ბრიგადა მარგანეცის ქალაქის ბინათმშენებლობაზე შეიქმნა. იმთავითვე დავიწყეთ ბრძოლა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდების მოპოვებისათვის. პირველად ეჭვის თვალითაც კი გვიყურებდნენ – თითქოს სიძნელეებს ვერ დავძლევდით, მაგრამ მონდომებამ და თავდადებამ ყოველგვარი ეჭვი გააქარნყლა.“

ის იყო ჩვენი ბრიგადა მშენებლობაზე დახელოვნდა, რომ

ჭიათურის მშენებლობანი განსაკუთრებით მნიშვნელოვან, საკავშირო კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობებად გამოცხადდა. ბინათმშენებლობა კარგი და საუცხოოა, მაგრამ კომკავშირელ ახალგაზრდებს გული მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვან მშენებლობებზე მიგვიწევდა, იქ უფრო შეიძლებოდა ძალისა და უნარის გამოჩენა. ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილეს. ახალი დარკვეთისა და კარბონატული მაღნების გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობაზე გადაგვიყვანეს. შრომითმა თავდადებამ იმატა”.

აქ კიდევ ერთი სირთულე დაემატა. დარკვეთის მშენებლობა ტყეში მიმდინარეობდა. აუცილებელი იყო იქ დარჩენილიყვნენ, რაც შეყვარებული წყვილისთვის ადვილი არ იყო. რამდენიმე-დღიანი განშორებაც ხომ საუკუნედ გეჩვენება ამ დროს. ეს ეპიზოდი კარგადაა აღნერილი გივი ჭელიძის წიგნში „ყვირილას პირას იზრდებოდა ფალავანი“. ეს ფალავანი 22 წლის თამაზ ვაშაძეა „ითხვისის ტყეში, იქ სადაც მთის პატარა გადარეული მდინარე მოქუხს და არემარეს თავისი ხმაურით იკლებს, ერთ ადგილას კლდიდან ვაჟყაცის მაჯის სიმსხო, ყინულივით ცივი წყარო გადმოქუხს. წყარომდე ერთი პატარა საცალფეხო ბილიკია და ზემო სოფლებისაკენ მიმავალი მგზავრი ან მონადირე თუ გათელავდა იქ აბიბინებულ ბალახს. ახლა კი ბილიკი ისეა გადათქერილი, რომ თეთრ ფართო ზოლად მოსჩანს გადაშლილ მწვანე ფერდობზე... წყაროდან სულ რაღაც ოცდაათ მეტრზე მშენებლებმა საკმაოდ დიდი ფაცხისმაგვარი ნაგებობა ააგეს და დღე ერთია ასჯერ მაინც ჩამოდიან დასაბანად ან წყლის დასალევად.

დღე აქ ადრე იწყება. სისხამზე წამოცვივდებიან ბიჭები და ერთმანეთს ასწრებენ წყაროსაკენ... სამი კვირის წინ აახმაურეს აქაურობა თამაზ ვაშაძის ბრიგადის წევრებმა და ახლა უკვე შინაურულად გრძნობენ თავს. მყუდროებას შეჩვეული ფრინველები დაფრთხენ. მერე კი, როცა ბიჭები საცხოვრისის მოწყობას შეუდგნენ და ტყეში ნაჯახი ახმაურდა, სოროებში გაყურსული ტყიურიც მიხვდა, რომ მათი სიმშვიდე საბოლოოდ დაირღვა“.

და, რა თქმა უნდა, ეს სიახლე და ახალგაზრდების თავდა-
დება არ გამოეპარებოდა იმ დროის მთავარ პერიოდულ ორგა-
ნოს, „კომუნისტს“: „ექვს-შვიდსართულიანი სახლის სიმაღლეზე
აღმართულა ვეებერთელა ლითონის ჩინჩხი, მისი რკინის ტანი-
დან ბზრიალ-ტრიალით ცვივა ნაპერწკლების წყება, თეთრი ალი
გაბოროტებით სისინებს და ლითონის ორ ნაჭერს სამუდამოდ
ადულებს ერთმანეთთან. მაღალ სვეტებზე უშიშრად მიბობლავენ
ადამიანები, დებიან, თვალით ჩარჩოს სისწორეს ზომავენ, შემდეგ
მთელი მონდომებით ურტყამენ ამოზნექილ ნაწილს რკინის უროს
და პირვანდელ სახეს უბრუნებენ. შენობის მეორე მხარეს უკვე
ზედმეტადქცეულ ხარაჩოებს შლიან და გადმოსროლი ხე-ტყე
ზათქით და გრიალით ეშვება ათეულობით მეტრის სიმაღლიდან.

წინ კი მდინარე ყვირილას პირას ერთმანეთში ირევა ბულ-
დოზერები, ექსკავატორები... ასე კეთდება დიდი საქმე. მიზანს
ერთ ძალად შეკრული ახალგაზრდული მარჯვენა აახლოებს.

ეს ყოველივე დარკვეთის ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის
მესამე კორპუსის წინ ხდება და შეიძლება ეჭვიც კი შეგეპაროთ,
რომ ამ სამიოდე წლის წინათ, აქ, ამ გაშლილ ვაკეზე, ამ მაღალი
შენობის ადგილას ოცდაათამდე მეტრის სიმაღლის მიუდგომელი
კლდე იყო, მარგანეცის მადნის ახალი მადანი რომ აღმოაჩნდა
და მაღარო, „ახალი დარკვეთის“ მშენებლობა რომ განიზრახეს.
ინუინრები ამ კლდის დანგრევას შეუდგნენ, რამდენიმე თვე-
ში ყვირილას პირას კლდის ნაცვლად ვაკე გადაიშალა. ერთი
წლის შემდეგ გამამდიდრებელ ფაბრიკასაც ჩაეყარა საფუძვე-
ლი. დუღს შრომა. ერთი წუთით მოცლა არა აქვთ მშენებლებს.
სიტყვას გამართლება უნდა: ახალი წლიდან მწყობრში უნდა
ჩადგეს ახალი ობიექტი“.

და ყოველივე ამასთან ერთად დამკვრელური შრომის ფერ-
ხულში ჩაბმულ თამაზ ვაშაძეს არ გაჭირვებია ოცნება აეხდი-
ნა და ლამაზი, მოსიყვარულე, ყველასათვის მისაბაძი ოჯახი
შეექმნა მისთვის უძვირფასეს ნაილი არველაძესთან ერთად.
სულ მაღე ვაშაძებმა ძეობაც იზეიმეს, პირველი ვაჟი, ზვიადი
დაიბადა.

ჭიათურაში ხშირად ჩამოდიოდნენ თბილისიდან სტუმრები და მათ, რა თქმა უნდა, მოწინავე ბრიგადის წევრები მასპინძლობდნენ... და ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს ჭიათურაში ჩავიდა კომკავშირის ცეკას მდივანი ედუარდ შევარდნაძე, ეს იყო 1961 წელი. მან დაათვალიერა მშენებლობა, მოინონა ახალგაზრდების მიერ გაწეული საქმიანობა და სურვილი გამოთქვა, ენახა ამ მოწინავე ბრიგადირის სახლობა. ეს არც იყო გასაკვირი, თამაზ ვაშაძის მამა ხომ ცნობილი მსახიობი იყო. ედუარდ შევარდნაძის საპატივსაცემოდ ვაშაძეების სახლში გაიმართა დიდებული პურობა.

ჭიათურა პატარა ქალაქია, სადაც ბევრი საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანი ცხოვრობდა, რომლებიც შემდეგ სამუშაოდ თბილისში გადავიდნენ. იუზა კობახიძე ერთ-ერთი მათგანია. მან ჭიათურის კომკავშირის მდივნობით დაიწყო, შემდეგ პარტიის მესამე მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე იყო. მას მამა გარდაცვალა და თამაზ ვაშაძე სამძიმარზე თბილისში ჩამოვიდა. როგორც წესი ბევრი ადამიანი შეიკრიბა გასვენებაში. მათ შორის იმდროინდელი პირველი მაისის რაიკომის მდივანი ედუარდ შევარდნაძე იყო.

ეს ის პერიოდია, 60-იანი წლები, როდესაც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს თბილისის მეტროს მშენებლობისა და მუშახელის ნაკლებობას განიცდიან.

— გამარჯობა, თამაზ, მიხარია, რომ შეგხვდი, — ედუარდმა ხელი ჩამოართვა თამაზს და ცოტა განაპირას მდგარ ადამიანებთან დადგნენ.

— გამარჯობა, როგორ ხართ?

— ვცდილობთ, შეძლებისდაგვარად კარგად ვიყოთ. კარგია, რომ გნახე. შენისთანა ერთგული მშენებელი გვჭირდება, ხომ არ გადმოხვალ ჩვენთან, მეტროს მშენებლობაზე?

— მეტროს მშენებლობაზე? რა ვიცი, თუ საჭირო ვარ, რატომაც არა, მოვიფიქრებ.

— კარგი, გელოდებით, ხომ იცი, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტია, აუცილებლად მალე უნდა დავამთავროთ, ამი-

ტომ გვჭირდება შენისთანა ახალგაზრდები, რომელთაც კარგად იციან სამშენებლო საქმე... იმედია, ჩამოხვალ.

სამშაბათი დღე იყო. ბევრი ფიქრის და განსჯის შემდეგ, ხუთშაბათს შეკრა საკუთარი ნივთები და თბილისში ჩამოვიდა.

თამაზ ვაშაძის ოჯახი სიხარულით არ შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. ახალშექმნილი ოჯახი ჰქონდათ, ერთი ვაჟი ჰყავდათ. საკუთარი შრომით ახერხებდნენ ყველა პრობლემის მოგვარებას და თბილისში გადასვლა, სადაც არც ბინა ჰქონდა, არც სამსახური, ცოტა რთული გადასაწყვეტი იყო მშობლებისათვის.

0580 მეორე

080ლისის მეტაზო

თბილისის მიწისქვეშეთი – რეალური თუ მოგონილი ისტორიებით, ლეგენდებითა და მითებით, თითქოს ცალკე სამყაროა. მისტიკური ქალაქის ქვეშ, რომელსაც თავისი ისტორია აქვს! ერთ დროს მსოფლიოში წარმოუდგენელი და გასაოცარი მოვლენა, ახლა ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა. ადამიანები ყოველდღიურად ჩადიან მიწისქვეშეთში, მაგრამ დიდი ხანია უკვე ყოველგვარი ამაღლვებელი ემოციების გარეშე. ჩვენ ვეშვებით 100 მეტრ სიღრმემდე და ძალიან იშვიათად ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ იქმნებოდა მთელი ეს მიწისქვეშა სისტემა. ეს გახლდათ ყველაზე ამბიციური პროექტი, რომლის განხორციელება ბევრს არ სჯეროდა.

გასული საუკუნის 60-იანი წლების თბილისი, რა თქმა უნდა, კომუნისტურ წყობას ფეხშეწყობით უთავსებდა თავის საქმიანობას. ქალაქი შენდებოდა, ფართოვდებოდა. ბევრი ახალი მასივი შეემატა ქალაქს. ყოველ დილით, ქუჩები როდესაც სამსახურში წამსვლელი მოჩქარე ადამიანებით ივსებოდა, საქალაქო ტრანსპორტი გაჭირვებით ახერხებდა მათ გადაყვანას. სავსე ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტრამვაები მგზავრებით გაძეგილები ნელ-ნელა იძვრებოდნენ ადგილიდან და გაჭირვებით გადაადგილდებოდნენ. ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ამ მდგომარეობიდან ყველაზე კარგი, დროული, ეფექტური გამოსავალი მეტრო იქნებოდა.

საერთოდ თბილისის მეტროს მშენებლობაზე საუბარი, თურმე, ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყო, როდესაც მაშინდელმა საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა უშუალოდ სტალინისგან მიიღო სიტყვიერი დაპირება თბილისში მეტროს მშენებლობაზე. გვირაბებისა და შახტების გაჭრაც ნაწილობრივ ამ დროს დაიწყო. მაგრამ სტალინის გარდაცვალების შემდეგ, იმდროინდელი

პოლიტიკური მდგომარეობის გამო, თბილისის მეტროს მშენებლობა გაურკვეველი ვადით დაკონსერვდა. ამის მიზეზად სსრკ-ს კანონმდებლობას ასახელებდნენ, სადაც მითითებული იყო, რომ მეტროს მშენებლობა მხოლოდ მილიონიან ქალაქში უნდა დაწყებულიყო. იმ დროს თბილისში კი დაახლოებით 500 000 ადამიანი ცხოვრობდა. „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, უთქვამს ბრძენ კაცს. შეიცვალა სიტუაცია, სათავეში მუჟავანაძე მოვიდა და მეტროს მშენებლობაც განახლდა, რაც მეტად სარისკო იყო, რადგან იმ დროს ცეკას მეორე მდივანი ყოველთვის რუსეთიდან დანიშნული კადრი იყო, რომლის მთავარი ფუნქცია ადგილობრივ მთავრობაზე კრემლში „დანოსების“ გაგზავნა იყო. დიდ საბჭოთა იმპერიაში მყოფ, თხუთმეტ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ერთ-ერთს, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე არ შეეძლო, ამისათვის ცენტრალური კომიტეტის, მოსკოვის კრემლის გენერალური მდივნის თანხმობა აუცილებელი იყო. თავიდან მშენებლობა მალულად მიმდინარეობდა, დიდი რისკის ქვეშ, იმ დროს დასავლეთის ქვეყნებთან ცივი ომის წარმოების გამო, ვითომ დაბომბვის საწინააღმდეგო მიწისქვეშა თავშესაფრებს აშენებდნენ. ასე ჩაეყარა საფუძველი თბილისის მეტროს მშენებლობას.

60-იანი წლებიდან საქართველოს უფრო მშვიდად შეეძლო მეტროს მშენებლობის გაგრძელება და, რაც მთავარია, ამას დამალვაც არ სჭირდებოდა, რადგან ძირითადი სამუშაოები მალულად უკვე ჩატარებული იყო.

საბჭოთა კავშირში თბილისი რიგით მეოთხე ქალაქი იყო, სადაც მეტროპოლიტენი აშენდა, მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის შემდეგ, ეს კი, იმ პერიოდისათვის, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

დღეს მეტრო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სწრაფი სატრანსპორტო საშუალებაა, რომლითაც მსოფლიოს მრავალ ქალაქში მილიონობით ადამიანი გადაადგილდება და როგორც

ყველაფერს მეტროსაც თავისი ისტორია აქვს, რომელიც ლონდონიდან იწყება. 1864 წელს ინგლისელმა ჩარლზ პირსონმა რკინიგზის სამეფო კომისიაში მეტროპოლიტენის მშენებლობის გეგმა წარადგინა. 17 წლის შემდეგ კი 3,6კმ მონაკვეთზე ლონდონში 7 მიწისქვეშა სადგური გაჩნდა. პირველივე დღეს გადაიყვანეს 30 000 ადამიანი. ეს ინოვაცია მაღე გახდა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი და აიტაცეს კიდეც, 1868 წელს პირველი ამერიკული მეტროპილიტენი ნიუ იორკშიც გაჩნდა. 1900 წელს მეტრო პარიზშიც გაიყვანეს, ხოლო 1902 წელს ბერლინში. ამას მოჰყვა სხვა მრავალი ქვეყანა. თავდაპირველად მეტროებს მხოლოდ იმ ქალაქებში აშენებდნენ, სადაც მაცხოვრებელთა რაოდენობა მიღიონი იყო. რაც შეეხება თბილისში მეტროს აშენებას, თავდაპირველად ამ იდეას საბჭოთა ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა, მიზეზად კი თბილისის 600 000 მოსახლეობას და საჭირო რესურსის არქონას ასახელებდნენ.

თუმცა კანდიდ ჩარკვიანმა მოახერხა უშუალოდ სტალინისგან მოეპოვებინა თანხმობა მეტროს მშენებლობაზე და 1951 წელს უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება მეტროპოლიტენის მშენებლობაზე. მშენებლობისათვის 824 000 000 მანეთი იყო გამოყოფილი, ხოლო სამუშაოები ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა, რომ არ მომხდარიყო წყლის უეცარი ჩამოვარდნა, მდინარე მტკვრის კალაპოტს კეტავდნენ.

სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვანი, საშვილიშვილო, სახელმწიფოებრივი, სტრატეგიული და საზოგადოებრივი დანიშნულების მეტროს მშენებლობის ფერხულში ჩაბმა და საკუთარი წვლილის შეტანა თამაზ ვაშაძისთვის სულაც არ იყო მარტივი. თანაც ამ დროს ჭიათურაში იგი უკვე საკმაოდ ცნობილი მშენებელი იყო. თბილისიდან ხშირად ურეკავდნენ თამაზ ვაშაძეს, იბარებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებზე, სადაც სიტყვით გამოდიოდა, საზოგადოებას საკუთარ გამოცდილებას უზიარებდა და საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. იმდროინდელი პრესა ხშირად ბეჭდავდა მის წარმატებულ საქმიანობაზე სტა-

ტიებს, ინტერვიუებს და იგი მთელი საქართველოს მოსახლეობისთვის იყო ცნობილი. თუმცა გადაწყვეტილების მიღებაზე დიდხანს არ უფიქრია. მის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყებოდა, რომელიც თავისი სირთულეების, წინააღმდეგობების მიუხედავად ძალიან იზიდავდა და სამომავლოდ ბევრ საინტერესო წარმატებას უქადდა.

ხუთშაბათი დღე იყო, როდესაც თბილისში ჩამოვიდა და ცოლისძმის ბინაში დაბინავდა, რომელიც კიბალჩიჩის ქუჩაზე მდებარეობდა. პატარა, მოკრძალებული საცხოვრებელი სახლი იყო. სასწრაფოდ დატოვა ბინაში ბარგი და დაბარებულ ადგილს მიაშურა.

იმ დროს, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ედუარდ შევარდნაძე ჭიათურიდან თამაზ ვაშაძე ჩამოვიდა-თქო.

– გამარჯობა, ბატონი ედუარდი მელოდება. თუ შეიძლება მოახსენეთ, ჭიათურიდან თამაზ ვაშაძე ჩამოვიდა-თქო.

მდივანმა სასიამოვნოდ გაულიმა, მაგიდიდან წამოდგა და რაიკომის მდივნის კაბინეტში შევიდა.

– მიბრძანდით, ბატონო თამაზ, – კაბინეტიდან გამოსულმა მდივანმა ხელით ანიშნა კარისკენ.

საკმაოდ დიდი ზომის კაბინეტი ნათელ, მზიან ოთახს წარმოადგენდა, რომლის ერთ კუთხეში მოგრძო მაგიდის თავში რაიკომის მდივანი იჯდა. იგი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა ჭიათურიდან ჩამოსულ ახალგაზრდა მშენებელს და დასაჯდომად სკამი შესთავაზა.

– უკვე ჩამოხვედი, ძალიან კარგი, – სულაც არ ეტყობოდა გაოცება, უფრო სიტყვის მასალად თუ უთხრა ასე. მისი ოჯახი მოიკითხა, დაინტერესდა მათი დამოკიდებულებით ამ გადაწყვეტილების თაობაზე, არც გაკვირვებია, როცა შეიტყო, რომ ოჯახი სიხარულით არ შეხვედრია მის ამ, ერთი შეხედვით, სარისკო გადაწყვეტილებას. იცოდა, რომ ჭიათურის თეატრის წამყვანი მსახიობისთვის შვილის თბილისში სამუშაოდ გადმოსვლა, მაინც და მაინც, სასიამოვნო არ იქნებოდა, მაგრამ

კარგად იცნობდა მიხეილ ვაშაძეს და იცოდა, რომ იგი შვილის ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წინააღმდეგობას არ გაუწევდა, რადგან ენდობოდა შვილს. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ტელეფონის ყურმილი აიღო. მეტრომშენის უფროსს, გოცირიძეს დაელაპარაკა.

მაშინ მეტრომშენი პარტიული დაქვემდებარებით პირველი მაისის რაიონის რაიკომში შედიოდა. ტერიტორიულად კი ახლანდელი მარჯანიშვილის მოედანზე, მეტროსადგურ მარჯანიშვილის ადგილზე მდებარეობდა მშენებარე შახტა და იქვე იყო სამმართველოც.

– სალამი, ბატონო ვიქტორ, როგორ არის საქმე, ხომ ყველაფერი რიგზეა? – პასუხის მოსმენის შედეგად სახეზე ეტყობოდა კმაყოფილება. – ძალიან კარგი, მოწინავე კაცს, თამაზ ვაშაძეს გიგზავნით, ცნობილ ბრიგადირს, – ცოტა ხანს გაღიმებულმა უსმინა მეორე ხაზზე მყოფს, მერე ყურმილი დაკიდა და ახლა თამაზს მიუბრუნდა.

– გელლოდებიან, აბა, შენ იცი, უნდა მასახელო.

ასე დაიწყო თამაზ ვაშაძემ მეტროს მშენებლობაში საკუთარი წვლილის და გამოცდილების შეტანა. თუმცა პირველ ხანებში ცოტა გაუჭირდა. ადვილი არ იყო, თუნდაც გამოცდილი მშენებლისთვის, მიწის ქვეშ მუშაობა. ათკაციანი ბრიგადის ბრიგადირად დანიშნეს. შესანიშნავი ხალხი იყო. რუსთაველის მოედნიდან მაშინდელი ლენინის მოედნისკენ (ახლანდელი თავისუფლების მოედანი) მიემართებოდა გვირაბი. გათხრა, ბურღვა, აფეთქება, ვაგონებში ჩატვირთვა, გამოტანა... შემდეგ ბეტონის ჩასხმა და ასე მიემართებოდა გვირაბი წინ. იმ დროს სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი იყო. რთული სამუშაო დღის შემდეგ მეცადინეობა, გამოცდებისთვის მზადება, რა თქმა უნდა, ძალიან რთული იყო. თან თბილისის მეტროს მშენებლობა გასაიდუმლოებული იყო, ამიტომ იმ პერიოდში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ აშუქებდნენ ამ მოვლენის მიმდინარეობას. ამასთან ჭირდა მუშახელის მოზიდვა. მაგრამ კომუნისტური ეპოქის-

თვის დამახასიათებელი საგანგებო აქციებით, დაპირებებით, წამახალისებელი პრემიებითა და ჯილდოებით მათ მოახერხეს მუშახელის მოზიდვა. ეს კი შემდეგში მდგომარეობდა, რომ თბილისის მეტროს მშენებლობაზე მომუშავეთათვის გამარტივდა თბილისში ჩაწერა და ასევე საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილება, მიუხედავად იმისა, რომ სახელფასო ანაზღაურება ძალიან დაბალი იყო, მომუშავეთა ნაკლებობას არ განიცდიდნენ. დიდი იყო თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლის მომხიბვლელობა და მსურველები სირთულეებსაც არ ერიდებოდნენ.

ამ საქმიანობის სათავეში ვიქტორ გოცირიძე იდგა. თამაზ ვაშაძე დღემდე მადლიერებით იხსენებს მას, მასთან ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ ამ ურთიერთობის შედეგად ბევრი რამ ისწავლა.

– მართლაც საოცარი იყო ის დღეები, მეტროს მშენებლობა. – განსაკუთრებული სიამაყით იხსენებს თამაზ ვაშაძე, – ერთგვარად უჩვეულოც იყო, რადგან მიწისქვეშ ვმუშაობდით. ძველი კომუნიკაციების გამო წყალი ჩამოდიოდა გვირაბში. ძალიან ძნელი სამუშაო იყო. დაწოლილი ვმუშაობდით საათობით. ვიქტორ გოცირიძე ყოველ დღე შემოვლაზე მოდიოდა, დაათვალიერებდა ყველაფერს, მომიახლოვდებოდა და მკითხავდა, თამაზ, რამე ხომ არ გჭირდება, მითხარი... დღესაც მადლიერი ვარ მისი. იგი არა მხოლოდ დიდი მშენებელი, საუკეთესო სპეციალისტი, ნამდვილი პროფესიონალი იყო, ასევე იყო დიდი მოქალაქე, ვაჟკაცი, ძალიან მკაცრი, შეუვალი და სამართლიანი.

დანიშნეს ბრიგადირად, რომლის შემადგენლობა 9 კაცის-გან შედგებოდა. პირველი სამი დღე გაუჭირდა. იმ დროს სტუდენტი იყო, თან სწავლობდა და არ იყო მარტივი.

იმ პერიოდისთვის თამაზ ვაშაძეს განსაკუთრებით აწუხებდა ის, რომ მეტრომშენებელთა ხელფასი ძალიან დაბალი იყო, 3 მანეთი დღეში... პირველივე დღეებიდან ცდილობდა, რომ ხელფასის მომატება მოეხერხებინა. ვის არ მიმართა, ვინ არ

შეაწუხა... თუმცა თვითონაც შეჭირვებულად ცხოვრობდა. ყოველდღე მეტროს მშენებლებს თითო ლიტრ რძეს ურიგებდნენ, რადგან ბურღვის დროს გამონაბოლქვი ფილტვებს აზიანებდა. მას ეს რძე სახლში მიჰქონდა შვილისთვის, თვითონ კი რუხი პური და ნიორიც აკმაყოფილებდა და კიდევ კიტრიც... კიტრს ხომ, თურმე, საოცარი თვისება აქვს, როდესაც გათლი, მისი სურნელი მთლიანად მთელს შახტაში დატრიალდება. მაინც შეძლო და მოახერხა, რომ მისი ბრიგადის წევრებს ყველაზე მაღალი ხელფასები ჰქონდათ, რადგან მათი ნამუშევარი დანარჩენებისგან განსხვავებით ბევრად მეტი იყო და მისი მეტრომშენებელთა ბრიგადა მაღლე მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

განსაკუთრებით თბილად იხსენებს ხოლმე თამაზ ვაშაძე იმ ადამიანებს, რომლებიც მეტროს მშენებლობის დროს გაიცნო, ან ამ მეტად მნიშვნელოვან მშენებლობაზე თვითონ მიიყვანა. როგორც ცნობილია მეტრომშენი იზიდავდა ადამიანებს თბილისში ჩანერის, ბინის მიღების და კიდევ სხვადასხვა პერსპექტივით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მწერალი რევაზ ჯაფარიძე, რომელსაც უნდოდა, რომ მეტროს მშენებლებზე რამე დაეწერა, ამიტომ ხშირად ჩადიოდა მინის ქვეშ სანგრებში, სტუმრობდა მშენებლებს და მასთან ურთიერთობა, საუბრები, შეხვედრები ძალიან საინტერესო იყო თითოეული მათგანისთვის. ასევე იქ ასაფეთქებელი მასალის საწყობის უფროსად მუშაობდა ცნობილი საბავშვო პოეტი გიორგი წერეთელი, რომელსაც ჯერ კიდევ ჭიათურიდან იცნობდა და მისგან ბევრი სიკეთე ახსოვს.

ყოველი დღე ადრიანად იწყებოდა. ბრიგადის წევრებს ერთმანეთთან მეგობრული, საქმიანი და ამასთან ახლობლური დამოკიდებულება ჰქონდათ. საქმესთან ერთად ხშირად იკრიბებოდნენ, ერთად აღნიშნავდნენ დღესასწაულებს, საგანგებო მდგომარეობებს და ასევე თავისუფალი დროც, ცდილობდნენ, რომ ერთად გაეტარებინათ.

იმ დროს სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარედ, ზედ გზის პირას კაფე „მეტრო“ მდებარეობდა. სწორედ მის უკან ამო-დიოდა მეტროს მშენებარე გვირაბი, ამიტომ ხშირად უწევდათ ამ კაფეში შესვლა. მოსწონდათ იქაური სიტუაცია, გარემო, მომსახურება. ამ კაფეში მიმტანად მუშაობდა ჯუნა დავითაშვილი, რომელიც ძალიან მეგობრობდა მეტროს მშენებლებთან, იგი ყველანაირად ეხმარებოდა მათ, ცდილობდა მათი ყველა გასაჭირო გაეზიარებინა.

მაშინ ჯუნას ჯერ არ იცნობდნენ. ის საოცარი, უცხო გარეგნობის ლამაზი ქალი იყო. ყველას ღიმილით ეგებებოდა. ნათელი, თბილი, სასიამოვნო გარემო, რომელიც იქ იყო, ძალიან ბევრ თბილისელს იზიდავდა და დარბაზი მუდამ ხალხით იყო სავსე. მეტრომშენებლებიც ხშირად სარგებლოდნენ კაფე „მეტროს“ თანამშრომელთა მომსახურებით, არა მხოლოდ შესვენებების დროს, სხვა დროსაც ხშირად შეხვდებოდით მათ, ჯუნასთან თბილად მოსაუბრეთ. მათი მეგობრობა დიდხანს გრძელდებოდა. წლების შემდეგ, მაშინ როცა ჯუნა უკვე მოსკოვში ცხოვრობდა, მას სპეციალური დაცვა იცავდა, ყველას ამონმებდნენ, იგი თამაზ ვაშაძემ მოინახულა, მაშინ ჯუნა უკვე დიდ ადამიანებს ემსახურებოდა.

თამაზ ვაშაძე რთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად მაინც ახერხებდა თავისუფალო დრო საინტერესოდ გაეტარებინა. ხშირად სტუმრობდა თავის ნათესავს, დიდებულ ადამიანს, მრავალი მწერლის, საზოგადო მოღვაწის მეგობარს, მეცენატს, უშანგი ჩხეიძის დისტვილს ბუკა ნაკაიძეს, რომელიც პლეხანოვზე ცხოვრობდა. მის ოჯახში ყოველთვის მიუწევდა გული, რადგან იქ ბევრ საინტერესო ადამიანს ეცნობოდა. იქ იკრიბებოდნენ, საუბრობდნენ, ლალობდნენ და დროს საინტერესოდ და სასიამოვნოდ ატარებდნენ. ერთხელაც ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს ოთახში საუცხოო გარეგნობის, ტალღოვანთმიანი ბრგე ვაჟაცი გამოჩნდა. უცბად გაჩუმდნენ და ყველამ მას შეხედა.

— ოოო, აი, სასიამოვნო შეხვედრა, შემოდი, შემოდი, გაი-

ცანით, ჩემო ძვირფასებო, ეს გახლავთ ჩემი მეზობელი ლე-ვან გოთუა, – ბუკამ ხელი ჩამოართვა შემოსწრებულს, სკამი შესთავაზა.

...და სულ მალე მთელი მათი საუბარი მხოლოდ ლევანის გარშემო ტრიალებდა. საოცარ ამბებს ჰყვებოდა იგი, საოცარს და თან ისე საინტერესოდ იცოდა თხრობა, რომ სხვა ყველაფერი ავინყდებოდათ, მხოლოდ მას უსმენდნენ და ერთი თემა რომ დამთავრდებოდა, უმაღ ახალ თემაზე გადაჰქონდათ საუბარი. სასაუბროს კი რა გამოლევდა. ამ პერიოდისთვის ლევან გოთუას უკვე გამოვლილი ჰქონდა 22-წლიანი ციხეში ცხოვრება. თუმცა ამ თემაზე საუბარი მაინც და მაინც არ უყვარდა.

მართლაც საოცარი ადამიანი იყო ლევან გოთუა, შესანიშნავი ადამიანი და ბუმბერაზი მწერალი. მისმა გაცნობამ თამაზ ვამაძის ცხოვრება თითქოს რადიკალურად შეცვალა. დაუსრულებლად შეეძლოთ ესაუბრათ, თანაც ნებისმიერ თემაზე.

ერთხელ, ბეთანიაში ასვლა გადაწყვიტეს. ლევანმა აიჩემა, ზემოდან უნდა გადავხედო ბეთანიასო. მართლაც საოცარი, დაუვინყარი დრო გაატარეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ, წყნეთის გზაზე უეცრად გზაზე ლევანმა ვიღაც კაცი შენიშნა, რომელიც ავტობუსის გაჩერებაზე იდგა. აღშფოთებულმა მძღოლს მანქანა გააჩერებინა, მანქანიდან გადახტა, იმ კაცს ეცა და ახრჩობდა. ლევანი საკმაოდ ძლიერი ფიზიკური აღნაგობის იყო და საკმაოდ გაუჭირდათ, რომ დაეწყნარებინათ და გაეშველებინათ ისინი. მერე, როცა მანქანაში ჩასვეს და გზა გააგრძელეს, უკვე დაწყნარებულ ლევანს მიზეზი ჰკი-თხეს, იმ კაცს რას ერჩოდიო. მისმა ნაამბობმა ისინი ძალიან გააოცა.

თურმე იცნო ლევანმა ის ადამიანი, კაგებეს ყოფილი გამომძიებელი ნიბლაძე, ვინც ციხეში აწამებდა, ფრჩხილებს აძრობდა. მერე კი თურმე პურის ქარხნის დირექტორი იყო. ამის შემდეგ გაიხსენა ლევანმა, რომ თურმე კანდიდ ჩარკვიანისთვის მიუტანიათ დაკითხვის ოქმი, სადაც ენერა, რომ

ლევან გოთუა ქაშვეთის ეკლესიის აფეთქებას აპირებდაო. კანდიდ ჩარკვიანს უთქვამს, ამას ნუ დაბრალებთ ლევანს, ის ამას ნამდვილად არ გააკეთებდაო. ამით მან ლევანი დახვრეტასაც გადაარჩინა.

ერთხელაც ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას ასეთი ამბავი გაუხსენებია ლევანს. სოლოლაკში ვარო. ეს ის პერიოდია, როდესაც ომიანობის დროს მეტად რთული პერიოდი იდგა საქართველოში. ჰოდა, ეჭვი გასჩენია, რომ უთვალთვალებდნენ. ჩქარი სიარული უყვარდა.

– უეცრად გავჩერდი და უკან გავიხედე. ჩემს უკან მომავალი ორი კაცი ჩემთან ერთად გაჩერდა... ეს უკვე გასაგები იყო, რასაც ნიშნავდა.

მიხვდა, რომ მისი საქმე ცუდად იყო. სოლოლაკის ერთ-ერთ ეზოში შევიდა და უკანა შესასვლელიდან სულ სხვა მხრიდან გარეთ გავიდა. შეხვედრა ჰქონია და არ უნდოდა დაგვიანება. ისინი ვერ მიხვდნენ თურმე, მთელი ეზო აუნრიალებიათ, დაკითხვები მოუწყვიათ ყველა ოჯახში, იკვლევდნენ, რომელ ოჯახს სტუმრობდა, ვინ იყო მისი მხარდამჭერი, ვისთან იმალებოდა... მერე, როცა დააპატიმრეს, თვითონ აღიარა, ეს ხალხი არაფერ შუაშია, საერთოდ არ მიცნობენ, მათთან არა-სოდეს ვყოფილვარო...

ერთ დღესაც ისევ ბუკასთან შეიკრიბნენ. ნათელი, მზიანი დღე იყო. აივანზე ისხდნენ. საუბარში გართულებს მზე დაჭნა-თოდათ და მოსმენილისგან მიღებულ ემოციებს მისი სხივები კიდევ უფრო მკვეთრად და გამოკვეთილად აღბეჭავდა მათ სახეებზე.

ამჯერად თამაზი იყო საუბრის წამომწყები.

– ჰოდა, სოხუმიდან გემით ჩავედით ბულგარეთში, მისი დედაქალაქი სოფია მართლაც ულამაზესია, საერთოდ მიყვარს მოგზაურობა, მივხვდი, რომ ეს ჩემი ჰობია... ვყელაზე მეტად მინდა, რომ ბევრი ვიმოგზაურო და მთელი მსოფლიო

მოვიარო... – გატაცებით ჰყვებოდა თამაზი, ლევანი არ აწყვეტინებდა, დაფიქრებით უსმენდა, არ უნდოდა გაეჩერებინა, იმდენად ემოციურად ჰყვებოდა. ბოლოს, როცა ოდნავ შეანელა თხრობა, ლევანმა ჰკითხა:

– დაამთავრე?

– დიახ, – ერთგვარი გაკვირვებით უპასუხა თამაზმა.

– რა თქმა უნდა, ლამაზია ბულგარეთი, სხვა ბევრი ქვეყანაც ლამაზია, მაგრამ... თამაზ, მთათუშეთში თუ ყოფილხარ? სვანეთი გინახავს?

– მთათუშეთში? სვანეთში? – ჯერ კიდევ მონაყოლის ემოციის ქვეშ მყოფმა თამაზმა სახეზე გაოცება ვერ დამალა, – არა, არ ვყოფილგვარ...

– მერე? ჩემი რჩევა იქნება, ჯერ შენი სამშობლო მოიარე, გაიცანი და მერე სხვას რომ ნახავ, შეადარე, რომელი უკეთესია...

ჰოდა, აქედან დაიწყო გარდატეხა მის ცხოვრებაში. პირველად მთათუშეთში და მერე სვანეთში ჩავიდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. თითქოს გული გაუჩერდა, ეს მართლაც სულ სხვა სამყარო იყო, ცალკე სამყარო. ცად აზიდულ მთათა გრანდიოზულობამ, მათი დათოვლილი მწვერვალების ხილვამ და ყოველივე ამის ფონზე სვანური კოშკების სიდიადემ და მომნუსხველობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე. ამის შემდეგ ყოველი თავისუფალი დრო მოგზაურობას ეთმობოდა.

შეიკრიბნენ მეგობრები, ისინი, ვისაც მოგზაურობა იტაცებდა, უყვარდა თავგადასავლები, ფათერაკები და დაიწყო... ბზიფის ხეობიდან დაიწყეს, მდინარის სათავიდან რინის ტბამდე ჩამოვიდნენ, იქ, სადაც ადამიანის ფეხი არ იყო დადგმული. რა თქმა უნდა, არ იყო ადვილი. შეკრიბა მეგობრები, შეიძინეს აღჭურვილობა და როგორც კი თავისუფალი დრო, თუნდაც ორი დღე გაუჩინდებოდა, სალაშქროდ მიდიოდნენ.

ეს იყო მეოცე საუკუნის 60-70 წლები. მეგობრებთან ერთად შემოიარა მთელი საქართველო. ამასთან ერთად ბე-

ვრი მეგობარიც შეიძინა. კომუნისტური წყობის ზეობის ჟამი იდგა. სახელმწიფო შენდებოდა, შეძლებისდაგვარად ახერ-ხებდნენ ცენტრისგან, კრემლისგან დამოუკიდებლად ეკეთე-ბინათ ეროვნული საქმე, ეშენებინათ ქვეყანა. ამის ნათელ მაგალითად თბილისის მეტროპოლიტენიც კმარა... და ამ სა-ქმიანობასთან ერთად ქვეყნის მიუვალ ადგილებში, მთასა და კლდეებში, ისტორიულ სავანეებსა და ტერიტორიებში მოგზაურობა თავისთავად ძალიან ბევრს ნიშნავდა მისთვის... და სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ერთ მშვენიერ დღესაც ალპინიზმით დაინტერესდა. პირველი მწვერვალი, რომელიც დაიპყრო იალბუზი იყო. საოცარი შეგრძნებაა, როცა ამ სი-მაღლიდან გადმოიხედავ და ემოციის ტყვეობაში არც სიცივე გაწუხებს, არც უჩვეულო ბუნებრივი მოვლენები... მაინც პირველად რომ იყო ამ სიმაღლეზე, თანაც ქარმა შლემი გა-დააძრო, ალბათ, ამის ბრალი იყო, რომ ისე დაეწვა ტუჩები, სამკურნალო გახდა და მხოლოდ დამწვრობის ცენტრში, ექიმ იაშვილთან მკურნალობამ უშველა.

...და არც ამ სირთულემ გადააფიქრებინა ალპინიზმით გა-ტაცება. ამ თემაზე საუბრის დროს თამაზ ვაშაძე ყოველთვის განსაკუთრებით ალნიშნავს სპორტის ამ სახეობის უპირატე-სობას და ხაზს უსვამს, რომ ელიტარული სპორტია და ამის მაგალითად თუნდაც სახელოვანი მთამსვლელების ჩამოთვლაც კი საკმარისია: ლევან გოთუა, ნიკო ნიკოლაძე, ალიოშა, სიმონ და ალექსანდრა ჯაფარიძეები, შოთა მირიანაშვილი, აგი აბაში-ძე, მიტო დანგაძე, ოთარ ხაზარაძე, სერგო ბარლიანი, შაქრო გაბისიანი... და ამ ჩამონათვალთან ერთად იგი გულისტკვი-ლით ალნიშნავს ხოლმე, რომ მათი ღვანლი ჯეროვნად არ არის ალიარებული და დაფასებული.

ჯაფარიძეების ოჯახის ტრადიციებს აგრძელებს ბატონი ვანო ჯაფარიძე, პროფესორი, ლირსეული უურნალისტი და დიდი პატრიოტი.

წავიდნენ იალბუზზე. მის ძირში, ერთ-ერთ კურორტზე, ჩე-გეტში დაბანაკდნენ. პირველი დღე 4 000 მეტრზე გაათენეს და მეორე დღეს დაიწყო იალბუზის იერიში. ეს წარმოუდგენლად ემოციური შეგრძნება იყო, რასაც ვერანაირი მონათხრობით, უხვისიტყვაობით, უესტიკულაციით, ემოციით ვერ გადმოსცემ სრულყოფილად. თავად უნდა გამოსცად...

იალბუზიდან რომ ჩამოვიდნენ მისი დაბადების დღე დაემთხვა, 33 წლის ხდებოდა. ამის აღნიშვნის გარეშე როგორ შეიძლებოდა. 33 შამპანიური მოატანინა. იქვე თურმე მაშინ ჯერ ყველასათვის უცნობი ალა პუგაჩოვა იმყოფებოდა, წარმოუდგენლად ლამაზი, საოცრად ხიბლიანი ახალგაზრდა ქალი. ჰოდა, ქართველები რისი ქართველები იყვნენ, თავიანთი ლხენა ყველასათვის საოცარ გარემოში არ ჩაეტარებინათ. ილხინეს და იქეიფეს და მათ შემყურე ალამაც მოინდომა, იმღერა და რა იმღერა... ამის შესახებ სრულყოფილი აღწერაც კი შეუძლებელია, თუ თვით არ იყავი დამსწრე, რასაც ხშირად ჰყვება ხოლმე თამაზ ვაშაძე:

– მაშინ იქ თურმე ფილმის გახმოვანება მიდიოდა, რასაც ალა პუგაჩოვა აკეთებდა. ერთ-ერთ მთავარ როლს ბორის წიფურია თამაშობდა. კინოგადამღები ჯგუფი მოვიპატიუეთ. ბენდი მღერის, არა უშავს, კარგად. მერე გავთამამდი. დავაპირე მემღერა. ალამ დამიქნია ხელი, „შტო ანი პაიუტ“, მკითხა. მერე მივიდა მათთან და რაღაც უჩურჩულა. იმღერა, მაგრამ რა იმღერა. მთელი დარბაზი გააგიუა.

განსაკუთრებით სახალისი მოგონებად დარჩა, იალბუზზე რადიო რომ ჩართეს და მისი ხრიგინით გალიზიანებულმა შორს სივრცეში რომ მოისროლა... ამაზე დიდხანს ხალისობდნენ მეგობრები. ყველა მოგზაურობის დროს ჰქონდათ რადიო, სიმღერების მოსმენით ხალისობდნენ, მაგრამ ხშირად ცუდი ხმა ჰქონდა ჩანაწერს. ჯემალ ციცვიძე ამას მთებს აბრალებდა.

– აი, ხომ ხედავ იმ მთას, მაგის ბრალია, ეგ უშლის ხელს და ამიტომ უღრიალებსო. – ჰოდა, იალბუზზე, ევროპის ყვე-

ლაზე მაღალ მწვერვალზეც რომ იგივე განმეორდა, თამაზმა, აქაც ეფარება რამე, აქაც მთა ეფარებაო, აბა, სადაა აქ მთაო? მოკიდა ხელი და მოისროლა რადიო.

განსაკუთრებული გულისტყივილით თამაზ ვაშაძე ლევან გოთუას გარდაცვალებას იხსენებს. ის ინსულტის დიაგნოზით 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. დიდუბის პანთეონში უნდოდათ მისი დაკრძალვა, მაგრამ მაშინდელი მთავრობის, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის გადაწყვეტილებით ვერ გამონახეს სათანადო ადგილი მის დასაკრძალად. თითქოს რაღაც საკანალიზაციო მილის გადატანის შემდეგ თუ მოხერხდებოდა მხოლოდ ადგილის გამონახვა, აშკარად არ უნდოდათ ლევან გოთუას დიდუბის პანთეონში დაკრძალვა. ამის გაგონება და საპროტესტო რეაქცია ერთი იყო. ამიტომ გადაწყდა ლევან გოთუას არმაზში დაკრძალვა. იმ ადგილას ლევანის ოჯახს პატარა ნაკვეთი და სახლი ჰქონდა, რომელიც შემდეგ, რატომღაც ვახტანგ რჩეულიშვილის ოჯახმა შეიძინა, სადაც ფერენცებელური სასახლე ააშენეს. ლევან გოთუას სახლმუზეუმიც ამ ფაქტს შეეწირა. ამიტომ მანამდე იგი გადაასვენეს მცხეთის დედათა მონასტერში. თამაზ ვაშაძე ასევე განსაკუთრებული გულისტყივილით წუხს იმაზე, რომ ლევან გოთუას სახელი დღემდე არ არის სათანადოდ დაფასებული.

ერთ დღესაც, როდესაც თამაზ ვაშაძე ბუკასთან მივიდა, შუახნის უცნობი ადამიანი დახვდა. როდესაც შევიდა, მათ საუბარი შეწყვიტეს. ნაკაიძემ შემოსწრებული გააცნო სტუმარს.

– ბატონო აკაკი, გაიცანით ჩემი ძმისშვილი, თამაზ ვაშაძე. შეგიძლიათ თავისუფლად ისაუბროთ...

უცნობი მამაკაცი აკაკი მგელაძე იყო, იმ დროისთვის ცნობილი პარტიული მუშაკი, ქარელის მეურნეობის დირექტორი. ეტყობოდა, საუბარი ახალი დაწყებული ჰქონდათ და შესაბამისად გააგრძელა მოყოლა. როგორც აღმოჩნდა, ის იმ პერიოდს

იხსენებდა, როცა ცეკას პირველი მდივანი იყო და სტალინის გარდაცვალების შესახებ შეიტყო.

– ჰოდა, მაგას მოგახსენებდით, ბატონო ბუკა, რომ შოკში ჩავვარდი. სტალინი გარდაიცვალა. რა უნდა მექნა. სასწრაფოდ გავემგზავრე ოჯონიკიძეში და იქიდან გავფრინდი მოსკოვში. ვისთან მივიღოდი, წავედი კრემლში და მივეღი ბერიასთან. პოსკრებიშევს, მის მდივანს ვუთხარი, რომ ჩამოვედი ბერიას საანახავად-თქო. გავიდა ათი წუთი, ნახევარი საათი, ერთი საათი, ორი... შედიან, გამოდიან... ამას მოხსენებული აქვს, რომ მე ჩამოვედი, შენც არ მომიკვდე... ბოლოს პოსკრებიშევი შევიდა, გამოვიდა და მიმითითა, შედიო. შევედი. ძალიან დიდი კაბინეტი იყო. ბერია ოთახის ბოლოში, მაგიდის თავში იჯდა. პენსნე ეკეთა და რაღაცას კითხულობდა. ყურადღება ნულია, ზედაც არ მიყურებს. გადავდგი ერთი-ორი ნაბიჯი, გავჩერდი. ახლოს ვერ მივდივარ, თავს არ სწევს. ბოლოს შემომხედა და მეკითხება, შენ აქ რა გინდაო? ხმას არ ვიღებ. სტალინი ჯერ დასაფლავებული არ არის. აა, მოგიკვდა მამა, შენი დედაო, შემომაგინა და გაეთრიე აქედან, არ დაგინახოო. ამის შემდეგ უკვე აღარაფერი მახსოვდა. გამოვედი და მთელი კრემლი ისე გავიარე, ყოველ წუთს ველოდი, ან ახლა მესვრიან, ან ახლა-თქო. გამოვყევი მატარებელს, მაგრამ მთელი გზა ვერც და-ვიძინე, ვერც მოვისვენე... ჩამოვედი და ველოდები, როდის მომაკითხავენ, როდის მომკლავენ ან დამაპატიმრებენ... მივედი სახლთან და რას ვხედავ, ჩემი სახლის ფანჯრიდან ყრიან ავე-ჯს, ტანსაცმელს, ნივთებს... გამომასახლეს... მაგრამ მაინც მადლობელი ვარ ბედის, რომ ცოცხალი გადავრჩი და ახლა ქარელში ვარ.

– კი, მაგრამ რას გერჩოდა, რა დააშავე? – გაოცებულმა პკითხა ბუკა ნაკაიძემ.

– მაგასაც გეტყვით... აფხაზეთის პირველ მდივნად რომ ვმუშაობდი, მუსერაში ჩამოვიდა სტალინი დასასვენებლად. რა თქმა უნდა, მთელი აფხაზეთი ფეხზე იდგა და მათ შორის მეც. ყოველ დილით ვხვდებოდი სტალინს. ერთხელაც, დილით რომ

მივედი, კიბეებზე ჩამოდიოდა და მითხრა, რა კარგი იქნებოდა, აქ რომ ლელვის ხე იყოსო. თურმე ძალიან ჰყვარებია ლელვი. მერე მე ვუთხარი, ბატონი იოსებ ბესარიონოვიჩ, აქ ლელვი არ ხარობს-მეთქი. მეორე დღეს რომ მივედი, რას ვხედავ, იქით-აქეთ უზარმაზარი ლელვის მსხმიარე ხეები იყო ჩარიგებული. გამოიარა სტალინმა და თქვა, რა კაცია ბერია, ნახე რა გააკე-თაო. ჰოდა, ეს ვერ მაპატია, შენ როგორ გაბედე, რომ თქვი, აქ ლელვი არ ხარობსო. აი, ეს იყო... მადლობელი ვარ ლმერთის, რომ ცოცხალი ვარ და ქარელში ვცხოვრობო.

ის კი არ გაახსენდა, მეგრელიზაციის საკითხის ავტორი თავად რომ იყო!

ბუკა ნაკაიძის ოჯახში სხვა ბევრი საინტერესო ამბავიც ხდებოდა და ბევრი მნიშვნელოვანი და ცნობილი ადამია-ნი სტუმრობდა ამ ოჯახს. მათ შორის გამორჩეულად აღ-სანიშნავია ჰაიდარ აბაშიძე, პუბლიცისტი, მწერალი, დიდი პატრიოტი, მემედ აბაშიძის ძმა. მას ჰყავდა ერთი შვილი, ქალბატონი გუგული. იგი ცნობილი ექიმის, ძაგული მაღ-ლაკელიძის მეუღლე იყო. ჰაიდარ აბაშიძეს ცოლად ჰყავდა ჭიათურელი წერეთლის ქალი და ჭიათურაში იმაღლებოდა. ვერაფრით დაუშვეს, რომ აჭარაში არ იქნებოდა და აჭარასა და თურქეთში ეძებდნენ. 4-5 წელი ასე იმაღლებოდა. მემედ აბაშიძე დიდი პატრიოტი იყო. მან დაუბრუნა აჭარა საქარ-თველოს. იგი დახვრიტეს.

ბუკა ნაკაიძის ოჯახში ასევე ხშირად სტუმრობდა კონს-ტანტინე გამსახურდია. იგი პირდაპირი კაცი იყო. მასთან ყო-ველი შეხვედრა დასამახსოვრებელი ემოციებით გამოირჩეოდა. თამაზ ვაშაძე ჯერ კიდევ ჭიათურიდან მეგობრობდა ზვიად გამსახურდიასთან და განსაკუთრებული ემოციით იხსენებს მის მონათხრობს მამაზე.

– ერთხელ სახლში გვიან დავბრუნდი. გარეთ ზის მამაჩემი, წინ ჩვენი ძალლი უდგას და მას ესაუბრება. არ იცის, მე თუ მესმის მისი საუბარი. ჰოდა, ეუბნება, შენ რა ბედნიერი ხარ, ერთ კაცს მაინც უყვარსარ და პატივს გცემს, კარგი ძალლი

ხარ... მე არავის ვუყვარვარ ამ ქვეყანაზეო. მივედი და ვკითხე, მამა, ამას რატომ ამბობ-თქო? ეჰ, შვილო, აბა, რა ვქნა, ასე არ არისო? მისდამი დიდი შური ჰქონდათ. სამწუხაროდ, მეტად მძიმე პერიოდი იყო.

თამაზ ვაშაძე ხშირად იგონებს გრიგოლ აბაშიძეს, მათი ოჯახები მეგობრობდნენ, ერთმანეთის გარეშე არცერთი სუფრა არ გაიშლებოდა. მისი ძმა და მიხეილ ვაშაძე ერთად სწავლობდნენ. ეს რეპრესირებული ოჯახი იყო. მის ძმას ცოლი ჰყავდა გერმანელი. ჯერ კიდევ ჭიათურიდან იდევნებოდა ეს ოჯახი. გრიგოლის მამა გადაასახლეს. თამაზ ვაშაძე განსაკუთრებით ემოციურად იხსენებს გრიგოლ აბაშიძის მონაცემს.

თურმე იმ პერიოდის ერთ-ერთ საკმაოდ პოპულარულ და მთავარ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი“. მთელი ოთხი გვერდი ამ პოემას დაეთმო. გრიგოლი კანდიდ ჩარკვიანს დაუბარებია. ერთგვარი გაურკვევლობით მისულა მაშინდელ საქართველოს პირველ პირთან. ბრწყინვალე ნაწარმოებია და რა გსურს, რომ შეგისრულოო, უკითხავს კანდიდ ჩარკვიანს. საკმაოდ დააბნია, თურმე, ამ შეკითხვამ და დაფიქრების გარეშე უპასუხა, მამა მყავს გადასახლებაში, ციმბირში და ჩემთვის ყველაზე მთავარი მისი განთავისუფლებაა. უპასუხოდ დაუტოვებია ეს სურვილი კანდიდ ჩარკვიანს, არც არაფერს დაპირებია. ასეთ გაურკვევლობაში დაბრუნდა თურმე სახლში და ხუთი დღის შემდეგ მამამისი გაათავისუფლეს და ოჯახს დაუბრუნეს. ამის შემდეგ გრიგოლ აბაშიძის მამა თურმე ხშირად სიამაყით იგონებდა მისი შვილის ამ დამსახურებას.

ასევე თურმე ხშირად დიდი პატივისცემით იგონებდა გრიგოლ აბაშიძე პაოლო იაშვილს. მან გამიხსნა გზა თბილისშიო, როდესაც თბილისში ატარებდა შეხვედრებს, მიბარებდა ახალგაზრდა პოეტს და ყველას წარუდგენდა ხოლმე ჩემს თავს, აი, მომავალი ბრწყინვალე პოეტიო.

განსაკუთრებით საგანგებოდ იგონებდა გრიგოლ აბაშიძე

იმ პერიოდს, როცა ის საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო და საკავშირო მწერალთა კავშირის ერთ-ერთი სხდომა მიჰყავდა. მაშინ ასეთი წესდება ყოფილა, რომ საკავშირო მწერალთა კავშირის სხდომა რომელიმე რესპუბლიკის დეპუტატს მიჰყავდა. ერთხელაც ეს ფუნქცია გრიგოლ აბაშიძეს შეხვდა. ამ დროს გვერდით მიუჯდა სუსლოვი და ეკითხება: რას ფიქრობთ ედუარდ შევარდნაძეზე. მაშინ შევარდნაძე არის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. გრიგოლმა, რა თქმა უნდა, დადებითად შეაფასა ედუარდი. კი, ჩვენც ასე ვფიქრობთ. ედუარდის და გრიგოლის ოჯახები მეგობრობდნენ, მათი მეუღლებიც და შვილებიც. ერთ თვეში ედუარდი პირველი მდივანი გახდა. აი, თურმე როგორ ხდებოდა იმ კომუნისტურ ეპოქაში დაწინაურება...

ალპინიზმით გატაცებამ გააცნო თამაზ ვაშაძეს ჩინგიზ აიტმატოვი. ამ საქმეში მას გრიგოლ აბაშიძე დაეხმარა.

ერთ დღეს სამხატვრო აკადემიაში გაიცნო არსენ აბრა-მიშვილი, რომელსაც თავისი სახელოსნო ჰქონდა აკადემიაში. მან შესთავაზა ალაზნის ბირკიანში, სადაც ქისტები არიან დასახლებული, ექსპედიაცია მოეწყოთ, რომელიც სამხატვრო აკადემიის და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებით იქნებოდა დაკომპლექტებული.

ენთუზიაზმით შეუდგნენ ამ საქმიანობას. ბევრი მოხალი-სე და ჯომარდობის მოყვარულიც შეუერთდა მათ ინიციატი-ვას. ალაზნიდან ბაიდარკებით ჩავიდნენ მინგიჩაურში. სამი დღე მოანდომეს ამ ერთობ საინტერესო, სახიფათო და მეტად ემოციურ მოგზაურობას. აქ გაიცნო ცნობილი მთამსვლელი, მხატვარი მიტო დანგაძე. მან ალპურ კლუბში შეხვედრა შეს-თავაზა. ასე გაიცნო და დაუახლოვდა ცნობილ მთამსვლელს შოთა მირიანაშვილს, რომელიც პამირის ექსპედიციას ხელ-მძღვანელობდა.

ერთ-ერთი ექსპედიციის დროს, როდესაც ბანაკი აიღამაში ჰქონდათ, გადაწყვიტეს შხარაზე ასვლა. თამაზ ვაშაძე ექსპედიციის ხელმძღვანელის მოდგილედ დანიშნეს, რაც მეტად პასუხსაგები მოვალეობა იყო, ყველანაირი საჭირო ინვენტარის, სანოვაგის თუ სხვა მრავალი საჭირო ნივთის მომარაგება, შეგროვება მას ევალებოდა. ექსპედიციის ხელმძღვანელი შოთა მირიანაშვილი სწორედ მას ავალებდა ამ მეტად რთულ საქმიანობას. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შოთა მირიანაშვილს დიდი ღვაწლი აქვს ქართული ალპინიზმის განვითარების საქმეში შეტანილი, თუმცა, ჩევნდა გასაკვირად, მისი ღვაწლი სათანადოდ არ არის დაფასებული.

ორი შხარაა, პატარა და მაღალი, სადაც გურამ თიკანაძე დაიღუპა. მაღალი, მიუვალი, ყინულით დაფარული მწვერვალის დაპყრობა იმდენად ემოციებით დატვირთული და წარმოუდგენლად რთულია, თუ არ გამოსცადე, ვერაფრით მიხვდები მთელ სიმძიმეს და აღფრთოვანების სიდიადეს, ხოლო როცა ყოველივე ამას გამოცდი, მოგეწონება, მერე ძნელია თავი დაანებო, შეძლებისდაგვარად არ შეეჭიდო ახალ-ახალი მწვერვალების ათვისებას.

შხარას დაპყრობის შემდეგ უკვე ექსპედიციის მოწყობა დაავალეს. ეს მეტად მნიშვნელოვანი ექსპედიცია იყო, ყირგიზეთში ტიანშანზე გამარჯვების პიკის დასალაშქრად. თამაზ ვაშაძე ყოველივე ამის მოსაწყობად და მოსაგვარებლად ყირგიზეთში გაგზავნეს. ექსპედიციის მოწყობა ადვილი არ იყო. ამას სჭირდებოდა ვერტმფრენები, სხვადასხვა საჭირო ნივთი, საჭმელ-სანოვაგე... ყოველივე ამას მაშინ საბჭოთა კავშირის სპორტუმიტეტი აფინანსებდა.

გრიგოლ აბაშიძეს წერილი დააწერინა ჩინგიზ აიტმატოვის სახელზე. მაშინ ჩინგიზ აიტმატოვი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, პატარა, მოკრძალებული კაბინეტი ჰქონდა. დიდი სიხარულით შეხვდა თამაზს, დიდ პატივს ვცემ გრიგოლ აბაშიძესო, ჩემი ძმა და მეგობარიაო. უცებ გადარეკა-გადმო-

რეკა, ყველაფერი მოაგვარა, მაგრამ ეს ექსპედიცია გადაიდო და პამირის ექსპედიცია დაიგეგმა. იმ პერიოდისთვის ტაჯი-კეთი არჩიეს. მაღალ დონეზე მოაწყო ყველაფერი, რატომაც მთამსვლელებმა ჯიგიტი შეარქვეს. პამირში რამდენიმე ექსპე-დიცია მოეწყო. ეს ხომ ივლისში ხდებოდა, მაშინ როდესაც მას შვებულების აღება შეეძლო, რათა მისი ძირითადი, სამშენებლო საქმიანობისთვის არ ეღალატა.

პამირის ექსპედიცია მეტად მნიშვნელოვანი იყო, 7 ათასიან მწვერვალზე ასვლა იმ დროისთვის არ იყო მარტივი. საკავშირო სპორტის კომიტეტი ალპინისტებს შორის გამარჯვებულს ირჩევდა და ჩემპიონად აცხადებდა. სწორედ ეს ექსპედიცია გახდა იმ წელს ჩემპიონი, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში სულაც არ უნდოდათ, რომ ქართველები ელიარებინათ გამარჯვებულად.

დუშანბეში იმ დროისათვის ცნობილი და პოპულარული მომლერალი ლილი ივანოვა იმყოფებოდა გასტროლებზე. კონცერტს ქართველი ბიჭებიც დაესწრნენ, მაგრამ განსაკუთრებით ალსანიშნავია მათი უჩვეულო გადაწყვეტილება, რომ გაემეორებინათ ფიროსმანის მიერ მსახიობის-თვის მირთმეული მილიონი ვარდის ყველასათვის ცნობილი ფაქტი. დუშანბეში ძალიან ბევრი ყვავილი იყიდებოდა და ძალიან იაფიც იყო. შეუკვეთეს ასეულობით ყვავილი და სცენაზე მიართვეს მომლერალს, რომელიც გააოცა ამ უჩვეულო პატივისცემამ. დარბაზში გამოაცხადა, ეთქვათ ვინ იყო ამ ყვავილების გამომგზავნი. ტაშისცემის და ოვაციების თანხლებით წამოდგნენ ქართველები და ყველას მონონება დაიმსახურეს.

ქართველი ბიჭები ვერტმფრენის პილოტს, იგორ ივანოვს დაუახლოვდნენ. ხშირად საუბრობდნენ, მასხრობდნენ და ერთობოდნენ, საქართველოზე უყვებოდნენ საინტერესო ამბებს. განსაკუთრებით ხშირად ჰყვებოდნენ იმას, რომ საქართველოში ძალიან ბევრი კალმახიაო. ივანოვს ამაზე რეაქცია არ ჰქონდა, რაც ბიჭებს უკვირდათ. ერთხელაც,

როდესაც ექსპედიცია გადაჰყავდათ სუგრანის მყინვარზე, თამაზს უთხრა, არ ჩახვიდეო და ვერტმფრენი სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა, ჯირგიტალის საპირისპირო მხარეს. ნახევარი საათის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო დაშვება უზარმაზარი, შემზარავი მდინარის ზემოთ, რომელიც დიდ ლოდებს მოაგორებდა. იქვე ახლოს ამ მდინარეს არაგვზე ოდნავ პატარა, ანკარა წყლით გამორჩეული მდინარე უერთდებოდა. სწორედ ამ შეერთების ადგილზე დასვა ვერტმფრენი ივანოვმა. ორივე პილოტი გადმოვიდა და მდინარეში ბადე ისროლეს. სულ მოკლე ხანში ორმა კაცმა ძლივს ამოსწია კალმახებით სავსე ბადე, რომელიც იქვე მდგარ პლასტმასის კასრში გადაყარეს. ბადის ორი სროლით 40 კილომდე კალმახი მოაგროვეს. მერე იმ მიმართულებით გაფრინდნენ, სადაც ექსპედიცია იყო დაბანაკებული. მიუახლოვდნენ თუ არა, მეორე პილოტმა კასრი გადააგდო და უამრავი ცოცხალი კალმახი ყინულზე გაიშალა. ასე დამთავრდა ქართველი ბიჭების სატრაბახო თემა კალმახზე. იგორი შემდეგ ხშირად უყვებოდა მათ, რომ ალპინიზმის ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ იგი მიდის ხოლმე იმ ადგილას და მთელი ზამთრის სამყოფ კალმახს აგროვებს ოჯახისთვის. იგორი ასევე არხარზე ნადირობის შესახებ უამბობდა ხოლმე ბიჭებს, რომელიც ტაჯიკეთში ძალიან ბევრია. გარდა ამისა ტაჯიკეთი ხომ უმდიდრესი ქვეყანაა.

ექსპედიციის ხელმძღვანელი შოთა მირიანაშვილი იყო და მან გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე ტაჯიკეთში უნდა ჩასულიყვნენ. ყველაფერი მაღალ დონეზე მოაწყო. დუშანბეში ჩავიდნენ, იქ ძალიან ბევრს იცნობდა. ვერტმფრენების გარეშე ხომ ექსპედიციას ვერ მოაწყობ, ისეთი ნიუანსებია, რომელთა გარეშეც ვერ შეძლებ მოგვარებას. იქ თამაზ ვაშაძემ გაიცნო ემგეუს, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მთამსვლელი ალექსანდრე ხოხლოვი, რომელიც ასევე საკავშირო აკადემიის ვიცეპრეზიდენტი იყო.

ისინი დამეგობრდნენ. გული გულს იცნობსო, მათ ერთ-ნაირად უყვარდათ მთათა სივრცეების დაპყრობა, სირთულეების დაძლევით გამოწვეული სიხარული და მწვერვალებზე გამარჯვებით მიღწეული საკუთარი ძალების რწმენის ერთმანეთთან გაზიარებით ბევრ საერთოს ნახულობდნენ, რაც მათ ცხოვრებას უფრო მეტ სიხალისეს მატებდა. თამაზის უფროსი ბიჭი, ზვიადი მათემატიკით იყო გატაცებული და ხოხლოვმა შესთავაზა, ემგეუში ჩაებარებინა, ყველაფერს მოაგვარებდა და მოსკოვშიც მის სახლში იცხოვრებდა, საერთო საცხოვრებელში არ გავუშვებო. რა თქმა უნდა, ეს იმ დროისათვის მეტად საინტერესო წინადადება იყო, რაზეც უარს ვერ იტყოდი, მაგრამ...

ხოხლოვის ექსპედიცია კომუნიზმის პიკზე ავიდა. იქ მათ ურთულესი დანადგარი მიჰქონდათ, რომელიც მთელ ატლანტიკის და წყნარ ოკეანეში საბჭოთა გემების გადაადგილებას აკონტროლებდა. ხუთი დღის შემდეგ რადიოგრამა მოვიდა, ხოხლოვი ცუდად გახდაო და სასწრაფოდ ვერტმფრენს ითხოვდნენ. 6 400 მეტრზე აფრენა მეტად სახიფათო, საშიში და სარისკო იყო. ვერტმფრენმა უარი თქვა აფრენაზე. ჩამოფრინდნენ ჯირგიტალში. ეს საკმაოდ მაღალი დაბაა, დაახლოებით მესტიის მსგავსი და იქ მისცეს განკარგულება მფრინავ ივანოვს, უთხრეს, შენ უნდა წახვიდეო. უნდა წავიდეს და ხოხლოვი წამოიყვანოს. ისეთი ამბავი ატყდა, ამის აღწერა შეუძლებელია. მთელი ცეკა, კაგებე, ექიმები ჯირგიტალში ჩამოვიდნენ. ხოხლოვი დიდი ავტორიტეტის კაცია, ატომური ენერგიის წარმოების საქმეებშია ჩართული. გასული საუკუნის დაახლოებით 1975-76 წელია... ფიქრობენ, მსჯელობენ, ვერ გადაუწყვეტიათ.

ივანოვი ბოლთას სცემს. ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია, უთხრა, მე წავალო. სიმსუბუქისთვის ვერტმფრენს კარებები მოხსნა, მეორე პილოტსაც უთხრა, რომ ის უნდა დარჩენილიყო, მარტო წავიდოდა. მერე თამაზთან მივიდა და სთხოვა, შენი სვიტრი გაიხადე და მომეციო. ეს არ გაკვირვებიათ, რადგან ყველა თვლიდა, რომ თამაზი იღბლიანი იყო. ჩაიცვა თამაზის სვიტრი და გაფრინდა მარტო. მივიდა. კი არ დაჯდა, სამ მეტრზე დააყენა

ვერტმფრენი. აწიეს ხოხლოვი და ჩასვეს ვერტმფრენში. ასე ჩამო-ფრინდა ჯირდიტალში. ფილტვების ანთება ჰქონდა. ცუდად იყო. თამაზმა რომ ინახულა, დაიწუნუნა, თამაზ, მგონი ვკვდებიო.

ყველა მისი გადარჩენისთვის იბრძოდა. მძიმე მდგომა-რეობა ჰქონდა. ექსპედიციის დაგეგმვის დროს სხვა უამრავ საჭირო და აუცილებელ ნივთებთან ერთად წამლებიც მიჰქონდათ და სწორედ ფილტვების ანთების საწინააღმდეგოდ იმ დროსათვის მეტად საჭირო და ძნელად საშოვნი წამალი, ავრომიცინი ჰქონდა თამაზს. შესთავაზა ექიმებს, მაგრამ მათ შეიცხადეს, რას ამბობ, არავითარ შემთხვევაშიო. სამ წუთში ვერტმფრენით დუშანბეში ჩაიყვანეს, მერე კი – მოსკოვში. ეშინოდათ, ვერ გარისკეს. 6 400 მეტრიდან, ამ სიმაღლიდან, 11 საათის განმავლობაში, უცებ, ჩაიყვანეს მოსკოვში, მაგრამ ვერ გადაარჩინეს, გარდაიცვალა.

ჩამოვიდა მოსკოვის კაგბე. ყველა დაკითხეს და ერთი-ერთი შეხვედრისას თამაზ ვაშაძეს უთხრეს, შენთვის რომ დაე-ჯერებინათ, ცოცხალი იქნებოდათ. ძალიან განიცადა ამ კაცის სიკვდილი.

ამ დროს მოვიდა ცნობა კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ, რასაც დაემთხვა ტაჯიკეთში, პამირზე ექსპედიციის ასვლა. იქ ერთ-ერთ, 6 800 მეტრიან მწვერვალს, რომელსაც თითქოს დიდი მწერლის ცხვირის ფორმა აქვს, ექსპედიციის გადაწყვეტილებით კონსტანტინე გამსახურდიას სახელი უწოდეს.

და აქვე „ლიტერატურული საქართველოს“ 1975 წლის 3 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი თამაზ ვაშაძის წერილი მინდა მკითხველს გავუზიარო, რადგან ერთია ჩემი სიტყვებით იმის გადმოცემა, რასაც საუბარში გვიზიარებს ბატონი თამაზი, მაგრამ ალბათ თავად მისი სიტყვებით გადმოცემული ემოცია, რომელიც მან განიცადა იქ, პამირის ექსპედიციის პირობებში, ყველაზე მეტად შთამბეჭდავი, საინტერესო, მრავალი ინფორმაციის მატარებელი და ერთობ მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი მკითხველისთვის.

მწვერვალი „პონსტანტინე გამსახურდია“

„შუა აზის უდაბნო ზედ ტფილისის კარებამდის მოდის“. უნებურად მომაგონდა კონსტანტინე გამსახურდიას ეს სი-ტყვები, როცა ჩვენმა თვითმფრინავმა თბილის ირგვლივ შემოუარა, დაფლეთილი ღრუბლებისკენ აიჭრა და ტაშკენტის მიმართულებით აიღო გეზი. შუა ივლისი იდგა, მაგრამ „დილიდანვე მოღუშულიყო, როგორც ეს უნაპირო ტრამალი, ისე შორეული სერების მკრთალი მონახაზები, თვალმილული მთების კონუსები რუხი წამლით ნაღები მოსჩანან თვალსაწიერზე“. ბატონი კონსტანტინეს ეს მოთხრობა, სადაც თბილისის სანახებია აღწერილი, მრავალჯერ წამიკითხავს, მაგრამ არასოდეს განმიცდია ისე ცხადად და ღრმად, როგორც იმ დილით, როცა თვითმფრინავის სარკმლიდან გავცექეროდი მორუხო სივრცეს, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდიამ „აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტის მაცნე“ უწოდა. თვითმფრინავი სულ უფრო მაღლა იწევდა, დახლეჩილი ღრუბლები თეთრ ტყეს დაემსგავსნენ, მე კი კონსტანტინე გამსახურდიას მრავალჭირნახული სახე მეღგა თვალწინ და დიდი გულისტკივილი მანუხებდა, რადგან სწორედ იმ დილით, როცა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები პამირის მთებში გასამგზავრებლად თვითმფრინავში ვსხდებოდით, შევიტყვეთ კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების ამბავი. ის ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და ამ მხრივ, მართლაც, ბეღდირად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ მაინც ძალზე გვიჭირდა შეგუება, რომ აღარ ფეთქავდა მისი გული, აუარება ვნებების და უზარმაზარი სითბოს დამტევი. მისი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, ისტორიისა და წარსულისადმი ყოველთვის მისაბაძი იყო ჩემი თაობის ადამიანებისათვის, რომელნიც კონსტანტინე გამსახურდიას რომანებზე და მოთხრობებზე აღვიზარდეთ. ამიტომაც იყო, რომ თითოეულ ჩვენგანს დიდი სინაზული მიგვყვებოდა თან, როცა მშობლიურ ქალაქს ვტოვებდით.

ჩვენი ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც სახელმოხვეჭილი ნაცადი მთამსვლელები: შოთა მირიანაშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), გიორგი აბაშიძე, მიტო დანგაძე, ოთარ ხაზარაძე, ასევე პერსპექტიული, მზარდი ახალგაზრდა ალპინისტები: შაქრო გაბისიანი, სერგო ბარლიანი, თემურ ახალგაცი, დათო ბაიდაური, ტარიელ გურგენიძე, ვაჟა ჩაგელიშვილი. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დავალებით ჩვენთან ერთად მოემგზავრებოდნენ გურამ გეგეშიძე და კინოპერატორი გენო ჩირაძე, რათა ფირზე აღებეჭდათ ექსპედიციის მუშაობის ცალკეული მომენტები. ექსპედიციას უაღრესად საბასუხისმგებლო ამოცანა ჰქონდა დასახული: ჩვენი მთამსვლელების გუნდს, რომელიც ალპინიზმის საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობს, უნდა განეხორციელებინა სიმაღლოვანი ასვლა ცენტრალური პამირის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე – მოსკოვის პიკზე, ახალი, მანამდე დაუძლეველი გზით, სამხრეთის ურთულესი ქედით. ეს იყო ქართველი მთამსვლელების მეორე ექსპედიცია მოსკოვის პიკზე. პირველი ექსპედიცია, რომელიც 1956 წელს ჩატარდა დოცენტ ოთარ გიგინეიშვილისა და ალექსი ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. მოიერიშე ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს უმაღლესი მთამსვლელები: დიმიტრი ობოლაძე (ჯგუფის უფროსი), ჯუმბერ მექმარიაშვილი, თემურ კუხიანიძე, რეზო ხაზარაძე, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, მოსკოვის პიკი დასავლეთის ქედით დაიპყრო. ეს იყო პირველი ასვლა ამ მწვერვალზე, რომლის დაძლევა საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ ურთულეს ამოცანად ითვლებოდა.

23 ივლისს ჩვენი ექსპედიცია დუშანბედან დაბა ჯირგიტალისაკენ გაფრინდა. თვითმფრინავიდან მოჩანდა მზის ოქროს-ფერი სხივების ქვეშ მბზინავი უტყვეო გორაკები, თითქოს ზედ ყვითელი ხავერდი გადაუფენიათო, მოჩანდა ალვის ხეებით გარშემორტყმული კოხტა ტაჯიკური სოფლები და ბილიკების წვრილი ხაზები. შემდეგ თვითმფრინავი განიერ ხეობაში შევიდა, წრე მოხაზა და ჯირგიტალის აეროდრომზე დაჯდა.

ჯირგიტალი ვაკე ადგილია, მოყავისფრო მთებს შორის მოქცეული, რომელთა მიღმა „მალაქიტისფერ ცის ფონზე“, – ბატონი კონსტანტინეს შედარება რომ ვიხმაროთ, – მოსჩანს მარად თოვლიანი მწვერვალების თეთრი გუმბათები. კავკასიის მთიანეთში ასეთ ვრცელ ვაკეს ვერსად ნახავთ, ვინაიდან პამირისა და კავკასიონის მასშტაბები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. იქ არა მარტო მთებია უფრო მაღალი და ხეობები – განიერი, არამედ ტაფობები – ვრცელი და მდინარეები – მძლავრი.

და იმ ღამეს, როცა ალვების ხეივანში, კოცონის პირას ვისხედით, დაიბადა აზრი, რომ პამირის მთებში ჩასვლისთანავე, უპირველეს ყოვლისა, საგანგებოდ შეგვერჩია ჯერ კიდევ დაუპყრობელი 6000 მეტრიანი მწვერვალი, დაგვეპყრო იგი და კონსტანტინე გამსახურდიას სახელი გვეწოდებინა.

მეორე დღეს ვერტმფრენმა ჩვენი ექსპედიცია საღრანის ხეობაში გადაიყვანა. გახელებული მდინარეების პირას, 2800 მეტრის სიმაღლეზე, ულამაზეს ჭალაში მოვაწყვეთ ბანაკი. აქ მთამსვლელები ისვენებდნენ და მომავალი იერიშისათვის ემზადებოდნენ. ჩვენ მოვახდინეთ რამდენიმე სავარჯიშო და სადაზვერვო გასვლა საღრანის ყინვარზე. ავედით 5000 მეტრ სიმაღლის უღელტეხილზე, საიდანაც დავინახეთ საღრანის ყინვარის სათავეში გოროზად აღმართული გოლიათი მწვერვალი, რომელსაც სილამაზითა და ალპინისტური სირთულის თვალსაზრისით ძნელად მოეპოვებოდა ბადალი ამ მიღამოებში. ეს უსახელო, ჯერ დაუპყრობელი მწვერვალი იმდენად მოგვეწონა, რომ გადავწყვიტეთ კონსტანტინე გამსახურდიას სახელი სწორედ მისთვის გვეწოდებინა. და აი, დადგა მწვერვალზე გალაშქრების უამი.

...უკან დარჩა ოთხდღიანი მომქანცველი გზა მწვანე ბანაკიდან ნაპრალების ლაპირინთებით დასერილი გრანდიოზული საღრანის ყინვარის სათავემდე. საიერიშო ბანაკი 4400 მეტრის სიმაღლეზე მოეწყო უზარმაზარი ყინულვარდნილის თავზე. ბუმბერაზ მწვერვალებს შორის მოქცეულ თოვლიან პლატოზე

ჩვენმა მოიერიში ჯგუფმა მიტო დანგაძის, შოთა მირიანაშვილის, გიორგი აბაშიძის, ოთარ ხაზარაძის, შაქრო გაბისიანის და სერგო ბარლიანის შემადგენლობით, შემდგომში ამავე ადგილიდან მიიტანა იერიში მოსკოვის პიკის დაუძლეველ, ურთულეს თხემზე, რომელმაც თორმეტ დღელამეს გასტანა და ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

მწვერვალის იერიში დაიწყო, ბანაკში დარჩენილი გათენებიდან დალამებამდე ვადევნებდით თვალს მთამსვლელებისა და უცნობი მწვერვალის ორთაბრძოლას. ამ ადგილიდან მკაფიოდ მოჩანს მწვერვალის კლდოვანი ქარაფები და ლავგარდანებით დატვირთული, სატევარივით ალესილი ყინულოვანი ქედი. მთამსვლელები შეუპოვრად მიიწევდნენ წინ, მწვერვალის შავ-თეთრ ფონზე დურბინდით ვხედავდით ნაირფერ საიერიშო ტანსაცმლით შემოსილ ალპინისტთა ფიგურებს. მათ დაკილული კლდოვანი თხემი გადალახეს და ყინულის მოლიპულ, ციცაბო ფერდზე გავიდნენ. გზა ძალზე სახიფათო და რთული იყო, ყოველი მეტრის დაძლევა მოიერიშეთაგან დიდ მთამსვლელურ გამოცდილებას და ოსტატობას მოითხოვდა. იოტისოდენა შეცდომასაც არ გაპატიებს მთა.

ყინულის ფერდი დაძლეულია. სიმაღლე 6000 მეტრს ას-ცილდა. მწვერვალამდეც აღარაა დარჩენილი დიდი მანძილი. წინ მხოლოდ ერთი კლდოვანი ბასტიონია, რომელიც უშუალოდ მწვერვალს ებჯინება, მაგრამ ეს შვეული კლდები მეტისმეტად ძნელად დასაძლევი ჩანდა.

დილიდანვე არ უჩანდა ამინდს პირი. ნაშუადლევს სამხრე-თიდან საავდრო ღრუბლები დაიძრა და მწვერვალი ჯანლით და ნისლით დაბურა. მღელვარებამ შეგვიპყრო, რა ხდება იქ, ზემოთ, უამინდობაში, მწვერვალის უკანასკნელ ურთულეს მონაკვეთზე?..

მოსალამოვდა. თოვა დაიწყო. კარავს შევაფარე თავი და გავიფიქრე, ალბათ, ჩვენმა ბიჭებმაც დადგეს კარავი და ხვალისთვის გადადეს მწვერვალიდან ძირს დაშვება...

ძილ-ღვიძილში ვიყავი, როცა გარედან შეძახილები შემო-

მესმა. სწრაფად გამოვძვერი კარვიდან. თოვლიან პლატოზე ჩვენსკენ მომავალი სილუეტები დავინახე. შესაგებებლად გავეშურე. როცა ერთმანეთს მივუახლოვდით, მიტო დანგაძემ, გიორგი აბაშიძემ და შოთა მირიანაშვილმა წერაყინები ზე აღმართეს. ეს გამარჯვების ნიშანი იყო. ამიერიდან პამირის ერთ-ერთ ბუმბერაზ მწვერვალს ქართული პროზის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას სახელი ეწოდება.

ეს მოხდა აგვისტოს თორმეტს.

თამაზ ვაშაძე
პამირის სიმაღლოვანი ექსპედიციის უფროსის მოადგილე

დაუფასდა თავდაუზოგავი შრომა, საქმის ერთგულება, შრომისმოყვარეობა. სულ მაღე ბინა მისცეს დილომში. ბედნიერი იყო. როდესაც ცოლს დაურეკა, ბინა მივიღეო, არ დაუჯერა, მოეშვი ამ ხუმრობასო. მაშინ თამაზ ვაშაძის მეუღლე, ნაილი არველაძე სტუდენტი იყო. გაიხარა ოჯახმა. მერე ჭიათურაში სახლი გაყიდეს. მიხეილ ვაშაძე მარჯანიშვილის თეატრში გადმოვიდა.

1967 წელს საზეიმოდ გაიხსნა პირველი მეტროსადგურები – დიდუბე, ნაძალადევი, სადგურის მოედანი, მარჯანიშვილი, ლენინის მოედანი და ავლაბარი. მართლაც საზეიმო განწყობა სუფევდა მთელს თბილისში. პატარა საქმე ხომ არ იყო, მიწის ქვეშ, რამდენიმე მეტრით დაბლა მოძრავი მატარებლები უცებ მიგარბენინებდნენ იქ, სადაც მანამდე მისვლას თითქმის ბევრად მეტი, ორჯერ და სამჯერ მეტი დრო სჭირდებოდა. დღემდე ახსოვთ თბილისელებს პირველი მგზავრობის ხიბლი და მიწისქვეშ მგზავრობის უჩვეულო ემოცია და ამ საზეიმო განწყობას თამაზ ვაშაძის ოჯახის დიდი სიხარულიც შეუერთდა, მათი მეორე ვაჟი, ლაშა დაიბადა.

არ იყო ადვილი პირველი მეტროს მშენებლობა, უამრავი სირთულის გადალახვა უხდებოდათ ქართველ მშენებლებს. ამ

დროს თამაზ ვაშაძე მოსკოვიდან ჩამოსულ მეტრომშენებელ ლეო ესაკიასთან ერთად დიდ ექსპერიმენტებს ატარებდა, რა-დგან ძველი კომუნიკაციების გამო ბევრგან წყალი ჩამოდიოდა, რუსთაველზე, სადგურის მოედანზე ვერ აჩერებდნენ წყალს, სანამ კომუნიკაციები არ გამოცვალეს. უმძიმესი სამუშაოები მიმდინარეობდა გვირაბში, თითქმის დაწოლილ მდგომარეობაში 10 საათი დაუღალავად შრომობდნენ.

ბუკა ნაკაიძის ოჯახში გაიცნო თამაზ ვაშაძემ შალვა ნუ-ცუბიძე. წლების შემდეგ, როდესაც გლდანში კორპუსების მშენებლობა დაიწყო, ბუკა ნაკაიძემ სახლში დაიბარა და სთხოვა, შალვას შენი ნახვა უნდა და აუცილებლად ნახეო. მასთან სტუმრობისას გაარკვია, რომ ცნობილ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს გლდანში მიწის ნაკვეთი ჰქონია და დახმარება სთხოვა. რა თქმა უნდა, ყველანაირად ეხმარებოდა და პატივს სცემდა მხცოვან მეცნიერს, რომელსაც არც იმ საზარელი წლების სასტიკი შეხება დაკლებია და გადასახლებაშიც იყო, თუმცა საოცარი იუმორის გრძნობა მუდამ გამოარჩევდა. ერთ-ერთი შეხვედრისას თამაზს უსაყვედურა, რატომ ხარ გაუპარსავი, რა, კინოში ხომ არ გიღებენო. მოერიდა, სამსახური მოიმიზება... ამაზე გაღიმებულმა შალვა ნუცუბიძემ საოცარი ამბავი უამბო.

— იცი, რა გამახსენდა, შუა აზიაში რომ ვიყავი გადასახლებული „კურორტზე“, საპარიკმახეროში წვერის გასაპარსად დავდიოდი. ერთხელაც მივედი, დავჯექი და ვუყურებ, დაიწყო საქაფავში აქაფება. იქ წყალი არ მოდიოდა და რას ვხედავ, საქაფავში არ ჩაფიცროთხა. აგრძელებს აქაფებას, ვითომც აქ არაფერი. რას შვრები, ამას რას აკეთებ-მეთქი, ვკითხე. ცოტა შეიშმუშნა, მაგრამ არ დაიბნა. ამას შენი პატივისცემით ვაკეთებ, თორემ ზოგს ლოყაზე ვაფურთხებო.

ბევრი იხალისა ამ ამბის გახსენებით. მისი 80 წლის იუბილე ტარდებოდა რუსთაველის თეატრში. თამაზ ვაშაძეც დაპატიჟა, მოსაწვევი გადასცა, მაგრამ მან ვერაფრით მოახერხა სამუშაოდან ცოტა ადრე წასვლა და პირდაპირ სამუშაო

ტანსაცმლით შეაბიჯა თეატრში. დილის შვიდი საათიდან 10 საათამდე მუშაობდა. პატივცემული მეცნიერის დაპატიუებაზე უარის თქმა და მის საიუბილეო საღამოზე არმისკლა კი არაფრით შეეძლო. გოგი ხარაბაძე შეხვდა თეატრის ფოიეში, თამაზ, რას გავხარო.

– მე შალვა ნუცუბიძის იუბილეზე მეორედ ვერ მოვალ და ტანსაცმელს კი გამოვიცვლიო.

საოცარი საღამო ჩატარდა, რასაც მუდმივად იგონებს თამაზ ვაშაძე, განსაკუთრებით კი კონსტანტინე გამსახურდიას გამოსვლას, სადაც მან ცეცხლის ალში გახვია საბჭოთა ხელისუფლება. პირდაპირი ტრანსლიაცია იყო და ტელევიზია გამორთეს.

სანიმუშო შრომისთვის თამაზ ვაშაძე 1964 წელს საფრანგეთში სამოგზაუროდ დააჯილდოვეს. ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო, რადგან კაპიტალისტურ ქვეყანაში მოგზაურობა კომუნისტების ზეობის ხანაში მეტად რთული იყო, თანაც კარგად ცნობილი იყო, რომ საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სათვისტომოში თამაზ ვაშაძის ბიძა, პავლე ვაშაძე ცხოვრობდა, რომელიც ცნობილი მენშევიკი და კომუნისტების დაუძინებელი მტერი იყო. ნერვიულობდა, რადგან ამის გამო, ერთხელ უკვე, იტალიაში გამგზავრების წინ თვითმფრინავიდან ჩამოსვეს. დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოდან მხოლოდ თამაზ ვაშაძე იყო წარდგენილი, დანარჩენები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკას წარმოადგენდნენ. თვითმფრინავი აფრინდა თუ არა, ნერვიულობაც დამთავრდა, მოსკოვიდან დაურეკა თამაზმა ბიძას, შეატყობინა, ჩამოვდივარო. წასვლამდე მამას ესაუბრა მოსალოდნელ გამგზავრებაზე და წუხილი გამოთქვა, როგორ უნდა ვიცნო ბიძაჩემი, რომელიც ნანახი არ მყავსო. მამამ დაამშვიდა, იცნობ, წარმოუდგენელია არ იცნო, რადგან მე მგავსო. მართლაც ასე აღმოჩნდა, უპრობლემოდ იცნეს ერთ-

მანეთი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი ჯგუფი დაპატიჟა რესტორან „იტალიაში“, სადაც მას ყველა იცნობდა, ყველა პატივს მიაგებდა, რაც მისი ძმისშვილისთვის მეტად საამაყო იყო.

ეს დრო დაემთხვა საქართველოდან ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის, სუხიშვილების გასტროლებს, რომელსაც თამაზ ვაშაძე დაესწრო და აღფრთოვანებული იყო იმ დიდი წარმატებით, რაც ქართველ მოცეკვავეებს ჰქონდათ.

ჭიათურაში დაბადებული, თბილისში მოღვაწე, შრომის-მოყვარე და ენთუზიაზმით გამორჩეული ახალგაზრდა თამაზ ვაშაძისთვის საოცარი ემოცია იყო პარიზის ხილვა, განსაკუთრებით ლუვრით მოიხიბლა და ახლაც ხშირად ჰყება, რომ ლუვრი კარგად რომ დაათვალიერო, ამას წლები უნდაო.

ეს შეხვედრა წლების შემდეგ ძმების შეხვედრის განახლების წინაპირობა აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების დროს არ იყო ადვილი საზღვარგარეთ, განსაკუთრებით კაპიტალისტურ ქვეყანაში წასვლა, მით უმეტეს თუ იქ შენი ნათესავი ან ახლობელი ცხოვრობდა. ეს ინფორმაცია კაგებეს როგორ გამოეპარებოდა. მაგრამ 60-70-იანი წლები უკვე ოდნავ შერბილებული იყო მკაცრი პოლიტიკა, რამაც განაპირობა, რომ მიხეილ ვაშაძე ორჯერ იყო საფრანგეთში ძმასთან ჩასული. ბოლოს 1988 წელს ჩავიდა. სულ ახალი დაბრუნებული იყო, როცა შეატყობინეს, რომ პავლე ვაშაძე გარდაიცვალა.

მამა-შვილმა ვაშაძეებმა მოახერხეს პარიზში ჩასვლა, რათა პატივი მიეგოთ სამშობლოს პატრიოტი მამულიშვილისთვის. პავლე ვაშაძე 68 წელი ცხოვრობდა საფრანგეთში. ამ ხნის მანძილზე მას არ მიუღია მოქალაქეობა, დევნილის სტატუსით ცხოვრობდა. მისი ოთახი, სულ რაღაც 8-9 კვადრატული მეტრის, მოკრძალებით და თავმდაბლობით გამოირჩეოდა, ეს სწორედ ის ოთახი იყო, სადაც მანამდე ექვთიმე თაყაიშვილი ცხოვრობდა, კარზე კი საქართველოს დროშა ჰქონდა გაკრული. მას ლევილში დიდ პატივს სცემდნენ და წმინდა პავლეს

ეძახდნენ. იგი ლევილში დაკრძალეს, პატარა სუფრაც გააწყვეს სულის მოსახსენიებლად, რომელსაც სათვისტომოს თავმჯდო- მარე თამაზ ნასყიდაშვილი უძღვებოდა. ორმოცი კი თბილისში გადაუხადეს, სიონის ტაძარში უამრავი ხალხი ესწრებოდა, ახლობლები, ნათესავები, გრიგოლ აბაშიძე, ზურაბ ანჯაფა- რიძე, გურამ შარაძე... გურამ შარაძე თავის წიგნში ახსენებს პავლე ვაშაძეს.

1989 წლის ოქტომბრიდან არ ვყოფილვარ ლევილში. ახლა 1991 წლის ზაფხულია. თითქოს არც ისე დიდი დრო არის გასული, მაგრამ მას შემდეგ აქ მაინც ბევრი რამ შეცვლილა. პირველი, რაც გალავნის კარიბჭეში შესვლისას უმაღლ თვალში მეცა, ის იყო, რომ მამულის შუაგულ ეზოში ადრე მნიჭრივად მდგარი საუკუნოვანი ექვსი უზარმაზარი ცაცხვის ხე ახლახან გრიგალს მოეგლიჯა და ეზო გულსაკლავად მოეტიტვლებინა. მაგრამ ყველაზე დიდი დანაკლისი მაინც ის გახლავთ, რომ ამ ორი წლის მანძილზე ლევილში ზედიზედ დავკარგეთ შესანიშ- ნავი ქართველი პატრიოტები....

ლევილის ეზოში ვეღარ ვხედავთ მუდამ თავისი განუყრე- ლი ხელჯოხით და თეთრი ფინიათი მოსეირნე პავლე ვაშაძეს - 1924 წლის სახალხო ამბოხის მონაწილეს, ენაკვიმატს, მა- გრამ გულით უსაზღვროდ კეთილ ნამდვილ იმერელს, ჩვენი საყვარელი სახალხო მსახიობის მიხეილ ვაშაძის ძმას. მაშინ, ოთხმოცდაცხრა წლის შემოდგომაზე, ბატონი მიხეილი სა- ქართველოდან სტუმრად იყო ჩასული თავის უფროს ძმასთან და ხშირად, როცა ლევილის ვრცელ ეზო-ბაღში ძმებს ორივეს ერთად მოსაუბრეს შევეფეთებოდი, ჩემთვის გავითიქრებდი, რა ძალამ უნდა დააშოროს ესენი ერთმანეთს-მეთქი. საქარ- თველოში რომ დაეპრუნდი, მალე სამწუხარო ამბავი შევიტყვე: უმცროსი ძმის სამშობლოში წამოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ლევილის გალავნიდან ასიოდე ფეხის ნაბიჯზე, არპა- ჟონში მიმავალ ბატონ პავლეს თურმე ავტობუსის გაჩერებაზე გულმა უმტყუნა და უსულოდ დაეცა.

1989 წლის დეკემბრის საოცარ ქარიშხლიან და თავსხმა

წვიმიან დღეს ლევილის მიწისთვის მიბარებულ 86 წლის პავლე ვაშაძისთვის სიყრმის მეგობარს ბატონ სიმონ ბლიაძეს გამოსამშვიდობებელ სიტყვაში უთქვამს: „იმ დროს, როდესაც შენს გაცივებულ სხეულს უცხოეთში, ჩვენს მეორე სამშობლოს - საფრანგეთის ცივ მიწას ვაბარებთ, ვინ იცის თუ მრავალი ზღვებისა და მთების გადაღმა, ჩვენს პირველ სამშობლოში, რამდენ დედას, რამდენ დას, რამდენ მამას, რამდენ ძმას ყური საზარლად უწივლებთ, ტანში გასცრით, გააურჟოლებთ... შორს არიან მათთვის საყვარელი, სათაყვანებელი სახეები. სწორედ შორს ეგულებათ მათი იმედისა და ნუგეშის მატარებელი სახელები ვინ გადასახლებაში, ვინ პატიმრობაში, ვინ ლტოლვილობაში და კიდევ ვინ მთლად უნიშნოდ გამქრალ-დაკარგულები. ისინიც აცრემლებული თვალებით მყინვარს მიაშტერდებიან, რომ იქ აღმართულ ცოცხალ ძეგლს სთხოვონ შვება და მფარველობა... მათი დღევანდელი გასაჭირი კი ის არის, რომ დღემდე მტრის ჩექმა ბეკნის თბილისის ქუჩებს, რომ დღემდე ქართული კერა დათალხულია, ბალლის აკვანი გაბზარულია. ქალის ლეჩაქი შელახულია და მთელი ერი დაპყრობილი და დაჩაგრულია.

შენ კი, ჩვენო პავლე, შენი სიყრმის მეგობრები, შენი ეკლიანი გზის თანამგზავრები და შენსავით დახვრეტას შემთხვევით გადარჩენილები როდი გეთხოვებით, არამედ გემშვიდობებით და გეტყვი დედაენაზე ყველაზე უფრო გულთბილ გამოთქმას: „ნაცვამდის, ჩვენო პავლე“, რადგან გვაქვს ნათელი შეგნება, წმინდა რწმენა იმისა, რომ ჩქარა მოგეწევით და შენს გვერდით აქვე, სხვა დებსა და ძმებს შორის, დავიმარხებით. იმ დროს, როცა ჩვენი სულები იქ, მალლა ცაში ასულები, შეერთდებიან, მათ ექნებათ სრული სამუდამო დრო და მოცალეობა, ბედიც და უბედობაც, ეთაყვანონ, ეტრიალონ ქართვლის დედების რწმენას და სასოებას...“

უურნალი „გუშაგი“ კი იტყობინებოდა: „...ვინ არ იცნობდა ემიგრაციაში პავლე ვაშაძეს! უმისოდ თითქოს დაცარიელდა ლევილის ქართული მამული... პავლეს სული, უეჭველია, კმა-

ყოფილი იქნებოდა, როცა გაიგებდა, რომ რკინის ქალამნები ჩაიცვეს და მაინც დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ ძმა მიშა, ძმისშვილი თამაზი და მეორე ძმის შვილიშვილი შორენა, რომელიც მას შვილივით უყვარდა. ბატონმა მიხეილმა სულის შემძვრელად დაიტირა ძმა და, რა თქმა უნდა, იმავ დროს მთელი მისი დიდი ოჯახი, რომლის წევრებიც მსხვერპლნი გახდნენ განუკითხავ ბოროტებისა“.

მეტროს მშენებლობის ძირითადი სადგურების აშენების შემდეგ თამაზ ვაშაძემ მაღალმშენის მეოთხე სამმართველოში დაინყო მუშაობა. უბნის უფროსი იყო და თემქაზე მუშაობდა. მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო აფხაზი არხიპ ლაბახუა. დიდებული კაცი, შესანიშნავი მცოდნე და საქმის კაცი. ერთხელაც თათბირზე მშენებლობის მინისტრის-თვის, ვაშაკიძისთვის მას უსაყვედურია, შენ საქმეს როგორ გააკეთებ, ეს ლონდონ მთავარი ინჟინერი გყავს და ამისთანა მშრომელი კაცი ვაშაძე იქ სამუშაოთა მწარმოებელიაო. ამის შემდეგ მალევე დანიშნეს მთავარ ინჟინერად.

თავი მესამე

გება, ჟენებას!

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ქალაქმშენებლობაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო. ეს საუკუნე ხომ აღმშენებლობის ხანად იყო მიჩნეული და განა, მართლაც ასე არ იყო? დაიწყო ფართო, გეგმიური მშენებლობა და სამოცდაათწლიანი კომუნისტური მმართველობის პერიოდში თბილისი გაიზარდა და განაშენიანდა. სხვა საკითხია, რამდენად ხარისხიანი და კომფორტული ბინები შენდებოდა. მთავარი ხომ ის იყო, რომ უამრავი უბინაო ადამიანი ახალმოსახლეობას ზეიმობდა. და კიდევ, რაიონებიდან თბილისში ცხოვრების სურვილით მოხიბლული ადამიანების რიცხვის ზრდამ დედაქალაქი ხომ თავკომბალას დაამსგავსა.

ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებით აღფრთოვანებულნი ისე აღმოგჩნდით მოუგვარებელი პრობლემებით აღსავსე ყოფაში, რომ ვერც კი მივხვდით, სად დაცუშვით შეცდომა და რა შეგვეძალა. არასტაბილური პოლიტიკური გარემო, მოუგვარებელი და მუდამ სხვა ქვეყნების დახმარების იმედზე მყოფი ეკონომიკა, მოშლილი წარმოება, მრეწველობა, მეზობელი ქვეყნებიდან შემოზიდული იაფფასიანი და საეჭვო ხარისხის პროდუქცია, მძიმე კრიმინოგენური ვითარება... ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება... დასკვნა კი ერთია, ყოველივე ამან გამოიწვია ყველა სფეროში თითქმის ერთი და იგივე პრობლემის არსებობა, რომელთა მოვარება წლიდან წლამდე ვერ ხერხდება და ყოველივე ამის ფონზე სილატაკის ზღვარს მისული გაბოროტებული მოსახლეობა მივიღეთ, რომელიც დაიღალა წინასაარჩევნო ფუჭი დაპირებებით, პოლიტიკოსთა დაუსრულებელი დაპირისპირებებითა და კინკლაობით.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში ხუთწლედების დაჩქარებულმა ტემპებმა ხარისხი, ფორმა და, საერთოდ, ვიზუალური მხარე მეორეხარისხოვანი გახადა. ცნობილი ე.წ. „ხრუშჩოვკები“ სწორედ იმ პერიოდის პირმშოა, არადა, მათი

ექსპლოატაციის ვადა მხოლოდ რამდენიმე ათეული წელი ყოფილა. მათი აშენებიდან კი რამდენი წელი გავიდა? ავიღოთ თუნდაც ერთ დროს ასე პომპეზურად და ზარ-ზეიმით განაშენიანებული თბილისის გარეუბნები, ე.წ. მასივები. მაშინ ხომ მთავარი რაოდენობა იყო – რაც უფრო მეტი ოჯახი დაკმაყოფილდებოდა, ხარისხი კი ნაკლებად აღელვებდათ. ძველი თბილისის კოლორიტული უბნებიც მაშინ ახსენდებოდათ, როცა რომელიმე საპატიო სტუმარს ელოდნენ უცხოეთიდან და მხოლოდ გარეგნული შედამაზებით კმაყოფილდებოდნენ. არადა, ეს უძველესი შენობები სასწრაფოდ საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, ნინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მომავალი თაობები მხოლოდ ფოტოებითა და კინოკადრებით თუ შეძლებენ ამ უბნებში გასეირნებას.

ბოლო ათწლეულების პოლიტიკურმა მოვლენებმა უამრავი რამ შეცვალა საზოგადოების ცნობიერებაში. მოხდა ღირებულებათა გადაფასება. 70-წლიანი კომუნისტური მმართველობის პროცესში ჩამოყალიბებული სტრუქტურების რღვევამ მხოლოდ პრობლემები დაგვიგროვა, პრობლემები, რომელთა გადაჭრა დღემდე ვერ ხერხდება. ბევრი რამ არ მოგვწონს და გვსურს, ჩვენი საყვარელი დედაქალაქი უკეთესი იყოს, ჩვენი ყოველდღიური ყოფა და არსებობა კი – უფრო ლამაზი და კომფორტული. ყოველივე ამას კი, რა თქმა უნდა, ძლიერი სახელმწიფო საჭირდება.

ჩვენ წილად გვხვდა ოცდამეერთე საუკუნის პინაძარნი ვყოფილიყავით, მაგრამ ეს სულაც არ აღმოჩნდა ადვილი. ძველი სტერეოტიპების, შეჩვეული კერპების მსხვრევასა და ღირებულებათა გადაფასებას ძალიან ბევრი ჩვენთვის უჩვეულო და ბოლომდე გაუცნობიერებელი მოვლენა მოჰყვა.

სად დავუშვით შეცდომა, რა შეგვეშალა?

თამაზ ვაშაძესთან მორიგი შეხვედრის წინ, მასთან მიმავალს რატომდაც ეს ფიქრი ამეცვიატა. მნიშვნელოვანი ეტაპის თხრობის დრო იყო. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც თბილისში ახალი საცხოვრებელი მასივები გაჩნდა – დილომი, გლდანი,

თემქა, ვარკეთილი... იზრდებოდა და შენდებოდა თბილისი.

ამ მშენებლობებში ახალგაზრდებს ასაქმებდნენ. თამაზ ვა-შაძე მაღალმშენის მეოთხე სამმართველოს ჯერ უბნის უფროსი იყო, შემდეგ კი – მთავარი ინჟინერი. მას განსაკუთრებული ურ-თიერთობა მშრომელ ხალხთან ჰქონდა. მან იცოდა, რომ საერ-თო საქმე წარმატებით ვერ განხორციელდება, თუ ერთმანეთის პატივისცემა არ არის. ყველას ერთნაირად, თანაბრად უყურებ-და და თითოეული მათგანის შრომას სათანადოდ აფასებდა. იმ დროს მუშახელის ნაკლებობა შეინიშნებოდა. მართალია, რაიო-ნებიდან ჩამოჰყავდათ, რომელთაც თბილისში ჩაწერას, ბინებს და სხვადასხვა პრივილეგიებს სთავაზობდნენ, მაგრამ თამაზ ვაშაძესთან მუშაობის მსურველები უფრო მეტი იყო, რადგან მას გვერდით მშრომელი ადამიანი მეგობრად, ძმად მიაჩნდა. იგი ცნობილი იყო იმით, რომ ერთ საამშენებლო ობიექტზე შეეძლო 200-300 სპეციალისტი დაესაქმებინა, რაც მაშინ მოვლენა იყო. საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის ტემპები მის ობიექტ-ზე ყველას გაოცებას იწვევდა. სამცვლიანი მუშაობა დააწესა, შეუჩერებლად მიმდინარეობდა მშენებლობა. მეორე დღეს მო-სულთ სამი სართული ხვდებოდათ გამზადებული, რაც ყველას უკვირდა.

ამ გადასახედიდან ცოტა რთულია იმ პერიოდის მოვლენე-ბზე მსჯელობა. კომუნისტურ ეპოქაში განსხვავებული შეხედუ-ლებები არსებობდა. უმუშევრობა წარმოუდგენელი იყო და არც არსებობდა. განსაკუთრებით რთული იყო იმ ახალგაზრდების-თვის, ვისთვისაც განსხვავებული იყო თავისუფლების გაგება. მათ რიცხვს მიეკუთვნება თამაზ ვაშაძე. დაუზარელი, საქმის ერთგული, უბადლო შემსრულებელი, რომელიც ნებისმიერ სა-ქმიანობაში თავისუფალ აზროვნებას ანიჭებდა უპირატესობას, თუ ადამიანს არ ექნება აზროვნების თავისუფლება, ის ვერა-ფერ სასარგებლოს ვერ შექმნის, მისი აზრის მოსმენა უნდა შეგეძლოს, გათვალისწინება, გაგება. ვერ იტანდა დაუმსახუ-რებელ შენიშვნებს, არ უყვარდა ხელისშემშლელი პირობების გამართლება. ყოველივე ეს კი ხშირად კონფლიქტების გაჩენას

უნყობდა ხელს. ერთ-ერთი ასეთი სწორედ მეოთხე სამმართველოში მუშაობის დროს მოხდა, რის გამოც იძულებული იყო დაეტოვებინა სამუშაო ადგილი.

ამ დროს დუშეთში შენდებოდა უზარმაზარი სამეურნეო, დიდი კომპლექსი, სათბური. მუავანაძის პერიოდია, ცეკას მეორე მდივანი კოლბინი იყო, რომელმაც დაავალა ხელქვეითებს, სასწრაფოდ მოექებნათ შესაფერისი სპეციალისტი, ახალგაზრდა მშენებელი, რომელიც ამ მშენებლობას სათავეში ჩაუდგებოდა და დაასრულებდა. ერთ მშვენიერ დღეს თამაზ ვაშაძეს მშენებლობის სამინისტროში დაუძახეს და მოძრავი მექანიკური კოლონის უფროსად დანიშნეს. მისი ცხოვრების ამ პერიოდს ყოველთვის ტკბილად იგონებს, იქ შესანიშნავი ადამიანები, მშრომელები გაიცნო. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შალვა ჯანგირაშვილი, ბრგე, ახოვანი, შრომისმოყვარე და ერთგული ვაჟეცი, რომელთანაც მთელი ცხოვრება მეგობრობდა და მისი გარდაცვალების შემდეგ დღეს მის ოჯახთან აქვს ურთიერთობა.

...და კვლავ დაუდალავი შრომა, გათენებული ლამეები, რათა დაკისრებული მოვალეობა შეესრულებინათ, თავი არ შეერცხვინათ. თამაზ ვაშაძესთან ერთად ამ მშენებლობის მთავარი ინჟინერი ირაკლი ცაგარეიშვილი იყო, იმ დროისთვის ასაკოვანი, 65 წლის, უმაღლესი დონის სპეციალისტი, რომლის სიტყვასაც მუდამ გაეგბით და ერთგულად ასრულებდა თამაზ ვაშაძე. მის-თვის ხომ მეტად მნიშვნელოვანი იყო უფროსი თაობის გამოცდილების გაზიარება, რაც პროფესიულ ზრდაში დაეხმარებოდა. ერთხელაც, ერთ-ერთი თათბირის შემდეგ მან სთხოვა, ცოტა ხანს დარჩენილიყო.

- თამაზ, ერთი რჩევა მინდა მოგცე.
- დიახ, გისმენთ, ჩემთვის მნიშვნელოვანია თქვენი რჩევაც, შენიშვნაც, მე არ მწყინს, ბრძანეთ...
- კარგი, რახან ასეა, მაშინ გეტყვი, რა არის შენი ნაკლი... შენ ადამიანებს უნდა მოსთხოვო ის, რაც შეუძლიათ მათ და არა ის, რაც შეგიძლია შენ.

ეს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა, მუდამ ახსოვდა

და დღესაც სასიკეთოდ იხსენებს, რომ ამ რჩევას მუდამ ითვალისწინებდა, ადამიანებს სთხოვდა იმას, რაც მათ შეეძლოთ და არა იმას, რაც თავად მას შეეძლო. ამ რჩევამ მას ხელი შეუწყო, რომ ეთანამშრომლა დიდ კოლექტივთან, არ ჰყოლოდა უკმაყოფილო არც ხელქვეითი, არც ზემდგომი.

კომპლექსის მშენებლობა წარმატებით დაასრულეს წელიწადნახევარში. ორჯერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პატარიძემ მოინახულა, მოიწონა, შეაქო მშენებლები. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ თამაზ ვაშაძის მუშაობის სტილი, მეთოდი, დამოკიდებულება მუდამ მოსწონდა და აღაფრთოვანებდა იმ დროისთვის საკმაოდ მაღალი თანამდებობის მქონე პატარიძეს. ამის შემდეგ ტრესტის მმართველთან უთანხმოების შედეგად მისი საამშენებლო სამმართველო ლაგოდეხში გადაიტანეს, რაც მისთვის მიუღებელი იყო, რადგან იჯახს ვერ დატოვებდა. იმ დროს თბილისთან ახლოს, რუსთავის გზაზე, ფონიქალასთან უზარმაზარი სათბური შენდებოდა. სოფლის მეურნეობის მშენებლობის სამმართველოს უფროსად დანიშნეს ფონიქალის სათბურის მშენებლობაზე. ამ მშენებლობაზე მასთან ერთად მუშაობდნენ საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, რაჭის მშრომელები, რომლებიც მუდამ მასთან ერთად იყვნენ და შეხმატკილებულად ასრულებდნენ ყოველგვარ სამუშაოს. ეს უნიკალური მუშათა კლასი იყო, რომელთაც მთების გადაბრუნება შეეძლოთ. სადაც არ უნდა წასულიყო თამაზ ვაშაძე, ისინი მუდამ თან დაჲყვებოდნენ და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. უნებლიერ სულმნათი ილია ჭავჭავაძის სიტყვები მახსენდება: „ჩუმი, მშვიდობიანი, დინჯი, არამყვირალა და უხმაურო მოღვაწეობა, საცა არ უნდა იყოს, თუ გულმხურვალებით არ არის გამობარი, გულმოდგინეობით წარმართული, ერთგულებით ძირმაგარი და პატიოსნებით ნათელცხებული, უტყუარი ნიშანია თითონ მოღვაწის დიდბუნებოვანებისა. ხოლო იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც უღარუნები არა აქვთ და არა ხმაურობენ, მაგრამ მით არანაკლები მნიშვნელობა აქვთ წუთისოფლის სიმნარის დასატკპბობად და

სიმწვავის გასანელებლად“. საუკუნეზე ნეტი გავიდა ამ სიტყუ-
ვების დაწერილან, მაგრამ იგი დღესაც აქტუალურია

4-5 თვეში მისი მუშაობა დადებითად შეფასდა და იგი
ტრესტის მთავარ ინჟინრად გადაიყვანეს. იმ დროს ეს ტრესტი
მშენებლობას აწარმოებდა კაჩუბეის ზამთრის საძოვრებზე,
სადაც სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს აშენებდნენ.
განსაკუთრებით ჭირდა მუშახელი კაჩუბეიში, რასაც ძალიან
ადვილად ახერხებდა თამაზ ვაშაძე, აგზავნიდა მშრომელებს
მშენებლობებზე, თვითონაც კმაყოფილი იყო და ხელოსნებიც
მადლიერები იყვნენ. გაიზარდა მშენებლობის მასშტაბები. დაუ-
ლალავად შრომობდა, იზრდებოდა მშენებლობების რიცხვი...
ყველა სამშენებლო სფეროში და წრეში სიტყვის კაცის სახელი
გაუვარდა.

ერთ-ერთ შეკრებაზე ჯუმბერ პატიაშვილი ჩავიდა კაჩუბეი-
ში, რომელმაც ნახა დასრულებული მშენებლობები, დაათვა-
ლიერა ყველა ობიექტი და დიდი მადლიერება გამოხატა თამაზ
ვაშაძის მიმართ.

ყოველივე ამის შემდეგ დაფასდა მისი საქმიანობა და იგი
საკუთარმშენის ტრესტის მმართველად დანიშნეს. ამ თანამდე-
ბობას ცეკას ბიუროზე ამტკიცებდნენ. ამ დროს უკვე ეჭვი აღარ
იყო, რომ თამაზ ვაშაძეს ნიშნავდნენ იმ ობიექტებზე, სადაც
უჭირდათ, სადაც მოუგვარებელი პრობლემები დაუგროვდათ
და ერთადერთ იმედად მხოლოდ ის მიაჩნდათ. ეს მისთვისაც
გამოწვევა იყო და იგი მთელი ენერგიით, მონდომებით, დაუღა-
ლავად იღწვოდა, რათა ნდობა გაემართლებინა. ამ დროს დაიწ-
ყო მშენებლობები კინდლაში, ოჩამჩირეში, მესტიაში... კინდლაში
მეფრინველების ფაბრიკა ააშენეს, ბესლახუბა-ოჩამჩირეში
რკინა-ბეტონის ქარხანა, მესტიაში პატარა სახლები და ქარხანა,
სამტრედიაში უდიდესი ბაზა...

თამაზ ვაშაძეს ამ დროს მესტიაში ბევრი ნაცნობი ჰყავ-
და. იქ მთამსვლელებთანაც ხშირად სტუმრობდა. ერთხელაც,
როდესაც ნაადრევმა თოვლმა მოუსწრო, სამ ტონამდე ცემენ-
ტი ჰქონდათ მიტანილი, მაგრამ დრო არ ითმენდა და რომ არ

გაფუჭებულიყო ცემენტი, დაიბარა მთამსვლელთა ოჯახები და მათ დაურიგა უსასყიდლოდ. (ამ ფაქტს 90-იან წლებში გავიხსენებთ)

უზარმაზარი მეფრინველების ფაბრიკა შენდებოდა კინ-დღაში. ერთი დიდი შენობა ააშენეს, საქონლის საკვების შესა-ნახად, რომელსაც ფანჯარაც კი არ ჰქონდა. ამ შენობას დიდი ასოებით დააწერინა – „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შე-ნებას!“ დიდი ამბავი ატეხეს, ეს როგორ გაბედეო, დაიბარეს, უსაყვედურეს. არავინ გამოჩნდა, ვინც დაიცავდა.

– კი, მაგრამ რა გავაკეთე ასეთი, ეს ხომ გალაკტიონის სიტყვებია, რა არ მოგწონთ, – თითქოს გაოცებული სახით გა-მოხატავდა გაკვირვებას, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რა არ მოსწონდათ...

სასწრაფოდ მოიყვანეს ხელოსნები, გადაღებეს, მაგრამ იმ ღამეს ბედად კოკისპირული წვიმა მოვიდა, მათ მიერ გადაღე-ბილი საღებავი გუაში იყო, მთლიანად ჩამორეცხა წვიმამ და დილით, როცა მივიდნენ, შენობას კვლავ ისევ ისე თეთრად ანათებდა ძველი წარწერა – „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!“

კინდღაში 300 მუშა მისი ჩაყვანილი იყო. ყველა კმაყო-ფილი იყო და მასთან მუშაობა ყველასთვის სასურველი და სასიამოვნო იყო. აფხაზებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. სანიმუშო მუშაობისთვის მას აფხაზეთის დამსახურებული ინ-ჟინრის წოდება მიანიჭეს და აფხაზეთის სიგელით დააჯილდო-ვეს, მაგრამ მაინც არ აპატიეს მათთვის თვითნებობად აღქმული წარწერა და გაანთავისუფლეს, რასაც ხელი იოსებ ხარატიშვილ-თან დაპირისპირებამაც შეუწყო. განცხადება დაწერა, გამათა-ვისუფლეთ, რადგან არ მაკმაყოფილებს თქვენი განათლების დონეო და წამოვიდა.

სულ მალე შეიტყო, რომ რუსთავში ეძებდნენ მშენებლებს. რეკომენდაცია მშენებლობის მინისტრის მოადგილემ შოთა ლო-მიძემ გაუწია. წავიდა რუსთავში და მისდა გასაკვირად იქ მშე-ნებელთა და ინჟინერთა საოცრად დიდი პროფესიონალიზმი და

ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მაღალი დონე დახვდა. მესამე სამმართველოში გაანაწილეს. რა თქმა უნდა, მისი ერთგული ადამიანები თან გაჰყვნენ. საკუთარი კაბინეტი არც გამოუყენებია დანიშნულებისამებრ, იქ მასთან ერთად ჩასული ადამიანები დაასახლა. გრანდიოზული მშენებლობა მიმდინარეობდა, ხალხი არ ჰყოფნიდათ, მუშები ძნელი საშოვნელი იყო, ამიტომ მის სამართველოში წარმოებულ მშენებლობებში პატიმრები მუშაობდნენ. შემოლობილი იყო ტერიტორია და გარკვეული კატეგორიის პატიმრები მუშაობდნენ. ობიექტზე როდესაც შედიოდა, მიტინგი ეგონებოდა უცხოს, ისეთი სიხარულით ხვდებოდნენ მას, რადგან მის მისვლამდე ბევრი უსამართლობა ხდებოდა, პატივს არ სცემდნენ პატიმრებს, დახასიათებაში ფულს თხოვდნენ. ეს ყოველივე აკრძალა თამაზ ვაშაქემ. კოლონიაში სკოლა ჰქონდათ, სადაც სხვადასხვა სპეციალობებს ასწავლიდნენ. სკოლის დირექტორი იყო ჩაჩანიძე, რომელიც მასხრობდა ხოლმე, დღეს გაკვეთილი ჩავუტარე, შედუღება ვასნავლეო. (პეტრე გელბახიანი)

სამი წელი იმუშავა რუსთავში, ბევრი კარგი სპეციალისტი, ხელოსანი გაიცნო. ქალაქების მდივანი იმედაძე თითქმის ყველა თათბირზე ახსენებდა და ყველას ეუბნებოდა, ისნავლეთ მისგან მუშაობაო. თუ საკუთარ მაგალითს არ აჩვენებ, ისე არაფერი გამოვა. ისეთი დატვირთული იყო მისი ყოველი დღე, სახლში მისულს შვილებთან ურთიერთობისთვის დროც კი არ რჩებოდა.

რუსთავში მუშაობის პერიოდს უკავშირდება მისი ურთიერთობა მერაბ კოსტავასთან. მანამდე ის კარგად იცნობდა მერაბის ბიძას, გრიშა კოსტავას, ის მამამისის მეგობარი იყო. მერაბსაც ამიტომ იცნობდა. როდესაც გადასახლებიდან ჩამოვიდა, რუსთავში ესტუმრა თამაზს. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ უთხრა:

- თამაზ, რუსთავში ერთ ოჯახში დამპატიუეს, ოჯახის უფროსს შორიდან ვიცნობ, წამოდი ჩემთან ერთად, ვესტუმროთ და მერე ერთად დავბრუნდეთ თბილისში.

- კარგი, მაგრამ ხომ იცი, მე არ ვსვამ, თანაც ხვალ სამუ-

შაო დღეა, ბევრი საქმე მაქვს, – მართლაც არ სვამდა. სუფრაზე, წვეულებაზე მისული, სადლეგრძელოსაც იტყოდა, დალოცავდა, შეაქებდა... სმით კი არ სვამდა. არ უყვარდა სასმელი.

მივიდნენ. მაშინ მას ძველი საბჭოთა მანქანა „მოსკვიჩი“ ემსახურებოდა. პურმარილი გაიმართა. იქეიფეს, ისაუბრეს, მაგრამ გაოცებულნი უსმენდნენ. მერაბი გაკვირვებას ვერ მალავდა, როდესაც ოჯახის უფროსმა კომუნისტების ქება-დი-დება დაიწყო. მათი საუბრის თემა სულ სხვა იყო და არა კო-მუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო, არავითარი ეროვნული მოძრაობა, რაც იმ დროს უკვე ფეხს იკიდებდა საზოგადოების ცნობიერებაში.

– ადექი, წავიდეთ, – უთხრა გაბრაზებულმა მერაბმა. – ეს რა მომივიდა, ეს როგორ მოხდა, რატომ ვერ მივხვდი ვისთან მივდიოდი, ან ასე რამ შეცვალა, ადრე ასეთი არ იყო...

– კარგი, მერაბ, წავიდეთ, უკვე გვიანაა...

– არა, მე ფეხით უნდა წავიდე თბილისში... – თქვა გა-ბრაზებულმა და სასტიკი სახით დაადგა თბილისის გზას, საკუ-თარი თავის დასჯა გადაწყვიტა.

უკან მიჰყა თამაზ ვაშაძე. ეხვენა, ემუდარა...

გამოვიდნენ რუსთავიდან. უკვე ტრასაზე მიდიოდნენ.

– ეს რა მომივიდა, ეს სად წაგიყვანე... საწყალი საქართვე-ლო, ვის ხელში ვართ, – ბრაზს და გულისტკივილს ვერ მალავდა ნაწყენი მერაბი.

ამ დროს უკვე ეროვნული მოძრაობის მონაწილენი ხშირად უკავშირდებოდნენ თამაზ ვაშაძეს, ნებისმიერ შემთხვევაში ეხ-მარებოდა მათ, ხოლო მის კაბინეტში ხშირად იკრიბებოდნენ ჰელსინკის კავშირის წევრები და თათბირობდნენ.

რუსთავში მუშაობის დროს მშენებლობის და სოფლის მეუ-რნეობის სამინისტროები შეერთდა და მინისტრად იოსებ ხა-რატიშვილი დანიშნეს. ეს, რა თქმა უნდა, თამაზ ვაშაძისთვის სულაც არ იყო ხელსაყრელი. ახლად დანიშნული მინისტრი პირველ რიგში რუსთავში ჩავიდა შესამოწმებლად. მეტალურ-გიულ ქარხანაში თამაზ ვაშაძე ზრუნავდა მუშათა კვებაზე.

ისინი ყოველდღე უფასოდ საუზმობდნენ. ეს ყველამ იცოდა.

თათბირია. მისი თანაშემწე იყო კუჭავა, მაღალი დონის მშენებელი და კაცური კაცი. შემდგომში მან უამბო იმ თათბირზე მომხდარი საუბრის შესახებ. თურმე, როდესაც მინისტრს გაუგია, რომ ვაშაძე მუშაობდა იქ, გაოცებულს და გაბრაზებულს უბრძანებია, სასწრაფოდ გაანთავისუფლეთო.

- რას ამბობთ, საუკეთესო სპეციალისტია, ვერ გავუშვებთ,
- უთქვამს გაოცებულ კარლო გოგიარიშვილს.

მაგრამ არ გაუნთავისუფლებიათ. მან განაგრძო მუშაობა.

ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ხარატიშვილი ყოველწლიურად დადიოდა მოსკოვში, კრემლის საავადმყოფოში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად, დაურეკეს და უთხრეს, ხარატიშვილი თათბირს ატარებს და უნდა მოხვიდეო. გაუკვირდა, მაგრამ მივიდა. მოსკოვიდან სელექტორის საშუალებით იძლეოდა დავალებებს. ხუთი-ექვსი სამმართველო, ტრესტის აპარატი, დაახლოებით 50 კაცი ესწრებოდა თათბირს. თამაზ ვაშაძე ადგა და პროტესტის ნიშნად დატოვა კაბინეტი. თან ხმამაღლა გამოთქვა თავისი უკმაყოფილება ამ მდგომარეობის გამო.

- რა ხდება, ეს რას ჰეგავს, თუ ავადაა, იმკურნალოს, თუ არა და მის გარეშეც გავართმევთ თავს საქმესო. – ეს ყველამ გაიგო, თავად ხარატიშვილს რომც არ გაეგო, ამბის მიმტანის მეტი რა იყო, ბევრნი იყვნენ ჩასაფრებული, ვისაც მისი წარმატებები სულაც არ სიამოვნებდა, კონკურენტად მიაჩნდათ სანიმუშო ხელმძღვანელი და ყველანაირად ცდილობდნენ მისი რეპუტაციის შელახვას.

ჯაფარიძემ დაიჩივლა, საშინელ მდგომარეობაში ვარ, ან შენ უნდა წახვიდე, ან მეო. შენ რატომ, მე წავალო, უთხრა თამაზმა.

ამასობაში ისევ გაიყო სამინისტროები. აღმოჩნდა, რომ საშინელი ჩავარდნა იყო მე-11 ტრესტში, ცხინვალში. ისევ შოთა ლომიძემ, ცეკას განყოფილების გამგეს უთხრა, რომ ერთადერთი ვარიანტია, თუ გინდათ გამოსწორდეს მდგომარეობა, იქ თამაზ ვაშაძე უნდა გაუშვათო. დაუძახეს.

ამ დროს ჯუმბერ პატიაშვილია პირველი მდივანი. ცეკას მდივანი გოგი ანდრონიკაშვილი იყო, რომელმაც უთხრა, რომ იქ მიწერები, გადახარჯვები იყო და მას აუცილებლად უნდა გამოეყო კომისია, რომელიც გამოიკვლევდა ყველაფერს და დამნაშავებს დასჯიდა, ამაზე თამაზ ვაშაძემ კატეგორიული უარი განაცხადა. გაუკვირდა ანდრონიკაშვილს, მაგრამ დაეთანხმა.

თამაზ ვაშაძე ცხინვალში ჩავიდა. სანაკოევი იყო მაშინ მდივანი. მან ძალიან კარგად მიიღო. ტრესტის აპარატში ქართველებიც იყვნენ. დაიწყო ჩვეული ენთუზიაზმით და შრომის-მოყვარეობით მუშაობა. განსაკუთრებით ქართველების დაძაბუნებულმა, დათოგუნულმა მდგომარეობამ შეაძლოთა. ყველას შეუძახა, რა გჭირთ, თქვენს მიწაზე ცხოვრობთ, ასე როგორ შეიძლება.

დაიწყო ფართომასშტაბიანი სამშენებლო საქმიანობა. საერთო საცხოვრებელი შეივსო მისი მეგობრებითა და მომხრეებით, ყველა თავდაუზოგავად შრომობდა და იღწვოდა. ცხინვალში ბევრი სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი შენდებოდა. ზღვა მასალა შემოდიოდა, ეშელონი ეშელონზე იცლებოდა. ყველა ობიექტზე სამი ცვლა მუშაობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ღამეც მუშაობდნენ, 24 საათი. მთელი სამშენებლო ობიექტი განათებულ-გაჩირალდნებული იყო ხოლმე ღამ-ღამობით და გაცხოველებული მუშაობა შეუჩერებლად მიმდინარეობდა.

იმ დროს ე. წ. სამხრეთ ოსეთის, სამაჩაბლოს ტერიტორიაზე როკის გვირაბის მშენებლობა მიმდინარეობდა. სულ რაღაც რამდენიმე დღის ჩასული იყო, როდესაც სანაკოევმა დაიბარა და სთხოვა, რომ ამ გვირაბის მშენებლობაზე არსებული პრობლემები შეესწავლა. იქ რაღაც ყველაფერი რიგზე არ არისო. შეისწავლე და მითხარი, რა ხდება. ამ გვირაბის მშენებელი უბნის უფროსი იყო გივი ყიფიანი, ბრწყინვალე კაცი, გენიალური პიროვნება, საუცხოო პროფესიონალი, რომელიც მეტროს მშენებლობაზე მისი მუშაობის დროს შახტის უფროსი იყო და ყველანაირად ეხმარებოდა, მაშინ ხომ ის სტუდენტი იყო და ხელს უწყობდა სირთულეების გადალახვაში. მეტად რთული

მშენებლობა იყო, გამორიცხული იყო, იქ რამე დარღვევა არ ყოფილიყო, გადაარჩინა ყიფიანი ციხეს, სანაკოევს უთხრა, იქ არანაირი დარღვევა არ აღმოჩნდაო, მაგრამ დღესაც ხმამაღლა ამბობს, რომ როკის გვირაბის მშენებლობა დიდი დანაშაული იყო საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი ედუარდ შევარდნაძის მიერ.

გაოცებული იყო თამაზ ვაშაძე სამაჩაბლოს ტერიტორიაზე არსებული ტაძარ-ეკლესიებით. მთელი ტერიტორია ფეხით მოიარა. ერთხელაც მასთან ერთ-ერთი თანამშრომელი გოგონა მივიდა მორიდებული თხოვნით.

– ბატონო თამაზ, შემიძლება თქვენთან შემოვიდე... დიდი ხანია, რაღაც მაწუხებს და არ შემიძლია, არ გითხრათ...

– რა თქმა უნდა, შემოდით... რამ შეგაწუხათ?

– ბატონო თამაზ, აქ წითელი საყდრის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან, მის კედელთან ვიღაც სახინკლეს აშენებს.

– რას ამბობ, დაუჯერებელია... მაინც და მაინც საყდართან?

სამუშაო საათების დამთავრებისთანავე მივიდა ცნობილ წითელ საყდართან და ნახა, რომ მის კედელთან დიდი ბლოკებით მართლაც მშენებლობა დაუწყიათ. იკითხა, ვინ არის ამის პატრონიო.

მოვიდა შერეული ოჯახის, ოსურ-ქართული ოჯახის წარმომადგენელი.

– რა არის ეს, რას აკეთებ? აქ სახინკლეს რა უნდა? ეს ხომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია? – რა თქმა უნდა, ამ მშენებელს არც კი ესმოდა, რას ნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანაც იმ პერიოდში, როცა კომუნისტური სახელმწიფო ათეისტურ გარემოში არსებობდა, ჯერ კიდევ ახსოვდათ ადამიანებს დანგრეული ეკლესია-ტაძრების სამრეკლოებიდან ჩამოგდებული ზარების გუგუნის ხმა, ნახევრად დანგრეული ეკლესიების შიგნით კი ან საწყობები იყო გაწყობილი, ან საქონლის სადგომები, ან კიდევ მიტოვებულ-გავერანებულები ცრემლიან მზერას იწვევდნენ ჩუმად მორწმუნეთა გულებში.

რაში გენალვლება? – სულელური ღიმილი ეფინა სახეზე მეპატრონებს. ეტყობოდა, რომ იმედიანად იყო, რადგან თანხმობა ჰქონდა მიღებული რაიონის ხელმძღვანელობისგან, პირველი მდივანი სანაკოევი იყო. მასთან მივიდა ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ მიხვდა, რომ მას სულაც არ ედარდებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურება, აშკარად მიანიშნა კიდეც, ეს შენ არ გეხებაო.

დიდხანს არ უფიქრია. შეკრიბა თანამოაზრები, მგელი ჭიათურელები. ღამის ორ საათზე, ისე, რომ არავისთან შეუთანხმებია, მიაყენა სამი ამწე კრანი, სამი ტრაილერი. საათნახევარში იმ ადგილას აღარაფერი აღარ იყო, მიწა მოასწორეს და ვერც კი შეამჩნევდი, თუ იქ საერთოდ რამე შენდებოდა მანამდე. ატყდა ერთი ამბავი. ცხინვალი პატარა ქალაქია. უცებ გავრცელდა მომხდარის შესახებ ინფორმაცია.

– რას ამბიბთ, ნუთუ თქვენთვის სულერთია, რომ ჩემი ქვეყნის სავიზიტო ბარათს, პასპორტს ასე მოექცეთ, რა, სხვა ადგილი არ არის ამხელა ტერიტორიაზე? – ცდილობდა თავის დაცვას თამაზ ვაშაძე, მაგრამ არც ჩერტკოვები, მეორე მდივანი ჩერდებოდა, როგორ ბედავს, რომ თვითნებობს, მომაშორეთ ეს კაციო, დღეში რამდენჯერმე რეკავდა მშენებლობის სამინისტროში. სხვა გზა აღარ იყო და გადაიყვანეს ისევ რუსთავში, მექანიზაციის სამმართველოს უფროსად. გული სწყდებოდა, მაგრამ სიამაყით იხსენებდა, რომ მათ სურვილს წინ აღუდგა და არ მისცა უფლება ჩვენი რელიგიური რელიქვიისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ და თუნდაც საზოგადოებრივი კვების ობიექტის აშენებით შეებლალათ მისი სინმინდე.

სამარაბლოში მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია თამაზ ვაშაძისთვის. მან გაიცნო მამია ალასანია, რომელიც იქ კაგებეს უფროსი იყო, წლების შემდეგ ისინი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, როდესაც მამია ალასანია კაგებეს არქივის უფროსად დანიშნებს. მან წითელი საყდრის დაცვის გამო თავისი სიხარულიც ვერ დამალა და აღნიშნა, რომ ეს აუცილებელი იყო, რადგან 1920 წელს სამარაბლოში, ცხინვალში მხოლოდ ორი ოჯახი იყო ოსი,

დანარჩენები იყვნენ ქართველები, სომხები, ებრაელები...

რუსთავის მექანიზაციის სამმართველოში ისევ ჩვეული გულმოდგინებით და საქმის ერთგულებით დაიწყო მუშაობა. პირველი მდივანი იყო ხაზარაძე. იგი ყოველ დილას 7 საათზე ატარებდა თათბირებს. უყურა, უყურა ცოტა ხანს, მერე კი ვერ მოითმინა და აღნიშნა:

– ეს რას ნიშნავს, ყოველ დილით ამდენი დრო რომ უნდა დავკარგოთ ამ თათბირებზე, დავალებებს ხომ გვაძლევთ, რო-დისლა შევასრულოთ, საქმე როდისლა ვაკეთოთ. ასე როგორ შეიძლება, ეს ხომ არაპროფესიონალიზმია... – ხაზარაძის რეა-ქცია წარმოუდგენლად მრისხანე და სასტიკი იყო, ეს როგორ გამიბედე, ეს როგორ მითხარიო, სიბრაზისგან განითლდა, მა-გრამ ვერ მოახერხა მისი დასჯა, თუმცა გულში ჩაიდო.

მშვიდად და რიგიანად დაიწყო მუშაობა, ყველაფერს აკე-თებდა, განაახლა მექანიზმები, ჩებოესარში და მოსკოვში გაა-გზავნა ხალხი მექანიზმების ჩამოსატანად. ტრესტის მმართვე-ლი იყო დოლიძე, რომელსაც არ ესიამოვნა თამაზ ვაშაძის იქ მისვლა.

საერთოდ, ყოველ ახალ გარემოში თამაზ ვაშაძე ახერხებდა საკუთარ თარგზე მოეჭრა სიტუაცია, მისთვის მისაღებ გარე-მოში თუ არ იქნებოდა, ისე უჭირდა შეგუება. სწორედ ამი-ტომ მტერსაც იჩენდა და მოყვარესაც. იმ დროს მის მდივნად ახალგაზრდა, ლამაზი თამთა მუშაობდა, რომელიც რატომლაც ათვალწესებული ჰყავდათ, ცუდად მოიხსენიებდნენ. შეხედუ-ლი გოგო იყო და ხელმძღვანელობას მაინც და მაინც არ სია-მოვნებდა ეს. როდესაც ვაშაძეს ეს უთხრეს, მან დაუფარავად, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე განაცხადა, რა ჩემი საქმეა ღამეს ვისთან ათევს, ეს მისი პირადი საქმეა, ჩემთვის კი მთა-ვარი ის არის, რომ საქმეს კარგად აკეთებს, არაფერი ეშლება და ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობასთ. ეს სიტყვები კარებს უკან ჩუმად მდგარ თამთასაც მოუსმენია, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ერთ დღესაც თამთა მორიდებით შევიდა კაბინეტში, ოდნავი

ყოყმანის შემდეგ გაბედა და დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– ბატონო თამაზ, თქვენზე ძალიან დიდ უბედურებას ამ-ზადებენ.

– რას ამბობ, თამთა, საიდან მოიტანე?

– აგერ იქ, ფანჯარაში გაიხედეთ, უცხო მანქანა რომ დგას, იქ ობეხეს თანამშრომლები სხედან და თქვენ გითვალთვალებენ.

– რას ამბობ? შენ საიდან იცი? – ვაშაძის გაოცებას საზღ-ვარი არ ჰქონდა. ნამდვილად არ ელოდა ასეთ ამბავს.

– ჩემი სახლი მილიციის გვერდით არის. მე და დედა ნამცხ-ვრებს ვაცხობთ, თავი რომ ვირჩინოთ. მილიციის თანამშრომლე-ბი ხშირად შემოდიან ჩვენთან, სულყველას ვიცნობ მაგათ. ისინი ჩვენთან შემოდიან, გვიკვეთავენ, ეს უკვე წლებია გრძელდება და მათ საუბარს მოვკარი ყური. ვერაფრით წარმოიდგენდნენ, მე თქვენ თუ გიცნობთ.

თამაზ ვაშაძე ხმას ვერ იღებდა. თამთას ამბავი მართალი აღმოჩნდა და მისმა ერთგულებამ იგი დიდ განსაცდელს გა-დაარჩინა.

უკვე წლებია ასე გრძელდებოდა მისი ცხოვრება, ბრძოლაში ატარებდა ყოველდღიურობას. მიეჩინა კიდეც, ბრძოლისუნა-რიანიც გახდა. ერთ დღესაც მისმა მეგობარმა, ტრანსპორტის მინისტრმა, ყოფილმა კალათბურთელმა სანდრო გლურჯიძემ დაიბარა და უთხრა, სამმართველოს უფროსის ადგილი მაქვს და ჩემთან გადმოდიო.

ტაშკენტის ქუჩაზე იყო ეს სამინისტრო და სწორედაც ამ დროს იწყება მისი აქტიურობა ეროვნულ მოძრაობაში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში სრუ-ლიად ახალი ხანა დაიწყო. ნელ-ნელა იკვეთებოდა, რომ კო-მუნიზმის უტოპიური ხანა მთავრდებოდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფმა რესპუბლიკებმა თვითგამორკვევის პროცესის სხვადასხვა ეტაპი გაიარეს. საქართველომ, როგორც იქნა, მიაღწია ნანატრ დამოუკიდებლობას. მანამდე კი 70-წლია-ნი კომუნიზმის მმართველობის პერიოდში შექმნილი ერთიანი

ეკონომიკური ზონის რღვევას და საბაზრო ეკონომიკაზე გა-
დასცლას ძალიან ბევრი გაუთვალისწინებელი პროცესი მოჰყვა.

საბედნიეროდ არიან ადამიანები, რომლებიც ჩუმად, უხმაუ-
როდ, რუდუნებით ემსახურებიან მათზე დაკისრებულ საქმეს და
არ ითხოვენ არც ქება-დიდებას და არც ჯილდოებს. თითოეულ-
მა ჩვენგანმა რომ შეძლოს, იპოვოს თავისი ადგილი ცხოვრებაში
და აკეთოს საქმე პროფესიონალიზმით, ალბათ ჩვენი ქვეყნის
მომავალი ასე ბუნდოვანი აღარ იქნება. დღეს ხომ სწორედ ეს
გვჭირდება, რომ არ ავცდეთ „ტაძრისკენ მიმავალ გზას“.

ცხინვალში მუშაობის დროს ბევრი ნიჭიერი მშენებელი
გაიცნო, რომლებთან მთელი ცხოვრება განვლო. ასეთი გა-
მორჩეული პიროვნება არის ზაურ ნოზაძე – მოჭიდავე, საბჭო-
თა კავშირის ჩემპიონი, პროფესიონალი მშენებელი, საოცრად
მონესრიგებული პიროვნება, რომელიც სტიქიური უბედურების
შედეგად დაზიანებული შენობების აღდგენაში მონაწილეობდა
და სწორედ ასეთი ადამიანების გვერდით დგომით მიაღწიეს
წარმატებებს...

თავი მეოთხე

ეპოქის გიგანტის ფორმი

დავგეგმე კიდევ ერთი შეხვედრა ჩემს რესპონდენტთან, ბატონ თამაზ ვაშაძესთან და მასთან მიმავალს უნებურად ილია ჭავჭავაძის გამონათქვამებმა ამაფორიაქა, იმ გამონათქვამებმა, რომელთაც საუკუნენახევრის წინ წერდა ილია მართალი.

„ჩვენ ერს ორი ათასი წელინადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამის საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუქა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოგსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა.

ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა ჩამოგვარჩენდა ასე უნცალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას.

რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუძვე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია და თუ იგი დავივინებეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?

არ არის არც ერთი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, როგორც სხვისაც, რომ რაიმე წარსულის ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ ალარა გაგვეგება რა, ვიმეორებ, იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და გამმარტებელი ისტორია“.

ამავე დროს ამ საკითხზე მუშაობის პროცესში დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის და ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის განმარტება წავიკითხე, რამაც კიდევ უფრო ცხადლივ დამანახა ჩემი გადაწყვეტილების სისწორე.

„მაგრამ ისტორიის გაგება და სისწორით წარმოდგენა ახლაც ადვილი საქმე არ არის, მით უფრო ძნელი საქმე იყო მაშინ, წარსული საუკუნის იმ ხანაში, როცა ილია ჭავჭავაძე ჩვენი კულტურის სწორუბოვარი ბელადი და ხელმძღვანელი იყო.

როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოდ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღლებელია თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და გონიერას არას უუძნება. მეორემ კი, თუმც შესაძლებელია გამოიყდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის 90-იანი წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოენონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წელს:

„ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა, ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდენელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც

მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია, თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შიდა საქმეთა“-ო. რაკი იღია ჭავჭავაძეს ისტორიის უალრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის შესწავლის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია. და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა“.

ასე მსჯელობდა ნახევარი საუკუნის წინ ივანე ჯავახიშვილი, რაც დღესაც აქტუალური და მნიშვნელოვანია, რამაც კიდევ უფრო გამიმძაფრა სურვილი, ჩვენი უახლესი ისტორია ქართველი მკითხველისთვის მომეთხრო სწორედ იმ ადამიანის ბიოგრაფიის მაგალითზე, რომელიც ამ მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა და საქმიანობდა და მის მიერ აღწერილი მოვლენები უტყუარი და დამაჯერებელია. ისტორია ეს პირველ რიგში ხომ ადამიანებია და არა პროცესები და მხოლოდ ადამიანებით შეიძლება გაგება და შეცნობა წარსულისა. კონკრეტულ ადამიანთა ბედის მიხედვით ისტორიის განხილვა საშუალებას გვაძლევს წარსული წლების მრავალფეროვანი და მოცულობითი სურათი დავინახოთ, იმ ეპოქის სურათი, რომელშიც ძალიან ბევრი რამ მძიმე და ხშირად აუტანელი იყო. ყველა მიკროისტორია, რომელსაც ჩვენ გიამბობთ იმ დროის ცოცხალ სახეს წარმოადგენს. დასკვნების გამოტანა კი მკითხველისთვის მიგვინდვია.

გასული საუკუნის 80-იანი წლები მეტად რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. ნელ-ნელა ჩნდებოდა უკმაყოფილო ადამიანთა ჯგუფები. ხალხს არჩევანი წართმეული ჰქონდა, უკმაყოფილო კი იყო, მაგრამ რეალურად სანამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ დაიწყო, ეს პროტესტი არ

გამოუხატავს. თავიდან დისიდენტობა და რეჟიმის წინააღმდეგ წასვლა არ იყო პოლიტიკური აქტი, უფრო ზნეობრივი არჩევანი იყო იმის, რომ არ სურდათ შეგუება რეალობასთან, თუმცა ნათელი იყო, რომ ვერ დაამარცხებდნენ, ვერ შეცვლიდნენ არსებულ წყობას, მაგრამ საკუთარ თავთან, სინდისთან ხომ იქნებოდნენ მართლები.

უკვე გამოიკვეთა ათეული წლების მანძილზე ჯერ კიდევ მშენებლობის, ხუთწლედებისა და შაბათობების გავლენის ქვეშ მყოფი დიდი კომუნისტური იმპერიის დაშლის დასაწყისი. ყველასთვის ლია და ნათელი ხდებოდა ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ პერიოდისთვის საფრანგეთის სათვისტომოს ხელმძღვანელის ვიქტორ ხომერიკის საქართველოში ჩამოსვლა იყო. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კაგებე ჯერ კიდევ აკონტროლებდა სიტუაციას. თანაც თამაზ ვაშაძის ბიძა, პავლე ვაშაძე, რომელიც ლევილში ცხოვრობდა, ცდილობდა თავის ნათესავებთან კონტაქტები ჰქონდა. ამიტომ, როგორც კი შეიტყვეს ხომერიკის ჩამოსვლა, სახლში მოიპატიუეს. ამასთან მან ზვიადთან შეხვედრა მოითხოვა. ეს იყო 1988 წელს. არ იყო მარტივი ამ შეხვედრის მოწყობა. ზვიადმა მისვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოინდომა, თუ ამ შეხვედრას არ დაესწრებოდნენ ვიქტორ ხომერიკის ნათესავები, რომელთან შეხვედრაც ზვიადს არ უნდოდა.

საოცარი შეხვედრა იყო. საუბარი ძირითადად ეროვნულ მოძრაობას, მის ძირითად საქმიანობას, სამოქმედო გეგმებს ეხებოდა. უურნალი „ოქროს საწმისი“, რომელსაც ზვიად გამსახურდია გამოსცემდა, საფრანგეთში მცხოვრები ლევილის სათვისტომოს მკვიდრთათვის ნაცნობი იყო. ისინი მას ლებულობდნენ, კითხულობდნენ და იმედიც ჰქონდათ, რომ არც ისე შორს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ამ შეხვედრას უკვალოდ არ ჩაუვლია.

მიხეილ ვაშაძე, ცნობილი მსახიობი, დიდი ხელოვანი, რო-

მელიც არც ერთი პარტიის წევრი არ იყო, კინოსტუდიაში, სა-დაც კაგებეს მიერ ჩანერგილი რამდენიმე, ეგრეთ წოდებული, ოდერი მუშაობდა, დაიბარეს და უსაყვედურეს, რატომ მიიღე საფრანგეთიდან ჩამოსული სტუმარიო. სისტემა მორღვეული, შერყეული იყო, უკვე აშკარად ჩანდა მისი ნგრევის კონტურები, ამიტომ მისი პასუხი, რომ ეს ადამიანი ლევილში მცხოვრები ჩემი ძმის მეზობელი, მეგობარი და ახლობელიაო, მიიღეს და ვერაფერი უთხრეს. იგი ძალიან დაიცვა კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ, ის ძალიან კარგად იცნობდა პავლე ვაშაძეს, რომელიც წლების მანძილზე საფრანგეთში ჩასულ ქართველთა მუდმივი მასპინძელი იყო. ასეთი მასპინძლობა ახსოვდა რეზო ჩხეიძეს. იგი მის ოპერატორთან, ლომერ ახვლედიანთან ერთად იყო ჩასული და როდესაც ისინი გადაღებისათვის საჭირო აპარატურას ვერ ყიდულობდნენ, მათ სწორედ პავლე ვაშაძე დაეხმარა.

განსაკუთრებული სითბოთი და ერთგვარი გულისტკივილით იგონებს თამაზ ვაშაძე ერთ წერილს, რომელიც მან მიიღო გამბურგიდან.

ძვირფასო თამაზ!

18 დღის განმავლობაში სურათები: შენ ცალკე შენი მეუღლით და შენი და შენ შვილთან ერთად საწერ მაგიდაზე გვედო და ხშირად დავცექეროდით პავლე და მე, და ჩემი ქალიც. გაგიცანი სურათზე, მაგრამ ჩემში ისე გაიღვიძა ნათესაობის გრძნობამ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყავით. მოდი და ნუ აგიჩუყდება გული დაკარგულ ბედნიერებაზე – ყოველი კუთხე ჭიათურის (მე იქა ვარ დაბადებული და მგონი შენც) ნათლად დამესახა თვალწინ, ყოველი ფეხის ნადგომი მამისეული მიწისა მომაგონდა. გავტირი ბედნიერების დღეებს, რომლებსაც ვერასოდეს ვერ დავიბრუნებს, სამშობლოს უნახაობა მტანჯავს და მაწუხებს. მე ძალიან ბედნიერი ვარ პირადი ცხოვრებით. ჩემი ქალი მართალია უცხოელია, მაგრამ ქართული ბუნების და ხასიათისაა და სხვათა შორის მთელ მსოფლიოში ქართველ ქალებს მხოლოდ გერმანელი ქალები ემსგავსებიან: ქმრის სიყ-

ვარულში, მისთვის ზრუნვაში, ერთგულებაში. ის ჩემთვის ყველაფერია უცხოეთში: ცოლიც, დედაც, დაც, მეგობარიც და მართლაც ამ მხრივ ბედი მქონია. ყოველი ქართველი მისთვის ძვირფასია და საქართველო უნახავად უყვარს და სამოთხედ წარმოუდგენია.

მაგრამ მექნება კი ბედნიერება ეს სამოთხე, რომლის უნახაობა მე ასე გულს მიკოდავს და ხშირად სასონარკვეთილებაშიც მაგდებს, როდესმე ვანახო და მეც ამით ვიამაყო?

უცხოეთში მცხოვრებ ქართველებისათვის ხომ სანუკვრად გადაქცეულა სურვილი საქართველოს ნახვით ბედნიერებას ეზიარონ, მისი მზით გაიხარონ, მის მიწას ეამბორონ, ნათესავების საფლავების წინ ფეხი მოიდრიკონ და ქართულად, ჯიგრიანად იტირონ.

ყოველივე დამშვიდობება თუ პატარა სიკვდილს უდრის, როგორც ამას რილკე ამბობს, რას უდრის მაშ, სამშობლოს დაკარგვა, მისგან დაცილება?

ამას მხოლოდ უცხოეთში გრძნობს ადამიანი და ყველაზე უფრო კი ქართველი, რომელიც მთელი თავისი ბუნებით ორგანულად შეზრდილია სამშობლოს სიყვარულთან, მამისეულ სახლ-კართან, ნათესავ-ნაცნობებთან, მეგობრებთან და ყველაფერთან, რაც ქართველობას ახასიათებს. რა ბედნიერი კაცი ხარ მარტო იმით, რომ სამშობლოს მიწაზე დადიხარ, ქართული მზით თბები, ქართული წყლით იგრილებ სახეს და ყოველდღე ქართული გესმის ირგვლივ.

შენ დაბადებამდე, დიდი ხნით ადრე გამოვემშვიდობე საქართველოს და 43 წელიწადია აღარ გახარებულა ჩემი გული. ჩემს მდგომარეობაში არიან ბევრი ქართველები, რომელთა კვნესა და გოდება საქართველომდე უნდა ისმოდეს. ბევრმა თავისი ძვლები უკვე აქ, უცხოეთში ჩაყარა და თან გაიყოლა სევდა საქართველოზე. ალბათ კითხულობ: „ვინ არის ეს კაცი, ასეთ წერილს რომ მწერს, განა ქართველ კაცს და ისიც უცხოს წინაშე შეეფერება ტირილი და მოთქმა? არა ხარ მართალი, ქართველები ერთმანეთისთვის არა ვართ უცხონი და მით უმეტეს შენ

ჩემთვის. მამაჩემი ისაია ვაშაძე და მისი ოჯახი ჭიათურელს აპა, როგორ არ გაუგონია და ჩვენ გვაროვნულადაც ხომ ერთმანეთს ვეკუთვნით.

პავლეს ძმისწულს მე საკუთარ ძმისწულად ვთვლი და მისი ოჯახიც ჩემთვისაც ძვირფასი და საყვარელია. პავლემ თავისი შვებულების 18 დღე ჩემთან გაატარა და მან გამაცნო სურათებით თქვენი თავი.

ეს წერილი, ჩემო თამაზ, მიიღე, როგორც მადლობის წერილი იმ სიამოვნებისათვის, რაც მე თქვენმა სურათებმა ამ დღეების განმავლობაში განმაცდევინა და მაგრძნობინა. სურათები, რასაკვირველია, პავლემ თავის უბეში დიდის სიყვარულით ჩაიწყო გამომშვიდობებისას, ისე, როგორც ქართველი დედა პატარა ბავშვს აკვანში აწვენს, მაგრამ თქვენი სახეები ჩემი მეხსიერებიდან აღმოუფხვრელი დარჩებიან.

გიგზავნი ორ სურათს: ერთ მათგანზე ბიძაშენი პავლე ტყემლის გაკეთების მზადებაშია – ნიორს არჩევს სამზარეულოში.

ამ წერილზე პასუხს არ მოველი და ამის მოვალედ თავი არ იგრძნო, უამისოდაც ვგრძნობ თქვენთან სიახლოვეს.

გეხვევით ყველას დიდი სიყვარულით და გულთბილი სურვილებით.

თქვენთვის უცნობი ბიძია დათიკო ვაშაძე
20.9.1965 წ.

ასევე ხშირად მასპინძლობდა პავლე ვაშაძე რეზო თაბუკაშვილს და მედეა ჯაფარიძეს, როდესაც რეზო თაბუკაშვილი საფრანგეთში დოკუმენტური ფილმების გადასაღებად დადიოდა, იმ დოკუმენტური ფილმების, სადაც ქართველმა ხალხმა მანამდე უცნობი ადამიანები და ამბები გაიცნო. სამშობლოს სიყვარულმა, მამულიშვილობამ შეაძლებინა რეზო თაბუკაშვილს თითქმის შეუძლებელი, მან გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც თავისი ქვეყნის წარსულსა, ანმყოსა და მომა-

ვალზე თავდავინყებით შეყვარებულ ინტელიგენტს შეეძლო. თაბუკაშვილმა ისტორიკოსის, მაძიებლის, დიპლომატის გა-საოცარი ნიჭი და ალლო გამოამჟღავნა, არა მარტო თავად აინთო, სხვებიც აანთო, დააჯერა, რომ კეთილი საქმისთვის იბრძოდა და აი, შედეგიც – მან წინაპართა მიერ გავლებულ ხნულში ბევრი დაფარული მარგალიტი აღმოაჩინა. ქართველი ერის ისტორია ბედისა და უბედობის ჭიდილი იყო ძველთაგანვე, დრამატურგმა და რეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა მართლაც რომ გამოადნო დოკუმენტური ხელოვნების სიმართლე ისტორიის ძუნნი, მივიწყებული ფაქტებიდან, ჩვენი ხალხის გმირობას რომ მოწმობდნენ, შორს გადახვენილ, ემიგრაციაში იძულებით გადახვენილი ქართველები გაგვაცნო და მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილზე გადაღებული ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ საკმარისი იქნება ყოველივე ამის დასტურად.

გულნატკენი იგონებს თამაზ ვაშაძე იმ დღეს, როდესაც მამამ, მიხეილ ვაშაძემ დაიბარა და უთხრა, რეზო თაბუკაშვილი ძალიან ცუდად ყოფილა, დღეებს ითვლის, მის სანახავად მინდა წასვლა და ჩემთან ერთად წამოდიო. დღემდე იგონებს თამაზ ვაშაძე ამ შეხვედრას:

– მივედით მე და მამაჩემი. საოცრება დაგვხვდა. უკვე ძალიან ცუდად იყო, სანთლისფერი იწვა, მაგრამ საღი გონებით აზროვნებდა. მედეა ცრემლიანი თვალებით მოგვესალმა. რეზომ სთხოვა, ცოტა ხნით მარტო დაგვტოვე, ბატონ მიშას მინდა რაღაც ვუთხრაო. გავიდა მედეა და ვისაუბრეთ. დღემდე ვერ ვივიწყებ მის სიტყვებს – ვიცი, რომ დღეები დამრჩა, მაგრამ იცი, რას ვდარდობ, რამდენი საქმე დამრჩა გასაკეთებელი ჩემი სამშობლოსთვისო. იგი მუდამ საოცარი, ძვირფასი სიტყვებით იხსენებდა ბიძაჩემს, როგორც ვაჟკაცს, კაცურ კაცს და პატრიოტ ქართველს. რეზო თაბუკაშვილი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

წყნარი, მდორე, სამოცდაათნლიანი კომუნისტური წყობა რღვევას, დაშლას იწყებდა. თითქოს ამის საშველად „პერესტროკა“, გარდაქმნა მოიფიქრეს, რომელიც პირველ რიგში სიტყვის თავისუფლებას და საჯაროობის პოლიტიკას გულისხმობდა. ამ ვითარებამ საბჭოთა რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი აღმავლობა გამოიწვია. მოძრაობის, რომელიც ასე განიმარტება: დაჩაგრული და დამოკიდებული ხალხის და ქვეყნების ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისთვის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკონომიკურ-კულტურული განვითარებისათვის კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. შეიქმნა სხვადასხვა პარტიები – ეროვნულ-დემოკრატიული, სახალხო... და ასევე პირველი არაფორმალური ორგანიზაცია „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. უკვე ღიად ცხადდებოდა, რომ საბოლოო მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, ხოლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი ლოზუნგი – ილიას მოწოდება: „მამული, ენა, სარწმუნოება“.

იმთავითვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპროგრესტო აქციების მიზეზი დავით გარეჯას სამონასტრო კომპლექსთან დაბანაკებული რუსეთის ჯარის მიერ მოწყობილი საწვრთნელი სასროლეთი იყო, რომელიც მეექვსე საუკუნის ისტორიულ ძეგლს დიდ ზიანს აყენებდა. აი, როგორ იხსენებს თამაზ ვაშაძე ამ ამბავს.

– ამ ამბებამდე ვნახე პირველად დავით გარეჯა. ეს ემოცია დღემდე მახსოვეს. ჯემალ ციცვიძესთან ერთად ვიყავი და მაშინვე ერთი დასკვნა გავაკეთე, ვისაც დავით გარეჯა არ უნახავს, მას საქართველო არ უნახავს. საოცრებაა, სასწაული ფრესკებია. ვუყურებდი და მეგონა, აი, ამ წუთას ხატავდა ხატმწერი, ცოტა ხნით გარეთ გავიდა და წუთი-წუთზე ისევ შემოვა-თქო. ზვიადი ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას.

ამან შედეგი გამოილო. სროლები შეწყვიტეს. ფრესკები მაშინ გადარჩა. განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში ზვიად გამსახურდიას მეუღლემ, მანანა არჩვაძემ შეიტანა. ახლა მას ტალახს ესვრიან და ჭორებს უგონებენ დაუმსახურებლად. ის სამაგალითო ქალია თავისი ქცევით, შეხედულებით, პატრიოტიზმით და სამშობლოს სიყვარულით. ახლა რომ გამოდიან, პოლიკარპე კაკაბაძეს რომ დავესესხო, ენას რომ ასარსალებენ იქით-აქეთ, ვის შეეძლო პარტიის ცეკას წინ დაედგა კარავი დავით გარეჯას დასაცავად. ეს იყო მანანა არჩვაძე. მაშინ, როდესაც ბევრი სასტუმრო „როსიაში“ გრიალებდა, ქეიფობდა და სოჩაში ისვენებდნენ, მანანა არჩვაძის და ზვიად გამსახურდიას ოჯახს სდევნიდნენ, რეპრესირებული იყვნენ და დღე და ღამე დევნიდნენ და ავიწროვებდნენ მათ. არავის აქვს უფლება, რომ მასზე რამე დანერონ, სულ ტყუილებს წერენ. რასაც ამბობს მანანა არჩვაძე, ყველაფერს ფაქტებით ასაბუთებს. რატომ ერთი სიტყვა არ უთქვამს ჩემზე, რა, მომერიდებოდა? რატომ არ უთქვამს რამე გიგლა ბახტაძეზე? რასაც ამბობს, ყველაფერს სწორს ამბობს. რამდენი გადაიტანა... ყველაზე დიდი ტრაგმა, ყველაზე მეტი სისხლი გაილო გამსახურდიას ოჯახმა. ტერორი მოუწყვეს ცოტნე გამსახურდიას, კოლხური კოშკი დაანგრიეს, დაწვეს. მახსოვს, კონსტანტინე გამსახურდიას როდესაც ჰკითხა ბუკა ნაკაიძემ, ახლა რაზე მუშაობო, მან უპასუხა, რომანს ვწერ, თამარსო. – თამარ, ასე ხატოვნად უთქვამს. მისი ნაწერები, წერილები, უნიკალური ნახატები დაწვეს. თუ რამე გადარჩა კოლხურ კოშკი გურამ შარაძემ გადაარჩინა. კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახს ტერორი მოუწყო ქართველმა ხალხმა. ლიძავაში სახლი დაუწვეს. აფხაზმა უნამუსოებმა. მისი „მთვარის მოტაცების“ შემდეგ, სადაც აფხაზი თარაშ ემხვარი შეაყვარა ქართველ მკითხველს. სად მოხდა კიდევ ასეთი ამბავი, რომელ ქვეყანაში? შანდორ პეტეფის მუზეუმი გაანადგურეს უნგრელებმა? ბალზაკის სახლ-მუზეუმი ფრანგებმა? პოლონელებმა მიკევიჩის სახლი დაწვეს? გოთეს სახლ-მუზეუმი?.. ვინა ვართ ჩვენ? რა ერი ვართ? სირცხვილია,

ყველაფერი ჩვენი ბრალია, ქართველი ხალხის იმ ნაწილის, რომელიც ასეთ საქმეში მონაწილეობს.

ამ პერიოდში მეტად დაიძაბა სიტუაცია აფხაზეთში, რომლის დაგვირგვინება „ლიხნის თავყრილობა“ იყო, სადაც მიღებული „მიმართვა“ საქართველოსა და ქართველი ხალხის მორიგი ტრადიციული დაბეზღება იყო. აფხაზი სეპარატისტები საქართველოდან გამოყოფას მოითხოვდნენ. რუსეთიდან მხარდაჭერილ მათ ამ მოთხოვნას იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლება ქმედით პასუხს ვერ სცემდა. ამიტომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები გეგმავდნენ აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში მასობრივი საპროტესტო აქციების მოწყობას. 1989 წელი საქართველოს ისტორიაში ქართველი ხალხის მიერ მოწყობილი მრავალათასიანი მიტინგებით გამორჩეულად შეიძლება ჩაითვალოს.

25 მარტს სოხუმში გამართულ მიტინგს 10 ათასამდე ადამიანი დაესწრო. მომიტინგები აფხაზ ხალხს მოუწოდებდნენ, არ ეღალატათ მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური მეგობრობისათვის და აკრიტიკებდნენ კრემლის იმპერიულ პოლიტიკას. მიტინგი მშვიდობიანად დამთავრდა. ასეთივე ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა გალში. საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელობა კი ცდილობდა აფხაზეთში დაძაბული სიტუაციის განმუხტვას და ბიუროების ერთობლივ სხდომებს აწყობდა, რასაც ჯუმბერ პატიაშვილი ხელმძღვანელობდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის უმოქმედობამ ეროვნული მოძრაობის აღშფოთება გამოიწვია, მათ ხელისუფლების პასიურობას მწვავე პროტესტით უპასუხეს და თბილისში მთავრობის სასახლის წინ პერმანენტული მიტინგები დაიწყო, სადაც მომიტინგები თავიდან „ლიხნის თავყრილობის“ ორგანიზატორთა დასჯას მოითხოვდნენ, მაგრამ თანდათანობით მომიტინგების მოთხოვნები რადიკალურად შეიცვალა. მათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლა და სახელმწიფო ორივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოითხოვეს. რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ

ქართველთა მრავალდღიანი შეკრება, ახალგაზრდების შიმშილობა, როგორც ირაკლი წერეთელმა აღნიშნა, „ჰეროიკული, დევგმირული შემართება ქართველი ერისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის“ ქართველთა ერთად ყოფნის, ერის გაერთიანების პირველი შემთხვევა იყო მრავალი წლის მანძილზე, რაც თითოეული ქართველისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო და რაც კიდევ ერთხელ გაცხადდა მერაბ კოსტავას სიტყვაში, რომელიც მან დარბევამდე რამდენიმე წუთით ადრე წარმოსთქვა: „საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ 70 წლის მანძილზე ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლის-ლვრაში, პირველად ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოსდგა ქართველი ერი მტრის წინაშე“ და ყოველივე ეს 9 აპრილს, გამთენიას, დილის 4 საათზე რუსეთის სამხედროების მიერ მომიტინგეთა დარბევით დასრულდა, რასაც მშვიდობიანი მოქალაქეები შეენირნენ. ასობით ადამიანი კი გაზის გაშვების შედეგად მოინამდა.

დილის ცხრა საათზე დაურეკა გურამ გეგეშიძემ. ერთად წავიდნენ რუსთაველზე. სასწაული ხდებოდა, თვალებს არ უჯერებდნენ, წარმოუდგენელი იყო ასეთი რამ. მაჩაბელზე მწერალთა შეკრება გაიმართა, სადაც რუსეთის ჯარის ბარბაროსული საქციელის საპროტესტოდ პარტიული ბილეთები დაყარეს, მათ შორის იყო რევაზ მიშველაძე. მუხრან მაჭავარიანი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადადგომას აპირებდა. 9 აპრილი ქართველი ხალხის ნება იყო, ისინი თავისუფლებას ითხოვდნენ, მაგრამ იარაღი კი არ ეკავათ, შიშველი ხელით იდგნენ წამოსული რუსული ტანკების პირისპირ. უდანაშაულო ხალხი დახოცეს მაშინდელი პირველი მდივნის გორბაჩივის ბრძანებით.

ამ დროს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, დაჭერილები იყვნენ. მოგვიანებით ირაკლი წერეთელიც დააპატიმრეს. თამაზ ვაშაძე ყოველ ჯერზე აუცილებლად აღნიშნავს, რომ ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ გადაარჩინეს საქართველო სირცხვილს. კომუნიზმის წინააღმდეგ ფართოდ მიმ-

დინარეობდა მოძრაობა, თითქმის ყველა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არსებულ სახელმწიფოში. თუმცა ზვიად გამ-სახურდია მუდა აღნიშნავდა, რომ ის რუსი ხალხის წინააღმდე-გი არ იყო, ის კრემლის წინააღმდეგი იყო. აქვე გაიხსენა თამაზ ვაშაძემ ჟირინოვსკის სიტყვები, რომელიც მან ამ პერიოდში ერთ-ერთ გამოსვლაში ზვიად გამსახურდიაზე თქვა: აი, ასეთი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს რუსეთს. ასეთი განათლებული და ასეთი მცოდნეო... დიახ, ამას ჟირინოვსკი ამბობდა, დღეს ქარ-თველთმოძულედ რომ იცნობს ყველა.

მეოცე საუკუნის 80-90-იანი წლები მართლაც მეტად მძიმე, მრავალი პოლიტიკური ცვლილებების, გარდაქმნების წლები იყო. მდორე და ერთფეროვანი კომუნისტური სამოცდაათწლია-ნი პერიოდი ნელ-ნელა წარსულს ბარდებოდა. ამ დროს ტრანს-პორტის სამინისტროს მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოვალეობას ასრულებდა თამაზ ვაშაძე. ამასთან ზვიად გამ-სახურდიასთან წლების წინ დაწყებული ურთიერთობა უფრო მეტად მყარდებოდა და რადგან რეალობაში არსებულ მდგომა-რეობაზე მათი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა, სამომა-ვლო გეგმებიც უფრო ნათელი და ხელშესახები გახდა.

9 აპრილის შემდეგ რაღაც ერთგვარი სისწრაფით მიმდინა-რეობდა პოლიტიკური კატაკლიზმები, ცვლილებები, სხვადასხვა პარტიების მრავალფეროვნება ერთგვარ დაბნეულობას იწვევდა საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ ერთპარტიულ სისტე-მას იყო მიჩვეული. ხელისუფლების სათავეში გივი გუმბარიძე მოვიდა.

ამ დროს უკვე ახლად შექმნილი „მრგვალი მაგიდა“ უახლოე-სი არჩევნებისთვის ემზადებოდა და საქართველოს ყველა რაიონში შეხვედრებს მართავდა. თამაზ ვაშაძე ზვიადის გვერ-დით იყო, თითქმის ყველა შეხვედრას ესწრებოდა, რომელთაგან ყველაზე განსაკუთრებულად სოხუმის სტადიონზე ჩატარებულ შეხვედრას იხსენებს.

სოხუმში მრავალი შეხვედრის ჩატარების შემდეგ გვიან ღამით სტადიონზე შეკრებილი ხალხი მოუთმენლად ელოდა მათ. ადგილზე მისულთ საოცარი სურათი დახვდათ, მთელი სტადიონი სავსე იყო, ღამის ბინდს ადამიანები ცეცხლმოკიდებული გაზეთებით ანათებდნენ. მთელი სოხუმი იქ იყო. სხვათა შორის არძინბაც იქ იყო. ზვიადს მთელი სტადიონი აღტაცებული, აღფრთოვანებული, იმედიანი მზერით და ნდობით ხვდებოდა. ამ შეხვედრით დაიმედებულმა თამაზ ვაშაქემ ზვიადს უთხრა:

– ზვიად, არჩევნები მოგებულია, მე მსგავსი შეხვედრა არ მინახავს, ეს უკვე ყველაფერს ნიშნავს...

„მრგვალ მაგიდას“ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. ქართველი ხალხისთვის ახალი ერა იწყებოდა, რომლის არსაში ჯერ კარგად ვერ გარკვეულიყვნენ. დადგა ერა, რომელიც ნინაალმდეგობებით, დაპირისპირებით იყო სავსე. ეს ბუნებრივიც იყო. წლების მანძილზე ერთგვარი ინერციით მივუყვებოდით რეალობაში განვითარებულ მოვლენებს, „უფროსი ძმის“ ხელში შემყურედ გადავიქცით და დამოუკიდებლად არსებობას გადავეჩიეთ. ალბათ ამის მიზეზი იყო, ქაოსური მრავალპარტიულობაც. ჩნდებოდნენ ახალ-ახალი ლიდერები, რომლებიც ხან ერთ პარტიას წარმოადგენდნენ და ხან მეორეს... სულ მოკლე ხანში, უკვე სხვა პარტიის სახელით გამოდიოდნენ საზოგადოების ნინაშე. ეს ყოველივე კი უნდობლობას იწვევდა. ამასთან პოლიტიკური სპექტრის სიჭრელე ბევრ მიუღებელ, მანამდე არგანცდილ მოვლენას იწვევდა. ამომრჩეველთა ნდობის მოსაპოვებლად ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ. მაგალითად, „ეროვნული კონგრესი“ ზოგჯერ ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მომხრები იყვნენ.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს ზუგდიდის ცენტრში თამაზ ვაშაძის ყურადღება უცნაური გარეგნობის, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა მამაკაცმა მიიპყრო. ის გზაზე იდგა და გამვლელ-გამომვლელს იხმობდა, მოდით, მოდით, კონგრესს უნდა მივცეთ ხმაო. ვერ მოითმენდა, ინტერესი აუცილებლად უნდა დაეკმაყოფილებინა, ამიტომ მიუახლოვდა.

- ძია კაცო, გამარჯობა.
 - გაგიმარჯოს, – თავაზიანად მიესალმა უცნობი.
 - კონგრესს უნდა მივცეთ ხმა, იცი, ვინ არიან?
 - რა თქმა უნდა, ვიცი, – მოხუცის სახეზე გაოცება გამოიკვეთა, – როგორ არ ვიცი, ზვიად გამსახურდიასია...
 - არა, ძია კაცო, ასე არაა, ზვიად გამსახურდიასი „მრგვალი მაგიდაა“...
 - რა, რას ამბობ, – უეცრად განრისხებულმა მამაკაცმა ხანჯალი გააძრო, ჰაერში გააქნია და ხმამაღლა იყვირა, – ეს როგორ მომატყუეს, უყურე მაგათ, ეს როგორ გამიბედეს...
- ასეთი შემთხვევები ბევრი იყო. არც გასაკვირია, რადგან ახლიდან ვსწავლობდით დამოუკიდებლად ცხოვრებას. ვცდილობდით დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის პირველი ნაბიჯები გადავვედგა. „მრგვალი მაგიდის“ შემადგენლობაში რამდენიმე პარტია გაერთიანდა, დემოკრატიისთვის ყველაზე მეტად მისაღები იყო რამდენიმე პარტიის გაერთიანება, რომლებიც კომუნისტურ წყობას ებრძოდნენ. მაგრამ ბოლოს ველარ აიტანეს ზვიად გამსახურდიას წარმატება. შურმა დალუპა საქართველო. ოპოზიციაში ჩაუდგნენ და ბრძოლა დაუწყეს. თავიდან ბრძოლის ეს მოვლენები კანტი-კუნტად და ცოტ-ცოტა იგრძნობოდა.

1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე პირველად საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნები. დიდი უპირატესობით გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალმა საქართველომ“, რომლის სათავეში ზვიად გამსახურდია იდგა. აფხაზეთის აფხაზურმა მოსახლეობამ „აიდგილარას“ მოწოდებით ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს. „აიდგილარას“ ზეწოლის შედეგად ყველა აფხაზმა დეპუტატობის კანდიდატმა მოხსნა არჩევნებზე თავისი კანდიდატურა. შედეგად პირველად ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში დაფიქსირდა ის, რომ მასში არ იყო არც ერთი ეროვნებით აფხაზი დეპუტატი. ეს კი მძიმე დარტყმა იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის, რაც შემდეგ დიდ ტრაგედიად იქცა.

დილის 6 საათზე „მრგვალი მაგიდის“ წევრები შეიკრიბნენ პარლამენტის უზენაესი საბჭოს დარბაზში. მამა არჩილმა (მინდიაშვილმა) დალოცა შეკრებილები, დარბაზი. დილას სესია გაიხსნა. 157 დეპუტატი იყო „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენელი. სიტყვით გამოვიდა მუხრან მაჭავარიანი, მისალმების შემდეგ მან შემდეგი სიტყვებით მიმართა დარბაზს:

– გამოვხატავ რა ქართველი ხალხის ნებას, დავასახელებ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ.

დარბაზი აღტაცებით შეხვდა ამ წინადადებას. შემდეგი სიტყვა ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა და მისი სიტყვა არა მხოლოდ დარბაზში მყოფთათვის, თითოეული მსმენელისთვის დაუვიწყარი და მეტად ემოციური იყო.

– მადლობელი ვარ ქართველი ერის, ვინც ლირსად მყო ასეთი პატივისთვის...

ამის აღწერა შეუძლებელია. მთელი რუსთაველის პროსპექტი, საქართველო ზეიმობდა, თუმცა ოპოზიცია ჩუმ-ჩუმად ქსოვდა და ხლართავდა ღალატის ბადეს. თუმცა რა გასაკვირია, საქართველოში ხომ არ უყვართ ნიჭიერი, თავდადებული, საქმიანი, პატრიოტი ადამიანი. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ვიცით მათი დაფასება. სიცოცხლეში კი ვებრძვით, ათას-გვარ უარყოფითებს ვეძებთ მის საქმიანობაში, უნდობლობით ვეკიდებით და ვერ ვაცნობიერებთ, რომ ამით მხოლოდ მას არ ვაზარალებთ, მხოლოდ მას არ ვებრძვით. ამით ხომ საერთო საქმეც ზიანდება, საქართველოც ზარალდება, რაც არაერთხელ გადაუტანია არსებობის მანძილზე.

არჩევნების შემდეგ საზეიმოდ გამოცხადდა „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება. მეორე დღეს ვაშაძეების ოჯახში დიდი ნადიმი მოეწყო, რომელსაც 157 დეპუტატი ესწრებოდა და სხვა პიროვნებებიც, სულ ალბათ 200 კაცი იქნებოდა. თამადა ზვიად გამსახურდია იყო, რომელსაც მეუღლე, მანანა არჩვადე ახლდა. იმის მიუხედავად, რომ ზვიად გამსახურდიას არ უყვარდა სტუმრად სიარული და არც დადიოდა ხშირად, მაგრამ მას ძალიან უყვარდა ვაშაძეებთან სტუმრობა და ხშირადაც იყო

ხოლმე მათთან. ამჯერად იგი უძღვებოდა საზეიმო სუფრას. „მრგვალი მაშინის“ გამარჯვება პირველად ვაშაძეებთან ალი-ნიშნა. მიხეილ ვაშაძემ საგანგებოდ საგულდაგულოდ მოწნა დაფინის გვირგვინი წარწერით „საქართველოს გადარჩენისათვის“ და ზვიად გამსახურდიას მიართვა, რომელიც მკერდზე მოარგო. ამ გვირგვინის ნაშთი დღემდე ინახება ვაშაძეების სახლში. ქართველმა ხალხმა როგორც რეფერენდუმში, ასევე არჩევნებში ხმა მისცა და უდიდესი ნდობა გამოუცხადა ზვიად გამსახურდიას და მის ავტორიტეტს.

სულ მალე დაკომპლექტდა მთავრობა. მშენებლობის მინისტრად უნდოდათ თამაზ ვაშაძის დანიშვნა. ამ დროს მან უკვე იცოდა, რომ ძალიან ბევრი მტერი ჰყავდა, შური ბობოქრობდა საქართველოში, მთელი მისი სამშენებლო საქმიანობის დროს მან ბევრი მტერი გაიჩინა, რადგან საქმის კეთება უყვარდა, ვერ იტანდა უცოდინრებს, არაპროფესიონალებს, ზარმაცებს... თუ საქმეს ხელს მოჰკიდებდა, ღამეების თენებაც რომ დასჭირვებოდა, აღებული პასუხისმგებლობა აუცილებლად დანიშნულ ვადებში ბოლომდე უნდა შეესრულებინა, რაც, რა თქმა უნდა, უკმაყოფილებას იწვევდა ზოგიერთში. ამიტომ მან უარი თქვა მინისტრის თანამდებობაზე, რომელიც შესთავაზეს და ამ ადგილზე გურამ მირიანაშვილის დანიშვნა შესთავაზა. თვითონ მის მოადგილეობას დასჯერდა. გურამ მირიანაშვილი ძალიან მცოდნე, ინტელიგენტი, თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალი იყო. თვითონაც გაოცდა, როდესაც ეს ამბავი უთხრა თამაზ ვაშაძემ. იმ დროს, როდესაც ყველა რბილი სავარძლებისთვის იბრძოდა და და ყველანაირად ცდილობდა, ეს პატივი მიეღო, საკუთარი სურვილით ამაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, დაუჯერებელი და წარმოუდგენელი იქნებოდა ბევრისთვის კი არა, უმრავლესობისთვის.

მოგვიანებით, 1991 წლის 9 აპრილს, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველ-

ზე, უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფო ბრივი და-მოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა და მალევე ზვიად გამსახურდია ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია, რაც იმავე წლის 26 მაისს საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე დადასტურდა.

ამ უჩვეულო პოლიტიკურ კატაკლიზმებსა და სახელმწიფოს აღმშენებლობის მცდელობის, კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის ურთულეს პერიპეტიიებსა და დაპირისპირებებში ჩართულ საქართველოს ბუნებამაც მეტად მკაფრი, შეუბრალებელი გან-საცდელი მოუვლინა. 1991 წლის 29 აპრილს 13 საათსა და 13 წუთზე საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომლის პა-რამეტრები ასეთი იყო – მაგნიტუდა სხვადასხვა შეფასებით 6,9-7,2 რიხტერის სკალით, ინტენსიურობა ეპიცენტრულ ზო-ნაში – 9 ბალი. ეს იყო საქართველოს ისტორიაში უძლიერესი მიწისძვრა. მან გადაფარა 7 800 კვ.კმ. ფართი, რომელზედაც განლაგებული იყო 700-ზე მეტი სოფელი და ქალაქი. ეს მი-წისძვრა ერთ-ერთი ძლიერი იყო კავკასიისათვის და თავისი ენერგეტიკული პარამეტრით უტოლდება ჩრდილოეთ ირანის, სპიტაკის და თურქეთის მიწისძვრას. დაზიანდა ან დაინგრა 50 000-ზე მეტი საცხოვრებელი შენობა, 1 000 საზოგადოებრივი, სასოფლო და სამრეწველო ობიექტი...

ეს პერიოდი პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე რთული პერიოდი იყო საქართველოსათვის, რამაც გამოიწვია პრაქტი-კულად მისი იზოლაცია გარე სამყაროსგან. საქართველო პრა-ქტიკულად პირისპირ დარჩა სტიქიის წინაშე. მეორე დღესვე შეიქმნა სახელმწიფო კომისია და მიწისძვრის შედეგების ლიკ-ვიდაციის შტაბი, რომელმაც კოლოსალური მუშაობა ჩაატარა. შტაბი ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევდა სამუშაოებს. დაზარალებულ რაიონებში გადაისროლეს სამშენებლო ტრეს-ტები, სამმართველოები, საპროექტო ორგანიზაციები. შეუ-ფერხებლად მიეწოდებოდა სამშენებლო მასალები. შემუშავდა შენობათა ტექნიკური შეფასების ექსპრესიული მეთოდები. ჩამოყალიბდა შენობა-ნაგებობების აღდგენა-გამაგრების სტრა-

ტეგია. ადგილებზე მოქმედებდა სპეციალისტთა ჯგუფები. ამ ჯგუფებში შედიოდნენ სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომა-დგენლებიც...

აღსანიშნავია, რომ წლის ბოლოსთვის ნახევარზე მეტი შენობა აღდგა, ან ახლიდან აშენდა. უპირველეს ყოვლისა, მინისძვრით გამოწვეული ნგრევის მასშტაბები, მართლაც რომ, შემზარავი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 14 მაისს ეს დამანგრეველი ბიძგები კვლავ განმეორდა. სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ კოლოსალური მუშაობა გასწია მინისძვრის შედეგების ლიკვიდაციის შტაბმა, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებოდა ყველა სამინისტრო და უნიკება. ეს იყო ერთგვარი „მთავრობა“ მთავრობაში, რომლის ოპერატიული გადაწყვეტილება სავალდებულო გახდა ყველა რანგის სახელმწიფო მოხელისათვის – მინისტრიდან დაწყებული, უბრალო ჩინოვნიკით დამთავრებული. დამკვიდრდა გასამხედროებული, უმკაცრესი დისციპლინა და მომთხოვნელობა. დავალების შეუსრულებლობისათვის მინისძვრის რეგიონებში ადგილებზე ჩატარებულ ყოველკვირეულ სამუშაო თათბირებზე ოპერატიულად თანამდებობიდან იხსნებოდა ნებისმიერი რანგის ჩინოვნიკი.

შესაშური ენერგიითა და ოპერატიულობით იღწვოდნენ არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომარაგებისა და მატერიალური რესურსების სამინისტროები, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, ნავთობპროდუქტების კომიტეტი, გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის დეპარტამენტი.

მეორე დღესვე ვერტმფრენით გაფრინდნენ რაჭაში, საჩხერეში, ქართლში, რათა დაედგინათ მინისძვრით გამოწვეული შედეგები. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ შტაბი უნდა შექმნილიყო, რომელიც სამუშაოებს უხელმძღვანელებდა, რომლის უფროსად თამაზ ვაშაძე უნდა დაენიშნათ. მან შექმნა გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: შოთა ლომიძე, უდიდესი მშენებელი, ირაკლი არობელიძე, ასევე დიდი მშენებელი, ტრესტის მთავარი

ინჟინერი და მმართველი, კარლო გოგიჩაიშვილი, რომელმაც თამაზ ვაშაძე, ამ ამბებამდე რამდენიმე წლის წინ, არ გაანთავი-სუფლა მინისტრის მითითებით, ღირსებით აღსავსე კაცი, ანზორ საკანდელიძე, უზენაესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე და საშენ მასალათა მრეწველობის დიდი სპეციალისტი, პროფესორი და რეზონ ტყემალაძე, მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი, ჯაბა კუბლაშვილი, დიდი პროფესიონალი. ეს ექვსი ადამიანი შეიკრიბა მის გარშემო და მან მათ უხსრა:

– მოდი, შევთანხმდეთ ერთ რამეზე. ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან, არ არსებობს გადაწყვეტილება, რომლითაც შეცდო-მას დავუშვებთ. არავითარი შეცდომა, არავითარი მორიდება, არავითარი უკან დახევა. ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს სამართლიანი და სწორი. ამიტომ ხართ თქვენ აქ. მე ვარ ისე-თივე ადამიანი, როგორიც ხართ თქვენ.

გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა. დადგა საკითხი შტა-ბის შესახებ. უნდა დაემტკიცებინათ შტაბის ხელმძღვანელი. წამოაყენეს წინადადება, რომ შტაბი შეიქმნას ქუთაისში და არა თბილისში. ამას მხარს უჭერდა მურმან ომანაძე, რომე-ლიც იმუამად, ვითომ, მშენებლობას კურირებდა და ამ შტაბის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო ხარატიშვილი, სწორედ ის ხარატიშვილი, რომელთან დაპირისპირების შესახებ უკვე გიამ-ბეთ. წარმოდგენა არ იქნება რთული, თუ როგორი განწყობით შეხვდებოდა ამ გადაწყვეტილებას თამაზ ვაშაძე.

ამ დროს უკანა კარი გაიღო და დარბაზში შემოვიდა ზვიად გამსახურდია. ეს ისეთი მოულოდნელობა იყო, არავინ ელოდა მის მოსვლას.

– რა საკითხს იხილავთ, – მისალმების შემდეგ ყველასთვის გასაგონად იკითხა მან.

– მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების შტაბის ხელ-მძღვანელის დანიშვნას, რომელიც გვინდა ქუთაისში იყოს და ალბათ, ხარატიშვილმა უნდა უხელმძღვანელოს, – იყო პასუხი.

დღემდე თვლის თამაზ ვაშაძე, რომ ცხოვრებისგან ყველაზე დიდი ორდენი და ყველაზე დიდი ჯილდო, რაც მან მიიღო, არის

ის სიტყვები, რომლებიც მაშინ ზვიად გამსახურდიამ ყველას გასაგონად თქვა.

— ქართველი ხალხის ფულს თამაზ ვაშაძის გარდა მე არავის არ ვანდობ. ეს საკითხი გადაწყვეტილია და განხილვას არ ექვემდებარება. — შეპასუხებაც ვერავინ გაბედა.

ეროვნული მთავრობის დროს ქართველი ერის წინაშე ისეთი საქმეების გაკეთება, როგორიც შეძლო თამაზ ვაშაძემ, ვერავინ შეძლო. მან გაამართლა ზვიადის ნათქვამი. მან ზუსტად შეასრულა ეს საკითხი, რითიც მუდამ ამაყობს. დახარჯა ის თანხა, რაც გამოყოფილი იყო — მიღიარდი რუბლი, მაშინ, როცა დოლარი 60 კაპიკი ღირდა და მთელ საქართველოში ერთ კაცსაც ვერ ნახავთ, რომელიც თუნდაც ეჭვის დონეზე იტყვის, რომ მან რამე დახარჯა არა მიზნობრივად, ანგარებით. პირადი მაგალითი ყველაზე მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ერთგვარი სტიმულია დანარჩენებისთვის.

განკარგულებას ხელი ზვიად გამსახურდიამ მოაწერა. ამ განკარგულებით მას ძალიან დიდი უფლებები ჰქონდა, რაც ფორსმაჟორის დროს გათვალისწინებულია. ყველა მინისტრს და ყველა სახელმწიფო მოხელეს დავალებებს აძლევდა, მან მთელი მშენებლობები გააჩერა მთელ საქართველოში. მთელი რესურსები მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს უნდა მოხმარებოდა. დაიწყო ბრძოლა. მიწისძვრიდან უკვე მესამე დღეს ბეტონის ქარხანა ამუშავდა საჩხერეში. შეიქმნა კომპლექსები — ჭიათურის, საჩხერის, ამბროლაურის, ონის, ქართლის, ზესტაფონის, ყველა მათგანს უფროსი ჰყავდა, რომელიც დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაზე აგებდა პასუხს. ჭიათურაში იყო კაპანაძე, საჩხერეში — ქევხიშვილი, ზესტაფონში — გაჩეჩილაძე, ამბროლაურში — ხარაბაძე, ონში — ბერიკაშვილი, ავთო ჩალაძე... თამაზ ვაშაძემ გააუქმა დამკვეთის ფუნქციები, სადაც წვრილმანი ქურდები იყვნენ მოკალათებულნი. ეს ფუნქცია მიანიჭა დანგრეული სახლის პატრონს. გამოყო ინუინერი, რომელიც ყველა საბჭოში იჯდა და კონსულტაციას უწევდა. ამან გაამართლა, დიდი შედეგი

გამოიღო, რითაც ყოველგვარი მიკერძოება და ანგარება გა-
მოირიცხა.

ქართლში იყვნენ ძმები დონდუზაშვილები, პავლე – ცნო-
ბილი მშენებელი და ირაკლი – შესანიშნავი ინჟინერი. მათ
ევალებოდათ სამაჩაბლოში მიწისძვრის შედეგად დანგრეული
შენობების აღდგენა-გამაგრება და მათ ლომის წილი შეიტანეს
ამ საქმეში. მათ სპიტაკის და ლენინაკანის მიწისძვრის დროს
იმუშავეს და ამიტომ დიდი პრაქტიკა ჰქონდათ გავლილი ამ
საქმეში. სომხეთის მიწისძვრაც ახალი მომხდარი იყო და იქ
საქართველოდან წალებული ბევრი ტექნიკის და ინვენტარის
უკან ჩამოტანა გადაწყდა, რათა ენარმოებინათ სამუშაოები,
მაგრამ იქ, სომხეთში უარი განაცხადეს ამის დაბრუნებაზე. ეს
მექანიზმები დმანისთან ახლოს მდებარე სომხეთის ერთ-ერთ
ქალაქ კალინინში ჰქონდათ, სადაც დონდუზაშვილი კალინინის
სამშენებლო ტრესტის მმართველი იყო სომხეთში მომხდარი მი-
წისძვრის დროს. როდესაც თამაზ ვაშაძემ ამის შესახებ შეიტყო,
ასე უთხრა დონდუზაშვილს:

– ჩვენი ეს ამდენი ექსკავატორები და ტექნიკა, რაც კა-
ლინინშია, როგორმე დმანისში ჩვენს ტერიტორიაზე უნდა
გადმოვიყვანოთ.

– დიდ წინააღმდეგობას გვიწევენ, ბატონო თამაზ, – დანა-
ნებით თქვა დონდუზაშვილმა.

– რას ამბობ, მაშინ შენ იქ უნდა წაიღო ის, რაც ჯოჯოხეთს
ანათებს, – უსიტყვოდაც ყველაფერი ნათელი იყო. მან მართ-
ლაც პირნათლად შეასრულა ეს დავალება.

განსაკუუთრებული დაზიანებები მიწისძვრით აღინიშნებოდა
ონში. ერთ-ერთი შემონმების დროს დანგრეული სკოლის წინ
როდესაც იდგნენ, თამაზ ვაშაძე დაპირდა, ორ თვეში ოთხსარ-
თულიან სკოლას ავაშენებოთ.

– რას ამბობ, თამაზ, როგორ შეგიძლია ასეთი ტყუილის
თქმა, – გაოცება ვერ დამალა იქ მყოფმა ელიზბარ ჯაველიძემ.

– როგორ არა, იქნება, აგერ ნახავ, თუ არ იქნება, – დარწ-
მუნებით უთხრა თამაზ ვაშაძემ და მართლაც შეასრულა დაპი-

რება. მის მიერ გაცემულ დავალებებს ყველგან ორი თანაშემწე აკონტროლებდა, იწერდა ყველაფერს და თათბირზე შესრულების შესახებ მოახსენებდა და თუ ფერხდებოდა შესრულება, ამის მიზეზებსაც არკვევდა.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველივე ის, რაც მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში და მათ შორის ჭიათურაში კეთდება, პრეზიდენტის განკარგულებით ხდება. ამიტომ ჭიათურელები ვალდებული ხართ გვერდში ამოუდგეთ საქართველოს და მის პირველ პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას. — ეს სიტყვები არაერთხელ წარმოუთქვამს ყოველ პარასკევს ჭიათურაში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის სხდომებზე, რომელსაც ესწრებოდნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სამშენებლო კომპლექსების უფროსს, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილეს თამაზ ვაშაძეს. გარდა აღდგენითი სამუშაოებისა შტაბის სხდომებზე დაზარალებულებთან შეხვედრები იმართებოდა, მათთან პირად საკითხებზე მუდამ იჩენდნენ ყურადღებას, რადგან თამაზ ვაშაძემ ყველა გააფრთხილა, — ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ დაგეხმაროთ, ყველაფერზე მოდით ჩვენთან, ყველაფერს გაგიკეთებთ, ადამიანს შეიძლება არ გაუკეთო, ვერ გაუკეთო, მაგრამ არ მოუსმინო, ეს არაფრით არ შეიძლება, ეს დანაშაულია, რადგან რაც კი შექმნილია სამყაროში, ყველაფერი ადამიანისათვისაა შექმნილი, მთავარი ადამიანია. ამიტომ უნდა დავრჩეთ ადამიანად, მარადიული ხომ არაფერია, ამ ქვეყანაზე მხოლოდ სახელი დარჩება.

მშენებლებს უდიდესი სამუშაოს შესრულება უწევდათ. ყოველ შაბათს, 12 საათზე საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურის და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბატონი თამაზ ვაშაძე ატარებდა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბის სხდომას, რომელსაც ესწრებოდნენ მშენებლობის, არ-

ქიტექტურის, განათლების, ჯანმრთელობის, კომუნალური თუ სხვა სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც უმუალოდ მონაწილეობდნენ შტაბის მუშაობაში... მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამშენებლო მაკონრდინებელი შტაბის სხდომაზე შტაბის თავმჯდომარეს, თამაზ ვაშაძეს ერთგვარად ანგარიშს აპარებდნენ მშენებლები. შრომაში გამოპრძმედილმა ადამიანებმა იტვირთეს გორში, ქარელში, საჩხერეში, ჭიათურაში, ონში და სხვა რეგიონებში სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია. რომელ სოფელშიც არ უნდა შესულიყავი, ყველგან სამშენებლო მოედნები დაგხვდებოდათ. ზოგან ბალავარს ჭრიდნენ, ზოგან დაზიანებულ სახლს ფრთხილად მლიდნენ, რათა ძველი მასალა გამოყენებინათ ახალი მშენებლობისათვის. გზებზე განუწყვეტლივ მოძრაობდნენ თვითმცლელი მანქანები.

კომუნიზმის ზეობის პერიოდში საკმაოდ კარგად იყო განვითარებული მასმედიის, პერიოდული პრესის მუშაობა და ახლადგამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველოს გაზეთებში სისტემატიურად შუქდებოდა მიმდინარე სამუშაოები, სადაც გარკვევით იკითხებოდა პრობლემებიც, მიღწეული შედეგებიც, მშენებელთა თავდადებაც, ერთგულებაც, შრომისმოყვარეობაც, ნაკლოვანებებიც, რომელთა აღმოფხვრასასაც ცდილობდნენ და ხშირად კიდეც ახერხებდნენ. სწორედ იმ პერიოდის პერიოდული პრესის განხილვის შედეგადაც თვალნათლივ ჩანს, თუ როგორი მასტაბის მუშაობა მიმდინარეობდა მიწისძვრის სალიკვიდაციოდ, რასაც სათავეში თამაზ ვაშაძე ედგა. ამის დასტურად საგაზეთო მასალების მხოლოდ სათაურებიც კი საკმარისი იქნება – „ხალხი ღია ცის ქვეშ არ უნდა დარჩეს“, „რაჭა არა მარტო აღდგება, აღორძინდება კიდეც“, „გულგრილობა და უპასუხისმგებლობა არავის ეპატიება“, „დრო აღარ ითმენს“, „სამაჩაბლო ყველამ ერთად აღვადგინოთ“, „სამთავრობო კომისიის სხდომაზე“...

ერთ-ერთი საგაზეთო წერილიდან პატარა ამონარიდს მოვიყვან იმის თვალსაჩინოდ, თუ როგორი პრინციპული, საქმიანი, ცეცხლოვანი იყო მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო

სამშენებლო მაკონრდინებელი შტაპის სხდომები. მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ახერხებდა სტატიის ავტორი ჩანაწერის გაკეთებას. „ბატონი თამაზ ვაშაძე მეცნიერებულის განვითარების მინისტრი არავითარი ტექნიკა, სანამ ყველა სოფელში არ მივიყვანთ გზას. ონის რაიონი იქნება უდიდესი თავისი კომპლექსით. სერიოზული შეფერხებები იყო ცემენტსა და საწვავზე, მაგრამ ეს საქმე დღეისათვის მოგვარებულია... გვჭირდება ამნები. ორგანიზაციები მალავენ, კოოპერატივებზე აქირავებენ. დღემდე ვერ მოვერიე ამ საკითხს, ეტყობა „ძალის“ გამოყენებაა საჭირო და არც ამაზე დავიხევთ უკან... კარვების, გასამლელი საწოლების, საბნების საკითხი მოგვარებულია. ინებეთ! გაეცით მასალები მოსახლეობაზე, რომელთა სახლები მცირედ არის დაზიანებული. გამგებლებმა გააკეთონ სია, ვისაც სურვილი აქვს, რომ თვითონ გააკეთოს. მუშის ფულიც მიეცით. ტექნიკური ზედამხედველობა თქვენ გააკეთეთ, ჩალაძეს მიმართა თამაზ ვაშაძე... ქუთაისის ძეგლთა დაცვა ორშაბათიდან, 8 ივლისიდან სინაგოგის გამაგრებას შეუდგება, გაუკეთდება რეკონსტრუქცია... იცოდეთ ყველამ, მარტო აღდგენით სამუშაოებს კი არ ვაკეთებთ, ვაწარმოებთ რაჭის აღორძინებას“!

გაზით „სოფლის ცხოვრების სპეციალური კორესპონდენტის ნინო ყავლაშვილის საგაზეთო წერილი განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ მრავალი საგაზეთო წერილებიდან, რადგან მან ასე შეაფასა რაჭისთვის მოვლენილი ბუნების სასჯელი: „იქნებ მართლაც დასასრული იყოს ეს... განამებული, გატანჯული რაჭის დუხჭირი ცხოვრების დასასრული... ან იქნებ დალლილი და დამაშვრალი, მიტოვებული და მიუსაფარი, სასიკვდილოდ განწირული ბებერი მიწის გმინვა შეასკდა ზეცას, უწყალოდ შეატორტმანა და ერთმანეთს შეალენა ზეაწეული მთები და მიტოვებული სახლები... იქნებ, უბრალოდ, გაზაფხული იდგა და მონატრებული ადგილის დედა ხმამაღლა ეძახდა გაფანტულ შვილებს... და მაინც... რა იყო ეს?! უცრად სასონარკვეთით იღრიალა მომაკვდავმა რაჭამ (შეუმჩნევლად რომ გვეცლებოდა

ხელიდან) და მყისვე ყველანი იქითკენ მიგვახედა... ვკვდები და მიშველეთო, განწირული ხმით ამოიგმინა და იმედის თვალი სრულიად საქართველოს მიაპყრო... იქნებ ეს უბედურება – რაჭის საერთო ნგრევა და განადგურება ყოველივე ძველის, დრომოქმულის, აუტანელის, ცხოვრების ცუდი პირობების ნგრევა და აღმოფხვრაა... იქნებ სწორედ ესაა „დასასრულის დასაწყისი...“ დაინგრა, ისედაც დანგრევის პირას მისული და მის მაგივრად თავისუფალმა საქართველომ ახალი, გონიერი და ღონიერი რაჭის შენება დაიწყო... ბედნიერი ყოფილიყოს ეს დასაწყისი!“ და მოვლენის ამ სევდიან, თითქოს უიმედო შეფასებას ასე პასუხობს მინისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამშენებლო მაკონრდინებელი შტაბის უფროსი თამაზ ვაშაძე: „მინდა დავამშვიდო რაიონის მოსახლეობა, რომ დაზამთრებამდე ყველა ადგილობრივ მაცხოვრებელს ექნება საკუთარი ჭერი, ერთი ოთახი მაინც. ესაა ჩვენი პირველი რიგის ამოცანა. სამუშაოები კი მომავალშიც გაგრძელდება. ამავე დროს ყველას მოვუნოდებ სიმშვიდისა და მოთმინებისაკენ. დაზარალებულნი უნდა ამოგვიდგნენ მხარში, დაიცვან რიგითობა, ერთდროულად ნუ მოითხოვენ ყველაფერს, დააფასონ მშენებლების თავგანწირვა, დაინახონ პრეზიდენტის ზრუნვა, მთელი საქართველოს თანადგომა... აღსადგენ რეგიონებში სამუშაოებს ვიწყებთ ახალი გზების, წყალსადენის, გაზის, ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანით, ხიდების, ფოსტა-ტელეგრაფის, მედპუნქტების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კვების ობიექტების მშენებლობებით. ეს ყველაფერი სოციალურ სფეროს განეკუთვნება და გვინდა, ამ სიკეთემ მტკიცედ მოიკიდოს ფეხი მთაში ჩაკარგულ სოფლებში, შექმნას ისეთი ინფრასტრუქტურა, რომ მცხოვრებლებმა არ მიატოვონ მამაპაპისეული მინა-წყალი, სხვა დროს აქედან წასულები კვლავ დაუბრუნდნენ მშობლიურ კუთხეს. ეს პოლიტიკა უნდა განახორციელოს დაზარალებულ რაიონებში შექმნილმა შვიდმა სამშენებლო კომპლექსმა. მათ ვაჟაცობაზე, სტრატეგიაზე, მოქნილობაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა და-

ტოვონ თავიანთ შემდეგ თანამედროვე ტიპის აყვავებული სოფლები, დაბები და ქალაქები. შთამომავლობა ამით შეაფასებს ქართველ მშენებელთა ნაღვანს“.

რაჭის აღმშენებელთა ერთ-ერთი მორიგი თათბირის გახსნისას ნიკორწმინდელმა და რაჭა-ტყიბულის მთავარეპისკოპოსმა მეუფე ამბროსიმ აღნიშნა ის დიდი წვლილი, რომელიც მიწისძვრით დანგრეული რეგიონების აღდგენის საქმეში მიუძღვით მშენებლებს და დალოცა ისინი. თავად თამაზ ვაშაძე ასე აღწერდა იმ სამუშაოებს, რომლებიც მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ეკლესია-მონასტრების აღსაღენად განხორციელდა: „უპირველეს ყოვლისა, დადგენილი იყო პირველი რიგის სამუშაოები. სულ 21 ძეგლის ხელახალი აგება და აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა. ესენია: ნიკორწმინდა, კაცხის და ბარაკონის ტაძრები, ზემო კრიხის, ბუგეულის, სორის, ჭალის, სავანის, იკორთის, მრავალძალის ეკლესიები, ონის სინაგოგა, აკაკი წერეთლის სხვიტორის სახლ-მუზეუმი და სხვა. მიწისძვრით დაზარალებული ძეგლები მთლიანად უზრუნველყოფილი იყო ძირითადი საშენი მასალით. თავად მე მორწმუნე კაცი ვარ და ეს სამუშაოები წმინდა საქმედ მიმაჩნია, დიდი ღვანლი დაგვდეს საქართველოს ეკლესიამ და პირადად უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ“.

ყოველი თათბირი, რომელსაც თამაზ ვაშაძე ატარებდა, გამორჩეული იყო დასახული მიზნის და ამოცანების უაღრესად მნიშვნელოვანი დანიშნულებით, რასაც თითოეული დამსწრე აცნობიერებდა. თამაზ ვაშაძე დავალებებს აძლევდა მშენებლებს. შემდეგ კი შედეგებზე მოხსენებებს ითხოვდა. და მართლაც, იმ დროს შეუძლებელი იყო თვალში არ მოგხვედროდა გზებზე მრავლად მიმობნეული ტვირთმძიმე მანქანები, რომლებიც სამშენებლო მასალებით, კონსტრუქციებით, მექანიზმებით, საცხოვრებელი ვაგონებით დატვირთული კოლონებად უწყვეტნაკადად მოედინებოდა გზებზე.

და განსაკუთრებით აღსანიშნავია სწორედ ერთ-ერთ ამ სამთავრობო სხდომაზე შტაბის თავმჯდომარის, თამაზ ვაშაძის მიერ გამოტანილი საკითხი იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო სამაჩაბლოს ზონაში მოქმედულ სოფლებში აღდგენითი სამუშაოების დაჩქარების თაობაზე. „სამაჩაბლოს ზოგ სოფლებში კვლავ წამოყვეს თავი ოსმა სეპარატისტებმა, რომლებიც კომპლექსის ორგანიზაციებს არ აძლევენ მუშაობის საშუალებას. აუცილებელია გადამჭრელი ღონისძიებების გატარება, რომ დასახული გეგმა განხორციელდეს და აცივებისას ხალხი ღია ცის ქვეშ არ აღმოჩნდეს“, აღნიშნა თამაზ ვაშაძემ შტაბის ერთ-ერთ სხდომაზე. შეკრებილთ სთხოვა, რომ თავიანთი ორგანიზაციების ყველა წევრს კიდევ ერთხელ განუმარტონ, სამაჩაბლოს აღდგენის უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა, ამიტომ ისინი უნდა მოერიდონ კონფლიქტებს ოსურ მოსახლეობასთან, არ აჰყვნენ სეპარატისტთა პროვოკაციებს, რადგან ასეთი და მსგავსი ღონისძიებები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს, მისი დამოუკიდებლობის მოპოვების წინააღმდეგაა მიმართული. ასევე, როგორც გაზეთი იუნიება, ითქვა, რომ რამდენიმე დღეში ექსპლოატაციაში გაიშვება ცხინვალზე შემოსავლელი გზა, რაც საშუალებას მისცემდა მშენებლებს შეუფერხებლად და უსაფრთხოდ მიეღოთ სამშენებლო მასალები. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველა ზომას იღებდა სამაჩაბლოს დაზარალებული სოფლების სამშენებლო მასალებით შეუფერხებლად მომარაგებისათვის.

დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც სამაჩაბლო ოკუპირებულია, დღითიდღე ოკუპანტი რუსეთი კვლავ მოიწევს მცოცავი ანექსიით მტკაველ-მტკაველ ჩვენს მიწაზე, მაშინდელ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან ამოკითხული ინფორმაციები, თუ როგორ ერთგულად, საქმიანად, პროფესიონალურად შენდებოდა სტიქიით დანგრეული შენობები, გულისტკივილთან ერთად ერთგვარ სიამაყის განცდასაც ბადებს და იმედს, რომ სამართლიანობა აღდგება

და ტერიტორიებიც დაბრუნდება. აი, რას წერდა მაშინ, 1991 წლის ივლისში პრესა: „არამყარი პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად სამაჩაბლოში ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ გამოიჩინა თავი. მაგალითად, სოფელ ქურთაში გორის N3 სამშენებლო ტრესტის მუშაკებმა უკვე დაამთავრეს მოსამზადებელი სამუშაოები, დაიწყეს 6 სახლის მშენებლობა, კარგად მუშაობს N9 სამშენებლო ტრესტის კოლექტივი თამარაშენში და ჯოჯიანთუბანში, თუმცა, როგორც საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ, სამშენებლო შტაბის უფროსმა ბატონმა თამაზ ვაშაძემ აღნიშნა, სამაჩაბლოში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების ტემპი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. დღემდე სრულად ვერ აამოქმედეს დიდი პოტენციური შესაძლებლობები. თამაზ ვაშაძემ მკაცრი მითითება მისცა სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომ ზუსტად დაიცვან სამშენებლო მასალების განაწილების წესი და გააუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან შემოზიდული მასალების არადანიშნულებისამებრ ხარჯვა, გამოიჩინონ მაღალი შეგნება, უკანა პლანზე გადადონ პირადი ინტერესები და ყველაფერი იღონონ აღდგენითი სამუშაოების დადგენილ ვადებში და ხარისხიანად შესასრულებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები. ყურადღება გამახვილდა დანგრეული და დაზიანებული ისტორიული ძეგლების, განსაკუთრებით იკორთის აღდგენაზე. ითქვა, რომ მზადაა საჭირო რაოდენობის ხარაჩოები, შექმნილია სპეციალური ბრიგადა, რომელიც სათანადო პირობების შექმნისთანავე შეუდგება აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოებს“.

ფოთში ამ დროს უნდა ჩატარებულიყო ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში. რომან მელია იყო ამ სათხილამურო სპორტის თავმჯდომარე, რომელიც ანარმოებდა

ამ საკითხზე მოლაპარაკებას და გადაწყდა, რომ ფოთში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ როგორ, ფოთი ძალიან ცუდ დღეში იყო. ზვიად გამსახურდიამ თამაზ ვაშაძეს დაავალა, თუმცა მონინაალმდეგებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, ამას თამაზ ვაშაძე ვერ შეძლებსო. თანაც ამ პერიოდში აჭარის სტიქიამაც მოუსწრო, წყალდიდობამ დაანგრია ხიდები, გზები... იქიდან ასლან აბაშიძე ურეკავდა ზვიად გამსახურდიას, მომეშველე, ცუდ დღეში ვართო. ზვიადმა დაიბარა თამაზ ვაშაძე. მოლაპარაკეს და ყველაფერი გადაწყდა. ბათუმის წყალსადენის მშენებლობა დაიწყო. ხანგრძლივი წვიმების შედეგად მოვიდა არნახული რაოდენობის ნალექი. ადიდდა მდინარეები, რამაც დიდი მატერიალური ზიანი მიაყენა აჭარის ზღვისპირეთს. განადგურდა მრავალი ხიდი. განსაკუთრებით დაზიანდა ჩაქვის მილსადენი და სათავე ნაგებობასთან მისასვლელი გზა.

როდესაც თამაზ ვაშაძე ბათუმში ჩავიდა, ასლან აბაშიძესთან ერთად მოინახულა ჩაქვის წყალსადენი. დაწყებული საქმე ნელა და დარღვევებით მიმდინარეობდა და ფაქტიურად შეჩერებული იყო, 57 კილომეტრიანი წყალსადენი გაოხრებული იყო, მილები დაყრილი, დაუანგებული, ფული შეჭმული, რის გამოც ასლან აბაშიძემ გაუმხილა ვაშაძეს, რომ ტრესტის მმართველის დაჭერა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამის მოსმენის შემდეგ თამაზ ვაშაძემ მას უთხრა:

- ტრესტის მმართველს რომ დაიჭერთ, წყალი მოვა, საქმეს ეშველება... არა, ამიტომ თავი დაანებე და მაგ საქმეს მე მივხედავ.

საქმე სასწრაფოდ დაანაწილა რვა ნაწილად, სხვადასხვა ტრესტის მმართველს დაავალა გარკვეულ მონაკვეთებზე გასაკეთებელი საქმე. სათავო ნაგებობა დაავალა ჰიდრომეტრმშენის მთავარ ინჟინერს შარაშენიძეს, შესანიშნავ მშენებელს და თავის საქმის მცოდნეს. წყალსადენების ფილტრაცია და სტერილიზაცია დაავალა წყალსადენების სამმართველოს უფროსს იუზა ცარციძეს, რომელიც გამოცდილი პროფესიონალი იყო.

დაიწყო ჩაქვის წყალსადენის აღდგენა და სათავე ნაგებობის დარჩენილი სამუშაოების შესრულება. ამ საქმეში შეუფასებელი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მაშინდელი მშენებლობის მინისტრის მოადგილეს თამაზ ვაშაძეს, რომელიც კურირებდა აჭარაში მიმდინარე აღმშენებლობით საქმიანობას. რამდენიმე თვეში თამაზ ვაშაძე გადაიყვანეს თბილისის მერის თანამდებობაზე. მიუხედავად ამისა, იგი კვირაში ორი-სამი დღით აჭარაში ჩადიოდა და თავის დაწყებულ საქმეს თავადვე ხელმძღვანელობდა. „წყალი მოვიდა!“ ამ სანუკვარი სიტყვების გაგონებას წლების მანძილზე ელოდებოდნენ ბათუმელები და როგორც იქნა გახსნეს მთავარი სარქველები, სასმელმა წყალმა ქალაქის მაგისტრალს მიაშურა და ამ საქმეში თამაზ ვაშაძეს ლომის წილი ჰქონდა მიღებული. წყალი მოვიდა ბათუმში. ეკოლოგიური კატასტროფა ასე მოგვარდა“ (თეომურაზ კომახიძე. „ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების ისტორია“. გამომც. „აჭარა“. 2000 წ.).

ასლან აბაშიძის ძალისხმევით და თამაზ ვაშაძის ხელმძღვანელობით დანგრეული ხიდების ნაცვლად, სულ მალე აიგო კაპიტალური რკინა-ბეტონის ხიდები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭოროხის ხიდი, რადგან თურქეთში სამუშაოს საძებნელად მიმავალთა დიდი რიგები კვირების მანძილზე იდგნენ. ხიდის მშენებლობა კი იყო დაწყებული, მაგრამ მხოლოდ ფუნდამენტები. ჭოროხის ხიდის მშენებლობა წლების მანძილზე წელ-წელა მიმდინარეობდა. არადა არ ეშველა დამთავრება. შეკრიბა პროფესიონალები, ითათბირეს, გადაწყვიტეს, უნდა დაეჩქარებინათ მშენებლობა. მთლიანი ძალით ჩართო ხიდების სამართველო. კონსტუქციების დამზადება ქუთაისიდან დაწყებული თბილისის ყველა ქარხანას დაავალა ნაწილ-ნაწილ, რომ სასწრაფოდ გამზადებულიყო. მეტალის კონსტრუქციები დაამზადა კაკო ლოლუამ, ის იყო მეტალო კონსტრუქციების ქარხნის დირექტორი. მან თითქმის შეუძლებელი შეძლო, იმაზე ადრე ამზადებდა, ვიდრე ვადები იყო დანიშნული. მთელი ძალით მიდიოდა მუშაობა, 24 საათის გან-

მავლობაში. დეკემბერია, უკვე ნელ-ნელა დაიძაპა პოლიტიკური სიტუაცია. ალექო ჩხეიძე იყო ტრანსპორტის მინისტრი, მას სთხოვა, რომ 1000 თვითმცლელი სჭირდებოდა, ასევე სამმართველოს უფროსს მოსთხოვა 20 ექსკავატორი მჭირდებაო სამი დღით. სამი დღის ვადა ჰქონდა, მილიონობით კუბომეტრი დაასხეს პანდუსებზე, იქით და აქეთ მისასვლელ გზებზე. თვითმცლელები მოიხსნა ზუგდიდის, სენაკის, ჭიათურის, ხაშურამდე, თუ სადმე თვითმცლელები იყო, ყველა ჭოროხში იდგა. ექსკავატორები გუგუნებდნენ. ღამის სიჩუმეს მათი ხმა აფხიზლებდა. თამაზ ვაშაძე მაშინ ისვენებდა, ჭოროხზე იდგა და სიამაყით უყურებდა აგუგუნებულ ჭოროხს და კიდევ ერთხელ ცდილობდა მავანთათვის დაემტკიცებინა, რომ ქართველი ერი უდიდესი პოტენციალის ერია, არავინ გაიმეოროს, რომ ის ზარმაცია, შრომისუუნარო... მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობისას საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მხოლოდ მოღალატეს შეუძლია ეს გაიმეოროს. სამი დღის შედეგ ჭოროხის ორივე პანდუსი იყო დამთავრებული. ხიდის მშენებლობაზე ძირითადად დაკავებული იყვნენ დასავლეთ საქართველოს მაცხოვრებლები. მათვის იქვე ხიდზე თამაზ ვაშაძემ პატარა გადახურული ნაგებობები დაუმონტაჟა, რომ ისინი თოვლსა და წვიმას არ შეეწყებინა, ხოლო თანამშრომლებს დაავალა, გაეგოთ მათი საცხოვრებელი ადგილი და ოჯახებისთვის გაეგზავნათ ყუთებში ჩალაგებული სხვადასხვა სანოვაგე – მანდარინი, ფორთოხალი, სხვადასხვა პროდუქტი, რათა მშენებლობაზე მათ გულმოდგინედ ემუშავათ. მაღალი დონის პროფესიონალები შემოიკრიბა და საქმეც სწორედ ამიტომ წარმატებით დააგვირგვინეს. სამ თვეში აშენდა 800 მეტრიანი ჭოროხის ხიდი. ასევე სხვაც ბევრი უდიდესი საქმე გაკეთდა ამ სამის თვის მანძილზე აჭარაში.

ერთია, როდესაც ყოველივე ამას წლების შემდეგ გიყვებიან, მაგრამ გააზრების შემდეგ, ძნელია ეჭვი არ შეიტანო, ნუთუ ერთ ადამიანს შეუძლია მოკლე დროში ასეთ მნიშვნელო-

ვან, გრანდიოზულ მშენებლობებს უხელმძღვანელოს, ააშენოს, დაასრულოს ყოველგვარი ვადების დარღვევის გარეშე. ჩემი უნებლივ დაეჭვება არ გაჰკვირვებია ბატონ თამაზს, თითქოს ელოდა კიდეც ჩემგან ასეთ რეაქციას და აი, რა მიამბო:

– ყოველ დილას ოთხ საათზე, ხუთშაბათს ვიბარებდი მანქანას. მძღოლი გაფრთხილებული მყავდა, რომ დაგვიანება გამორიცხულია. მან იცოდა, რომ ოთხ საათზე დაქოქილი მანქანა უნდა დაეხვედრებია. თუ ამას ვერ შეძლებდა, სამ საათზე უნდა გაჩერებულიყო ჩემს სახლთან, რომ დაგვიანება გამოგვერიცხა. არც საწვავის ჩასასხმელად უნდა გავჩერებულიყავით სადმე, მანქანის ავზი სავსე უნდა ყოფილიყო. უკან ვჯდებოდი მე ორი ბალიშით, თან მიმქონდა პური და მანონი. წინ ორი მძღოლი იჯდა. მთელი სისწრაფით მივდიოდით ფოთში, ვათვალიერებდი მალთაყვის კომლექსს, მაშინ ფოთი ძალიან მოუვლელი იყო. თათბირი გრძელდებოდა საათი და ოცი წუთი. აკრძალული იყო ზედმეტი ლაპარაკი. მხოლოდ საქმე. მერე 10 წუთი საუზმეს ეთმობოდა. რა თქმა უნდა, წევთი სასმელის დალევა არ შეიძლებოდა. განკარგულებებს ვაძლევდი ყველას. ობიექტს შემოუვლიდი, მოსახლეობას ვხვდებოდი, ვაწვდიდი სალებავს, რომ საკუთარი ეზო დაესუფთავებინათ. გარშემო არსებული ტყის დასუფთავებაც მოვახერხეთ, ამაში თავად მოსახლეობა დაგვეხმარა. 12 საათზე უკან ვბრუნდები, შემოვდივარ გორში, ვათვალიერებ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ შენობათა მდგომარეობას. გორიდან მთელი სისწრაფით მივდივარ ჭიათურაში, ლამის 12 საათზე დანიშნული მაქვს თათბირი მაღაროელთა დანგრეული სახლების მდგომარეობის შესახებ. მთელი ჭიათურის ხელმძღვანელობა იქ არის, ტრესტის მმართველის კაბინეტში დამის 2 საათამდე ვატარებ თათბირს. მერე მივდივარ დასაძინებლად. ვწვები. დილის ათ საათზე მივდივარ საჩხერეში. იქ შერჩევით ობიექტებს ვათვალიერებ და ვატარებ თათბირს. რას ნიშნავს თათბირი? რა დავალებაც მივეცი, როგორ შეასრულეს, რა უნდათ და რა უნდა გააკეთონ. მოკლედ, კონკრეტულად, ამომწურავად და ტყუილის გარეშე.

არავის ვპატიობ ტყუილს. ამის შემდეგ მივდივარ ჭიათურაში, კულტურის სახლში ვატარებ თათბირს, ვაძლევ დავალებებს. ყველამ იცის, რომ თათბირი არ უნდა გაგრძელდეს, მხოლოდ საათი და ოცი წუთი. იქვე სცენაზე მოჰკონდათ ჩაი, ხაჭაპური... თან ვსაუზმობდი და შეხვედრებს ვაგრძელებდი. ამისთვის მხოლოდ 10-15 წუთი მქონდა გამოყოფილი. მერე მივდიოდი ზესტაფონში, აქ მხვდებოდა ხელმძღვანელობა. აქაც ვაძლევდი დავალებებს, ვგებულობდი სიტუაციას, რა იყო საჭირო, რა სჭირდებოდათ დავალების შესასრულებლად. ამის შემდეგ მივდივარ ამბროლაურში. გზადაგზა ვამოწმებ ასფალტის დაგების ამბებს. ამბროლაურში მხვდება კულტურის სახლი სავსე ადამიანებით. ეპისკოპოსი მეუფე ამბროსი, რაჭა-ტყიბულის ეპისკოპოსი მხვდება. მახსენდება ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ჩემთან მოვიდა ვიქტორ გოცირიძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვოდა ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში, მისგან ბევრი სიკეთე მახსოვდა და დაიჩივლა, რომ მის სახლს ყურადღებას არ აქცევდნენ. გამოვიდახე კომპლექსის უფროსი და ვუთხარი, ყველაფერი გააკეთეთ, ბატონი ვიქტორი ჩემთან მეორედ არ მოვიდეს, თუ მოვა, მხოლოდ მადლობის სათქმელად-თქო. კამაყოფილი ვიყავი, რომ შევძელი მისი ამაგი დამეფასებინა და სიკეთე გადამეხადა მცირედით მაინც. 8 საათზე უკვე ვიყავი ონში, სადაც ვატარებდი თათბირს. ინერტული მასალები ონიდან ქუთაისში იგზავნებოდა. ყველა მანქანა, რომელსაც საამშენებლო ტვირთი მიჰკონდა რაჭაში, უკან ინერტული მასალით დატვირთული ბრუნდებოდა. იქ იყო ჩიორას ხევი, იქაურებმა მითხრეს, აქ ხომ არ გავაკეთოთო. ვითათბირეთ და დამარწმუნეს, რომ ძალიან დიდი საქმე იქნებოდა. მარნეულში მოვხსენით სამსხვრევი მანქანის ერთი კომლექტი და გადმოვიტანეთ ჩიორას ხევში, რაც უკვდავი ინერტული მასალის ბუდე აღმოჩნდა. რამდენიც არ უნდა ამოგელო, რიონს ისევ მოჰკონდა. რამდენიმე დღეში გავუშვით ქარხანა და ამან ძალიან დააჩქარა მშენებლობები. გუნდი ძალიან კარგად მუშაობდა. შაბათ დილით ტყიბულში ვიყავი. სასტუმროში რომ

მივედი, ჩემთვის გამოყოფილი ლუქსი მესამე სართულზე იყო. ისეთი დაღლილი ვიყავი, მესამე სართულზე ასვლის თავიც არ მქონდა. შესასვლელთან პატარა ოთახი შევნიშნე. ადმინისტრატორს ვკითხე, აქ რა არის-მეთქი. ეს ჩვენი ოთახიაო. გავალე კარი, პატარა ოთახია. ჰოდა, ეს ოთახი იქნება ჩემი. თქვენი მაღლა ლუქსი იყოს-თქო. დაღლილობისგან ერთიანად ვითიშებოდი, შაბათს დილის ექვს საათზე მოვდიოდი თბილისში მთელი სისწრაფით. ცოტა ხნით სახლში შევივლიდი, თავს მოვიწესრიგებდი და მივდიოდი სამინისტროში, სადაც მთელი ელიტა მხვდებოდა. აქაც დავალებებს ვაძლევდი ყველას. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ერთ შაბათ დღეს დამიბარა თენგიზ სიგუამ. წავედი მაშინდელ პრემიერ-მინისტრთან და მის კაბინეტში დამხვდა გვარდიის უფროსი თენგიზ კიტოვანი.

— ახლა რაზე დაგიბარეთ, თუ იცი? — მეუბნება სიგუა.

— არა, არ ვიცი. — უხალისოდ ვუპასუხე.

— ეროვნული მოძრაობა, რა თქმა უნდა, კარგია ძალიან, მაგრამ სამხედროებს იარაღი უნდა, აღჭურვილობა... ჩვენ ამის სამუალება არა გვაქვს. ხუთი ათასი ტონა ცემენტი კასპიდან და რუსთავიდან უნდა წავილოთ თურქეთში და იქიდან იარაღი უნდა წამოვილოთ. — ვუსმენ და ვფიქრობ, ხუთი ათასი ცემენტი ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მშენებლობები უნდა გაჩერდეს. — ეს ზვიადთან შეთანხმებულია. — ოდნავი პაუზის შემდეგ დაამატა, რადგან სახეზე უკმაყოფილება ალბათ ვერ დავმალე.

— არ დაგაზარალებთ, ჩვენ ამ ცემენტს ნოვოროსიისკიდან შემოვიტანთ.

— მერე, ნოვოროსიისკიდან შემოტანილი ცემენტი მიეცით, რა პრობლემაა...

— არა, ახლა მაგას ვერ ვასწრებთ, „დაპაჩკებული“ უნდა იყოს ეს ცემენტი, ახლა ეს გავგზავნოთ და მერე ნოვოროსიისკიდან შევავსებთ. ეს ზვიადთან შეთანხმებულია.

ხმა არ ამომილია. არაფერი მითქვამს. წამოვედი შეფიქრიანებული, მოვდივარ, ვერაფრით გამირკვევია ამ გადაწყვეტილების საჭიროება და აუცილებლობა რა იყო და იქვე ფეხით გავია-

რე, ზვიადთან ავედი. მდივანს ვკითხე, ზვიადს ვინ ჰყავს-თქო. არავინო, მიპასუხა. შევედი.

– მოდი, მოდი, თამაზ, – შემომეგება, – რაღაც ხასიათზე ვერ ხარ, რა იყო?

– ახლა სიგუასგან მოვდივარ, ხუთი ათასი ცემენტი უნდა გავგზავნოთო...

– რა? რა ხუთი ათასი? რაღაც ოც ტონა ცემენტზე გვქონდა საუბარი და თანხმობაც არ მითქვამს. უბრალოდ მოვუსმინე და სულ ეგ არის, რას ამბობ... – და ამ დროს შეიგინა, ეს ერთა-დერთი შემთხვევა იყო, რომ ზვიადმა უცენზუროდ მოიხსენია ვინმე. ხმა არ ამომილია. წამოვედი. გამოვიძახე ორივე ცემენტის ქარხნის დირექტორი და სასტიკად გავაფრთხილე, არ გაბედოთ ამის გაკეთება-თქო. მერე ორივე ქარხანაში თათბირი ჩავატარე. შევკრიბე მონინავე მუშები მათ ხელმძღვანელებთან ერთად. ვთხოვე, ოლონდ საქმეს არ ულალატოთ, თქვენს სამშობლოს და რაც გინდათ ის მთხოვეთ-თქო. ერთ-ერთმა მუშამ, მანქანები მოგვეცითო. ყველაფერი გავაკეთე, მანქანები, ავეჯი დავარი-გეთ, ასევე ხელფასებიც მოვუმატეთ. ერთ-ერთი ქარხნის დი-რექტორი მორიდებით მეუბნება, ბატონო თამაზ, არ მიწყინოთ, ერთი „შიგული“ თქვენ მინდა მოგცეთო. გავაჩუმე, „შიგული“ არ მინდა ქრთამად, აი, ცემენტი კი მინდა და დიდი სიხარულით ავიღებ-თქო.

განსაკუთრებული მღლვარებით და ერთგვარი სიამაყის გრძნობით კიდევ ერთ ამბავს იხსენებს თამაზ ვაშაძე.

ერთ საღამოს, გვიან რეკავს მთავრობის ტელეფონი, რო-მელიც სახლში ედგა.

– თამაზ, ხომ არ გაგაღვიძე? – ზვიადი რეკავდა.
– არა, გისმენ, – გააღვიძა, მაგრამ არ გაუმხილა.
– თამაზ, მეუფე ამბროსი იყო ჩემთან და საშინელ დღეშია თურმე ნიკორწმინდა...

– ვიცი. – იცოდა, განმეორებითი მიწისძვრის ბიძგების დროს რომ კიდევ უფრო მეტად დაზიანდა უნიკალური ძეგლი ნიკორწმინდა.

– უნდა უშველო, შენი იმედი მაქვს. თამაზ, ნიკორწმინდა რომ დაინგრეს, ჩვენი შთამომავლობა ვერ გაიგებს გალაჯტიონის ლექსს...

რაღა დააძინებდა. გუმბათი იშლებოდა.

დაუკავშირდა მექანიზაციის სამმართველოს უფროსს ჯე-მალ ღლონტს.

– ჯემალ, სადაც გინდა, როგორც გინდა, სადმე ამწე კრანი უნდა მოხსნა, რომ ხვალ 12 საათზე ნიკორწმინდაში იდგეს.

ამზე კრანი ერთ-ერთ ორგანიზაციას ჰქონდა, ელექტროგა-დამცემი ხაზების სამმართველოს უფროსს, სარალიძეს. გამოყ-ვეს ხალხი, მეორე დღესვე ყველაფერი მზად იყო და საშვილიშ-ვილოდ შეკეთდა უნიკალური ძეგლი.

პოლიტიკური დაძაბულობისა და ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად მაშინდელმა ხელისუფლებამ არნახული ტემპე-ბით დაიწყო რაჭისა და იმერეთის რეგიონში მიწისძვრის შემდეგ აღდგენითი სამუშაოები. რატომღაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ამ საკითხს, რის მიზეზიც დღემდე ბუნდოვანია. მიუხედავად დიდი წინააღმდე-გობისა თამაზ ვაშაძემ, შეიძლება ითქვას, შეუძლებელი შეძლო. ყოველივე ამის დასტურად ერთ-ერთი ინტერვიუდან მოკლე ამონარიდს მოვიყვან, სადაც ბატონი თამაზი თავად გვიამბობს განხორციელებულ ურთულეს საქმეებსა და სირთულეებზე, რომელიც მუდამ ახლდა მას.

„29 აპრილის მიწისძვრა იყო უდიდესი დამანგრეველი ძალის მიწისძვრა. უსახლკაროდ დარჩა თითქმის 50 000-მდე კაცი. მიწისძვრამ მოიცვა სამაჩაბლო, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი და ქართლი. მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ საჭირო იყო რესპუბლიკის სამშენებლო, სამრეწველო და სატრანსპორტო პოტენციალის მანამდე არნახული მასშტაბით მობილიზება, რისი გაკეთებაც შეძლო მაშინდელმა ხელისუფლებამ.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ უზარმაზარ სამუშაოს საქართველო მარტოდმარტო შეეჭიდა. ქართველ ხალხს დიდი წვლილი მიუძღვის ყოფილ საბჭოთა კავშირში

შემავალ რესპუბლიკებში მომხდარი სტიქიური უბედურები-სას წარმოებულ აღმშენებლობით საქმიანობაში. საკმარისია გავიხსენოთ ტაშკენტი, სლავუტიჩი, მახაჩკალა და განსაკუ-თორებით სომხეთი.

სამთავრობო კომისიის შეფასებით მთელი ეს აღდგენითი სამუშაოები, სავარაუდოდ, 4-5 წელიწადში უნდა დამთავრებუ-ლიყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა მოახდინა თავისი შესაძლე-ბლობების ტოტალური მობილიზაცია და ექვს თვეში დაგეგ-მილი მოცულობის 51% შეასრულა. ერთნაირი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ მშენებლები, მრეწველობის, მომარაგებისა და ტრანსპორტის მუშაკები, რკინიგზა, ნავთობპროდუქტების კონ-ცერნი, რესპუბლიკის ავტონისპექცია, შინაგან საქმეთა სამინის-ტროს დაზარალებული რაიონების განყოფილებების მუშაკები.

ამ ერთი წლის მანძილზე რაჭა-ლეჩხუმსა და სამაჩაბლოში გაყვანილ იქნა 730 კილომეტრი გზა. აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობდა მთელი საქართველოს მოსახლეობა. განსაკუ-თორებით მინდა გამოვყო აფხაზეთის მშენებლები, რომლებმაც ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამბროლაურის რაიონში წარმოე-ბულ აღდგენით სამუშაოებს.

ცალკე აღნიშვნის ლირსია სამაჩაბლო. მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, აღდგენით სამუშაოებს ვაწარმოებ-დით ყველა ქართულ სოფელში. ცხინვალის გავლით ასეულობით დატვირთული ავტომანქანა შეგვყავდა იქ და შეგვქონდა სამშე-ნებლო მასალები. აღარაფერს ვამბობ პატარა ლიახვის ხეობის სოფლებზე, სადაც ძალზე ბევრი რამ გაკეთდა. პატარა ლიახვის ბოლო სოფელია ანრის ხევი. ამ სოფელში ოციოდე ქართუ-ლი ოჯახი ცხოვრობს. ისინი სოფლის დატოვებას აპირებდნენ, მაგრამ თავდადებული შრომის შედეგად აღვადგინეთ ყველა დანგრეული სახლი. გავიყვანეთ 10 კილომეტრიანი გზა. ასე შევინარჩუნეთ კიდევ ერთი ქართული სოფელი სამაჩაბლოში.

ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოებში დაიხარჯა 978 მილიონ 195 ათასი მანეთი (1991 წლის განფასებით ამჟამად ეს თანხა შეადგენს დაახლოებით 100 მილიარდ მანეთს).

ცოტა მეგულება ისეთი ადამიანი, რომელსაც ბოლომდე აქვს გაცნობიერებული, თუ რა მასშტაბის უბედურება დაატყუდა თავს ჩვენს სამშობლოს მიწისძვრის შედეგად და როგორი ენთუზიაზმით აღსდგა საქართველოს მოსახლეობა.

მაშინაც მჯეროდა და ახლაც იმ აზრისა ვარ, რომ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ყველაფერი საქმეში გამოჩნდება. მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ საქართველოს მოსახლეობის ასეთი მობილიზება და თავდადება შრომაში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა, რომელმაც თავისი ავტორიტეტის წყალობით შეძლო უბედურებაში ჩავარდნილი ხალხის ერთ ორგანიზმად შეკვრა“.

ქართველმა მშენებლებმა მართლაც საოცრება მოახდინეს, რომელიც მიწისძვრის შედეგად დაზარალებული შენობა-ნაგებობების მშენებლობებთან ერთად ჩაიბარა თამაზ ვაშაძემ და პირნათლად შესარულა დაკისრებული ვალდებულება. სულ რაღაც სამ თვეში ევროსტანდარტების დონეზე ჩააბარეს ფოთის მაღლთაყვის საწყლოსნო კომპლექსი, სადაც ზაფხულში საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა ევროპის პირველობა წყლის თხილამურებით ასპარეზობაში. დიდი ზეიმი იყო. ასი ათასამდე ადამიანმა მოიყარა თავი ფოთში. იყო არნახული განწყობა. სპორტული ღონისძიება ზვიად გამსახურდიამ გახსნა. არადა, სამი თვის ნინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შეიძლებოდა ამ კომპლექსის მშენებლობის დამთავრება. წლების განმავლობაში ის უიმედოდ იყო მიტოვებული და აღარავინ ფიქრობდა ევროპის პირველობის იქ ჩატარებაზე. ამ სამი თვის განმავლობაში, რაც ფოთში აშენდა და გზები მოასფალტდა, მართლაც საოცრება იყო. წლების შემდეგ თამაზ ვაშაძე იხსენებს, რომ ამ საზეიმო სპორტული ღონისძიების ჩატარებისას იმდენ საქებარ, მოწონების, აღტაცების სიტყვებს ისმენდა, რომ ერთგვარად რცხვენოდა კიდეც, განსაკუთრებული რა გავაკეთო, პასუხობდა ყველას.

წარმოიდგინეთ, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 50

000 დანგრეული და დაზიანებული საცხოვრებელი სახლი და ქუჩაში დარჩენილი 50 000 უსახლკარო ოჯახი. ამ 50 000 სახლთან ერთხელ მაინც ხომ უნდა მივიდეს გეოლოგი, გამოიკვლიოს გრუნტი, გადაწყვიტოს, დარჩეს შენობა ადგილზე თუ სხვაგან იქნას გადატანილი, მისცეს კვალიფიციური დასკვნები დამპროექტებლებს. შემდეგ ამ 50 000 სახლთან ხომ უნდა მივიდეს დამპროექტებელი, აზომოს, დაამუშავოს სახლის გამაგრების თუ ახლის აშენების პროექტი. შემდეგ კი მივიდეს მშენებელი და დაინტენსიური და აზომოს მშენებლობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს 50 000 მხოლოდ მოსახლეობის საცხოვრებელი ბინები იყო, ამასთან ერთად ხომ სხვა შენობებიც იყო ადგილზე, ადმინისტრაციული, სკოლები, ეკლესიები, სინაგოგები, საბავშვო ბაღები... იყო კი ამდენი გეოლოგი, დამპროექტებელი, მშენებელი? არადა, მალე ზამთარი დადგებოდა. სად უნდა ეცხოვრათ, მშენებლებთან ერთად, ამ ადამიანებს? ყოველივე ეს ხომ თითქმის შეუძლებელი იყო?

დიახ, ყოველივე ეს მართლაც შეუძლებელი იყო, მაგრამ როცა ქვეყანას მართავს ეროვნული ხელისუფლება და ეროვნული იდეოლოგია, როცა ზეიმობს ეროვნული სული, როცა საქმეს ხელმძღვანელობს თავისი საქმის პროფესიონალი, რომელიც საკუთარი მაგალითით გარშემო შემოიკრებს პროფესიონალებს, საქმის და სამშობლოს მოყვარულ სპეციალისტებს, რომელთათვისაც სხვისი ტკივილი საკუთარი ტკივილივით გაზიარებული იყო, მაშინ შეუძლებელი არაფერია. საქართველო ამ დიდ განსაკუდელს გადაარჩინა სწორედ გარემოებამ, რომ ეს უდიდესი ბუნების კატასტროფა მოხდა ეროვნული სულის ასევე უდიდესი ზეობის უამს, რომლის წინაშეც ყოველივე და მათ შორის სტიქიაც კი უძლურია.

იმ სავალალო სახელმწიფო გადატრიალებიდან 30 წელი გავიდა. მინისძვრით დაზარალებული შენობების აღდგენა-მშენებლობები ამ მდგომარეობის გამო ბოლომდე ვერ დასრულდა. ამის შემდეგ საქართველოში დატრიალებულმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა, ხელისუფლების ცვლილებამ, აფხაზეთის ომმა, პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებამ შეაჩერა დაწყებული მშენებლობების დიდი ნაწილი. ამიტომ ჯერ კიდევ იმ დროებით საცხოვრებლად

მოწყობილ ვაგონებში ცხოვრობს ბევრი ოჯახი. აი, ეს განსხვავებაა ეროვნულ მთავრობას და გადატრიალებით, ღალატით მოსულ, ყაჩალ მთავრობას შორის. აქვე აფხაზეთის ომი ვახსენეთ და აუცილებლად უნდა გავიმეოროთ თამაზ ვაშაძის სიტყვები, როდესაც მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის შესახებ ჰყვებოდა და განსაკუთრებით აღნიშნავდა აფხაზი მშენებლების დამსახურებას დასახული მიზნის დროულად, ხარისხიანად და კარგად შესრულებაში. თერჯოლიდან შოვამდე საქართველოს ისტორიაში პირველად დაიგო ასფალტირებული გზა. შერეული ასფალტი და ბეტონი რაჭაში ბრეზენტგადაფარებული მანქანებით მოდიოდა სოხუმის, გალის და ოჩამჩირის ქარხნებიდან. კარგი ამინდები დაემთხვა. მთელი დასავლეთ საქართველოს ასფალტ-ბეტონის ქარხნები მობილიზებული იყო ამ გზის მშენებლობაზე, როგორც ქუთაისიდან და ამბროლაურიდან, ასევე თერჯოლიდან ამბროლაურამდე. ეს აიოლებდა მასალების გადატანას მიწისძვრის მშენებლობებისთვისაც. ამიტომ უნდა აღინიშნოს, რომ უდიდესი წვლილი ამ საერთო საქმეში აფხაზებმაც შეიტანეს.

მიწისძვრის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებაში აუცილებელი გახდა რკინიგზის სამმართველოს დახმარება. უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზის სამმართველოს უდიდესი ღვაწლი მიუძლის მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. მაშინ სამმართველოს უფროსი იყო რემი ვაშაკიძე, მისი მოადგილეები ბიჭიკაშვილი და კიკნაძე. ორშაბათობით დილის 9 საათზე თამაზ ვაშაძე სელექტორს ატარებდა რკინიგზის ხელმძღვანელობასთან ერთად, ელაპარაკებოდა საჩხერის, ჭიათურის, ქუთაისის რკინიგზის უფროსებს, სადაც უზარმაზარი ეშელონები იდგა და არ იცდებოდა. ცემენტის პრობლემა ჰქონდათ. საქართველოს ქარხნებში, რუსთავსა და კასპში გამომუშავებული ცემენტი არ იყო საკმარისი. ამიტომ ბლაგოვეშევსკის, ჩეჩენო-ინგუშეთის და ნოვორასისკის ცემენტის ქარხნებთან სხვადასხვა გზით დაამყარეს ურთიერთობა, მაგრამ ისინი ცარიელი ცემენტის ვაგონების

ეშელონებს ითხოვდნენ. ცემენტის ვაგონები სპეციფიური, განსხვავებულია. ამ ეშელონების დაკომპლექტებაში დღიდი წვლილი მიუძღვის ვაშაკიძეს, რომელიც წარმატებით აგვარებდა ამ საქმეს. რუსეთის სამი წერტილიდან ლებულობდნენ ცემენტს. ჩეჩენო-ინგუშეთიდან ჯოხარ დუდავესის დახმარებით ლებულობდნენ ცემენტს, ხოლო წოვოროსისკის ცემენტის უდიდესი ქარხნიდან ავთანდილ ჩალაძის დახმარებით, მას ობიექტები ჰქონდა სოჩაში და ამიტომ ასე შეფარვით შემოდიოდა საქართველოში დამატებით ცემენტი. ვაშაკიძე, ბიჭიაშვილი და კიკნაძე დაუღალავად იბრძოდნენ მიწისძვრით დაზარალებული რეგიონების დასახმარებლად.

განსაკუთრებული სიამაყით იხსენებს ბატონი თამაზ ვაშაძე იმ მომენტს, როდესაც მან წლობით არსებულ კორუფციის წყაროს აღმოფხვრას შეუწყო ხელი. ათწლეულების მანძილზე რუსთავის და კასპის ქარხანა პემზას ლებულობდა სასომხეთიდან. თანაც სასომხეთი არავითარ შემთხვევაში არ აგზავნიდა პემზას, სანამ ნაღდ ფულს არ ჩაუტანდი, თუ არ ჩაუტანდი, არ აგზავნიდა. ასევე საკავშირო გოსპლანი, მოსკოვი ამის საფასურად საქართველოს ართმევდა ექსკავატორებს, მექანიზმებს, 13 ვაგონი უნდა მიეღო რუსთავს, ათი ვაგონი კასპს, მაშინ როცა გაცილებით უკეთესი პემზის საბადოები საქართველოში არსებობდა ახალქალაქში და ერედვში. დაიბარა რკინიგზის სამმართველოს ტრესტის მმართველი მეგრელიშვილი, ჭეშმარიტი პატრიოტი და პროფესიონალი. ახალქალაქის რკინიგზა გაიყვანეს, მაგრამ ერთი თვე იმუშავა და მერე გაჩერდა, მიგდებული იყო.

მათი შეხვედრა მაღლე შედგა. ისინი ჯერ კიდევ მაშინ დამეგობრდნენ, როდესაც მიწისძვრის შედეგად დაზიანებული საჩხერის რკინიგზის სადგურის, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენაზე მუშაობდნენ. მაშინ, როდესაც ამ დავალების გამო დაიბარა, ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, რატომაც იყო ასე საშური და აუცილებელი ამ სადგურის სათანადოდ აღდგენა ის იყო, რომ ამ სადგურიდან დიდი აკაკი დადიოდაო. ხანმოკლე მოკითხვების შემდეგ თამაზ ვაშაძე საქმეზე გადავიდა.

– რა შეგიძლია გააკეთო, როგორ დამეხმარები, მარაბ-

და-ახალქალაქის რკინიგზის აღდგენაა აუცილებელი, კარიერი უნდა გავხსნათ ახალქალაქში და რამდენ ხანი შეძლებ მარაბ-და-ახალქალაქის რკინიგზის აღდგენას?

- ორი კვირა დამჭირდება.
- მართლა? რას ამბობ, რა გაგიკეთო, როგორ დაგეხმარო, რა შემიძლია რომ გაგიკეთო.
- არაფერი, საქმეს მივხედოთ, ყველაფერს ეს ჯობია. – მოკლე და საქმიანი იყო პასუხი და შესრულებული სამუშაოც შესაბამისი. ისევე, როგორც საჩხერის სადგური აღადგინა, უნიკალური შენობა შესანიშნავად, ასევე ორ კვირაში მარაბ-და-ახალქალაქის რკინიგზა მოიყვანა წესრიგში და დამთავრდა დამოკიდებულება სასომხეთის პემზაზე. ასე ამუშავდა საქართველოში პემზის კარიერი ახალქალაქში და ერედვში და საქართველოს ქარხნის დირექტორებმა შვებით ამოისუნთქეს, რომ აღარ იყო საჭირო ხელი და ქრთამის გაგზავნა სასომხეთში.

ერთ დღესაც, როდესაც თამაზ ვაშაძე ზვიად გამსახურდიასთან იყო, რათა ჩვეულებისამებრ მოეხსენებინა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ ჩატარებული სამუშაოების შესახებ, კაბინეტში შევიდა სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელმაც პრეზიდენტს დახმარება სთხოვა.

– ბატონობ ზვიად, დიდი გასაჭირი და უბედურება გვაქვს. ყიზლარის ზამთრის საძოვრებიდან მილიონობით ცხვარია გადმოსაყვანი, მაგრამ არის ქურდინა, წართმევა, რადგან უნდა გამოიაროს დაღესტანი, ინგუშეთი, ჩეჩენეთი, ოსეთი... ამიტომ მწყემსები ვერ იღებენ თავზე პასუხისმგებლობას, რომ ამ მილიონ ცხვარს დანაკარგის გარეშე ჩამოიყვანენ ყაზბეგში.

უკვე არეული იყო სიტუაცია. კომუნისტური პარტია ნელ-ნელა იშლებოდა, ხოლო ქართულ ეროვნულ მთავრობას ჯერ არ ჰქონდა ის ავტორიტეტი და გავლენა ამ მეზობელ ქვეყნებთან, სადაც თვითონაც განიცდიდნენ არასტაბილურ გარემოს. ქართული ეროვნული მთავრობა დამოუკიდებლობის

მოპოვებიდან სულ რამდენიმე თვეს ითვლიდა. ახლად ფეხადგ-მული დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ეგრეთ წოდებული „უფროსი ძმის“ ფრთებქვეშ იყო შეფარებული და არ ჰქონდა დამოუკიდებლად არსებობის გამოცდილება, ნელ-ნელა სწავლობდა დამოუკიდებლობას.

ზვიადი ჯოხარ დუდაევს ელაპარაკა და დახმარება სთხოვა. დუდაევმა უთხრა, ცოტა ხანს მაცადე, მე თვითონ დაგირეკავო.

მართლაც რამდენიმე წუთში გაისმა ზარი. დუდაევმა დახმარება აღუთქვა და მხოლოდ ის უთხრა, ერთი პირობით, თქვენი მწყემსები არ ჩაერივნენ ამ საქმეში, ჩვენები ყაზბეგამდე მოიყვანენ ცხვრებსო.

ჩეჩენმა გამცილებლებმა ეს ცხვარი ყაზბეგში მოიყვანეს უკლებლად და პირიქით ნამატითაც. გზად თუ რამე შეხვდათ, ოსების თუ სხვების ფარა, ისიც გამოდენეს, შეუერთეს და მოიყვანეს საქართველოს ტერიტორიაზე. ჩეჩენები იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, ოსებს ძლიერ ეშინოდათ მათი. ასე მოხერხდა ჯოხარ დუდაევის დახმარებით ცხვრის გადმო-დენა ყიზლარის საძოვრებიდან.

რთული დღეები იდგა. უამრავი საქმე იყო მოსაგვარებელი, მოსასაწრები, აუცილებლად გასაკეთებელი, რასაც თამაზ ვაშაძე მუდამ პასუხისმგებლობის გრძნობით აგვარებდა. მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი, უპირველესად მისახედი სახელმწიფოებრივი დანიშნულების საქმე იყო და ერთხელაც სამსახურში მისვლისას მდივანმა მიულოცა.

– გილოცავთ, ბატონო თამაზ, თბილისის მერის თანამდებობაზე დაგნიშნეს.

– რას ამბობ, მე არათერი ვიცი, – გაოცება ვერ დამალა.

ზვიადთან მისვლისას ყველაფერი გაირკვა, იგი თბილისის მერად იყო დანიშნული.

– ზვიად, ასეთ მძიმე საქმეს ვარ შეჭიდებული, ერთი წამი არ მაქვს მოცლა, ხომ არ ჯობია ეს საქმე დავასრულო. სამი

დღე მომეცი და გეტყვი ისეთ კანდიდატურას, რომელიც ამ თანამდებობისთვის იქნება შესაფერისი.

— არა, შენ უნდა იყო, შენ კარგი მუშაობა იცი.

— კარგი, მუშაობაში ნებისმიერი შემეჯიბროს, მაგრამ ამ თანამდებობისთვის ლირსეული შევარჩიოთ. მე კი იმ საქმეს დავასრულებ, რომელსაც უკვე რამდენი თვეა შევეჭიდე...

— არა, გადაწყვეტილია, — არ დაასრულებინა სიტყვა ზვიად-მა. შემდეგ კი მდივანს დაუძახა.

— ის ბრძანება მომიტანე, ხელი რომაა მოსაწერი.

სულ მალე მდივანმა საქალალდე შემოიტანა და ზვიადმა თამაზ ვაშაძის თბილისის მერად დანიშვნაზე ხელი მოაწერა.

იმ დროს მერის თანამდებობაზე პრეზიდენტი ნიშნავდა. ქალაქის მერი პასუხისმგებელია ქალაქის ბიუჯეტსა და სამთავრობო საქმიანობების სტრატეგიულ დაგეგმარებასა და განვითარებაზე მთელი თბილისის მასშტაბით. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თამაზ ვაშაძე პირველი მერი იყო და მას მეტად რთული, ნინააალმდეგობრივი სიტუაცია დახვდა. მოკლე ხანში ისიც შეიტყო, რომ ზვიადს უუბნებოდნენ, არ დანიშნო თამაზ ვაშაძე თბილისის მერად, ეგ ძალიან კონფლიქტური და შეუვალი კაცია, ეგ არ გამოდგება თბილისის მერადო.

— არა, თამაზ ვაშაძეა ერთადერთი, რომელიც საქმეს გააკეთებს, მაგის მეტი საქმის გამკეთებელი კაცი მეორე არაა, — ასე უპასუხა ზვიად გამსახურდიამ ყველას, ვინც ამ დანიშვნის წინაალმდებელი იყო.

ზვიადმა ჰკითხა, როდის წარგადგინო მერიაშიო.

— რად მინდა წარდგენა, თბილისის მერიაში ყველა მიცნობს, მე წარდგენა არ მჭირდება, — უპასუხა თამაზ ვაშაძემ და მართლაც, იგი ხომ ტრესტის მმართველი იყო და თბილისის მერიასთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა და ყველას იცნობდა.

მერიაში მარტო მივიდა, ყოველგვარი წარდგენის გარეშე. ვიოლა ჯაფარიძე იყო იმ დროს კანცელარიის უფროსი. შეშფოთებული დახვდა, გაურკვევლობაში, რადგან იცოდა მისი

ხასიათი. ორშაბათი დღე იყო. იქვე იყვნენ ავტომატებიანი და-ცვის ბიჭები.

— ვიოლა, ასეთ რამეს გთხოვ, რაც აქ არის, ამ კაბინეტში დაუბრუნეთ ჩემს წინამორბედს, ხოლო რაც მერიის სამუზეუ-მო ექსპონატია, გადაეცით მუზეუმს. რაც შეეხება მდივანს, ჩემი მდივანი მოვა, მან იცის ჩემი მოთხოვნები, საქმის კეთების დროს მკაცრი ვარ, წნევა მაქვს, ხან ჩა მინდა... ის ჩემთან შე-ჩვეულია და ასე მირჩევნია.

შეწუხდა მანამდე ვინც იყო მერის მდივანი, სთხოვა, არ გამაგდოო.

— რას ამბობ, რას ნიშნავს გაგაგდო... არავითარ შემთხვე-ვაში, შენ ახვალ მაღლა, ერთი სართულით ზემოთ, გექნება შენი საქმე, ხელფასიც მოგემატება... — მადლიერებით დაშორდა იგი.

ვიოლას კი სთხოვა, დახმარებოდა, რადგან ორშაბათი დღე იყო, მეორე დღეს თავის საქმიანობას უნდა დაბრუნებოდა, მი-წისძვრით დაზიანებული შენობების აღდგენა, ფოთში ევროპის ჩემპიონატიც ჯერ არ იყო ჩატარებული, საქმე უნდა დაეს-რულებინა, მის გარეშე ამას ვერავინ გააკეთებდა. საათივით აწყობილ საქმეს შუა გზაზე ვერ მიატოვებდა.

აპარატის ხალხი თათბირზე ელოდებოდა. ყველამ მიულო-ცა, ზოგმა გულით, ზოგმა მლიქვნელურად... მან სამივე მოად-გილე გაანთავისუფლა. სამსახურის გარეშე არც ერთი არ დაუ-ტოვებია. სხვადასხვა სამინისტროში დაასაქმა ისინი მინისტრის მოადგილეებად. თავის მოადგილედ ნაცადი პროფესიონალები მოიყვანა. არავისთან შეუთანხმებია მათი დანიშვნა. მისი პოზი-ცია სწორედ ეს იყო — დამავალე, მომთხოვე, დანარჩენი შენ არ გეხება, მთავარია საქმე გაკეთდეს. პირველი მოადგილე გურამ გოგიჩაიშვილი, მეორე მომარაგების დარგში ხელაშვილი, მესამე იყო გოცირიძე. თათბირი დამთავრდა ათ წუთში. მან ყველას უთხრა, არ ვაპირებ არავის გათავისუფლებას, ვაჟკაცობა ის არის, ერთად ვიმუშაოთ, რაც იყო, იყო, ჩავიქნიოთ ხელი, მოდი ავაშენოთ ახალი კარგი საქართველო. თანახმა ხართ? დანარჩე-ნი ყველაფერი დავივინყოთ. მთავარია შენი სიკეთის კეთების,

შრომის ბაცილა გადასდო შენს თანამშრომლებს, რომ მათ იწა-
მონ შენი და პროფესიონალები გამოვიყენოთ თავისი საქმიანო-
ბით. მისი მთავარი თხოვნა ის იყო, რომ ყველას ეუბნებოდა, პი-
რადი რამ თუ დაგჭირდათ, მოდით ჩემთან, მითხარით, ვეცდები
დაგეხმაროთ. კვირაში 400 ადამიანს ღებულობდა, მოსაცდელში
მუდმივად იყო ვინმე, ვინც დახმარების თხოვნით იყო მისული.
იგი ყველას ღებულობდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა.
უკმაყოფილო არავინ წასულა. მისი მუშაობის მოტივი მუდმივად
ერთი იყო – ადამიანს შეიძლება არ გაუკეთო, ვერ გაუკეთო,
მაგრამ არ მოუსმინო, ეს არის დანაშაული... უნდა მოუსმინო
და აუცილებლად უნდა აუხსნა, თუ ვერ უკეთებ, რატომ ვერ
უკეთებ, რატომ არ შეგიძლია...

ყველაფერი დაალაგა, დაცვის ბიჭები გვარდიაში გადაიყ-
ვანა. თბილისის ქუჩებში მარტო დავდივარ, დაცვა სულაც არ
მჭირდებაო. ერთხელ, როდესაც გაზეთის ჟურნალისტმა უთხრა,
ჯაბა იოსელიანს შვიდი მანქანა დაცვა დაყვებაო, უპასუხა: რა-
ტომ სჭირდება ჯაბა იოსელიანს დაცვა საზოგადოებისგან, პი-
რიქით საზოგადოებას უნდა ჯაბასგან დაცვაო.

მერობის დროს თამაზ ვაშაძემ უზენაეს საბჭოში შეიტანა
წერილი და მოითხოვა, თბილისში არსებული ათი რაიონი ხუთ
რაიონად გადაეკეთებინათ. იგი თვლიდა, რომ ათ რაიონად თბი-
ლისის დაყოფა მხოლოდ ფულის ზედმეტი ხარჯვა იყო. ათი
რაიონი თავისი მომსახურე პერსონალით, ათი მილიცია, ათი
პროცესორი, ათი მოსამართლე... ხუთ რაიონად დაყოფა ეკო-
ნომიას მოუტანდა მათ. მართლაც ასე გაკეთდა, ოლონდ მაშინ,
როდესაც ქალაქის მერი ის უკვე აღარ იყო. ჩათვალეს, რომ
მისი ეს წინადადება საინტერესო და მეტად საჭირო იყო. ასევე
მოითხოვა თამაზ ვაშაძემ რაიონის პრეფექტების შეცვლა, რად-
გან მისი აზრით მათ საჭირო განათლება არ ჰქონდათ. უმაღლე-
სი განათლება მხოლოდ ერთს ჰქონდა. როდესაც ამის შესახებ
ზვიადს უთხრა, იგი დაეთანხმა და დახმარებას დაპირდა.

ყოველივე ამას წინააღმდეგობა და დაპირისპირებაც ახლ-
და. სულ მოკლე ხანში აღმოჩნდა, რომ მთავრობაში წერილი

იყო შესული, სადაც 9 პრეფექტი ჩიოდა, თამაზ ვაშაძე ცუდად გვექცევა, მკაცრად... დაურეკეს, ზვიად გამსახურდიასთან თათბირია და უნდა მოხვიდეო. რა საკითხია განსახილველიო. არ ვიციო, — იყო პასუხი.

— თუ არ იცი, არც მე ვიცი, ალბათ საჭირო არ იქნება ჩემი მოსვლა, — უპასუხა მან. თუ საკითხი გაურკვეველია, როგორ უნდა მომზადებულიყო, რაზე გაემახვილებინა ყურადღება... მაგრამ ცოტა ხანში ისევ დაურეკეს, პრეზიდენტი გიბარებსო.

თბილისის ათი რაიონიდან 9 რაიონის პრეფექტი აწერდა ხელს ამ წერილს და როდესაც მივიდა, ცხრავე იქ დახვდა, პრეზიდენტის კაბინეტში. ზვიადს ეს წერილი ხელში ეჭირა და მათ მიმართა, ერთი თვეა, რაც თამაზ ვაშაძე ქალაქის მერია, რა გინდათო.

ბოლოს გაუშვა ყველა, მე მივხედავ ამ საკითხსო. თქვენ საქმეს მიხედეთო.

ჯერ კიდევ მშენებლობის მინისტრის მოადგილეობის დროს ქალაქის პროკურორი იყო ქურდაძე. საბურთალოს ქუჩის მაცხოვრებლებმა საჩივარი შეიტანეს, რომ უკანონოდ შენდებოდა კორპუსი. თამაზ ვაშაძემ შემოწმების შემდეგ გასცა განკარგულება, რომ შეეჩერებინათ მშენებლობა, რაც პროკურატურამ გააპროტესტა. ეტყობა ამ მშენებლობას ისინი ლობირებდნენ. ამან თამაზ ვაშაძესა და ქურდაძეს შორის ურთიერთობა ძალიან დაძაბა. ხოლო უკვე თბილისის მერის თანამდებობაზე მასთან ქურდაძე მივიდა, რადგან ქალაქის მერის თანხმობა იყო საჭირო თბილისის პოლიციის უფროსის და პროკურორის დანიშვნაზე. ვაშაძე პატივს სცემდა ქურდაძეს, როგორც თავისი საქმის პროფესიონალს, ღირსეულ და პატიოსან ადამიანს. კაბინეტში შესულმა ქურდაძემ უთხრა:

- ბოდიში მინდა მოგიხადო.
- არ არის საჭირო, არავითარ შემთხვევაში... არა უშავს, ხომ გასწორდა, რაც იყო იყო... — უპასუხა დაუფიქრებლად,

რადგან კარგად იცის, ღვარძლით და ბოლმით ცხოვრება წინ არასოდეს წასულა. ამის ნათელი მაგალითი კი კიდევ ერთი შემთხვევაა, რომელიც ქურდაძეს უკავშირდება.

ორთაჭალაში ცხოვრობდა ცნობილი ებრაელი ჩაშკა, რომელსაც წამლები შემოჰქონდა და ამით არჩენდა ოჯახს, ვაჭრობდა. მასთან ხშირად მიდიოდა თამაზ ვაშაძე, ხან ვის სჭირდებოდა წამალი, ხან ვის, ერთი მეზობელი სიკვდილს გადაარჩინა ჩაშკას წამლით, ფულიც დააკლდა, 20 ლარი, მერე მოგიტანო, უთხრა. არა უშავსო, ჩაშკამ.

რთული პერიოდი იყო, იკრძალებოდა ასეთი საქმიანობა, სპეცულაციას ეძახდნენ და ჩაშკაც დაიჭირეს. იმ დროს ხომ ამ საქმიანობისთვის სჯიდნენ. ეს რომ შეიტყო თამაზ ვაშაძემ, ქურდაძეს დაურეკა, საქმის ვითარება გააცნო და სთხოვა, ჩაშკას თავდებით გამოშვება. მან მოუსმინა, დაპირებით არაფერს დაპირებია. დილის თერთმეტი საათი იყო, საღამოს მდივანმა მოახსენა, თქვენთან შეხვედრა უნდა ჩაშკასო. გაუკვირდა და სთხოვა, შემოუშვა.

— ბატონო თამაზ, რამ მოგაგონათ ჩემი თავი, — თეთრი პერანგი ეცვა ჩაშკას და სახეზე მადლიერების განცდას და ცრემლებს ვერ მალავდა.

— სიკეთემ, — უპასუხა და მართლაც ასე იყო, სიკეთე არ იკარგება.

ერთ დღესაც მდივანმა მოახსენა, თქვენთან შემოსვლას ითხოვს მიხეილ ჯავახიშვილის დაო.

— შემობრძანდეს, — უპასუხა და ყველა საქმე დროებით შეაჩერა. კაბინეტში ტანმორჩილი, სადად გამოწყობილი ქალბატონი შევიდა, რომელიც საოცრად ჰეგავდა მიხეილ ჯავახიშვილს.

— მობრძანდით, ქალბატონო, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

— წლებია, ყველა შევანუხე და მაინც ვერ მოვახერხე. ვერ ვხვდები, რატომ ვერ მოვესწარი, მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლის დადგმას თბილისში...

სასწრაფოდ დაიბარა კულტურის განყოფილების გამგე.

— რაშია საქმე, რატომ ვერ ხერხდება მიხეილ ჯავახიშვილის

ძეგლის დადგმა, როდესაც მოქანდაკეს მზად აქვს?

– იცით, ფინანსები არ გვაქვს... – მორიდებით თქვა კულ-ტურის განყოფილების გამგემ.

– ფინანსები, რას ამბობთ... ახლავე მოაგვარეთ, რომ ეს ძეგლი დაიღვას და არანაირი პრობლემა არ შეიქმნას.

დაფინანსების ბრძანება გასცა. ქალბატონს ბოლიში მოუხა-და და დაპირდა, რომ ამ საკითხის მოგვარებაზე აუცილებლად იზრუნებდა. მას მერე, როდესაც ელბაქიძის დალმართზე მოხ-ვდებოდა, მუდამ მიხეილ ჯავახიშვილის სახლს უყურებდა და ახსენდებოდა მოარული ამბავი, რომ სწორედ მიხეილ ჯავახიშ-ვილის მოპირდაპირედ ბერია ცხოვრობდა, მისი ფანჯრებიდან ბერიას სახლი ჩანდა და ხშირად თურმე გაბრაზებული მიხეილ ჯავახიშვილი ფანჯრებს ურახუნებდა ხოლმე ბერიას სახლის მიმართულებით. მერე მალევე გადატრიალება მოხდა და ვინ დადგავდა მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლს, როდესაც მისი მოძუ-ლე მთავრობა მოვიდა ხელისუფლებაში.

თავი მესამე

„...შველაფენს გაჩატიბებან, ნიჭს პ0 – პრაზ“

პრეზიდენტის პოსტზე გამსახურდიას მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მემკვიდრეობა ერგო, განსაკუთრებით საქართველოს ურთიერთობებში საბჭოთა კავშირთან. სწრაფად მიმდინარეობდა ეკონომიკის ვარდნა, პოლარიზებული იყო საზოგადოება.

ზვიად გამსახურდიასთვის სამაგალითო ლიდერები იყვნენ რონალდ რეიგანი და შარლ დე გოლი. ის ძლიერ საპრეზიდენტო ხელისუფლებას მოითხოვდა. გამსახურდიას ოპონენტები მნვავედ აკრიტიკებდნენ მას, როგორც თავად უწოდებდნენ „მიუღებელი დიქტატორული ქცევისთვის“, რაც მის პრეზიდენტად არჩევამდეც იყო მისი კრიტიკის საგანი. 1991 წლის 14 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ შემოიღო რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა და შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შეიტანა მოქმედ კონსტიტუციაში. იმავე დღეს უზენაესმა საბჭომ რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია. პირველი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა 1991 წლის 26 მაისს, რომელშიც ზვიად გამსახურდიამ დიდი უპირატესობით, ხმათა 87%-ით გაიმარჯვა.

ამერიკელი კომენტატორები აცხადებდნენ, რომ ადამიანის უფლებების საკითხი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რაც ხელს უშლიდა საქართველოს საყოველთაო საერთაშორისო აღიარებას. 1991 წლის დეკემბერს ე. წ. ბელოვეჟის ხელშეკრულებით დაიშალა საბჭოთა კავშირი. 1991 წლის ბოლოს საქართველო იყო ერთადერთი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული დე-იურე აღიარება.

საქართველოს ცა შავშავად იღრუბლებოდა. დაპირისპირება იზრდებოდა, ოპოზიციური პარტიები მოურიდებლად გამოდიოდნენ არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგო ლობუნებით. თვითონ ოპოზიციურ პარტიებშიც კი არ იყო ერთი აზრი

და შეთანხმებული პოზიცია. ასეთ პატარა სახელმწიფოში უერად იმდენი პოლიტიკური პარტია დაფიქსირდა, რაც ერთგვარ კომიურ განწყობასაც კი ქმნიდა.

ყოველივე ამის ფონზე უნებურად დღევანდელობის განსჯის სურვილი გიპყრობს. დღეს ქართველ ხალხს ბევრი სატკივარი აქვს. ყველას პირველობა სწადია და თავისი აზრი უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია. მოგვაკლდა განსჯისა და ანალიზის უნარი. ხშირად პირადულზე უფრო მეტს ვფიქრობთ, ვიდრე საზოგადოებრივ საქმეზე. არადა, ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ გვაფრთხილებდა ილია: „საიდან დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადააჩვია ჩვენი ჭკუა და გონება საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა ჩვენი თვალი და ყური მასზედ, რასაც „ჩემობის“ ფერიც ადევს და არა „ჩვენობისა“? ჩვენს ისტორიას რომ გადავხედოთ, მაგის მიზეზს ვერ იძოვით, ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით ალიგავებოდა დედამინის ზურგიდან“.

საკუთარ თავზე დიდი მტერი არ გვყოლია. მუდამ ასე იყო. კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგის ათემევინებს: „ოდითგან ასე მოგვდგამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. და ბოლოს, ჩვენ ხომ ის ერი ვართ, ილიას ტყვია რომ ვესროლეთ, საქართველოს ჭეშმარიტი მეჭურჭლეთუხუცესი, ექვთიმე თაყაიშვილი უკანასკნელ გზაზე მხოლოდ რამდენიმე კაცმა გავაცილეთ, სიცოცხლეში პოეტების მეფედ ალიარებული გალაკტიონი თვითმკვლელობამდე მივიყვანეთ და კიდევ რამდენი ჩამოვთვალოთ, ვისი ღვანწლი და ამაგი მის სიცოცხლეში ვერ დავაფასეთ, სათანადო პატივი ვერ მივაგეთ, გული ვატკინეთ... მხოლოდ მათი გარდაცვალების შემდეგ მივხვდით, თუ რა დავკარგეთ, მხოლოდ მერე გამოჩნდნენ, ვითომ ერისკაცები, გულში მჯიდის ცემითა და თავგამეტებით რომ მოძღვრავდნენ

ერს მათი ღვაწლის დასაფასებლად, მაგრამ ლირს კი ასეთი თავგამოდება?! არადა, სწორედ მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც ნებსით თუ უნებლიერ, გაუცნობიერებლად თუ მიზანმიმართულად, პირადი ამბიციებისა თუ საკუთარი კეთილდღეობის მიზნით, რბილი და თბილი სავარძლების შესანარჩუნებლად თუ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ტალახს რომ ესროდნენ და ქვას იღებდნენ ხელში მათ ჩასაქოლად, ან ანონიმურ წერილს წერდნენ და შემდეგ მშვიდად ეძინათ, მაშინ, როცა მათი წყალობით სამშობლოს მოღალატედ შერაცხულნი თუ საზოგადოებისაგან მოკვეთილნი ჭეშმარიტი ქრისტიანული მოთმინებით იტანდნენ დაუმსახურებელ ცილისწამებასა თუ სასჯელს. ნუთუ ვამართლებთ შალვა ნუცუბიძის სიტყვებს: „ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ნიჭს კი – არა“.

ღვთის ნებით ადამიანს სიცოცხლე სიკეთის ქმნისთვის ენიჭება. უფლის მადლით სიკეთის თესვა და მადლის ქმნა ყველას არ შეუძლია, რამეთუ „მრავალნი არიან წოდებულ, მცირედნი – რჩეულ“.

მიმართია, რომ თანამედროვე ქართველის სულიერი პორტრეტის, მისი შინაგანი ბუნების საუკეთესო მხარეების გამომზეურება ჩვენი საზოგადოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან დღეს ადამიანის სულზე, პიროვნულ ღირსებებზე (და არა – ეკონომიურზე) ნაკლებად ლაპარაკობენ (წერენ). დღევანდელობისათვის არახალია ყალბი პათეტიკა, ვაი პოლიტიკოსობა და თანამედროვე სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილთა ერისკაცებად მონათვლა, მასმედიის ლაქუცი... ადამიანის საქმიანობის შეფასებისას ხომ ძირითად, უპირველეს კრიტერიუმად უნდა იყოს: „რა სიკეთე ჰქმნა უფლისა და მამულისათვის, რამეთუ ღმერთი ჩვენი პირველთაგან გამოსცდის ყოველსა კეთილსა საქმესა“.

ალბერ კამიუ წერდა: „ისტორიის შექმნა ერთეულების ხვედრია, ისტორიაში მონაწილეობა კი თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა“. ეს სიტყვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაშინაა, როცა ჩვენ თანამედროვე ადამიანზე ვმსჯელობთ.

ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება ხომ არ არის ცალსახა, მხოლოდ პოზიტივით საკვსე, რაც უფრო მეტი ტკივილი აქვს გამოვლილი, მით უფრო საინტერესოდ, მიმზიდველად აღიქმება მისი ბიოგრაფია, ცხოვრების გზა, განსაკუთრებით გარკვეული დისტანციიდან. თითოეული ადამიანი ხომ საინტერესო წიგნია და მისი წაკითხვა მომავალმა თაობებმაც სწორად, უტყუარი რაკურსით უნდა შეძლონ, რაც მთავარია, ეს გამოცდილება უნდა გამოიყენონ, მისალები მიიღონ, მიუღებელი განაგდონ. მხოლოდ ასე იქმნება სწორი დამოკიდებულებები, კეთდება საქვეყნო საქმეები.

მე კი კვლავ ჩემს რესპონდენტთან ვარ მისული და ვცდილობ ჩემს მკითხველს მისი წიგნი მივაწოდო უტყუარი რაკურსით, რაც სულაც არ აღმოჩნდა ადვილი, რადგან წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა, თუნდაც რამდენიმე ათეული წლის გადასახედიდან ბევრი ასპექტით რთულად მისალები და ძნელად გასაგები აღმოჩნდა. ვაგრძელებთ ამბის თხრობას. უკვე იმ პერიოდში ვართ, როდესაც თამაზ ვაშაძე თბილისის მერად დანიშნეს. თუმცა ის ამ თანამდებობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ არ გაუვიდა პროტესტი. მას ხომ მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში მშენებლობები უნდა დაესრულებინა.

მერიაში მისულმა თათბირზე შეკრებილ თანამშრომლებს განუცხადა:

– მინდა გაცნობოთ, რომ თქვენ ოთხი მერი გყავთ, მე და ჩემი სამი მოადგილე. მათ ყველას თავის პროფილი აქვს. ეკრალება მათ ყველას ჩემთან შემოსვლა უმიზეზოდ. მათ ვაძლევ თავისუფლად აზროვნების საშუალებას, ისინი თავის ფუნქციაზე აგებენ პასუხს.

სამი თვის მანძილზე, როდესაც თამაზ ვაშაძე თბილის მერის მოვალეობას ასრულებდა, ამავე დროს კვლავ აგრძელებდა მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში მშენებლობებს. მისი მუშაობის პრინციპი ერთი შეხედვით თითქოს მარტივი იყო: უნდა იმუშაო საკუთარი ტვინით, მაგალითად, დღეს რომელიმე რაიონის გამგეობას რომ უნდოდეს პატარა

შენობის აშენება, აუცილებლად ცენტრალური ხელისუფლებიდან უნდა იყოს დაშვებული ფინანსებიც და უფლებებიც. ეს არის კატასტროფა. ადგილობრივი ტვინი არ მუშაობს, ტვინი მუშაობს ცენტრში. თუ თავისუფლება არ მიეცი ადამიანს თავისი აზროვნების და შემოქმედების, საქმე არის დაღუპული. განსაკუთრებით რამდენიმე ფაქტს იგონებს მისი ცხოვრების ამ პერიოდიდან.

ერთხელაც მასთან კაბინეტში მივიდა თბომეურნეობის სამართველოს ხელმძღვანელი გურგენიძე და გულისტკივილით აუწყა, რომ მაზუთის მარაგი ამონურული იყო, არადა ზამთარი ახლოვდებოდა, გათბობის სეზონზე ქალაქი საჭირო მაზუთის არარსებობის გამო სიცივეში გაატარებდა ზამთარს. მადლობა უთხრა მას ასეთი მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაციის მოწოდებისთვის.

— დიდი მადლობა, მაგრამ ჯერ არ წახვიდე, ცოტა ხანს დამიცადე.

მდივანს სთხოვა, სასწრაფოდ ენერგეტიკის მინისტრი თამაზ გოგავა და ნავთობპროდუქტების კომიტეტის თავმჯდომარე მექმარიაშვილი გამოეძახა. ისინი მართლა დროულად გამოცხადდნენ. მისალმების შემდეგ კი პირდაპირ უთხრა:

— ზამთარი ახლოვდება, მაგრამ კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს მაზუთის დეფიციტის გამო. არც ერთი საქვაბე არ იმუშავებს თბილისში და ზამთარში მოსახლეობა სიცივეში გაგვეყინება.

— ვიცით, ბატონო თამაზ, — უპასუხეს მათ.

— იცით? მერე რა გააკეთეთ? დღესვე მიდიხართ ბაქოში და როდესაც მოაგვარებთ მაზუთის საკითხს და თბილისში გამოგზნით, მხოლოდ მაშინ შეძლებთ თბილისში დაბრუნებას. დამთავრდა, ამაზე ლაპარაკი გამორიცხეთ, მხოლოდ მოქმედება და მოქმედება...

ეს მხოლოდ სიტყვები არ იყო, ჰაერში ნასროლი იმედის მომცემი სიტყვები. ყოველ ასეთ შემთხვევაში თამაზ ვაშაძე ბოლომდე არკვევდა მიცემული დავალების შესრულების მდ-

გომარეობას, მას ვერავინ გამოაპარებდა რეალურ სიტუაციას... და როდესაც ამ ამბებს საოცარი ენთუზიაზმით და ემოციით ჰყვება ხოლმე, განსაკუთრებით ხაზგასმით და ერთგვარი გულისტკივილით მოაყოლებს ხოლმე, რომ როდესაც დღევანდელი გადასახედიდან 90-იანი წლების მოვლენებს იხსენებენ და ამბობენ, რომ სასტიკი, მშიერი, უსინათლო, უგაზო, უწყლო იყო ის პერიოდი, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხდებოდა 90-იანებში გადატრიალების შემდეგ, რადგან გადატრიალებამდე ყველაფერი მოგვარებული იყო.

– მე, თამაზ ვაშაძე, ვაღლიარებ და ვამბობ, რომ როდესაც ამბობენ, გინდათ დაბრუნდეთ 90-იანებში, სიცივეში, შიმშილ-ში... 90-იანები უნდა განვასხვავოთ, 90-იანები ეროვნული მთავრობის დროს თუ 90-იანები გადატრიალების შემდეგ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეროვნული მთავრობის დროს თბილისში მკვლელობა თითქმის არ მომხდარა, ყველა საქვაბე და ყველა წარმოება მუშაობდა, ყველაფერი წესით და კანონით მიდიოდა. არც სიცივე იყო და არც რიგები პურის შესაძენად. ყველაფერი შემდეგ დაიწყო, გადატრიალების შემდეგ. – ამ სიტყვებს იგი ყოველთვის ერთგვარი სიამაყით და ხაზგასმით ამბობს ხოლმე და შემდეგ აგრძელებს, რომ ბაქოში წასულები ოთხ დღეში დაბრუნდნენ და თბილისში შემოუძღვნენ ოთხ ეშელონ მაზუთს, რომლითაც ის წელინადი თბილისი სიცივეს გადაარჩინეს.

თამაზ ვაშაძე ყველგან მუშაობის პერიოდში კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ადამიანების სამსახურიდან დათხოვნის, ამ ქმედებას იგი დანაშაულს ეძახის დღესაც. მნიშვნელობა არ აქვს მიზეზს, საბაბს... იგი თვლის, რომ თუ პროფესიონალი ხარ, თუ ხელმძღვანელი ხარ, უნდა შეძლო კეთილი ნებით შენს მხარეს გადმოიყვანო, აიძულო აკეთოს კეთილი საქმე. ადამიანს გმირობას ვერ მოსთხოვ. მთელი ცხოვრების მანძილზე მუდამ ახსოვს და, დღესაც ხშირად იმეორებს, მისი მასწავლებლის ირაკლი ცაგარეიშვილის შეგონება, მის მიმართ გამოთქმული, რომ ადამიანს უნდა მოსთხოვო ის, რაც მას შეუძლია და არა ის, რაც შეგიძლია შენ.

ამ პერიოდს თამაზ ვაშაძე გასაგები მიზეზების გამო მეტად მტკიცნეულად და ემოციურად იხსენებს. ერთი მომენტი უკვე ვახსენეთ, 90-იანი წლების შესახებ. ახლა კიდევ ერთი, რასაც იგი ასევე კატეგორიულად ითხოვს, რომ იმ დროის მოვლენებს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სამოქალაქო ომი ვუწოდოთ.

– საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ მოხდა სამოქალაქო ომი. არავითარ შემთხვევაში... ყველას გთხოვთ, ჩაიხედეთ თოფურიძის განმარტებით ლექსიკონში, წაიკითხეთ, რა არის სამოქალაქო ომი. რა, კახელები ებრძოდნენ ქართლელებს, თუ ქართლელები ებრძოდნენ მეგრელებს... არა. კრიმინალური ბანდები, რომელთაც ზურგს უმაგრებდა რუსეთი, ეს იყო, ეგრეთ წოდებული, სამოქალაქო ომი, რუსეთის მიერ ინსპირირებული და ებრძოდნენ ეროვნულ მთავრობას.

ერთ დღეს მერიაში თამაზ ვაშაძესთან პავლე დონლუზაშვილი მივიდა. მეტად შეწუხებული იყო.

– რაშია საქმე, რამ შეგანუხა? – ჰერიტა თამაზ ვაშაძემ.

– ცხინვალში რუსის ჯარების უფროსი არ უშვებს საშენ მასალებს. – უპასუხა.

წარმოუდგენელი იყო ამის დაჯერება. ცხინვალის გავლით ხომ ქურთაში, თამარაშენში, კეხვში და მიმდებარე სოფლებში მიდიოდა მასალები მიწისძვრით დაზიანებული შენობების აღსადგენად.

– როგორ მოვაგვაროთ ეს სიტუაცია?

– თქვენთან შეხვედრას ითხოვს.

– მერე რა პრობლემაა, დაიბარეთ.

მართლაც მოკლე ხანში მოხდა მათი შეხვედრა ცხინვალის შესასვლელში. თამაზ ვაშაძემ ჰერიტა:

– აბა, გისმენთ, გამარკვიეთ, რაშია საქმე, რას ვაშავებთ?

– იცით რა, ომის ზონაა, ათასი პრობლემაა... – დაბნეულად ლაპარაკობდა.

- მერე, გამოსავალი ხომ არსებობს.
- რა თქმა უნდა, გამოსავალი როგორ შეიძლება არ იყოს.
- და რა არის გამოსავალი.
- დუბლიონკა მინდა ცოლისთვის... – თამაზ ვაშაძის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ზომა გამოპყითხა და დაპირდა, რომ სურვილს შეუსრულებდა. სულ მალე გაარკვია, რომ დუბლიონკები ცეკავშირს ჰქონდა. დარეკა. კონცელიძე იყო მაშინ ცეკავშირის უფროსი, სოსო ხელაშვილი მერის მოადგილე. უცებ მოაგვარეს საკითხი. მოუტანეს. სოსო ხელაშვილს გაატანა ფული. იქიდან იუარეს, ფული არ გვინდაო.

– რას ქვია, ფული არ გვინდა. აიღე და წაუღე აუცილებლად, – მკაცრად უთხრა.

მერე დაიბარა პავლე დონლუზაშვილი და ლამაზად შეფუთული დუბლიონკა გაატანა რუსთან. გაიხსნა გზები, მიდის მასალები. რამდენიმე დღეში ზვიადს რომ შეხვდა, მან ლიმილით უთხრა, დაგასმინესო. იცოდა დუბლიონკის ამბავი. ერთხელაც მასთან ოჯახში სტუმრად მყოფმა ზვიადმა მის მეუღლეს ლიმილით უთხრა, ის დუბლიონკა პატარა გექნებოდა, არ ჩაგეტეოდაო.

თამაზ ვაშაძის მერობის დროს მასთან ცნობილი მწერალი რევაზ ჯაფარიძე მივიდა. საკუთარი სურვილი გაანდო, რომ მასზე ნარკვევის დაწერა უნდოდა, რადგან მის საქმიანობაზე ძალიან ბევრი იცოდა და უნდოდა, რომ ამის შესახებ მთელს საქართველოს გაეგო. გადატრიალების შემდეგ, დაინტერესდა და მის ნათესავს სთხოვა, ეკითხა, რატომ არ დაწერა ეს ნარკვევი. სულ მალე მოუტანა ამბავი, შევარდნაძემ გაიგო ამის შესახებ და კატეგორიულად განმიცხადა, არ გაბედო, არ დაწერო მასზე ერთი სიტყვაც კიო. რა ვქნა, მე რა შემიძლიაო.

გულისტკივილით ალნიშნავს ბატონი თამაზი, როდესაც ზვიადს აბრალებდნენ, რომ ტყუილად ამბობს ამა თუ იმ პიროვნებაზე, რომ ის კრემლის აგენტიაო, ეს ყველაფერი სიმართლე იყო, რადგან მას ამის თქმის უფლება ჰქონდა. ის ხელმძღვანელობდა ფაქტებით. მას სია ჰქონდა. ერთ დღეს

უზენაეს საბჭოში მამია ალასანია შეხვდა თამაზ ვაშაძეს. ის ადრე ცხინვალში მუშაობდა უშიშროებაში, იმ დროს კი არქივის უფროსად იყო გადმოყვანილი და მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ხელში საქალალდეების შეკვრა ეჭირა.

– სად მიდიხარ? – ჰკითხა მოკითხვის შემდეგ თამაზ ვაშაძემ.

– ზევით მივდივარ, ჩვენს ძმასთან, – ხელით ზვიადის კაბინეტისკენ მიანიშნა.

– რა არის ეს? – საქალალდეებზე ჰკითხა.

– არაფერი, მერე გეტყვი, – უთხრა და მერე გაახსენდა თამაზ ვაშაძეს, რომ ერთხელ როდესაც ზვიადთან მივიდა, მანანამ უთხრა, ზვიადს სძინავსო. გაუკვირდა. ამ დროს ძილი... ეს წარმოუდგენელი იყო ზვიადისგან.

– წუხელ მთელი ლამე, გამთენიამდე სიებს ჩაჰკირკიტებდა, მამია ალასანიამ რომ მოუტანა, – უთხრა მანანამ და მისთვის ნათელი იყო, რომ ზვიადის ყველა სიტყვას, ყველა ბრალდებას ნებისმიერის მიმართ, უტყუარი საბუთი ედო საფუძვლად.

ერთ ამბავსაც იხსენებს დღევანდელი გადასახედიდან თამაზ ვაშაძე, როდესაც იმ დროის მოვლენების რეალური სურათის დახატვა სურს. ერთ სტატიაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც უურნალისტ კლიმიაშვილს ეკუთვნოდა. მოსკოვში სასტუმრო „რასიაში“ ასეთი ფაქტის მომსწრე გავხდიო. ნომერში, სადაც იმყოფებოდნენ ედუარდ შევარდნაძე და კიდევ ოთხი ადამიანი, მე და პროფესორი გურამ მამულია მივედითო. მოიტანეს ტომრით ფული და უთხრეს, ეს ფული თბილისში უნდა ჩაიტანოო. მამულიამ უარყო, ამას მე ვერ წავიღებ, არ გამატანენო. ედუარდმა უპასუხა, შენზე ვინ იეჭვიანებს, პროფესორი კაცი ხარო. თან დაარიგა თურმე, სად, როგორ, ვისთან უნდა მიეტანა ეს ფული. ეს სწორედ ის ფული იყო, რომელსაც ჭუმბურიძე ატრიალებდა გადატრიალების დღეებში. ამ სტატიაში ავტორი ამბობს, მინდოდა ზვიადისთვის ეს ამბავი მეთქვა, მაგრამ ვერ მოვახერხეო. ტყუილი, რა დიდი მოხერხება უნდოდა, მთავარი მონდომება იყო, მაგრამ არ უნდოდა.

ისიც გამიკვირდა, ეს რომ მოახერხა და აღიარა საკუთრად ეს ამბავიო, ალბათ ღმერთმა აიძულა, რაც შეეხება პროფესორ მამულიას, ის ნომრიანი აგენტი იყო, მან თვითონ ერთ-ერთ წერილში თავად აღიარა თბილი ურთიერთობა კაგებესთან. სამწუხაროდ, ასეთი დრო იყო, ამ გადასახედიდან ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია.

ერთ დღესაც მერიაში ჩვეულებრივი დღე იყო. მდივანმა მოახსენა, მოსაცდელში სახალხო პარტიის ლიდერი, ნოდარ ნათაძეა მოსული და თქვენთან შეხვედრას ითხოვსო.

— შემოვიდეს, — უპასუხა და სულაც არ გაკვირვებია მისი მოსვლა. ოპოზიცია უკვე ღიად, დაუფარავად გამოხატავდა უკ-მაყოფილებას არსებული ეროვნული მთავრობის მისამართით. მისალმების შემდეგ ნოდარ ნათაძემ პირდაპირ უთხრა:

— მიტინგი გვინდა ჩავატაროთ, აუცილებლად, — მისი კატეგორიული ტონიც არ გაკვირვებია, ამასაც უკვე თითქოს მიჩვეული იყო.

— მერე რა პრობლემაა, კი, ბატონო, სად გნებავთ? შემოიტანეთ განცხადება, სადაც გნებავთ, იქ დავნიშნოთ, თუნდაც აქ, ჩემი კაბინეტის წინ.

— სასტუმრო ივერიის წინ, აი, განცხადებაც, — სახეზე გაკვირვების დაფარვა ვერ შეძლო.

ნოდარ ნათაძე კაბინეტიდან გავიდა თუ არა, ზვიადმაც დაურეკა. დღემდე ვერ გაუგია თამაზ ვაშაძეს, ასეთ მოკლე დროში ვინ შეძლო ამბის მიტანა პრეზიდენტისთვის. უსაყვედურა, რატომ მიეცი მიტინგის ჩატარების უფლებაო.

— ზვიად, მაცადე, მე გავანეიტრალებ ამათ, — იყო პასუხი. მართლაც მეორე დღეს მიტინგზე თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები იყვნენ მისულები და მხოლოდ რამდენიმე მუსიკოსის საშუალებით ცდილობდნენ ხალხის შეკრებას. პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდნენ.

მიტინგებს ეროვნული მთავრობის მომხრეებიც აწყობდნენ,

სადაც სიტყვით თამაზ ვაშაძე გამოვიდა. ობოზიციას სთხოვა, დაგვაცადეთ, დავასრულოთ ბინების მშენებლობა, ზამთარი მოდის, სად წავიდნენ, ვისაც მიწისძვრამ სახლები დაუნგრია, დაგვეხმარეთ... მაგრამ ვინ მოუსმინა. ერთ-ერთ ასეთ მიტინგზე გამოსულ რუსი ეროვნების საქართველოში დაბადებულ მწერალს, ქართულად მოლაპარაკე სერებრიაკოვს იგონებს თამაზ ვაშაძე:

– მისი გამოსვლა ამ მიტინგზე ისტორიული მნიშვნელობის იყო, მან ქართველ ხალხს მოუწოდა, გაფრთხილებოდნენ ეროვნულ მთავრობას, – რას შვრებით, ხომ არ გაგიჟდით, ქართველებო, რას აკეთებთ, ეროვნულ მთავრობას ამხობთ, არ გაბედოთ, დაიღუპება საქართველოო, თქვა მან, ასევე ვახტანგ ბოჭორიშვილი გამოვიდა სიტყვით, იგი არც კი იყო ზვიადთან ნამყოფი, ასევე მუხრან მაჭავარიანმა მიმართა შეკრებილთ თავისი განუმეორებელი ხიბლით და ემოციით...

კიდევ ერთ შემთხვევას იხსენებს თამაზ ვაშაძე განსაკუთრებით. ერთ დღეს მერიაში დილარ ხაბულიანი ესტუმრა. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ მისვლის მიზეზი ჰკითხა.

– ფიროსმანის ძეგლთან სახლის აშენება მინდა. იქ ერთი თათარი ცხოვრობს ძველ სახლში და არ გადის ბინიდან.

– რას ითხოვს სამაგიეროდ.

– ბინას ითხოვს.

– აბა, სად წავა, ბინა ენდომება... კარგი, დაგეხმარები ოლონდ ჯერ გავარკვევ და შეგატყობინებ. – უპასუხა და როდესაც დაშორდნენ, ის ძველი ბინის აზერბაიჯანელი მეპატრონე დაიბარა. როგორც მოელოდა, ის ადამიანი არაფერს განსაკუთრებულს არ ითხოვდა.

– სად წავიდე, დავცლი ბინას, მაგრამ სადღაც ხომ უნდა წავიდე ოჯახთან ერთად, პრეტენზია კი არ მაქვს, არ ვითხოვ ვაკეში ან საბურთალოზე, სადმე, ნებისმიერ ადგილას, გარანტია არ მინდა, ფარატინა ქალალდი, ბინით დამაკმაყოფილონ და დავცლი ბინას. – გულისტკივილით აუწყა აზერბაიჯანელმა.

როდესაც ეს ამბავი დილარ ხაბულიანს აუწყა, მის გან-

რისხებას საზღვარი არ ჰქონდა და არც დაუმალავს ბოროტი განზრახვა, ვიცი, რასაც გავაკეთებ, გავცემ განკარგულებას და სახლი დაიწვებაო.

– არავითარ შემთხვევაში, არ გაბედო ასეთი რამე, რას ჰქვია სახლი დაუწვა, საქართველოს დავაყენებ ფეხზე და არ გაპატიებ... – ასეთი შეუვალობით, სიმკაცრით, სამართლიანობით აგვარებდა პრობლემურ საკითხებს. მერის მოვალეობის შესრულებისას იყო დემოკრატი, არავის პატიობდა ტყუილს, ყველას ეხმარებოდა და აკეთებდა საქმეს და რაც მთავარია, ყველასათვის იყო პირადი მაგალითი. სამი თვის მანძილზე ბევრი საქმის გაკეთება შეძლო, ერთი წუთით არ იყო თავისუფალი, მთელი ძალით მიღიოდა მშენებლობები, თბილისში გაასუფთავეს, წესრიგში მოიყვანეს გზები, მაგრამ ოპოზიცია არ ისვენებდა, ხელს უშლიდნენ... არც ერთი ოპოზიციონერი არ ჩასულა მიწისძერით დაზიანებულ რაიონში. არ ადარდებდათ საკუთარი მოსახლეობის გასაჭირი. მათ მხოლოდ პირადი ამბიციები აწუხებდათ.

მეტად რთული პერიოდი ედგა საქართველოს, რასაც იმდროინდელი პრესაც აქტიურად აშუქებდა და ამის დასტურად 1991 წლის 24 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ მოწინავე სტატიას მოვიყვან, სადაც გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებსა და მთავრობებთან მიმართვაში ვკითხულობთ – „1990 წლის 28 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის – ბოლშევიკური იმპერიის ტერიტორიაზე პირველად საქართველოს რესპუბლიკამ ჩაატარა მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც საქართველოს მოსახლეობამ, გამოხატა რა თავისი ნება, უპირატესობა მიანიჭა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებს. ხმათა უმრავლესობა მოიპოვა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომლის ლიდერი, ცნობილი დისიდენტი ზვიად გამსახურდია 16 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

1991 წლის 31 მარტს ეროვნული პარლამენტის თაოსნობით

საქართველოში მოეწყო რეფერენდუმი, რომელსაც მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. რეფერენდუმში საქართველოს მოსახლეობის 98 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

1991 წლის 9 აპრილს რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

1991 წლის 26 მაისს საქართველოს მოსახლეობამ საერთო-სახალხო კენჭისყრის შედეგად აირჩია პირველი პრეზიდენტი. ექვს კანდიდატს შორის გამარჯვება მოიპოვა ზეიად გამსახურდიამ, რომელმაც ხმათა 86,3 % მიიღო.

მსოფლიოში უკანასკნელი იმპერია ინგრევა. მისი რეანიმაციის მოსურნენი ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას და ამით შეაფერხონ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ცნობას.

საქართველოს ახლადარჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც იღვნის სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისთვის, ჭეშმარიტად დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის და სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის, დღეს იარაღით ხელში უპირისპირდებიან ის ძალები, რომელთაც ბოკოტი გამოუცხადეს მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებს, აგრეთვე ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერები და თანამდებობიდან გადაყენებული პირები.

სწორედ ყოფილ კომუნისტ ფუნქციონერებზე დაყრდნობით ცდილობენ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას. ასეთი ცდა იყო სექტემბერ-ოქტომბერში და დღესაც გრძელდება.

ამჟამად თბილისში – საქართველოს დედაქალაქში დაძაბული სიტუაციაა. შეიარაღებული ეგრეთ წოდებული ოპოზიცია ცდილობს პარლამენტის შენობაში შეჭრას და კანონიერი ხელისუფლების დამხობას. მათ მძევლად აიყვანეს ქალაქ თბილისის მერი ბატონი თამაზ ვაშაძე და მომწამლავი გაზი შეასხურეს

მათთან მოსალაპარაკებლად მისულ შინაგან საქმეთა მინისტრს დილარ ხაბულიანს...“ აი, ამას იუწყებოდა იმდროინდელი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერილში, რომელშიც გაეროს, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებსა და მთავრობებს მიმართავდა დახმარებისთვის.

თავად თამაზ ვაშაძე კი წლების შემდეგ გულისტკივილით იხსენებს იმ ამბებს.

ერთ დღეს მასთან მერიაში მივიდა ცნობილი ჟურნალისტი ირაკლი გოცირიძე, რომელიც მათი ოჯახის ახლობელი იყო. იგი იმ დროს გამოსცემდა „იბერია სპექტრს“ და თამაზ ვაშაძეს დახმარება სთხოვა, რადგან იცოდა, რომ ის ყველას ეხმარებოდა.

– ჩვენს გაზეთს, ისევე როგორც სხვებს, პრობლემები აქვს, ქალალდი გვჭირდება.

– რა თქმა უნდა, ყველანაირად დაგეხმარებით, – უპასუხა ქალაქის მერმა.

– კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს. ინტერვიუ მინდა ჩავწერო.

– ბატონო ირაკლი, მე რომ თქვენთვის მეთქვა, ინტერვიუ ჩავწეროთ-თქო, რას მიპასუხებდი... რა უნდა ჩავწეროთ, როდესაც ჯერ მხოლოდ სამი დღეა, რაც ამ თანამდებობაზე ვარ და ჯერ რა გავაკეთე ამის საფასური... დავიცადოთ სამი წელი, სამი წლით გადავდოთ, როდესაც მე საქმეს გავაკეთებ, სათქმელიც მექნება, მექნება მიღწევებიც, მექნება შეცდომებიც... ინტერვიუც საინტერესო წასაკითხი იქნება. ამჯერად არავის ვაძლევ ინტერვიუს, ჯერ ამის დრო არ მაქვს. „საქმემან შენმა გამოგაჩინოს...“ ესაა ჩემი მთავარი სათქმელი. სამი წლის შემდეგ ჩავწეროთ ინტერვიუ...

ირაკლი გოცირიძემ სიხარული და აღფრთოვანება ვერ დამალა, გადაეხვია თამაზ ვაშაძეს და მადლობა უთხრა. მასში უფალმა ჩანერგა კოდი შეუვალობის და უშიშრობის, რაც მუშაობის დროს ხელს უწყობდა, რომ წარმატებები ჰქონიდა. სამწუხაროდ, ოპოზიცია ხელს უშლიდა მუშაობაში და განსაკუთრებული გულისტკივილით იხსენებს, რომ მიწისძვრის შედეგე-

ბის ლიკვიდაციაზე მუშაობის დროს არც ერთი ოპოზიციონერი არ ჩასულა დასახმარებლად.

კიდევ ერთ ამბავს იხსენებს თამაზ ვაშაძე. ერთ დღეს-აც მასთან მივიღნენ აღშფოთებული ადამიანები, რომლებიც უჩიოდნენ ოცდამეტერთმეტე ქარხნის დირექტორს, ხოფერიას. შემოსული იყო წერილი, რომელსაც ადამიანები მოჰყვნენ და მოახსენეს, რომ მათთან ძალიან ბევრი იყო გაფორმებული, რომლებიც ხელფასასაც იღებდნენ და ბინის რიგშიც იდგნენ, რომელსაც სულ მალე მიიღებდნენ. ეს იყო უსასტიკესი დანაშაული, რამაც უკიდურესად აღაშფოთა თამაზ ვაშაძე. ეს ამბავი ზვიადს მოახსენა და მან ჰკითხა, შენ რას ფიქრობო.

— ამის პატივება არ შეიძლება. უნდა დაისაჯოს ყველა დამნაშავე. მათ პასუხი უნდა აგონ დანაშაულზე.

— მოდი ერთ რამეზე შევთანხმდეთ. ჩვენ რომ მივყვეთ ყველა იმ დანაშაულს, რაც კომუნისტების დროს გააკეთეს და ყველა დავიჭიროთ, ერი განადგურდება. ამიტომ რაც იყო, იყო, დავანებოთ თავი და მოდი ავაშენოთ ახალი ქვეყანა. — ზვიადის ეს სიტყვები სულაც არ გაჰქვირვებია მას.

— თანახმა ვარ. — თავდაჯერებით უპასუხა. ხოფერია დარჩა თავის ადგილზე, ოლონდ გააფრთხილეს, რომ მსგავსი რამ მეორედ არ დაეშვა.

ახლად ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფო მრავალი სირთულის და პრობლემის წინაშე იდგა. ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი დადებითი თვისება მისი მოსმენის კულტურა იყო. მაშინ, როდესაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის და რკინიგზის სამმართველოს უფროსი უნდა გაეთავისუფლებინათ და შემცვლელი ეპოვათ, მაშინ თამაზ ვაშაძემ ურჩია:

— ზვიად, ახლა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის მოხსნა არ შეიძლება, ასე ადვილად ვერ ვიპოვით შემცვლელს. ის მაღალი დონის პროფესიონალია. ასევე რკინიგზის სამმართველოს უფროსის შეცვლა არ შეიძლება. ჩვენ პროფესიონალებს უნდა გავუფრთხილდეთ.

დეკემბრის თვე იდგა. მკაცრი ზამთარი იყო თბილისში და უფრო მეტად მკაცრი გარემო შემანუხებლად მოქმედებდა მოსახლეობაზე. მიტინგი მიტინგზე იმართებოდა. ეროვნულ მთავრობას ებრძოდა ოპოზიცია, მთავრობის გადადგომას ითხოვდნენ, მთავრობის, რომელიც ჯერ მხოლოდ ხუთი თვე მართავდა დამოუკიდებლობაგამოცხადებულ რესპუბლიკას, რესპუბლიკას, რომელსაც თითქმის ორი საუკუნე, ეგრეთ წოდებული, „უფროსი ძმის“ ფრთებქვეშ შეყუულს სახელმწიფოებრიობის გამოცდილება არ ჰქონდა.

20 დეკემბრის სუსხიანი დილა გათენდა. თამაზ ვაშაძე სახლში მიბრუნდა, რომ უფრო ამინდის შესაფერისად ჩაეცვა. მთავრობის სახლთან უკვე საპროტესტო მიტინგი გუგუნებდა. ბარიერები იყო შექმნილი. თბილი, დაბუმბული ქურთუკი ჩაიცვა და გარეთ გავიდა. დაცვაზე უარი თქვა თავის დროზე და ახლაც ყოველგვარი დაცვის გარეშე დადიოდა თბილისის ქუჩებში. მთავრობის სახლისკენ მიდიოდა. მოულოდნელად ექვსი კაცი დაესხა თავს. გაუჭირდა წინააღმდეგობის გაწევა, განსაკუთრებით დათბილული ბუმბულის ქურთუკის გამო. უკნიდან მიეპარნენ, შებოჭეს, მოერივნენ. ერთ-ერთი მათგანი ხაჩიშვილი იყო, შემდეგში შინაგან საქმეთა მინისტრი. მანქანიდან გაარკვია, რომ თბილისის ზღვისკენ წავიდნენ. გზაში ერთმანეთს უუბნებოდნენ, რამე იარაღი ჩავუდოთო, გაზის იარაღი მაინცო. ამაზე ვიღაცამ უპასუხა, მოიცა, ვინ დაიჯერებს, თამაზ ვაშაძეს გაზის იარაღი აღმოაჩნდაო. მართლაც, იარაღი როგორ არ ჰქონდა, მაგრამ იმ პერიოდისთვის თან არ ატარებდა.

თბილისის ზღვაზე საბავშვო ბალების ძველ შენობაში შტაბი ჰქონდა თურმე ოპოზიციას მოწყობილი. აიყვანეს მესამე სართულზე. შეიყვანეს ერთ ოთახში. იქ ქალი დახვდა, რომელმაც აუწყა, რომ მისი დაკითხვა ჰქონდა დავალებული. როგორც შემდეგ გაირკვა ის თამილა ანჯაფარიძე იყო.

თამაზ ვაშაძე მოულოდნელობისგან გაოცებული ფანჯარაში იყურებოდა, როდესაც იქ თენგიზ სიგუა დაინახა. ის უკვე

ოპოზიციაში იყო გადასული. მასთან ერთად თვალი მოჰკვრა ელდარ შენგელაიას და აკაკი ბობოხიძეს. ოთახში კი თამილა შეკითხვებს უსვამდა. რომ გაიმეორა ერთი და იგივე, მხოლოდ მაშინ უპასუხა:

– ტყუილად ირჯები, ენა გააჩერე, მე შენ არაფერზე გიპა-სუხებ.

ოთახში თბილისის კომენდატურის უფროსი, ლანჩავა შემო-ვიდა, რომელმაც უტიფრად უთხრა, უპასუხე, რომ გეკითხებაო.

– ეს ჩემი საქმეა, ვუპასუხებ თუ არა... ვის უნდა ვუპასუხო, ვინ არის... აგერ არის თენგიზ სიგუა, მიდი და უთხარი, მოვი-დეს, დამელაპარაკოს.

მართლაც გავიდა ოთახიდან და თამაზ ვაშაძე ფანჯრიდან ხედავდა, რომ მიუახლოვდა სიგუას და ელაპარაკებოდა, მაგრამ მასთან არავინ მისულა.

ამის შემდეგ სარდაფში ჩაიყვანეს. მალე მარნეულის პრე-ფექტის მოადგილე გერონტი ქიმაძე შეიყვანეს მასთან. იგი ასაკოვანი, ხანძიშესული იყო და გალახვის კვალი აშკარად ეტ-ყობოდა. სულ მალე ავთანდილ რცხილაძეც, თელავის პრეფექტი და უზენაესი საბჭოს დეპუტატიც შეიყვანეს მათთან.

ცოტა ხანში თამაზ ვაშაძესთან მისი ძველი ნაცნობი თემურ გუგეშაშვილი შევიდა, რომელიც ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი იყო, მაგრამ უღალატა და ოპოზიციაში გადავიდა. თამაზ ვაშაძე მასთან სახლშიც იყო ნამყოფი, კარგად იცნობდა და იფი-ქრა, რომ ალპათ სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და ამიტომ მოვიდა ჩემთანო. თან ხელში ღვინო ეჭირა და შესთავაზა.

– რას ამბობ, ღვინო კი არა, დანა რომ დამარტყა სისხლი არ გამომივა, ღვინოს ისედაც არ ვსვამ და ახლა მით უმეტეს, ამ ნაგავში.

– მე არაფერი შემიძლია, ვერაფრით დაგეხმარები, – აშკა-რად შენუხებული ჩანდა იგი. – წავალ, იქნებ რამე გავიგო.

ცოტა ხანში ხმაურმა მიიპყრო მათი ყურადღება. კარი ზა-თქით გაილო და იარაღმომარჯვებული ორი კაცი შემოვარდა სარდაფში.

- სად არის რცხილაძე?
- გამოდი, უნდა დაგხვრიტოთ.

საწყალი ავთო რცხილაძე მუხლებზე დაეცა გაოგნებული, მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოღერლვა შეძლო:

- არ მესროლოთ, შვილი მყავს ავად.
- ნარმოუდგენლად დაიძაბა სიტუაცია, იგრძნობოდა, რომ ისინი ყველაფერზე ნამსვლელები იყვნენ, იარაღმომარჯვებულს თამაზ ვაშაძე გადაუდგა წინ.
- არ ესროლო, არ მოგცემთ ამის უფლებას, ჯერ მე მესროლე და მერე ავთოს...

სარდაფის კარი მოულოდნელად უჩვეულო ხმაურით გაიღო და რამდენიმე ადამიანი ერთად მოაწყდა შემოსასვლელს. იქიდან კი ვიღაცის სასოწარკვეთილი ღრიალი გაისმა:

- არ გაძედოთ, არ ესროლოთ თამაზ ვაშაძეს, არ მოგცემთ ამის უფლებას, იარაღი შემართული მაქვს, კიტოვანიც რომ იყოს აქ, იმასაც ვესვრი, ვაშაძეს არ მოგაკვლევინებთ, მაგან მე სახლი ამიშენა. სულ ყველას დაგხოცავთ, გამოდით ყველანი გარეთ...

გასძახა, ვინ ხარ, რა გვარის ხარო, მაგრამ არეულ სიტუაციაში არავინ გამოხმაურებია. კარი გაიხურეს და გავიდნენ.

ყველა გაოგნდა. თამაზ ვაშაძეს დღესაც მკვეთრად ესმის ეს ხმა, ახალგაზრდა აჭარელის ხმა, რომელსაც მიწისძვრით დაზიანებული სახლი აუშენა თურმე და იქ როგორ გაჩნდა, ან რა უნდოდა ამ გაურკვევლობაში დღემდე არ იცის და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მისი სახელი და გვარიც ვერ გაიგო, რაც დღემდე აინტერესებს. ვინ იყო, მისი რატომ ეშინოდათ, ან იქნებ რამე ჩინი ჰერნდა მათთან. იგინებოდა ბოლო ხმაზე, დაბალი, ჯმუხი ახალგაზრდა მამაკაცი, ყველანი მას გაჰყვნენ გარეთ.

სარდაფში მეორე დღეს ქობალიას მოადგილე კაკო ელიავაც მიიყვანეს, სამაჩაბლოდან მოდიოდა თურმე, არც გადატრიალების შესახებ იცოდა და გაოცებული იყო არსებული სიტუაციით.

სარდაფში ვერტმფრენის ხმა გაიგეს. დაბლა გარკვევით

ისმოდა გარეთ მყოფთა საუბარი. მფრინავ მაისურაძეს უბრძანებდნენ, მაგრამ ვინ იყო ბრძანების გამცემი, ვერ გაარკვიეს. მთავრობის სახლთან უკვე სროლები მიდიოდა. შეიარაღებული ბანდები სასახლეში შეჭრას ლამობდნენ.

– ბენზინით სავსე სამტონიანი ბაკი უზენაესი საბჭოს ეზოში უნდა ჩამოაგდო. ყველა უნდა დაიწვას.

– არა, ვერ შევძლებ, ვერტმფრენი ვერ აწევს ამხელა ტვირთს.

– მაშინ მანქანები შევიყვანოთ ბენზინით სავსე და ავაფე-თქოთ.

ეს საუბარი მალე მიწყდა. შედეგი ვერ გაიგეს და შეწუხებულები იყვნენ ამ უკანონობით.

მესამე დღეს სარდაფში კიტოვანი და გვარდიის გენერალი ჭუმბურიძე ჩავიდნენ.

– თამაზ, გთხოვ, სწორად გაგვიგე, შენ ნუ ჩაერევი ამ საქ-მეში, გადაწყვეტილია, უკვე ყველაფერი დამთავრდა, შენ ვერა-ფერს შეცვლი. – კიტოვანს ხმაში სულაც არ ეტყობოდა სინანული ან დანაშაულის შეგრძნება. ხოლო ჭუმბურიძე თამაზ ვაშაძის ნათესავი აღმოჩნდა და მოულოდნელად მოუბოდიშა მას. წა-მოვიდნენ. სარდაფში ვინც იყვნენ ყველანი გამოუშვეს. ჭუმ-ბურიძემ წამოიყვანა ისინი. რცხილადე ნახალოვკაში დატოვეს, დანარჩენებიც სხვადასხვა ადგილას და დიდუბის მეტროსთან გააჩერა მანქანა. გადასვლისას თამაზს მოურიდებლად ჰკითხა:

– თამაზ, ფული ხომ არ გჭირდება?

– მე ფული არ მინდა, ელიავას მიეცი, სენაკში უნდა წავი-დეს.

ჯიბიდან ფულის დასტა ამოილო, რასაც თამაზ ვაშაძემ გაო-ცებულმა შეხედა. მისცა ფულის დასტა ელიავას, გააცილეს და თამაზ ვაშაძე რომ მიიყვანა სახლთან, მორიდებულად უთხრა:

– ფრთხილად იყავი, არ გესროლონ, ნუ გაერევი...

მომხდარით გაოგნებული თამაზი სახლში ვერ გაჩერდა. ათ

წუთში უკვე ქუჩაში იყო და მთავრობის სახლისკენ მიდიოდა. დანგრეული რუსთაველის პროსპექტი, დაცხრილული შენობები, დალენილი ქუჩები წარმოუდგენელ გულისტკივილს იწვევდა.

რა თქმა უნდა, შეძლო და შეაღწია მთავრობის სახლში. ყველა მოიკითხა. დილარ ხაბულიანს კი საგანგებოდ სთხოვა, შენობაში მყოფი ყველა მანქანა შეემოწმებინა, რადგან ბენზინით სავსე ავზიანი მანქანების აფეთქებას რომ აპირებდნენ, აუხსნა მას. მართლაც მოკლე ხანში აღმოაჩინეს ბენზინით სავსე ორი სახანძრო მანქანა და გადაარჩინეს შენობაც და იქ მყოფი ადამიანებიც.

ზვიადი შეცივნული იყო. ერთგვარი დაბნეულობაც ეტყობოდა. გული ეტკინა თამაზს. ციოდა, მას ბიძამისის პარიზიდან გამოგზავნილი ქურთუკი ეცვა, რომელიც ძალიან თბილი იყო. გაიხადა და ზვიადს ჩააცვა.

— არა, მერე შენ? — იუარა ზვიადმა.
— მე მივხედავ ჩემს თავს — არ შეპუა თამაზი. — ზვიად, ახლა შევიტყვე ქობალია რასაც აპირებდა, თბილისის ზღვაზე თავს უნდა დასხმოდა თავისი რაზმით ოპოზიციონერებს და დაეხოცა ისინი... საყვედური უნდა გითხრა, მიგეცა ამის უფლება ქობალიასთვის, მე თუნდ მოვმკვდარიყავი, საქართველო გადაარჩებოდა.

მცირებნიანი პაუზის შემდეგ ზვიადმა უპასუხა:
— ქართველმა ხალხმა მე პრეზიდენტად ამირჩია და არა ჯალათად.

რა უნდა უთხრა ასეთ ადამიანს, რომელიც ამბობდა, ტყვია არ ისროლოთ, ყვავილები ესროლეთო.

ასევე მეტად საინტერესოა, მაშინდელი პრესა რას წერდა. ამის თვალსაჩინოდ დიტო ჩუბინიძის თამაზ ვაშაძესთან ჩაწერილ მეტად ტევადი ინტერვიუდან პატარა მონაკვეთს მოვიტან, რადგან მიმაჩნია, რომ ობიექტურად და პროფესიონალურად არის შეფასებული იმ დროის მოვლენები და ბევრ საკითხს ფარ-

დას ახდის ჩვენი მკითხველისთვის. ამ ინტერვიუდან ჩვენ შემდგომში ხშირად დაგვჭირდება ამონარიდების მოყვანა, ამჟამად კი მხოლოდ იმ მონაკვეთს შემოგთავაზებთ, სადაც პუტჩის შესახებ არის მოთხოვნილი.

„– ბატონო თამაზ. როგორც ვიცი, 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში პუტჩი იმის შემდეგ დაიწყო, რაც თქვენ შეიარაღებულმა ე. წ. „ოპოზიციონერებმა“ შეგიძყრეს. რა მოხდა იმ დღეს?

– პუტჩის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, 1991 წლის 21 დეკემბერს, დაახლოებით დილის 10 საათზე დამიჭირეს. ციოდა, სახლში წამოვედი და გრძელი ქურთუკი ჩავიცვი. ამ ქურთუკში ხელი ვერ გავანძრიე და შემიძყრეს, თორემ ისე ვერ მომერეოდნენ. სულ ექვსნი იყვნენ. იქვე იდგა რობიზონ მარგველანიც. არავინ მომეხმარა. მერე ბევრი დამესია ერთად და თბილისის ზღვაზე ამიყვანეს.

– მაშინ ომი ჯერ არ იყო დაწყებული?
– არა, ომი მეორე დღეს დაიწყო.
– რას ლაპარაკობდნენ, რას თათბირობდნენ და ვინ იყო თბილისის ზღვაზე, ვინ ნახეთ?

– ერთადერთი კაცი მე ვარ, ანუ მოწმე, რომელიც ვასაბუთებ, თუ ვინ დაიწყო ომი თბილისში. ამის შესახებ პროკურატურას ორმოცდაცამეტგვერდიანი ჩვენებაც მივეცი. თბილისის ზღვაზე პუტჩისტებმა „საიდუმლო სერობა“ გამართეს. ამ სერობაში მონაწილეობდნენ: ვახტანგ რაზმაძე, თენგიზ სიგუა, ელდარ შენგელაია, თენგიზ კიტოვანი, აკაკი ბობოხიძე... აქ დაიგეგმა პუტჩი, ჩემ თვალწინ მოხდა ეს ყველაფერი. საკანში გამომამწყვდიეს, მაგრამ მათი ყოველი სიტყვა კარგად მესმოდა. ჩემთან საკანში შემოვიდა დოდო გუგეშაშვილის ძმა, რომელიც პრეზიდენტის დაცვაში იყო და მითხრა: შენ ყველაზე ბედნიერი კაცი ხარ! ვიფიქრე, ალბათ, ამ კაცმა გააფრინა, რას მელაპარაკება-მეთქი და ვკითხე: რატომ ვარ ბედნიერი? მან მიპასუხა: მაგას ხვალ გაიგებო! მეორე დღეს პუტჩისტებმა რუსთაველზე სისხლის ტბა დააყენეს...

– თქვენ, ბატონო თამაზ, გცემეს და შეურაცხყოფა მოგაყენეს თბილისის ზღვაზე?

– არა! მე ვარ მოწმე, როგორ აძალებდნენ მფრინავ ჯიმი მაისურაძეს პუტჩისტები, რომ ბენზინით სავსე ავზი ჩამოეგდოვერტმფრენიდან და ცეცხლში ამოებუგა მთავრობის სასახლე. მაისურაძე მათ უხსნიდა, რომ მიწიდან ხუთტონიან ცისტერნას ვერტმფრენი ვერ ასწევდა, თუმცა ჯიმი მაისურაძემ უფრო ნაკლები მოცულობის ცისტერნა მაინც ჩამოაგდომ მთავრობის სასახლეში. მაშინ გადაწყვიტეს, სახანძრო მანქანებში ჩაესხათ ბენზინი და მთავრობის სასახლის სარდაფში ჩაედვარათ საწვავი, რათა ცოცხლად ამოებუგათ პრეზიდენტიც, მთავრობაც და ის უამრავი ხალხიც, ვინც მაშინ იქ იყო. ეს ყველაფერი ჩემი ყურით მოვისმინე!.. ესენი იყვნენ სამშობლოს გამყიდველები, საზიზლარი ხალხი, რომლებიც ყველაფერზე მიდიოდნენ...

– რამდენ ხანს იყავით თბილისის ზღვაზე დაპატიმრებული?

– ოთხი დღე დავყავი თბილისის ზღვაზე, საკანში, არადა თბილისში უკვე ომია! ერთხელ შემოვიდა კიტოვანი და მითხრა: რა ვქნა, ნუ ჩაერევი ამ საქმეში, მე შენ უნდა გაგიშვაო!.. როგორც კი გამომიშვეს, მაშინვე მთავრობის სასახლეს მივაშურე. 24 დეკემბერს პრეზიდენტსაც შევხვდი და ყველაფერი ვუთხარი, რასაც პუტჩისტები გეგმავდნენ.

მართლაც ჩატარდა შემოწმება და ბენზინით სავსე ორი მანქანა აღმოაჩინეს. ზვიად გამსახურდიას ვუსაყვედურე კიდეც: არ ჯობდა მე დავეხვრიტე იმ ნაძირლებს და საქართველო გადარჩენილიყო-მეთქი?..

– რას გულისხმობთ?

– რა და, ზღვაზე რომ ვიყავი, იქ პუტჩისტებმა შეიტყვეს, ლოთი ქობალია თბილისის ზღვის დასაბომბად მოდისო. მაშინ, თურმე, ზვიადისთვის შეუთვლიათ ამ სამშობლოს მოღალატეებს, – აქეთ არავინ წამოვიდეს, თორემ თამაზ ვაშაძეს დავხვრეტო. ზვიადს ეს რომ გაუგია, ქობალიასთვის შტურმის ნება არ დაურთავს. ზვიადი იყო უდიდესი კაცთმოყვარე, სისხლი არ უყვარდა, მშვიდობა უნდოდა!

– ოჯახი თუ დაგინიოკეს პუტჩისტებმა, შინ თუ შემოგეჭრნენ? – უამრავჯერ მოხდა ასეთი ფატური. ყველაფერი დაანგრიეს. მოხუც მამას შეურაცხყოფდნენ, ააწიოკეს ჩემი ცოლ-შვილი... თემურ ხაჩიშვილის ბანდა მოდიოდა აქ, ავტომატს ესროდნენ ზვიად გამსახურდიას წარწერებს კედლებზე. ჩემი და გადაეფარათ წინ, რა გინდათ, ზვიადის წარწერას მაინც რას ერჩითო!.. იყო კეთილი ხალხიც, ვინც წინასწარ შემატყობინა თავდასხმის შესახებ და გავასწარი აქედან. მთელი ინტერპოლი დამდევდა... ერთადერთი კაცი ვარ საქართველოში, ვინც შეწყალება არ დაწერა და ვისზეც ვერავინ თქვა ცუდი. ვეხვენები ყველას, მოუკუნდებ ყველას, რომ თუ ვინმე გამოვა და ჩემზე, ან ჩემს მიერ გაკეთებულ საქმეზე აუგს იტყვის, ორივე ხელს ავწევ! და-მოუკიდებელი საქართველოს მთელ ბიუჯეტს მე განვკარგავდი, როცა 1991 წლის 29 აპრილს მინისტრა მოხდა. 850 მილიონი დოლარის ღირებულების სამშენებლო მასალა დავხარჯე დანგრეული სახლების, სკოლების, ახალი ხიდების ასაშენებლად. ეროვნულ საქმეს შევნირე ყველაფერი. მთელი საქართველო ალმაფრენით მუშაობდა და თუ ვინმე კაპიკს მაინც დამითვლის მოპარულს, გამოვიდნენ და თქვან! რვა თვეში 50 ათასი სახლი ავაშენება...

– ამის შემდეგ თუ მიუმატეს ამ სახლებს რაიმე?

– არაფერი! ქვა ქვაზე არ დაუდვიათ, სად ეცალათ შენების-თვის, აქცევდნენ და სისხლში ახრჩობდნენ ქვეყანას! 1991 წელს მე, თამაზ ვაშაძეს ზვიად გამსახურდიამ გამომიცხადა ნდობა, დამიქვემდებარა ფაქტობრივად ყველა სახელმწიფო უწყება, დამნიშნა საგანგებო შტაბის უფროსად და ვაშენებდით საქართველოს. რაც მე ასფალტის საფარი დავაგე და გზები გავიყვანე 8 თვეში, 10 წელი ამის ნახევარსაც ვერ დააგებენ. გავიარე ყველა ინსტანცია, სანამ მაღალ თანამდებობას მივალნევდი, არ გამომიტოვებია არცერთი საფეხური. მთელმა საქართველომ უნდა იცოდეს – პუტჩისტებმა დაპატიმრების სანქცია გასცეს სამ კაცზე: ზვიად გამსახურდიაზე, ლოთი ქობალიაზე და თამაზ ვაშაძეზე...

- თბილისის მერი როდის გახდით?
 - 1991 წლის სექტემბერში! ესენი, თავს რომ იკლავენ თანამდებობისათვის, ამათ რა იციან, რომ თანამდებობა უმძიმესი ტვირთია! არ მინდოდა თბილისის მერობა და ვუთხარი ზვიადს: ბატონო ზვიად, მომეცით სამი დღე და მე მოგიძებნით თქვენ თბილისის მერის კანდიდატურას-მეთქი.
 - რა გინდა? – მკითხა ზვიადმა.
 - მერი უნდა იყოს აუცილებლად ლამაზი, შეხედული, აუცილებლად უნდა იცოდეს რამდენიმე უცხო ენა, მოდი, მოვქებნოთ, ბატონო ზვიად, ასეთი კაცი! – ვთხოვე.
 - არა, არ მინდა, შენ იყავი მერი, ახლა შენ მჭირდები! – მითხრა პრეზიდენტმა.
- არ გეგონოთ, რომ ვტრაბახობ... საქმეში მე იშვიათად გამეჯიბრება კაცი.
- როგორი მმართველი იყო ზვიად გამსახურდია?
 - მე ბევრი რამ ვისწავლე ზვიადისგან! ზვიადი იყო კაცი, თავს დახრიდა, გისმენდა ბოლომდე, მოსმენის უდიდესი კულტურა ჰქონდა და მერე გაგცემდა პასუხს.
 - ბატონო თამაზ, რამ გამოიწვია ეროვნული ხელისუფლების ტრაგედია?
 - ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ეროვნული ხელისუფლების შეეშინდათ! უამრავმა ხალხმა შურის გამო თავისი სახე დაკარგა საქართველოში. გავანებოთ თავი იმას, რომ ზვიადი იყო უგანათლებულესი პიროვნება, გავანებოთ თავი იმას, რომ ის იყო დიდი ოჯახის შვილი, ის გახლდათ ულამაზესი მამაკაცი, სულ მოწესრიგებული, კოხტად ჩაცმულ-დახურული და რაც ყველაზე მთავარია, – ზვიადს სისხლი არ უყვარდა! ზვიადს რომ ეს ნაძირლები ამოეწყვიტა თბილისის ზღვაზე და ათი კაცისთვის თავები მოეჭრა, საქართველოში არაფერი მოხდებოდა! დიდმა შურმა დალუპა ზვიად გამსახურდიას თავისუფალი საქართველო!“
- აქვე აუცილებლად უნდა მოვიშველიო ერთი პატარა ამონარიდი თემურ ქორიძის წერილიდან, სადაც კარგად ჩანს, იმ

დროის განუკითხაობა, გაუაზრებელი ქმედება, რასაც საზოგადოების თვალში თითქოს უჩინარი, ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაუძინებელი მტერი მართავდა. მტერი, რომელიც საკუთარ საქმეს ჩვენივე, ქართველების ხელით აკეთებდა.

„პრეზიდენტმა იცოდა, რაც მოხდებოდა და ისიც იცოდა, რომ ვერაფერს შეცვლიდა. მან ყველაფერი სცადა, ყველაფერი გაიღო, მაგრამ გამგონ-მიმღები წერასატანილებში არავინ აღმოჩნდა. ზვიად გამსახურდია ექვს თვეს ითხოვდა. 1991 წლის ნოემბრის მიწურულს ზვიად გამსახურდიას მწერალთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ეწვია. მისი თხოვნით, ამ შეხვედრას მეც დავესწარი. სამუშაო მაგიდის მახლობლად, სავარძელები ვიჯექი და საუბარს გულისყურით ვისმენდი. ლაპარაკით მხოლოდ ერთი, იმჟამად ფრიად გავლენიანი რომანისტი ლაპარაკობდა, ის და ზვიადი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და საუბარიც აულელვებლად მიმდინარეობდა. ეტყობოდა, რომ მწერალი რომელიღაც ძალზე დაინტერესებული ჯგუფის პოზიციას გამოხატავდა. მისი სიტყვები ჩემთვის მეტად მძიმე მოსასმენი იყო, მაგრამ ზვიადი წონასწორობას ინარჩუნებდა და მათი შეხვედრა ისე დასრულდა, საუბარში არც ჩავრეულვარ. პოზიცია, რომელსაც მწერალი ახმოვანებდა, დაახლოებით, ასე ჟღერდა: საქართველოს საერთაშორისო აღიარებას ზვიად გამსახურდიას დიქტატორული მიდრეკილებები აფერხებს. ამიტომ გარკვეული წრები სთავაზობენ მას – ქვეყნის პრეზიდენტს, დროებით, ერთი-ორი წლით დასტოვოს ეს პოსტი და სამკურნალოდ ევროპაში გაემგზავროს. ფინანსურ უზრუნველყოფას ჯგუფი თავის თავზე იღებდა. ზვიად გამსახურდიას პასუხი კი ასეთი იყო: მე სრულიად ჯანმრთელი ვარ, საქართველოში არანაირი დიქტატურა არ არსებობს, აღიარება კი იმიტომ იგვიანებს, რომ ჯერ კიდევ არ დაშლილა საბჭოთა კავშირი, ის კვლავ საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. ახლა იმპერია, ფაქტობრივად, რღვევის პირასაა მისული. ექვსი თვის მანძილზე ის იურიდიულადაც შეწყვეტს არსებობას და აღიარებაც მაშინვე წამოვა. როგორც კი ეს პროცესი დასრულდება, მე

მაშინვე დავნიშნავ ვადამდელ არჩევნებს და ლიტერატურულ საქმიანობას დავუბრუნდები. ხელისუფლებაში ყოფნას ნამდ-ვილად არ ვაპირებ...

ვიმეორებ: ეს შეხვედრა 1991 წელის ნოემბრის მიწურულს შედგა. ზეიად გამსახურდია ექვს თვეს ითხოვდა და შემდეგ, საერთოდ, პოლიტიკიდან წასვლას აპირებდა. მისი ვარაუდი გაცილებით სწრაფად ასრულდა. ამ საუბრიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ საბჭოთა კავშირმა ოფიციალურად გა-მოაცხადა თვითლიკვიდაცია. 25 დეკემბერს საქართველოს დამოუკიდებლობა თვით შეერთებულმა შტატებმაც აღიარა. ეს პროცესი ელვის სისწრაფით გავრცელდა. ასევე დაჩქარდა ზეიად გამსახურდიას წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების სისრულეში მოყვანაც. წილი ნაყარი იყო, მსხვერპლი—მიზანში ამოღებული, ჩახმახისთვის თითის გამოკვრამდე ერთი დღელა რჩებოდა. ...1991 წლის 21 დეკემბერს პარლამენტის შენობასთან კვლავ საპროტესტო გამოსვლები გრძელდებოდა. მძიმე ავტო-ბუსები და სატვირთო მანქანები ერთმანეთისგან მიჯნავდნენ ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს. აშკარად იკვეთებოდა ამ უკანასკნელთა დაჟინებული მცდელობა, რა-დაც უნდა დაჯდომოდათ, უთუოდ მოქადინათ შეტაკების პრო-ვოცირება. საღამო ხანს თენგიზ სიგუა ხმამაღლა აცხადებს, რომ სურს პარლამენტის კიბეებიდან მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს და შეკრებილ საზოგადოებას. მდგომარეობა უკი-დურესად დაიძაბა. დაპირისპირება პიქს აღწევდა. სასწრაფოდ შევხვდი ზეიად გამსახურდიას და დავითანხმე, რომ თავად გა-დავიდოდი მოწინააღმდეგეთა ბანაკში, შევხვდებოდი თენგიზ სიგუას და კონკრეტული წინადადებით მივმართავდი მას. ...ორ საათში გაიმართება უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია, რომე-ლიც: ა) დაითხოვს მინისტრთა კაბინეტს, რათა ოპოზიციასთან ერთად დაიწყოს კოალიციური მთავრობის ფორმირება. ბ) დაი-ნიშნება უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნები. გ) გამოცხად-დება პრეზიდენტისადმი ნდობის რეფერენდუმი. ...ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, სიგუა დავარწმუნე, რომ პრეზიდენტი ნამდ-

ვილად მზად იყო კონსტრუქციული მოქმედებისთვის. საუბრის დასასრულს მომიტინგებს მიღმართე და შერიგებისკენ მოვუწოდე. უკან, პარლამენტის შენობისკენ გამოვემართე, შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ ძმა ძმაზე ხელს არ აღმართავდა და სისხლი არ დაიღვრებოდა. პარლამენტის კიბეებთან მოახლოებისას, მოულოდნელად, ვიღაცის გამყინავი ხმა წამომეწია: „ზვიად გამსახურდიავ! შენ ვერ ეღირსები ახალი წლის დადგომასო“... ამას მოჰყვა ყურისნამღები ხმაური და ეგზალტირებული მასის აბობოქრება. სულ მალე სროლაც დაიწყო და საქართველოში ხანგრძლივმა წყვდიადმა დაისადგურა. დღეს უკვე სრულიად გასაგებია, თუ რატომ უგულვებელყვეს 1991 წლის 21 დეკემბერს ჩემ მიერ წამოყენებული წინადადებები. ამით ხომ საქართველო მტანჯველ დაპირისპირებას გადაურჩებოდა... რაღა თქმა უნდა, საქართველო გადარჩებოდა, მაგრამ საქართველოს გადარჩენა მაშინ ზვიად გამსახურდიას გადარჩენასაც ნიშნავდა. მათ კი მეორე გზა აირჩიეს: ზვიად გამსახურდიას ტყვია ესროლეს და ის ტყვია საქართველოსაც მოახვედრეს“!

თემურ ქორიძე

6 იანვარს გამსახურდიამ და მისი მთავრობის წევრებმა ალყაშემორტყმული შენობიდან გააღწიეს და აზერბაიჯანში გაიქცნენ, თუმცა იქ მათ თავშესაფარი არ მიიღეს. სომხეთმა გამსახურდია მცირე ხნით მიიღო და უარი განაცხადა მის ექს-ტრადიციაზე საქართველოში. საქართველოსთან დაძაბული ურთიერთობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით სომხეთის მთავრობამ გამსახურდიას საშუალება მისცა რუსეთის სეპარატისტულ რეგიონში, ჩეჩენეთში, გაქცეულიყო, სადაც მას ჯოხარ დუდაევის მთავრობამ თავშესაფარი უბოძა.

ერევნის საბაჟოზე ზვიადმა მოითხოვა, გაეჩირიკათ და დაედასტურებინათ, რომ არავითარი ქონება არ ჰქონდა საქართველოდან წამოღებული. ოპოზიციის ნაწილი ხომ ამტკიცებდა, 40 კილო ოქრო წაიღოო. ისევ კანონიერმა ქურდმა და ეროვნული

ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთმა მონაწილემ, ჯაბა იოსელიანმა გააქარწყლა ეს ჭორი, ტელევიზიონით განაცხადა, მაგას ნუ დავაპრალებთ ზვიადს, ვინ დაგვიჯერებს, სხვა რამე მოვიფიქროთო.

სომხეთის პრეზიდენტი მაშინ პეტროსიანი იყო. მან ძალიან ცუდად მიიღო დევნილი საქართველოს პრეზიდენტი. მაგრამ დუდაევის ვაჟკაცობამ იმოქმედა. მან თავისი ხალხი გაგზავნა ერევანში და კატეგორიულად მოითხოვეს, ზვიად გამსახურდიას თმის ერთი ღერიც არ ჩამოუვარდეს, თორემ არ გაგახარებთო. დიდებულმა ვაჟკაცმა, მფრინავმა ზაურ ბედიამ ერევნიდან გროზნოში ჩაიყვანა ზვიად გამსახურდია. არ უნდა დავუკარგოთ ამ ადამიანს გმირული საქმე.

დაიწყო რეპრესიები. აკონტროლებდნენ ტელეფონს. ერთ დღეს ხაჩიშვილი თავისი ბანდით თამაზ ვაშაძის სახლში შეიჭრა. მოხუცებულ მიხეილ ვაშაძეს კონდახი ჩაარტყეს. უტიფრად ითხოვდნენ ფულს.

– რა ფული გინდათ? – ერთგვარი სიმშვიდით პასუხობდა თამაზი.

- აბა, ტყუილად იყავი თბილისის მერი.
- იარაღი სად გაქვს?
- იარაღი ჩავაპარე, სახლში არაფერი მაქვს, აი, საბუთიც აქ მაქვს. – პასუხობდა თამაზ ვაშაძე.

იტრიალეს, იტრიალეს და წავიდნენ. ეს მხოლოდ პირველი ტალღა იყო. ხელს გააყოლეს, რაც მოეწონათ.

ქალაქში ქაოსი რომ არ დაწყებულიყო თამაზ ვაშაძემ მერია საბურთალოზე, ყაზბეგის ქუჩაზე გადაიტანა. ყოველდღე ცდილობდნენ, რომ პურით მომარაგება, წყლით და სხვადასხვა პირველადი მოთხოვნილების საგნებით არ შეფერხებულიყო და ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

ერთ დღესაც მასთან სახლში მივიდნენ კაგებეს უფროსი თამაზ ნინუა და მისი მოადგილე ანზორ მაისურაძე, რომელიც შემდგომში კაგებეს მინისტრი გახდა. მათ ასევე ახლდათ უცნობი ადამიანი, იგი რუსი იყო. რა თემა უნდა, სახლში შეიპატიჟა,

სტუმარი ღვთისააო. ისაუბრეს. მიხვდა, რომ შევარდნაძის ან სიგუას გამოგზავნილები იყვნენ. წყნარად მოუსმინა, ზვიადის-გან მოსმენის კულტურა ვისწავლეო, ამბობს ხოლმე ხშირად. შესთავაზეს, ჩვენთან გადმოდი, ჩვენს ბანაკში დაბრუნდი სამუშაოდო. უსმინა და ბოლოს უთხრა: „ბალახი რომ ვძოვო, საქონელთან ერთად გარეთ, ახლა მინდორში, მაინც არ ვიმუშავებ მაგათთან ერთად“. ეს საკითხი ამით დამთავრდა. ეს არის შენი საბოლოო პასუხიო, ასე კატეგორიულადო. რა თქმა უნდაო, უპასუხა უყოყმანოდ.

ზვიადის მომხრეებს დასდევდნენ. ამ საქმეში ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ზეიკიძე და რეზო ამამუკელი. ფილარმონიის გადავსებულ დარბაზში შეკრებილნი იყვნენ დროებითი მთავრობის მომხრეები. წინადადება დააყენეს, რომ ზვიადის მომხრეები სტადიონზე შეეყარათ და ცეცხლში დაეწვათ. სამწუხაროდ ამ წინადადებას დამსწრე საზოგადოება ტაშით და ოვაციით შეხვდა. ამის დასადასტურებელი ვიდეო ფირი არსებობდა, მაგრამ ჯაბა იოსელიანის ინიციატივით სახელმწიფო ტელევიზიის მთელი არქივი დაწვეს და ბევრი ასეთი ფაქტი გაანადგურეს, სამწუხაროდ.

გადატრიალების მესამე დღეს თბილისში ჩამოვიდა კიდევ ერთი ცნობილი აგენტი უურნალისტი კაშია, მის მეუღლესთან ერთად, ლაშქარაშვილი, ძმები გალდავები და თემურ ალასანია ხუნტის მხარდასაჭერად. ისინი საფრანგეთში აქტიურად უჭერდნენ მხარს ზეიადის საწინააღმდეგო აქციებს, ბეჭდავდნენ პრესაში ეროვნული მთავრობის საწინააღმდეგო სტატიებს. დღეს კი, როდესაც უურნალისტ კაშიას მეუღლე სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტია, ერთ-ერთი ტელევიზიის უურნალისტმა, მეტრეველმა, ჰკითხა ამის შესახებ. მან კი მოხერხებულად აირიდა ეს შეკითხვა.

ერთ დღესაც თამაზ ვაშაძის სახლთან მთელი უბანი ბეტეერებით იყო გარშემორტყმული. მისი აყვანა იყო დაგეგმილი. უშიშროების განკარგულებით მოხდა თავდასხმა, მაგრამ თამაზ ვაშაძემ გაასწრო, თუმცა შორს წასვლა ვერ მოახერხა.

მეზობლად რუსი ქალი ცხოვრობდა, ლიდა კრემენიოვა, ქმარი ჰყავდა ქართველი. მასთან შევიდა, მანაც უყოფმანოდ მიიღო და დამალა. ყველგან შედიოდნენ, მეზობლებთანაც. აქაც შევიდნენ, ეძებეს, მაგრამ ვერ მიაგნეს, მოახერხა კარადის უკან დამალვა და მეზობელმაც არ გასცა. იგი მისი დღემდე მადლიერია. არნახული ვაჟეაცობა გამოიჩინა, თქვენი ტელეფონი დამიტოვეთ, მე დაგაჭერინებთო თამაზ ვაშაძეს. ჯილდოს დაპირდნენ, დაუტოვეს ტელეფონი და წავიდნენ. როგორც თავად ბატონი თამაზ ვაშაძე ამბობს, ამ ოპერაციის ბრძანების გამცემი იყო ი. ბათიაშვილი.

დაღამდა. ეზოდან ეზოში ფრთხილად გადავიდა და ერთ-ერთ მეზობელთან შევიდა. სთხოვა, მანქანა დაექოქა და დილომში დაეტოვებინა. თუმცა მასაც არ ენდო და მოშორებით გააჩერებინა მანქანა. ლამის ორი საათია. ლია დარჩიასთან მივიდა. კარი გააღო. არ გაიოცა მისი დანახვა. გელოდიო, უთხრა, ვიცოდი, რომ მოხვიდოდიო. ულარიძესი ოჯახი იყო. შვილთან ერთად ცხოვრობდა, ქმარი გარდაცვლილი ჰყავდა. მხოლოდ ერთი კვერცხი ჰქონდათ. მოიტყუა, მე ვერ ვჭამ კვერცხს, ალერგია მაქვსო. დიდხანს ვერ დარჩებოდა იქ. სხვაგან უნდა გადასულიყო. მტკვარზე ორი დიდი მილი იყო გადებული, მაგრამ იქვე ახლოს პოლიცია იდგა და დიდხანს იცადა, სანამ ისინი არ წავიდოდნენ. მეგობართან, ნელი აბდუშელიშვილთან მივიდა. მან აუცილებლად მოსთხოვა, აქ უნდა დარჩეო.

ოჯახიც გაგზავნა ნათესავთან. სახლში მოხუცი, 88 წლის მამა და უფროსი და, თამილა დარჩა, რომელიც წარბშეუხრელად იცავდა ოჯახის ლირსებას. თვითონ თამაზი ვერ ახერხებდა ოჯახთან დაკავშირებას, რადგან არ უნდოდა მათთვის საფრთხე შეექმნა. ცოტა ხანში ნელის დახმარებით მის განუყრელ მეგობართან, შალვა ჯანგირაშვილთან შეძლო დაკავშირება, რომელიც ჩამოვიდა საკუთარი ავტომანქანით და დუშეთში წაიყვანა. თხუთმეტი დღე და ღამე დაპყო ამ ოჯახში, ლირსეული პიროვნების, ჭეშმარიტი პატრიოტის დიდებულ ოჯახში. შალვა ჯანგირაშვილი მეტად განათლებული, ლირსეული ადამიანი იყო

და ოცდაათი დღე დაჰყო მან მასთან, მაგრამ შეუჩერებლად დასდევდნენ, ყველა მიმართულებით ექებდნენ.

ვაშაძეების ოჯახი დიდი განსაცდელის წინაშე იდგა. უკვე ასაკში მყოფი დამსახურებული მსახიობი მიხეილ ვაშაძე ყველანაირად ცდილობდა შვილი გადაერჩინა. ამიტომ ოჯახის ახლობელს, ცნობილ მსახიობს, მედეა ჯაფარიძეს სთხოვა დახმარება, რადგან იცოდა, რომ მას ჯაბა იოსელიანთან დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა, ერთ დროს მან ჯაბა იოსელიანი დახვრეტასაც გადაარჩინა, როდესაც ლენინგრადის მაღაზიის ძარცვის გამო ჰქონდა მას სასჯელი მისჯილი. მივიდნენ მინისტრთა საბჭოში. ჯაბა იოსელიანს ძალიან გაუკვირდა მედეას და მიხეილის ნახვა.

– რამ შეგანუხა? – ჰკითხა მედეას. მიხეილ ვაშაძე დუმდა.

– ჯაბა, რას აკეთებ, რას შვრები, – აღმფოთებულმა მიმართა მედეამ ჯაბას. როდესაც ყველაფერი მოისმინა, ვითომ არ იცოდა, რაც ხდებოდა, დაპირდა, ყველაფერი მოგვარდება, ბატონო მიხეილ, აი, ტელეფონი, ვერავინ გაბედავს თქვენთან მოსვლას.

აქვე ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ 1993 წელს ბატონმა მიხეილმა საქართველოს პრეზიდენტს ღია წერილით მიმართა პრესის საშუალებით. წერილს ჰქვია „გვიხსენით განუწყვეტელი რბევისაგან!“

„მე, მიხეილ სვიმონის ძე ვაშაძე, – წერს პრეზიდენტს, – დაბადებული 1908 წლის 1 დეკემბერს, ეროვნებით ქართველი, მრავალშვილიანი ოჯახის შვილი, გაცნობებთ, რომ ჩვენი ოჯახი ირბეოდა 1921 წლიდან. 1924 წელს ზესტაფონში დახვრიტეს ჩემი ორი ძმა – ვლადიმერი და იონა, აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის. ერთი ძმა, პავლე 20 წლის ასაკში ქალის კაბაში გამოწყობილი, ჩადრში შებურვილი გავაპარეთ საზღვარ-გარეთ მდინარე ჭოროხზე გადასვლით. მან მთელი ცხოვრება გაატარა საფრანგეთში – ემიგრაციაში. გარდაიცვალა 1989 წლის დეკემბერში. 15 დეკემბერს დავასაფლავეთ ლევილის ქართველთა საძმო სასაფლაოზე.

ერთი ძმა გრიგოლი დაპატიმრეს 1927 წლის სექტემბერში.

მთელი ცხოვრება გაატარა გადასახლებაში, შეურაცხყოფაში და ტანჯვაში. დიდი უბედურება იყო ჩვენთვის 1937 წელი. 1949 წელს დამირბიეს მეუღლის ოჯახი, რომლის წევრებმა ციმბირ-სა და ყაზახეთში დაამთავრეს ცხოვრება, როგორც ბერძენი ეროვნების ადამიანებმა. 1992 წლის 20 მაისს კვლავ ოცმა კაცმა მომიწყო შემოსევა და დაგვარბიეს.

ნუთუ არ მოგბეზრდათ ჩემი და ჩემი ოჯახის რბევა?! მეც და ჩემმა ვაჟმა თამაზ ვაშაძემ მთელი შეგნებული ცხოვრება შრომაში, ხალხის პატივისცემაში და სამსახურში გავატარეთ. მე დღესაც ვმუშაობ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

როდესაც მარბევენ, მრცვენია, რომ ქართველი ვარ და მრცვენია, რომ ცოცხალი ვარ!

დაბეჯითებით გთხოვთ, თუ რამე შესაძლებლობა გაქვთ გამანთავისუფლოთ საუკუნო რბევისაგან და შეურაცხყოფისაგან!

ბოდიშის მოხდით
მიხეილ ვაშაძე
საქართველოს სახალხო არტისტი,
ქ. ჭიათურის საპატიო მოქალაქე.

თითქოს ჩაწყნარდა სიტუაცია. ვაშაძეების სახლში შეკრებილან მუხრან მაჭავარიანი, სოსო სიგუა და სხვები. ითათბირეს, რომ რამე საშუალება მოენახათ სიტუაციის მოსაგვარებლად. ამ დროს შექმნეს სოსო სიგუას ინიციატივით კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება. მისი თავმჯდომარე გახდა მუხრან მაჭავარიანი, ვიცე პრეზიდენტები იყვნენ ელიზბარ ჯაველიძე, თამაზ ვაშაძე და სოსო სიგუა.

ამ შეხვედრაზე საუბრისას ბატონი თამაზი ხაზგასმით იხსენებს მუხრან მაჭავარიანის დამოკიდებულებას სოსო სიგუას შემოქმედებაზე, როდესაც მან თქვა: „ისეთი გამოკვლევაა, რომ დიდი სიამოვნებით მოვკვდებოდი, თუ მეცოდინებოდა, ჩემს შემოქმედებასაც შეისწავლიან და ასეთ გამოკვლევას დაწერენო“.

გამოიცა გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“, რომლის რედაქტორი იყო ელიზბარ ჯაველიძე და დიდი წვლილი შეიტანა ამ გაზეთმა ეროვნული მოძრაობის საქმეში... და სწორედ ამ გაზეთში 1993 წლის 24 მარტის ნომერში დაბეჭდილი ინტერვიუდან ერთი ამონარიდი მინდა მოვიყვანო აქ, სადაც თავად თამაზ ვაშაძე უამბობს მკითხველს იმდროინდელ განწყობას და ამ გადაწყვეტილების აქტუალობას, დროულობასა და აუცილებლობაში დაგვარწმუნებს:

„სიმართლე გითხრათ, არასოდეს მქონია პრეტენზია პოლიტიკოსობისა, მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ის, რაც გასული წლის დეკემბერ-იანვარში მოხდა, ქართველი ერის სტორიაში შევა დიდ დამარცხებად, რადგან ქართველი კაცის სულიერმა და მატერიალურმა საგანძურმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ამ დანაკლისის აღდგენას ერთი თაობის სიცოცხლე არ ეყოფა. დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები. ამაში, უპირველეს ყოვლისა, დამნაშავეა ე. წ. ოპოზიცია, რომელმაც ბარბაროსული მეთოდებით დაამხო კანონიერი ხელისუფლება და დაანგრია საკუთარი ქვეყანა. ამით სამარცხვინო მაგალითი მისცა მომავალ თაობებს. სულიერებას რომ თავი დავანებოთ, აუნაზღაურებელია მატერიალური მხარე. დაინგრა თბილისის საუკეთესო ნაწილი, რომლის აღდგენას წლები დასჭირდება.

ჩემი აზრით, ყოვლად გაუმართლებელი იყო ხელისუფლების ლიონალური დამოკიდებულება ე. წ. ოპოზიციის აქციების მიმართ. საქმე ის არის, რომ ეს შურითა და ღვარძლით სავსე ნაწილი საზოგადოებისა მოქმედების ისეთ მეთოდებს მიმართავდა, რომ შეუძლებელი იყო მისთვის ოპოზიცია გვეწოდებინა. გულწრფელად გეტყვით, არ მეგონა, თუ ამდენს გაბედავდნენ და ყუმბარებს დაუშენდნენ კანონიერ ხელისუფლებას. თბილისის ზღვაზე, საპატიმროში მესმოდა ჩემი ქვეყნის დამანგრეველი ხმები. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ. რისთვის გაკეთდა ყოველივე ეს? ნუთუ იმისთვის, რომ ასეთი „საამური“ ცხოვრება დაგვდგომოდა? ჩემი აზრით, ის, რაც საქართველოში მოხდა,

გამოწვეული იყო პრეზიდენტის პიროვნების მიმართ სიძულვი-ლით, შუღლლით. ამ კატეგორიის ადამიანებმა ვერასგზით ვერ მიიღეს გამსახურდიას უაღრესად განათლებული, გამორჩეული და ღრმად მოაზროვნე პიროვნება.

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების შექმნა ჩვენს სინამდვილეში დიდ მოვლენად მიმაჩნია. ამ საზოგადოებამ უნდა იკისროს ქართველი ერის გამთლიანების მისია. ჩემი აზრით, მხოლოდ ურთიერთგაგება, ურთიერთპატიება გვიშველის. სხვა გზას ვერ ვხედავ. სწორედ კონსტანტინე გამსახურდიას საზო-გადოებამ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა ამ მიმართულებით. ვიმედოვნებ, რომ საზოგადოება არ შემოიფარგლება ვიწრო ჩარჩოებით და დიდ ეროვნულ საქმეებს გააკეთებს. ყოველივე ეს, რასაკვირველია, მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს არ შეუშლიან კეთილშობილური იდეების განხორციელებაში. სამი თვის განმავლობაში ვიყავი თბილისის მერი. გითხრათ სიმართ-ლე, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ცნობილია, რომ ჩემი თბილისის მერად დანიშვნის გულწრფელად წინააღმდეგი ვიყავი. იმ სამი თვის განმავლობაში, რაც მე ქალაქის მერი გახლდით, შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთეთ, ყოველ შემ-თხვევაში, გათბობა იყო ქალაქში და ქუჩებში ნაგავი არ ეყარა. საკითხების გადაწყვეტა კანონის შესაბამისად ხდებოდა“.

როდესაც ზვიადი გროზნოში იყო. მან მოითხოვა, რომ სოსო სიგუა და თამაზ ვაშაძის შვილი, ზვიად ვაშაძე მასთან ჩასული-ყვნენ. ისინი ბაქოს გავლით ჩავიდნენ გროზნოში. ინფორმაცია ჩაუტანეს ზვიადს.

თამაზ ვაშაძე დუშეთიდან თბილისში ჩამოვიდა და მერე, რამდენიმე დღეში ზუგდიდში წავიდა, ლოთი ქობალიასთან. წინააღმდეგობის მოძრაობა, მხოლოდ სამეგრელოში მიმდინა-რეობდა. თბილისში ამ მხრივ სიწყნარე იყო. ერთ-ერთ ოჯახში ცხოვრობდნენ. ეროვნული მთავრობის აღდგენის სურვილი მე-ტად ძლიერი იყო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა თამაზ ვაშაძემ

ბრძოლის ხაზზე წასულიყო. ამ დროს მათთან ინფორმაცია მოვიდა ასლან აბაშიძისგან, რომ მას სურვილი ჰქონდა ლოთი ქობალიასთან შეხვედრის. თამაზ ვაშაძემ შეუთვალა, ჩვენ გადავწყვეტთ, როდის ჩამოვიდეთო.

ჩოლოქთან ასლან აბაშიძეს სასაზღვრო ნიშნული ჰქონდა გამართული. იქიდან შეატყობინეს ასლანს მათი ჩასვლა. ქობალიას უთხრა, მის გარეშე არანაირი გადაწყვეტილება არ მიეღო. იარალი დაატყობინეს. მარტო ქობალიას ჰქონდა იარალი. მივიღნენ, შეხვდნენ ერთმანეთს. ასლანი ამ დროს ორმაგ თამაშს თამაშობდა. პატარა პურ-მარილზე უეცრად მათთან ფოთის კაგებეს უფროსი, იგორ გიორგაძე მივიდა, რომელმაც იქ ყველა დამსწრე საკუთარი საუბრით, უცნაური შეხედულებებით გააკვირვა, რადგან სრულიად მოულოდნელად განაცხადა, რომ საქართველოში პირველი კაცი არ უნდა იყოს არც ედუარდ შევარდნაძე, არც ზევიად გამსახურდია... აი, კაცი, ასლან აბაშიძე, ეს უნდა იყოს პირველი კაცი... ამ დროს უკვე შევარდნაძე საქართველოში ჩამოსულია და დროებითი მთავრობის მიერ პირველ კაცად აღიარებული. როგორ უნდა მისცე თავს უფლება, რომ ასეთი რამ თქვა. არავინ არაფერი უპასუხა. თამაზ ვაშაძეს გაეღიმა. ნათელი იყო, რომ ეს ადამიანი ორმაგ თამაშს თამაშობდა. ადრე წავიდა გიორგაძე, იეჭვეს, რომ გიორგაძეს რაღაც საეჭვო განზრახვა ჰქონდა და ამიტომ ისინი სხვა მიმართულებით, სწრაფად წამოვიდნენ და ხობის გავლით დაბრუნდნენ ზუგდიდში.

კიდევ ერთი შემთხვევა ბათუმთან დაკავშირებით, როდესაც ლოთი ქობალია თამაზ ვაშაძისგან დამოუკიდებლად ჩავიდა ბათუმში. ამ დროს ხაჩიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრია და გააკეთეს ორგანიზება, რომ ქობალია დაეჭირათ. ზუგდიდში ამ დროს კიტოვანია ქობალიას კაბინეტი. მას ავტომატებით თავზე ადგანან ქობალიას კაცები, მისი ცოლის ძმა.

თამაზ ვაშაძემ დაურეკა ასლან აბაშიძეს.

— ასლან, მანდ არის ქობალია, გვაქვს ინფორმაცია, რომ მაგის დაჭერაა გადაწყვეტილი და ხაჩიშვილია მანდ. გაფრთხილებ,

ქობალია რომ დაიჭირონ, შენი ავტორიტეტი მიწასთან იქნება გასწორებული და ამას არავინ შეგარჩენს. უზრუნველყავი, რომ ქობალია დაბრუნდეს თავის ადგილზე. ასლანმა ეს გააკეთა. იქიდან ქობალია კატერით გამოუშვეს ანაკლიაში.

იმ მძიმე, ტრაგიკული, საბედისწერო დღეების გამოძახილი კარგად არის ასახული თამაზ ვაშაძის მიერ დაწერილ ჩანაწერებში „უკანასკნელი 100 დღე“, რომელიც 2003 წელს დაიწერა, ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ და რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

*

„პრეზიდენტის მოთხოვნით მე და ზაურ ქობალია დიდი წველების შემდეგ ჩავედით გროზნოში. სასიამოვნო იყო ზვიადთან შეხვედრა. იგი მხნედ გამოიყურებოდა. მას აინტერესებდა საქართველოში მიმდინარე პროცესები. მხოლოდ სიმართლე. მე გავაცანი პრეზიდენტს საქმის რეალური ვითარება. ჩემს შეკითხვაზე: – ბატონო ზვიად, თუ არსებობს რაიმე მოლაპარაკება რუსეთთან საქართველოში კანონიერების აღდგენასთან დაკავშირებით, მან მიჰასუსა, არა! მე დამეტყო მოწყენილობა. შემდეგ პრეზიდენტმა მითხრა, არა მგონია, რუსეთი ღიად ჩაერთოს ჩვენს საქმეებში. მომცა დავალებები, რომლის ჩამოთვლა არ მინდა, მხოლოდ ერთი ფაქტი მინდა დაგაფიქსირო.

ერთ-ერთ უმნიშვნელო საკითხზე შევედი ასლანთან. საქმე ეხებოდა ზვიადის შვილის ბათუმის უნივერსიტეტში გადმოყვანას გროზნოდან. ამ საუბრის დროს გავარკვიე სულ სხვა რამ, რომ საქართველოში არც ასლანს და არც კიდევ უამრავ ჩინოსანს არ აწყობდა პრეზიდენტად გამსახურდია უბრალო მიზეზის გამო: მისი პრეზიდენტობის დროს ვერ ითავსებდნენ ისე, როგორც ამას აკეთებდნენ შევარდნაძის რეზიმის პერიოდში. ეს ყველაფერი მე ვუთხარი ბატონ ზვიადს“.

*

„ზვიად გამსახურდიას დაბრუნება გროზნოდან საქართვე-

ლოში მხოლოდ კარგ მწერალს შეუძლია ასახოს სათანადოდ. ენით აღუნერელი სანახაობა იყო იმ დღეს სამეგრელოში: სენაკიდან ზუგდიდამდე ხალხი გამოსული იყო გარეთ და ხელში ანთებული ჩალის ღეროებით ხვდებოდა პრეზიდენტს. იყო ტირილი და შექახილები – 150 ათასმა კაცმა მოიყარა თავი ზუგდიდის ცენტრში სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებიდან. პრეზიდენტის სიტყვას სულგანაბული უსმენდა ხალხი. ასეთი სიხარული ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს, ასეთი დიდი სიყვარული ადამიანისადმი. ის მოუწოდებდა ხალხს, რომ მშვიდობიანად გაეძევებინათ საქართველოდან ბანდიტი მოძალადეები, რომლებმაც დაამხეს კანონიერი მთავრობა. ცნობისათვის: საქართველო დაიქცა 1991-92 წლებში გადატრიალების შემდეგ, რასაც დღესაც ვიმკით“.

*

„ერთი ფაქტი მინდა დავაფიქსირო: ზუგდიდში, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია იყო, ერთ დღეს ჩვენი ერთი ჯგუფის მისვლის დროს პრეზიდენტი თავის ოთახში მუშაობდა. დაცვის წევრები თითქმის არავინ ჩანდა. ამის შესახებ გამოვთქვით აღმფოთება და მოვიწვიეთ თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ ჯაველიძე, აბსნაძე, გაბელია, გელანტია, გუგუშვილი და კიდევ ბევრი სხვა კანონიერი მთავრობის წევრი. ჩვენი მოთხოვნა იყო მთლიანი დაცვის გადაყენება და მათ ადგილზე დროებით ჩვენ ვიქებოდით, მანამ ახალი დაცვა დაკომპლექტდებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა“.

*

„ფოთის მოვლენების შესახებ მინდა გავიხსენო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ერთ „მშვენიერ“ დღეს ნაპირიდან შენიშნეს ნეიტრალურ წყლებში სამხედრო გემების ესკადრილია. შემდეგ გაირკვა, რომ იყო ბალტინის შენაერთები, რომლებიც თვალთვალს აწარმოებდნენ ქალაქ ფოთზე. ჩემი განკარგულებით, მათთან მოსალაპარაკებლად ორი ადამიანი გაიგზავნა. ესენი იყვნენ ვალიკო ბართია და გიგლა ბახტაძე. მათი ქმედება

გმირობის ტოლფასი იყო. კინალამ ესროლეს და ჩაძირეს. სამი საათის მოლაპარაკების შემდეგ დაიბარეს მეორე დღეს. მეორე დღეს კიდევ წავიდნენ, კონიაკის ყუთებთან ერთად.

ბალტინის პასუხი იყო მცდარი. თითქოს იგი არაფერში არ ერეოდა და ასრულებდა თავის ჩვეულებრივ მოვალეობას. ამ საზღვაო ბატალიონში მსახურობდა ფოთელი ახალგაზრდა რუსი, რომელმაც დედამისთან ჩვენ, ჩვენს გაგზავნილ ხალხს გამოატანა საკვებით სავსე ყუთი და თან ჩუმად უთხრა, რომ რუსი ვარ, მაგრამ საქართველოში დაბადებული და გაზრდილი. იცოდეთ, დიდ უბედურებას გიმზადებენო. სიმართლე გითხრათ, არ დავიჯერე და მეგონა, ვიღაცის დავალებას ასრულებდა. არადა, თურმე მართალი ყოფილა – უკრაინის პრეზიდენტის ნაძირალა კრავჩუკის განკარგულებას ელოდებოდნენ, რომ დესანტი გადმოესხათ საქართველოს ოკუპაციისთვის. ახლა კი ეს საერთაშორისო დამნაშავე ზის არხეინად უკრაინის რადაში და მისი ძმობილი წერს წიგნებს გართობის მიზნით კრწანისში.

როგორც სარწმუნო წყაროს მონაყოლიდან, იხსენებს ბატონი თამაზი, ერთ-ერთი მაშინდელი ბიზნესმენის მეცადინეობით შეგროვილი თანხით, რვა მილიონ ცხრაასი ათასი დოლარით მისულან ბალტინთან ხუთიოდე „ქართველი“, რომელთა გვარებს შეგნებულად არ ვასახელებთ... ამ თანხით აღფრთოვანებულ ბალტინს უთქვამს: ორი მილიონიც დამიმატეთ და ფსოუმდე გავალო... მისულებსაც გახარებიათ და მაშინვე შევარდნაძესთან დაურეკავთ, ბალტინმა ასე გვითხრა და რა ვქნათო... შევარდნაძეს კი კატეგორიულად აუკრძალავს მათვის, ზუგდიდამდე მივიდეს და ესეც საკმარისიაო.

*

„უდანაშაულო ხალხი და ჭეშმარიტი ვაი-პატრიოტები, ზოგი მიწაშია, ზოგი ციხეში და ზოგს პურის ფული არ აქვს. ამ ოპერაციის მოწყობაში ბალტინმა ფული აიღო იმათვან, რომელიც ვითომ საქართველოს ლირსეულ მოქალაქეებად ითვლებიან. ამ ოპერაციას ტანკებით თავისი ქვეყნის და ხალხის ასაოხრებლად

წინ მიუძღვოდნენ „ჭეშმარიტი“ ვაიპატრიოტები – მარგიანი, გოგუაძე, ფაცაცია და დევდარიანი“.

მართლაც განუკითხავი დრო იდგა. ომი, სისხლისმღვრელი ბრძოლები აფხაზეთში, რასაც ახალგაზრდების სიცოცხლე ეწირებოდა, უამრავი სახლ-კარდაკარგული ოჯახი, ერთმანეთში არეული და გადახლართული ტყუილ-მართალი, ზოგიერთი გაურკვეველი ფაქტი თუ მოვლენა, რომელსაც დღემდე ვერ მოვუძებნეთ ახსნა და განმარტება. განსაკუთრებით ერთ ამბავს იხსენებს თამაზ ვაშაძე. ზუგდიდში ყოფნის დროს ერთ დღესაც მასთან მივიდა ინგირის სადგურის უფროსი ყურუა.

– ბატონი თამაზ, ერთი ცუდი ამბავი უნდა გითხრათ, დაუჯერებელი ამბავი. დიდი უბედურება გველოდება. „თეთრი მანდილის“ მატარებელია შესული ოჩამჩირეში, უკან დაბრუნებისას ინგირის სადგურზე ასი ბიჭია შეკრებილი და ამ მატარებლის მგზავრების გაუპატიურება აქვთ გადაწყვეტილი. გააჩერებენ და მასიურად უნდა გააუპატიურონ ქალები.

მოძრაობა „თეთრი მანდილი“ 1993 წელს, აფხაზეთის ომის დროს დაფუძნდა, როდესაც ქართველი დედების ერთი ნაწილი ფრონტის ხაზისკენ გაემართა, რათა ძმათამკვლელი ომისთვის შეეძალა ხელი. იმ დროის საზოგადოებისათვის მეტად ცნობილმა, საყვარელმა, პატივცემულმა ხელოვანმა, მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწე ქალებმა იმგზავრეს ამ მატარებლით მეტად სახიფათო მიზნით, თუმცა მათი ოცნება მხოლოდ მშვიდობა იყო.

– რას ამბობ. ეს როგორ შეიძლება. რა საშინელებაა. მომიყვანე ისინი. – ეს ამბავი მეტად დაუჯერებელი იყო თამაზ ვაშაძისთვის.

ხუთი ბიჭი მიუყვანეს. ეცადა, სიბრაზე არ გამოეხატა, რათა მათი გადაწყვეტილების შეცვლა მოეხერხებინა.

– რას აპირებთ. როგორ შეიძლება მაგის გაკეთება, თავი მოგვეჭრება მთელ მსოფლიოში. ეს ხომ უბედურებაა...

– რას ამბობთ, ბატონი თამაზ, ეგენი სწორედ ამის ღირსნი

არიან... – იქედნურად ილიმებოდნენ და მიხვდა თამაზ ვაშაძე, რომ ამ შემთხვევაში მისი ავტორიტეტი არ მუშაობდა. სასწრა-ფოდ უნდა მოეფიქრებინა რამე. ამიტომ ზვიადთან შევიდა კა-ბინეტში და ყველაფერი უამბო. შეშფოთდა. ეს რა წარმოუდ-გენელია, როგორ შეიძლება ამის დაშვებაო. მომიყვანე ისინიო.

მართლაც შედგა მათი შეხვედრა. ზვიადი თავშეკავებულად შეხვდა მათ.

- მე ხომ პატივს მცემთ?
- დიახ, – არ ელოდნენ ისინი ამ შეკითხვას, თავი დახარეს.
- მე ხომ გიყვარვართ?
- რა თქმა უნდა, ბატონო ზვიად, – მათ სახეებზე გაოცება და გაკვირვება ეტყობოდათ.

– გეხვეწებით, ეს არ გააკეთოთ, დაიღუპება მთელი საქარ-თველო ეს რომ გააკეთოთ, ამას მთელი მსოფლიო გაიგებს და თავი მოგვეჭრება...

ინგირის სადგურზე უნდა გაჩერებულიყო ეს მატარებელი. ყურუამ ისე გააკეთა, რომ არ გააჩერა და გადავრჩით ამხელა სირცხვილს, რაც ზვიად გამსახურდიას დამსახურება იყო.

კიდევ ერთ დღეს იხსენებს თამაზ ვაშაძე, როდესაც ზუგ-დიდში ყოფნის დროს იქ ირაკლი წერეთელი ჩავიდა და ზვიად-თან შეხვედრა ითხოვა. ზვიადმა უთხრა შემოვიდესო.

ამ შეხვედრას თამაზ ვაშაძე ესწრებოდა. შევიდა ოთახში ირაკლი, უხერხულად გაჩერდა ერთ ადგილას. ზვიადი ადგა, მივიდა მასთან, ხელი მოკიდა და თქვა: „დაკარგული ცხვარი მოვიდაო“.

– ბატონო ზვიად, პროდუქტები ჩამოვიტანე ჩვენი ჯარის-კაცებისთვის, ოჩამჩირეში და სხვაგან ჩავუტან.

ეს შეხვედრა სულ ათი წუთი გაგრძელდა. ერთი საყვედუ-რიც არ უთქვამს ზვიადს. ასე უთქმელად დაშორდნენ.

ერთ დღესაც ქობალიასთან ტანზე ტანსაცმელშემოხეული გენო კალანდია შეიყვანეს. მის დახვრეტას აპირებდნენ. განუ-კითხაობა ზეიმობდა. ამ ამბავს შეესწრო თამაზ ვაშაძე. იგი წინ გადაუდგა და ყველას გასაგონად თქვა:

– სანამ მე აქ ვარ, არ მოგცემთ უფლებას პოეტი დახვრიტოთ. მის ნამუსზე იყოს მისი ქმედება. – ვერავინ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა.

ერთ დღესაც ზუგდიდში ლოთი ქობალია შეიარაღებულ თანმხლებ პირებთან ერთად ვაშაძის ოთახში ახალგაზრდა კაცს შეუძლვა, რომელიც საშინლად შეშინებული და დათრგუნული იყო, სახეზე ფერი აღარ ჰქონდა. ლოთი ქობალიამ ხმამაღლა უთხრა, – ჯილდო მოგიყვანეო. ეს ახალგაზრდა კაცი ერთ-ერთი იყო ექვსთაგან, რომელთაც ის გაიტაცეს გადატრიალების წინა დღეს. გაკვირვებულმა შეხედა თამაზ ვაშაძემ შეშინებულ, აძიგძიგებულ, აშკარად ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფ ახალგაზრდას.

– გაუშვით, მის სინდისზე იყოს, – უთხრა მან ოთახში მყოფთ და წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაბედეს, გაუშვეს ტყვე.

რა უნდა ექნა, შური ეძია? ეს ხომ მისი ხელობა არ იყო... მას საერთოდ არ ახასიათებს შურისძიების ფაქტორი. ყველას ხომ უფალი მიაგებს საკადრისსო, – მუდამ ამას იმეორებს.

რთული დღეები იდგა საქართველოში. აფხაზეთში ომი მძვინვარებდა. ზუგდიდში დაბანაკებული ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას, ამიტომ სენაკიდან განდევნეს ბანდები და დაიკავეს, რადგან აქედან მიღიოდა მთელი ტვირთი საქართველოში.

ზვიადმა თამაზ ვაშაძის ჩასვლა მოითხოვა გროზნოში. ზაურ ქობალია და თამაზ ვაშაძე ჩავიდნენ ბათუმში, იქიდან კრასნოდარამდე გაჰყვნენ ტვირთმზიდავ თვითმფრინავს, შემდეგ ფეხზე მდგარნი ავტობუსით გაჭირვებით ჩავიდნენ. ზვიადს საქართველოში არსებული მდგომარეობა აინტერესებდა. გზაში როდესაც ისაუბრეს მან ზაურ ქობალია გააფრთხილა, მე უნდა ვუთხრა ზვიადს ყველაფერი სიმართლე, რა მდგომარეობა არის საქართველოში, თუ რამე არასწორი ვთქვი, მაშინ ჩაერთე შენ საუბარშიო.

ყველაფერი უთხრა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა მხო-

ლოდ და მხოლოდ სამეგრელოში იყო, თითქოს იყო კახეთის ორგანიზაცია, სამაჩაბლოს ორგანიზაცია, მოგონილი ამბავი იყო. თითო-ოროლა, რამოდენიმე წარმომადგენელი იყო ყველგან, მაგრამ ორგანიზაციის სახე არ ჰქონდა ამას. განსაკუთრებით მოიკოჭლებდა თბილისის ორგანიზაცია. თბილისი არ აქტიურობდა.

მაშინაც ისაუბრეს ზვიადის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. თამაზ ვაშაძე ყოველთვის თვლიდა, რომ ზვიადი აუცილებლად უნდა ჩამოსულიყო. ამ საკითხზე იგი ასეთ რამეს ამბობს:

— მე ვარ ერთ-ერთი ადამიანი, რომელიც მომხრე იყო ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლის საქართველოში. დავუშვათ, არ ჩამოსულიყო და დავუშვათ ახლა ზვიად გამსახურდია ცხოვრობს ფინეთში, როგორც გუგუშვილი, რა იქნებოდა მისი ავტორიტეტი. რა თქმა უნდა, ნული. მას არავის ჭკუის დარიგება არ სჭირდებოდა. როდესაც ზუგდიდში გართულდა სიტუაცია, დაძაბულობა გაგრძელდა, შევთავაზე, გარანტიას გაძლევ, საბერძნეთში გადავიდეთ-თქო. მაშინ მითხრა, მე საქართველოდან ცოცხალი არსად არ წავალ, შენ გაძლევ უფლებას, ნადიო.

ზვიად გამსახურდიას ბევრმა ეგრეთ წოდებულმა ეროვნულმა ადამიანმა უღიალატა. მათ ვერ შეძლეს, რადგან როდესაც დაიბადნენ, მათ კოდში არ იყო ჩადებული ერთგულება, გმირობა, ამიტომ ვერ გაწიეს უღელი.

გროზნოში როდესაც ჩავიდა თამაზ ვაშაძე, ზვიადმა მას დაავალა, რომ ეროვნული მთავრობა უნდა დაბრუნებულიყო ზუგდიდში. ამასთანავე მას მთავრობაში ცვლილების შეტანა სურდა, რასაც კატეგორიულად შეენინააღმდეგა თამაზ ვაშაძე. იგი თვლიდა, რომ ზუგდიდში ეროვნული მთავრობა უნდა დაბრუნებულიყო ძველი შემადგენლობით, იმ შემადგენლობით, რომელიც იყო გადატრიალებამდე. გუგუშვილი უნდა დაბრუნებულიყო აუცილებლად, რაც არ მოეწონა აბსანძეს, რომელსაც თურმე გუგუშვილის თანამდებობის დაკავება სურდა. ზვიადი დაეთანხმა ვაშაძეს და დაავალა მას, დახვედროდა გუგუშვილს და ჩაეყვანა იგი ზუგდიდში.

არავინ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა გუგუშვილი, მხოლოდ ვაშაძე იყო საქმის კურსში. ექვსი დღე და ღამე იყო იგი ბათუმის აეროპორტში. ელოდებოდა ნალჩიკიდან თვითმფრინავის ჩამოსვლას, რომელსაც ეროვნული მთავრობა უნდა ჩამოეყვანა. პირველ რეისს ჩამოჰყვა აბსანძე, გუგუშვილი კი მეორე რეისით ჩამოვიდა. ამ დროს ეს ინფორმაცია უკვე ცნობილი იყო უშიშროებისთვის. იცოდნენ, რომ მათი ლიკვიდაციის განკარგულება იყო გაცემული შევარდნაძისგან. ამიტომ გაცდნენ თუ არა ბათუმს, თამაზ ვაშაძემ მანქანა გააჩერა და თანმხლებთ აუხსნა, რომ აუცილებელი იყო მისთვის დაეჯერებინათ, თუ უნდოდათ ცოცხლები გადარჩენილიყვნენ და ჩასულიყვნენ ზუგდიდში. გააჩერა მანქანა და ფეხით გაუყვნენ გზას რიონის მიმართულებით ტყით, ყანებით, ჭაობებით...

რიონის ნაპირზე საკუთარი დაცვის ორი წევრი ნავის მოსაყვანად გაგზავნა. მათ მიერ დატოვებულ ავტომატებს კი მჭიდრები ამოაცალა და იქვე ერთ-ერთ ბუჩქში დამალა, რადგან ბოლომდე მაინც არ ენდობოდა მათ. ნავით მშვიდობიანად გადაცურეს რიონი, რომელიც იმ ადგილას საქმაოდ მდორეა. ფოთის მხრიდან გაუთავებლად ისროდნენ, თუმცა გაურკვეველი იყო, ვის ესროდნენ. განშორებისას დაცვის ბიჭებს დაუბრუნა ავტომატები, აუხსნა, რატომ არ იყო მათში მჭიდრები და ისიც უთხრა, სად უნდა ეპოვათ ისინი, მეორე ნაპირზე ბუჩქის ქვეშ. ასე დაშორდნენ მათ და ნავიდნენ ფეხით ანაკლიამდე. ამ ულამაზეს ადგილებში იარეს ფეხით და ჩავიდნენ ზუგდიდში.

ერთ დღეს, როდესაც ზუგდიდში ყოფნის დროს თამაზ ვაშაძე ზვიადთან მივიდა, გაოცემული იყო, რადგან ზვიადი სრულიად მარტო დახვდა დაცვის გარეშე. ძალიან გაუკვირდა. რახდება, დაცვა სად არისო, იკითხა.

— რა ვიცი, სანამ ჩამოვიდოდი დღეში ასჯერ მირეკავდნენ, ჩამოდი, ჩამოდიო და ახლა ყველა მიმოიფანტა, — ერთგვარი დანანებით უთხრა ზვიადმა.

საკითხი დააყენა, დაცვა გადაეყენებინათ და დროებით ისინი შეასრულებდნენ დაცვის მოვალეობას. ეს უკვე იმის ნიშანი იყო, რაც შემდეგში მოხდა კიდეც.

სენაკის დაკავების შემდეგ ფოთის საკითხი დადგა დღის წესრიგში. ამ დროს ფოთის მერი იყო მელია. ეს ის მელიაა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატი ჩაატარა. გია ფერაძე, ეროვნულ მოძრაობაში ცნობილი პიროვნება და ზესტაფონის პრეფექტი იყო. მას უთხრა ვაშაძემ, რომ ფოთის ოპერაციის დროს აუცილებლად ფრთხილად მოქცეოდნენ მელიას და მის ოჯახს. მართლაც ასე მოიქცნენ და ფოთის დაკავების დროს მელია, ოჯახთან ერთად გაამგზავრეს ბათუმში. მელია თავის მოგონებებში მაღლიერებას გამოთქვამს და ხაზგასმით აღნიშნავს, ვაშაძემ სიცოცხლე მაჩუქაო.

სამტრედია როდესაც დაიკავეს, თამაზ ვაშაძემ აღადგინა მატარებლების მოძრაობა სამტრედია-ბათუმი, ასევე ყველანაირი მოძრაობა, რათა ქაოსი არ დამდგარიყო და წესრიგი ყოფილიყო ყველაფერში.

ზვიადთან ფოთიდან ჩავიდა ფოთის პრეფექტი თენგიზ ბარამიძე და სთხოვა ზვიადს, მიჭირს და იქნებ თამაზ ვაშაძე და მაქემაროსო. სხვა რა გზა იყო. იგი ფოთს კარგად იცნობდა და მეორე დღესვე გაემგზავრა იქ. ფოთში ჩასულს საოცარი ამბები დახვდა. სკოლები იყო დაკეტილი, სწავლა შეწყვეტილი. დაიბარა განათლების განყოფილების გამგე, რომელსაც კატეგორიულად მოსთხოვა, სწავლა გაეგრძელებინა, ყველა სკოლა გაეხსნა. აღმოჩნდა, რომ განათლების განყოფილების გამგე პუტჩისტებს გულშემატკივრობდა, რასაც არც მალავდა და ამიტომ სკოლებში სწავლა შეჩერებული იყო. მეორე დღესვე დაიბარა თამაზ ვაშაძემ და უთხრა:

— არა გაქვთ უფლება, სწავლა შეაჩეროთ, რა გიშლით ხელს? ხვალვე გააგრძელეთ სასწავლო პროცესი სკოლებში. — მართლაც მეორე დღესვე განახლდა სასწავლო პროცესი.

პორტის უფროსი იყო გეგიძე. მას ადრევე იცნობდა თამაზ ვაშაძე. მან უთხრა, რომ მანქანის მიცემა უნდოდა მისთვის,

რადგან ართმევდნენ და ამით გადარჩენა უნდოდა. განუკი-
თხაობა ზეიმობდა საქართველოში. დაეხმარა თამაზ ვაშაძე
ამ მანქანის შენარჩუნებაში, უთხრა, მე არ მინდა ეგ მანქანა,
შენ დაგჭირდებაო. გადაამალინა მანქანა, მაგრამ თბილისში
გაშვება სთხოვა. მაინც შეეშინდა. უარი არ უთქვამს, ნება
დართო წასულიყო.

აღმოჩნდა, რომ პორტის პროდუქტების გამანაწილებელის
უფროსი, კაციტაძე გაქცეული იყო. სამუშაოები გაჩერებული
იყო. ხორბლის განაწილება არ ხდებოდა. საშიშროება გაჩნდა,
რომ შეიძლება გაძარცვულიყო პროდუქტებით დატვირთული
გემები. ერთ-ერთი შაქრით დატვირთული გემი საბერძნეთიდან
იყო შემოსული. კაციტანმა კაცი გამოგზავნა, ღუზას ვუშვებ
და მივდივარო. თამაზ ვაშაძემ მოახერხა წესრიგის დამყარება.
ყველას აიძულებდა, რომ პროდუქტი და ყველანაირი საქონელი
შესაბამისად განაწილებულიყო.

ფოთში აღდგა წესრიგი და გაირკვა, რომ ფოთიდან არც ერთი
ტვირთი არ მიდიოდა დანიშნულების ადგილზე. არადა ფოთიდან
ხომ ტვირთები რკინიგზით მიდიოდა აზერბაიჯანში, სომხეთში.
მაგრამ ჯაბა იოსელიანის მითითებით ლიანდაგი 100 მეტრამდე
აყარეს და ჩამომდგარი მატარებლები აქ იცლებოდა. ლიანდაგის
გარეშე ხომ ვერ გააგრძელებდნენ გზას. ჩამოფრინდა სასომხე-
თის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც
ეროვნულ მთავრობას აპრალებდა ამ ტვირთების შეჩერებას.
თამაზ ვაშაძემ მოახერხა, ლიანდაგებზე პატარა ვაგონით, „მა-
ტავოზით“ ის იმ ადგილამდე მიიყვანა და აჩვენა მდგომარეობა,
რაც ამ ტვირთების ადგილამდე მისვლას აფერხებდა. ამას მალე
ბალტინის ჯარების შემოსვლა დაემთხვა და რკინიგზა ალადგინეს.

ერთ დღესაც საშინელი ყვირილის ხმაშ გააყრუა იქაურობა.

– არ მომიკლათ შვილი, გთხოვთ, არ მომიკლათ, – განწი-
რული ხმით კიოდა ქალი.

თურმე პურის ქარხნის დირექტორი ჰყავდათ დაკავებული,
რომელსაც ედეპეს მომხრეობას ედავებოდნენ. თამაზ ვაშაძე
მათთან გავიდა.

– რა ხდება? – ყველა მას მიაჩერდა. მათ ახალგაზრდა ბიჭი ჰყავდათ შებოჭილი და მისი დედა არ ანებებდა შვილს.

– სიჩუმე... – ყველა დადუმდა, – პურის ქარხნის დირექტორია? ფოთში რომ პური ცხვება, ასეთი გემრიელი პური არსად გამისინჯავს, შენ აცხობ ამ პურს?

– დიახ, – ხმადაბლა უპასუხა.

– დიახ, დიახ, ჩემი შვილია, არ მომიკლათ...

– რას ამბობთ? დაწყნარდით, ვინ მოგიკლავთ შვილს.

სასაწრაფოდ დაიბარა ადამიანი და სთხოვა, მაღაზიიდან პური მოეტანა. იფიქრა, იქნებ მხოლოდ მთავრობისთვის აცხობს კარგს და ჩვეულებრივად ისეთი აღარააო. მოიტანეს. იგივე იყო, ძალიან გემრიელი.

– შენ გიყვარს ედეპე? გიყვარდეს. ამის უფლება შენ გაქვს. ოლონდ პური გამოაცხვე კარგი, რომ ქართველმა ხალხმა კარგი პური ჭამოს. ახლა შენ წადი შენს სამსახურში, იმუშავე ჩვეულებრივად. საღამოს შვიდ საათზე მაქვს თათბირი, ყოველდღე... თუ რამე დაგჭირდება მოდი და მითხარი.

დღემდე ახსოვს ამ ახალგაზრდის დედის თვალები, მადლიერი მზერით რომ გადაუხადა მადლობა თამაზ ვაშაძეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ გიგლა ბახტაძესთან ერთად ეწვია ამ ოჯახს. ეს ის გიგლა ბახტაძეა, ვისი საშუალებითაც მოხდა ბალტინთან მოლაპარაკება. ის გამორჩეულად გმირი ადამიანია, რომელმაც მოახერხა, რომ თვეების მანძილზე მხედრიონი არ შეეშვა ფოთში. ფოთში საქმეებზე ე.წ. „სამასვალით“ დადიოდნენ. ერთ დღეს მართლა ესტუმრნენ ის და გიგლა ბახტაძე ამ ოჯახს. ზედმეტი არაფერი არ გააკეთებინეს, მოეფერნენ, დააწყნარეს, დაამშვიდეს...

ფოთში ყოფნის დროს, როდესაც თამაზ ვაშაძე ეხმარებოდა ფოთის პრეფექტს პრობლემების გადაწყვეტასა და სიტუაციის მოგვარებაში, ცნობილი გახდა, რომ ზვიად გამსახურდია აპირებდა ჩამოსვლას და თათბირის ჩატარებას. ფოთის მერიის

სააქტო დარბაზში შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მერიის თანამშრომლები, სამხედროები და ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები. ზვიად გამსახურდიამ დამსწრეთ აუწყა, რომ თამაზ ვაშაძე ძალიან გადატვირთულია და ამიტომ გადავწყვიტეთ დავეხმაროთ მას და პროდუქტის განაწილების საქმე მივანდოთ კეკენაძეს.

თამაზ ვაშაძე არ იცნობდა ამ კეკენაძეს და ვერც იმას იხსენებს, იმ თათბირს ის ესწრებოდა თუ არა. ზვიადმა აუდიტორიას სთხოვა, აზრი გამოეთქვათ ამის შესახებ. ამას სამარისებური სიჩუმით შეხვდა დარბაზი. თავად თამაზ ვაშაძე გაურკვევლობაში იყო, ვერ მიმხვდარიყო, რა საჭირო იყო ეს ცვლილება, მას სულაც არ უჭირდა პროდუქტის განაწილება, არანაირი პრობლემა ამ საკითხში არ ჰქონდა, მიწისძვრით დაზარალებული შენობების აღდგენისას თითქმის საქართველოს მთელ ბიუჯეტს განაგებდა და ახლა რატომ ვერ მოახერხებდა პროდუქტის განაწილების გაძლოლას. აუდიტორიიდანაც არავინ გამოვიდა, რომ საკუთარი აზრი გამოეთქვა და ელიარებინა, რომ ეს ცვლილება არ იყო საჭირო. ვერ მოითმინა ვაშაძემ, მიხვდა, რომ ყოველივე ამას გაურკვეველი ქვეტექსტი ჰქონდა და სიტყვით გამოსვლა ითხოვა, რომელიც ასე დაასრულა: ბატონო ზვიად, თუ დღეს კიდევ თქვენთვის ცნობილი არ არის ვინ ვინ არის, მაშინ კარგად ვერ ყოფილა საქართველოს საქმე.

ამის მოსმენის შემდეგ ზვიადმა ფურცელი, ხელში რომ ეჭირა გადახია და ქობალიას მიმართა, დატოვეთ ყველაფერი, დამთავრდა. მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ანგარების მოყვარულთ პირადი ინტერესი ამოძრავებდა და ამიტომ უპირისპირდებოდნენ ვაშაძეს, რომელიც არავის აძლევდა სახელმწიფო ქონების მითვისების უფლებას.

ერთ დღეს ფოთის შესასვლელთან თამაზ ვაშაძეს, ლოთი ქობალიას და კიდევ რამდენიმე ადამიანს შემოხვდათ გაბაშვილი, მელია და მარგიანი. როდესაც მათ თამაზ ვაშაძე დაინახეს, მარგიანმა ხმამაღლა თქვა:

– კაცო, ძალიან მიკვირს, ვერ გამიგია, შევარდნაძემ დამა-

ვალა, ნეტავ თამაზ ვაშაძეს რა დავუშავე, ახლობელი ადამიანია, შემოგვითვალოს, რა უნდა ჩვენგანო.

მშვიდად მოუსმინა და ბოლოს უთხრა:

– მე მისგან არაფერი მინდა. მან უღალატა სამშობლოს და ამიტომ გავემიჯნე მას. ჩემთვის უპირველესი სამშობლოა და ვინც სამშობლოზე აჩევს ხელს, მე მისი დაუძინებელი მტერი ვარ. ეს არის ჩემი ცხოვრებისეული დევიზი.

ასლან აბაშიძის ინიციატივით შედგა შეხვედრა ბობოყვათში, რომელსაც ესწრებოდნენ ზაურ ქობალია, გელანტია, ელიზბარ ჯაველიძე... მეორე მხარეს იყვნენ მარგიანი, ანზორ ბურჯანაძე, ზურა უვანია... ცეცხლის შენყვეტის შეთანხმებაზე უნდა მოეწერათ ხელი, მაგრამ ზურა უვანიამ მოითხოვა, რომ ხელმოწერაზე არ უნდა ყოფილიყო მითითებული თანამდებობები, ვინ ვინ იყო, მხოლოდ გვარები უნდა ჩაწერილიყო, რასაც არ დაეთანხმენენ ზვიადის ნარგზავნილები. ამის გამო შეთანხმება არ შედგა.

საზღვაო დეპარტამენტიდან მოვიდა ამბავი, რომ ბალტინის ესკადრილია ნეიტრალურ ნიულებშია და მისი შემოჭრის საშიშროებაა. შეკურიბნენ და გადაწყვიტეს მათთან მოსალაპარაკებლად ამბის გასაგებად გაეგზავნათ ვალიკო ბართია, კიდევ სამ ადამიანთან ერთად. გაამზადეს კატერი, ჩატვირთეს რამდენიმე კონიაკი, თეთრი დროშა... ამის ორგანიზებას გიგლა ბახტაძე აწარმოებდა.

ვალიკო შემდეგ ჰყვებოდა, როგორც კი მივუახლოვდით, ზალპი ატეხეს, არ გვენდნენ, შეეშინდათ რამე ასაფეთქებელი არ გვქონდა. ცოტა ხანში ნავი გამოგზავნეს და აგვიყვანესო.

ძალიან ცუდად შეხვდა მათ ბალტინი. მე არაფერი შემიძლია, განკარგულება უკრაინის პრეზიდენტმა კრავჩუქმა მომცა, ველოდები განკარგულებას ელცინისგანო. ორი პრეზიდენტის განკარგულება იყო საჭირო, რომ ფოთში შემოჭრილიყვნენ.

აი, ასე... შემოიყვანეს ბალტინის ჯარები და მათ ზუგდიდის და სენაკისკენ მოუძღვოდნენ: მარგიანი, გოგუაძე, დევდარიანი და ფაცაცია. ეს ოთხი კაცი მიუძღვოდა ტანკებს, რომ დაერბიათ საქართველო, თავისი სამშობლო. დიდი მსხვერპლი

იყო სენაკში, შევიდნენ ზუგდიდში... თამაზ ვაშაძე თვლის, რომ საქართველოს მთავრობამ დიდი შეცდომა დაუშვა, ისევე როგორც ლიტვის მთავრობამ გასცა განკარგულება გორბაჩივის დაპატიმრებაზე და დღემდე ეს სანქცია ძალაშია, მართალია ეს სანქცია ნომინალურია, მაგრამ თუ ჩავიდა გორბაჩივი ლიტვაში, მას დააპატიმრებენ, ასევე საქართველოს მთავრობას კრავჩიუკის დაპატიმრებაზე უნდა გაეცა სანქცია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის ნება არ არსებობდა.

ომია სოხუმში და ადამიანები გამორბიან. სამწუხაროდ მაშინდელმა ტელევიზიამ ხმა გაავრცელა, რომ ზვიად გამსახურდია ლტოლვილებს ზუგდიდში არ ღებულობსო, მაშინ როდესაც ზვიად გამსახურდიასგან საგანგებო დავალება ჰქონდა თამაზ ვაშაძეს, რომ დახვედროდა ლტოლვილებს და ყველანაირად დახმარებოდა მათ. მწუხარებით იგონებს იგი იმ დღეებს.

– ზვიად გამსახურდია ვის მისცემდა უფლებას, რომ ლტოლვილები არ შემოეშვა ზუგდიდში. მწერალი უნდა იყო, რომ კარგად აღწერო, რა ხდებოდა მაშინ. წვიმიან დღეში მდინარესავით მოედინებოდა ადამიანთა ნაკადი. ძროხებზე ჰქონდათ გადაკიდებული რისი წამოლებაც შეძლეს. თითქმის ყველა ჩემი ნაცნობი იყო, მე ხომ იქაც ვმუშაობდი. ტრესტის მმართველი ვიყავი, მე ვაშენებდი ობიექტებს და ჩემთან მუშაობდნენ. მინდოდა ყველას დავხმარებოდი. არ მქონდა საწვავი. ტელევიზიოთ გამოვედი და ხალხს ვთხოვე, ვისაც შეგიძლიათ, დაგვეხმარეთ, სალიარკა მოგვაწოდეთ-თქო, ვისაც გაქვთ, 10-20 ლიტრა და აუცილებლად დაგიბრუნებთ-მეთქი. ერთმა დარეკა, ერთ ტონას მოგიტანთ, ოლონდ უკან დაბრუნებაზე არ იყოს ლაპარაკიო. ვხვდებოდი განწირულ, გაუბედურებულ ხალხს, ვანანილებდი, ვეხმარებოდი მათ. შეიარაღებული ძალების უფროსს, ცქიტიშვილს ვთხოვდი, არ გამოხვიდე მანდედან, გალიდან, არ დატოვო ეგ ტერიტორია, ეგნურჲესი მაინც იქნება ჩვენი-მეთქი. ისიც კი არ იცოდა, რომ ენგურჲესი ზუგდიდში კი არ არის, ჯვარში, გალშია, საბერიოში. არაო, შევარდნაძის

განკარგულება მაქვს, გალი უნდა დავტოვოო. აი, ასე მიატოვეს ტერიტორია.

დაეცა სოხუმი, დაეცა გაგრა. არა აქვთ დიზელის საწვავი. წერილი გაუგზავნა ერთ-ერთ თანამდებობის პირს და მისწერა, თუ რამე ჩემი პატივისცემიდან დაგრჩა, მომებმარე და ერთი ოცი ტონა საწვავი მომეციო, რომ ლტოლვილები გადმოვიყვანოთ. 60 ტონა საწვავი გამოგზავნა.

ბალტინის ჯარს რუსული ჯარი და მხედრიონი შემოჰყვა ზუგდიდში.

და ისევ ერთ-ერთი ინტერვიუდან ამონარიდს მოვიხმობ, რათა თავად თამაზ ვაშაძემ უკეთ გიამბოთ ამბავი, რომელიც დღემდე ტკივილით ახსოვს.

„საქართველოში მანამ არ იქნება ეროვნული თანხმობა, სანამ დამნაშავეები ჩადენილ დანაშაულზე პასუხს არ აგებენ. დაიკარგა აფხაზეთი და არცერთ კონკრეტულ პიროვნებას პასუხი არ უგია, დაიკარგა შიდა ქართლი და არავინ დასჯილა, იარაღით დამხობილი კანონიერი ხელისუფლების უამრავი მომხრე ანამეს, დახოცეს და არავისთვის არაფერი მოუკითხავთ... 1993 წლის შემოდგომაზე, როცა ადმირალმა ედუარდ ბალტინმა საქართველოს კრიმინალური ხელისუფლების თავკაცი ედუარდ შევარდნაძე დახვრეტას გადაარჩინა, ხობის რაიონის პოლიციის შენობის სამორიგეოში საშინლად ანამეს და მერე ავტომატის ტყვიერით დაფლითეს ზვიად გამსახურდიას აქტიური თანამებრძოლი, ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი თამაზ ბულია, რომელსაც მთელი ეროვნული მოძრაობა „კიროვის“ სახელით იცნობდა, რამდენიმე კაცი ესროდა... მიწაზე დაცემული პატრიოტი, რომლის ფიზიკურ სიძლიერეზე ლეგენდები დადიოდა, ნაძირლებმა დიდხანს ვერ მოკლეს; იგი ისე მოკვდა, ზვიად გამსახურდიაზე აუგი ვერ ათქმევინეს და ამ ამბავს კოტე გაბაშვილი ესწრებოდა. გვერდით ოთახში კი ედუარდ შევარდნაძე იყო. კიროვთან ერთად დახვრიტეს კიდევ რამდენიმე ადამიანი, რომელთაც ხელზე ბორკილები ედოთ. ერთ-ერთი დახვრეტილის

დედა თურმე ტიროდა, რას ერჩიოდით, გაგესამართლებინათ და მერე დაგეხვრიტათ, ასე უსამართლოდ რატომ განირეთო. ამის შესახებ ჯაბა იოსელიანმაც კი დაწერა, ეს რა მოგივიდათ, ბორკილებიანი კაცები როგორ დახვრიტეთო, მასაც კი ანუსებდა სინდისი ამ ამბის გამო“.

და კიდევ ერთი მოგონება, რომელსაც თამაზ ვაშაძე გულისტკივილით იხსენებს: „როდესაც სოხუმი დაეცა და ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე თბილისში, სარიშვილმა, ამ საკავშირო მნიშვნელობის ნაძირალამ, აიძულა ქართველი ხალხი შეკრებილიყო იმელის შენობის წინ და დააჩოქა მის წინაშე. ამ ფაქტს ბევრი ცნობილი ადამიანი, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები ესწრებოდნენ, რასაც დღემდე ვერ ვივიწყებ და გულისტკივილით მახსოვს, რომ ემიგრაციიდან დაბრუნებულმა მამაჩემის ბიბლიოთეკიდან მათი წიგნები გამოვიტანე...“

თავი მემკვიდრეობის განვითარების

01-ულებელი განვითარების მიზანი

მე არავითარ იარაღს არ ვატარებ, გარდა სიმართლის ჭურვისა. სიმართლე და მხოლოდ სიმართლე გაგვათავისუფლებს. ჩემმა ცილისმნამებლებმა იციან, რომ საუკუნეების განმავლობაში კალამი იყო და იქნება მახვილზე უფრო ძლევამოსილი, ისტორია იქნება ჩემი მოსამართლე და ისტორიკოსები იტყვიან საბოლოოდ სიმართლეს და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენენ.

ზვიად გამსახურდია

საკუთარ თავზე დიდი მტერი არ გვყოლია. მუდამ ასე იყო. კონსტანტინე გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგის ათემევინებს: „ოდითგან ასე მოგვდგამს ქართველებს: მუდამ ჩვენს სიმცირეს მივტიროდით, რადგან მტერი აურა-ცხელი გვყავდა, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე და-ვკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. და ბოლოს, ჩვენ ხომ ის ერთ ვართ, ილიას ტყვია რომ ვესროლეთ, საქარ-თველოს ჭეშმარიტი მეჭურჭლეოუჩუცესი, ექვთიმე თაყაიშვილი უკანასკნელ გზაზე მხოლოდ რამდენიმე კაცმა გავაცილეთ, სიცოცხლეში პოეტების მეფედ აღიარებული გალაკტიონი თვით-მკვლელობამდე მივიყვანეთ და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი მოვკალით.

პატარა მონაკვეთი მინდა მოვიტანო აქ ზვიად გამსახურ-დიას ერთ-ერთი წერილიდან: „მიუხედავად იმისა, რომ კავკა-სიელი ხალხები ყოველთვის ილტვოდნენ დამოუკიდებლობისკენ და დემოკრატიისკენ, მათ არ შეეძლოთ ამის მიღწევა. მაგრამ იმის შემდგომ, რაც საქართველომ პირველმა ააფრიალა დრო-შა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა და რომელმაც 1989 წლის 9 აპრილს, მართლაც რომ გმირული ნა-ბიჯი გადადგა და დაპარცხა საბჭოთა იმპერია. ამის შემდგომ თავისუფლების მოყვარე კავკასიელებს, ყველა პოსტ-საბჭოთა

რესპუბლიკებს და დასავლეთ ევროპასაც კი, მიეცა დიდი სტი-მული, სტიმული თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობის-თვის ბრძოლის. ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისთვის არ თესავს სიძულვილს სხვა ერების მიმართ, პირიქით, ჩვენ ვემხრობით ყველა ერებს შორის მეგობრობას. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ მეგობრობა შესაძლებელია მხოლოდ თანასწორებს შორის, მე-გობრობა შეუძლებელია ბატონსა და მონას შორის, ჩვენ არ გვსურს ვიყოთ მონები!“

ამას წერდა ზვიად გამსახურდია, ვისაც ქართველმა ხალხმა არ აპატია შეუვალი პატრიოტიზმი, წლობით არეული ცხოვრება, დისიდენტობა... იმ დროიდან თითქმის 30 წელი გავიდა და მო-ნანიების მრავალი შემთხვევა შეიძლება დავასახელოთ. შეგვემა-ლა, შევცდით, ვერ განვსაზღვრეთ... ერთ-ერთმა დაწერა, ზვიად გამსახურდიას საფლავზე ავედი მთაწმინდაზე, დავიჩოქე და პატიება ვთხოვეთ. განა ეს ამართლებს მათ საქციელს. ნოდარ ნათაძეც წლების ბოლოს, ზვიადის გარდაცვალების შემდეგ, ამბობდა, „ვინც ზვიად გამსახურდიას ებრძოდა, იმას ყველას ტყვია უნდა შუბლშიო“. თამაზ ვაშაძემ შეუთვალა, „პირადი მაგალითია ყველაზე უკეთესი. შენ იარაღის ტარების უფლება გაქვს და იარაღი გაქვს... შენ და შენმა დამ სისხლი გაუშრეთ ზვიად გამსახურდიას, ამიტომ ამოიღე იარაღი, ნუ ელოდები სხვას და დაიხალე ტყვია, აი, ეს არის გამოსავალიო“.

ასევე ბევრისმთქმელია თემურ ქორიძის სიტყვები: „შეი-ძლება, ვიღაცამ თქვას, ზვიად გამსახურდია ერთ წელიწადში დაამხესო, მაგრამ ტყუილია! ზვიად გამსახურდიას 35 წელი ებრძოდნენ, მან მიაღწია იმას, რაც უნდოდა – საქართველოს დამოუკიდებლობას, რეფერენდუმიც ჩაატარა, კიდეც გამოაცხა-და საქართველოს დამოუკიდებლობა და მერე, როგორც ყველა გმირს, ის გოლგოთა უნდა გაევლო, იქაც მივიდა და შემდეგ ამ ქვეყნიდან ტრიუმფით წავიდა“.

კიდევ ერთი ამონარიდი მინდა მოვიყვანო ერთ-ერთი სა-გაზეთო მასალიდან, სადაც ძალიან ნათლად, ხატოვნად და თვალსაჩინოდ ჩანს ზვიად გამსახურდიას დამსახურება. „არ

დაიღალეთ?“ – ჰკითხა ერთმა უურნალისტმა ზვიად გამსახურდიას. კაცმა რომ თქვას, ეს შეკითხვა მისთვის მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო. 1989 წლის სექტემბერი იდგა. მდელვარებით აღსავსე ბობოქარ დღეებს დასასრული არ უჩანდა. წინ კიდევ უფრო მძიმე ბრძოლები ელოდა.

„არა, არ დავლლილვარ, – მშვიდად პასუხობს მუდამ მოუსვენარი რესპონდენტი, – მე უთქმელობა და უმოქმედობა მღლის. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება თითქმის პატიმრობაში გავატარე. იყო ნამდვილი პატიმრობა, შინაპატიმრობა, გადასახლება, ციხე... იყო პერიოდი, ლუკმაპური უჭირდა ჩემს ცოლ-შვილს, მაგრამ მე სხვაგვარად არ შემეძლო. მე ჩემი ცხოვრება თხუთმეტი წლისამ დავიწყე. აი, ამ სახლში მუდამ საქართველოზე იყო ლაპარაკი. იკრიბებოდნენ მწერლები, მეცნიერები... გარეთ რომ ვერაფერს ამბობდნენ, აქ ბჭობდნენ, ჭირისუფლობდნენ, გულს იოხებდნენ... მე აქ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა აკადემია გავიარე და მისი ღალატი არასოდეს მიფიქრია... ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლი. ალბათ, ესაა ბედისწერა. მე არასოდეს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 8.09.1989 წ.).

„ამ დროს ზვიად გამსახურდია უკვე ორმოცდაათი წლისაა, მდიდარი გამოცდილებით აღსავსე ჩამოყალიბებული პიროვნება და ინტელექტუალური აქტიურობის ზენიტში იმყოფება. ასე რომ, მას უკვე ბოლომდე გააზრებული აქვს თავისი არჩევანი, ცხოვრების მიზანი და ფილოსოფია. თითქოს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს დაუკავებელი მეამბოხე ამჯერად მორჩილად იდგა ბედისწერის წინაშე, „სხვაგვარად არ შემეძლო“, „სხვაგვარ ცხოვრებაზე არ მიფიქრიაო“...

დიახ, ზვიადმა თავადვე შემოხაზა საკუთარი ბედისწერის საზღვარი. თუ ვინმე პათეტიკურ ნათქვამად არ ჩამითვლის, ეს იყო ერისკაცის, მამულიშვილის, მარტვილის უძნელესი გზა, რომლის სიგრძე-სიგანე მუდამ მხოლოდ მის გათელვაში დაღვრილი ოფლითა და სისხლით იზომება“ (თემურ ქორიძე).

თამაზ ვაშაძემ ზვიადის გარდაცვალების შესახებ ემიგრა-

ციაში შეიტყო. როდესაც მასთან საუბრის დროს ზვიადს ახსე-ნებს, მის ხმასაც და გამომეტყველებასაც ისეთი სევდა ერვა, შეუძლებელია ვერ შეამჩნიო. განსაკუთრებით ნაღვლიანად ერთ ამბავს იხსენებს: „ჩვენს ოჯახში ხშირად იშლებოდა სუფრა, რასაც ზვიადი ესწრებოდა. ერთ-ერთი ასეთი ნადიმის დროს, სა-დლეგრძელოში ზვიადმა ხაზგასმით აღნიშნა – „ღმერთს ვთხოვ, ისე ნუ მომკლავს, ორი წიგნის დაწერა ვერ შევძლო, მამაჩემზე და მერაბზე“. განა დასანანი არაა, რომ მან ეს ვერ შეძლო...“

ბოლოს ზვიად გამსახურდიას ნოემბერში შეხვდა. მას არა-ვითარი სურვილი არ ჰქონდა საზღვარგარეთ წასვლის. როდესაც თამაზ ვაშაძემ შესთავაზა, საბერძნეთში ნათესავები მყავს, წავიდეთო, მან უპასუხა: „მე ცოცხალი საქართველოდან არსად წავალო“.

თამაზ ვაშაძეზე ძებნა იყო გამოცხადებული და იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ამ დროს ის ბათუმში იყო, მა-გრამ ასლან აბაშიძესაც არ ენდობოდა. თურქეთის ვიზა გააკეთა და წასასვლელად ემზადებოდა. უნდოდა, რომ ოჯახიც წაეყვანა. დამშვიდობებისას ინახულა შვილიშვილი მარიამი, რომელიც მაშინ 3 წლის იყო. 500 000 კუპონი აჩუქა, რომელსაც კაპიკე-ბის ფასი ჰქონდა, 4 ცალ ნაყინს იყიდიდი მხოლოდ. ვალერი გაბელაიამ 20 დოლარი აჩუქა და დღეს ამბობს, რომ ეს მისი პირველი დოლარი იყო.

იშოვა ბენზინი, გაავსო საბარგული ბენზინით. საბაჟოზე გასვლაში მას ბადრი მელაძე დაეხმარა. ის ასლანის გუნდის წევრი იყო. სარფიდან შემოწმების გარეშე გაიარეს მან და მისმა შვილმა, ლაშამ და გადაკვეთეს საზღვარი. საჭესთან ლაშა იჯდა. ჩავიდნენ ალექსანდროპულში, სადაც მას ნათესავები დახვდნენ. საბერძნეთის მთავრობას გამოცხადებული ჰქონდა, რომ არ მიეღოთ ემიგრანტები, რომელთაც პოლიტიკური თავშესაფარი უნდოდათ. ამას ასე იგონებს ბატონი თამაზი: „დეიდაჩემთან და ბიძაჩემთან მივედით. დეიდაჩემი დიდად განათლებული ქალი იყო, ექიმი, პატრიოტი და ჩვენი ოჯახის ძალიან მოყვარული. ის მუდამ დარდობდა და ნატრობდა, ისე ნუ მომკლავს ღმერთი,

შენ რომ სამშობლოში არ დაბრუნდეთ. რამდენიმე დღეში აღმოვაჩინე, რომ ის ხალხი, ვინც ადრე მხვდებოდა, მენათესავებოდა, თბილისშიც მსტუმრობდა, ახლა სულ სხვანაირდ მხვდებოდნენ აქ, სალონიკში, თითქოს ისინი უკვე სახეშეცვლილნი იყვნენ, არ აწყობდათ ჩემთან ურთიერთობა.. მივხვდი, რომ ყველაზე უკეთესი ამქეყყანაზე არის სამშობლო და სამშობლოში ყოფნა. ახლა რომ გამოდიან და ამბობენ, ჩემი მეორე სამშობლოა ეს ან ისო... ეს ფარისევლობაა, სამშობლო მხოლოდ ერთია, ერთა-დერთი... ამის შემცვლელი ქვეყანაზე არაფერია“.

ნათესავის ბინაში დაბინავდნენ. ერთი კვირის შემდეგ მეორე ბიჭიც, ზვიადიც ჩავიდა სალონიკში. ბოლოს ქალბატონი ნაილიც ჩავიდა. თამაზ ვაშაძე მოახერხა და საბუთი სხვა სახელგვარზე გაიკეთა, რადგან სანდო არავინ იყო. ეძებდა სამუშაოს, მშენებლობებზეც მიდიოდა, მაგრამ არ ღებულობდნენ, ახალგაზრდა გვჭირდებაო. სამი თვის შემდეგ სკოლიდან მოვიდა ცნობა, სკოლაში მინისტრისგან მიიღეს მითითება, რომ ნაილი არველაძე უნდა გაეთავისუფლებინათ. დირექტორი არ დაემორჩილა ამ მოთხოვნას და თათბირი ჩაატარა, რათა ეს საკითხი გადაეწყვიტათ.

როდესაც ნაილი საქართველოში დაბრუნდა, სკოლის დირექტორმა უამბო, რომ თათბირის დამთავრების შემდეგ ვინატრე, ნეტავი მე ვიყო მის მდგომარეობაში, ასე როგორ ჰყვარებია კოლექტივსო. კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწიეს განათლების სამინისტროს და გადაწყვიტეს, რომ ასეთი სპეციალისტის გაშვება არაფრით შეიძლებოდა. ლაშა და ნაილი დაბრუნდნენ თბილისში და ნაილიმ გააგრძელა მუშაობა სკოლაში. ზვიადიც დაბრუნდა და თამაზ ვაშაძე მარტო დარჩა.

ბევრი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, იშოვა სამსახური საეკლესიო სანთლების ქარხანაში, მართალია ძალიან დაბალი ანაზღაურება იყო, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, ხომ უნდა ერჩინა ოჯახი, თავი, ბინის ქირა ეხადა...

ერთ დღესაც ქარხნის დირექტორმა დაიჩივლა, რომ მაზუთის გადახარჯვა მაქვს და ვერაფერს ვუხერხებო... მასთან ერ-

თად იქ მუშაობდა თბილისელი გოგო, რომელიც თარჯიმნობა-საც ითავსებდა და მას ჰკითხა:

- გინდა დავეხმარო, მაზუთის გადახარჯვა შევუმცირო.
- როგორ არა, შეგიძლია? – გაუკვირდა მას.
- მე რასაც გეტყვი, უთხარი, რომ ის გააკეთოს აუცილებლად და ნახავ რა მოხდება.

მართლაც, როგორც დაარიგა, ყველაფერი ისე გააკეთა დირექტორმა და მაზუთის ხარჯი 50 პროცენტით შემცირდა. გასაკვირი არაფერი იყო, რადგან თამაზ ვაშაძეს კარგად ესმოდა, ტექნიკურობია, ელემენტარული შეცვალეს და შედეგიც საოცარი მიიღეს.

– რაზე მუშაობდი, რა პროფესიის ხარ? – ჰკითხა გაოცებულმა დირექტორმა.

გვარი შეცვლილი ჰქონდა, როგორ გაუმხელდა სიმართლეს.

– არა, შენ სიმართლეს არ მეუბნები, მაგრამ არაუშავს, რაც არის არის, ხელფასი მოგიმატე, ნამდვილად დაიმსახურე...

რვა წლის განმავლობაში ყოველ კვირას ოჯახში აგზავნიდა პროდუქტს, რასაც იშოვიდა, რასაც დეიდა მისცემდა, ასევე რასაც კოსტას პაპანდუპოლუსი მისცემდა, მისი ბიძის ძმა, რომლის ხასიათი იყო უკეთილშობილესი, კეთილი, რომელსაც ცხოვრების მიზნად ჰქონდა გადაქცეული გაცემა, დახმარება, ქველმოქმედება...

ცრემლის გარეშე ვერ იხსენებს უსათნოეს მეუღლეს, რომელსაც მუხრან მაჭავარიანმა სამაგალითო ქალი უწოდა, ხოლო მიხეილ ვაშაძე თავის წიგნში წერდა, რომ ჩემი რძალი ღმერთმა მაჩუქაო. დღეს ის თავის თავს ეკითხება, რა გავაკეთე ამის შესაფერი მთელი ცხოვრების მანძილზე, რომ ღმერთმა ასე დამაჯილდოვა, ასეთი მეუღლე რომ მყავდაო. რვა წელი ერთი წუთიც არ მოშორებია ტელეფონს და უამრავ წერილს სწერდა.

ამ წლების მანძილზე მას საოცარი მესაიდუმლე ჰყავდა, მეზობელი ლიდას რძალი მარინე ბროლაძე, იმ ლიდას რძალი, რომელმაც უშიშროებას დაუმალა თამაზ ვაშაძე, თავის სახლში შეიფარა და არ გასცა. როდესაც საუბარი უნდოდათ, იცოდნენ,

რომ მათი ტელეფონი ისმინდოდა, ამიტომ ნაილი მარინესთან გადადიოდა და იქიდან ურეკავდა. ასე საუბრობდნენ წლების მანძილზე.

ძალიან ძნელი იყო ემიგრაციაში ცხოვრება. ის მუდამ სამშობლოში დაბრუნებას ნატრობდა. სხვა არაფერი უნდოდა დედამიწის ზურგზე, ერთადერთი სამშობლოში დაბრუნება. სულ მარტივად შეეძლო პასპორტი გაეკეთებინა, ხუთი თაობის ბერძენი იყო მისი დედა და უპრობლემოდ გააკეთებდა მოქალაქეობას და მუდამ ეუბნებოდა მეუღლეს, თუ ვერ გადავრჩი, გარდავიცვალე, აქ არ დამტოვოთ, ჩემს სამშობლოში დამასაფლავეთო. ნამითაც არ უფიქრია, რომ იქ დარჩებოდა, მუდამ სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობდა.

სულ მალე სხვა სამსახურიც იშოვა. ერთი მილიონერის ოჯახში ბალასისგან ასუფთავებდა ეზოს და მანქანების მრეცხავად მუშაობდა. საღამოს 9 საათიდან ღამის ოთხ საათამდე მუშაობდა და გამთენიას ბრუნდებოდა სახლში.

იმ პერიოდის საოცარ ამბავს იხსენებს ბატონი თამაზი, რომელიც მისივე სიტყვებით მინდა მოგითხროთ.

„მე სადაც ვცხოვრობ ამჟამად, მამაჩემის მიერ აშენებული სახლია სოფელ დილომში, წლების მანძილზე ხეხილი გავაშენეთ, ხუთი ათასი კვადრატული ტყე აკრავს ამ სახლს, სადაც უამრავი შაშვი, ბულბული, კოდალა... რა ფრინველი გინდა, აქ რომ არ იყოს. ისეთი ნერგები მაქვს დარგული, რომ ზამთარში გამოვებო ფრინველები. მაგათი გალობა რომ მოისმინო, დილის ოთხ საათზე რომ იწყება, შტრაუსის ვალსი მონაგონია. ჩემი პატარა მარიამი რომ იყო აქ, ვეუბნებოდი, მოდი, ბაბუ, შტრაუსის ვალსი მინდა მოგასმენიო-თქო. მეძინება, ბაბუ, არ მინდა შტრაუსიო, მეუბნებოდა. საბერძნეთში ღამის ოთხ საათზე, როდესაც ვრეცხავდი მანქანებს, მოდიოდა ერთი, ერთადერთი შაშვი და გალობდა. ყოველდღე ხდებოდა ეს. მე ვიფიქრე, ეს ალბათ ჩემი ეზოს შაშვებმა გამოაგზავნეს-თქო. რას ამბობდა, არ ვიცი, ვაჟა-ფშაველა არ ვარ, მათი ენა რომ ვიცოდე. მაგრამ დარწმუნებული ვარ, მამხნევებდა...“

1996 წელს მეუღლე ჩავიდა საბერძნეთში. დილის რვა სა-ათზე დეიდის ხმა გაიგონა, რომელიც თამაზს ეძახდა. ამ ხმის გასცემაზე ტანში გასცრა, მიხვდა, რომ მის თავს რაღაც დიდი უბედურება იყო, რადგან დეიდა ასე დილაუთენია არ მიაკითხა-ვდა.

– მიშა გარდაიცვალა, – გუღლდაწყვეტით თქვა დეიდამ. ეს დიდი ტრაგედია იყო მისთვის, განსაკუთრებით იმის გათვა-ლისწინებით, რომ ვერ შეძლებდა საქართველოში დაპრუნებას. სასწრაფოდ შეაგროვა ფული, თბილისში ამ დროს საშინელი გაჭირვებაა, უმუშევრობა, უფულობა.... არც სახელმწიფომ არ გააკეთა არაფერი, ტელევიზითაც არ გამოუცხადებიათ სამძიმარი, მხოლოდ მუხრან მაჭავარიანმა და გურამ შარაძემ დაიტირეს. ასეთი დამსახურებული მსახიობი, სცენის დიდოს-ტატი სათანადოდ არ დაიტირეს. დასაფლავებაზე გენერალური პროკურორის მოადგილე რეზო ყიფიანი მივიდა, რომელიც მათი ნათესავი იყო, დედით ვაშაძე, რომელმაც აღიარა, რომ მხოლოდ შევარდნაძესთან შეთანხმების შედეგად მოახერხა სამძიმარზე მისვლა. იქვე შეაგროვეს საჭირო თანხა, რომელიც პარიზიდან პავლე ვაშაძის ანდერძის შედეგად მიიღო მან, თავისი ბიძაშ-ვილის მამია ვაშაძის მეუღლის, ჯულიეტა ჭარბაძის დახმარე-ბით. დასაფლავებისთვის ყველა თანხა მოაწესრიგეს, ორმოცი გადაიხადეს.

საქართველოს სახალხო არტისტის მიხეილ ვაშაძის ხსოვნის პატივსაცემად ვასილ კიკნაძემ 2022 წელს გამოსცა წიგნი, სა-დაც მეტად საგულისხმო ინფორმაციას ვკითხულობთ. „ერთხელ შემთხვევით შევხვდი ბატონ მიხეილს დილომში, – წერს ბატონი ვასილ კიკნაძე, – კინოსტუდიიდან მოღიოდა. მოვიკითხე. საო-ცრად ნაღვლიანი თვალებით შემომხედა. თითქმის არაფერი ვიცოდი მის შესახებ. როგორ არ ჰყავდა ძველ მიხეილ ვაშაძეს, მომდიმარსა და განათებულს, თითქოს სიკვდილის სიბნელე ჩასდგომოდა თვალებში. გამახსენდა ვაჟას სიტყვები: „სიბერე სიკვდილის მეორე მხარეა...“ მაგრამ აქ რაღაც უფრო მეტი ტანჯვა იგრძნობოდა, თითქოს ყველასაგან გაუცხოებული ხე-

ლოვანის ტანჯვა. „მე წლოვანი ბებერი კაცი ცხარე ცრემლებით დავტირი ჩვენს უბედურებას, საქართველოს სირცხვილს“! – ჩამესმა მისი ხმა. დასტიროდა რუსთაველის პროსპექტზე გამართულ ძმათა მკვლელ ომს. მაგრამ მის საყვარელ ხალხამდე ვერ აღწევდა მისი გოდება.

მოხუც მსახიობს თვალი სულ გზისაკენ გაურბოდა, რამდენი წელი უნდა დალოდებოდა საყვარელ შვილს, თამაზს, რომელ-საც საბერძნეთში ემიგრანტის უმძიმესი ხვედრი ხვდა წილად... ბატონ მიშას თითქოს ყველაფერი ჰქონდა, რაც მის სიბერეს მორალურადაც და ეკონომიკურადაც უზრუნველყოფდა, ჰყავდა კარგად აღზრდილი ქალიშვილი თამილა, რძალი ნაილი, სიძე მირიანი, ჰყავდა შვილიშვილები და ახლობელთა ფართო წრე. მდიდარი შემოქმედება და საზოგადოებრივი პატივისცემა თითქოს გარანტი უნდა ყოფილიყო, რათა მშვიდად გაელია თავისი წუთისოფელი, მაგრამ საწუთო ვინმეს ახარებს?..

ღრმა მოხუცებულობის უამს დაწერილ მის ბარათებს შეიძლება ვუწოდოთ „გოდება“. საქართველოდან მოშორებულ შვილს, თამაზს სწერდა: „ყოველ ცისმარე შენს ლოცვაში ვარ, ღმერთმა გამარჯვებით გატაროს. მე ძალიან დავბერდი. აქ ცუდი მდგომარეობა არის, საქართველო აღარ არის, ჩამობნელებულია. მე ძლიერ გამიტყდა გული, უიმედოდ ვარ. ჩემი ლოცვა რას უშველის, ქართველები ერთმანეთს დაერივნენ. რა ცუდი ხალხი ვყოფილვართ. ბევრ ცრემლს ვღვრი. მეტი არაფერი დამრჩენია, მხოლოდ ცრემლები. მეუბნებიან, რა გაცრემლებსო, თავს ვერ ვიკავებ. თამაზ, აბა, შენ იცი, როგორ გაუძლებ ამ ძნელად გასაძლებ დროს, იყავი კარგად. ბედნიერი ხარ, რომ აქ არა ხარ. ამის ყურება შენი ბუნების კაცისთვის ერთობ ძნელია. მინდა, რომ შენი შვილები შენ დაგემსგავსოს. იყავი კარგად. გეხვევა შენი ბებერი მამა“.

შვილის ლოდინში დალია სული. არც ერთმა გაზეთმა და არც ერთმა ტელევიზიამ ოფიციალურად არ აუწყა ქართველ ხალხს სახალხო არტისტის გარდაცვალების ამბავი. შესანდობარ ქელებზე შვილის, თამაზისა და მისი ცოლის, ნაილის სა-

დღეგრძელოც კი არ დაილია შიშით, რამაც აღაშვილთა მუხრან მაჭავარიანი და განაცხადა: „რაც აქ ხდება, ქვის ხანაშიც არ მოხდებოდაო“. საქართველოს სახალხო არტისტი დაკრძალვაზე შიშით სასაფლაოზე ცოტა ადამიანმა მიაცილა. ამ ფაქტით შეძრნუნებულმა ცრემლმორეულმა გურამ შარაძემ მღელვარე სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ ყველაფერი სიკვდილით არ მთავრდება. მიხეილ ვაშაძის სახელი თეატრის ისტორიას ეკუთვნის. ისტორია კი ლირსეულად შემოინახავს მას“.

ემიგრაციის პერიოდში რამდენიმე ფაქტს ასახელებს თამაზ ვაშაძე, რომელმაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. პირველი, სალონიკი არის უდიდესი ქალაქი, რომელზეც ბიბლიაში სამი თავია მოცემული. ქრისტეს მოციქულები დადიოდნენ სალონიკში. დაათვალიერა ოქროს მუზეუმი, სადაც მსოფლიო მასშტაბის ათასობით კილოგრამი ოქროს ნანარმია გამოფენილი. მასთან ერთად ცხოვრობდა მოლდაველი რუსი ცოლ-ქმარი. ქმარი მუშაობდა ახალ ათონში ბულგარეთის ეკლესიის რესტავრაციაზე. მას გაანდო, რომ ახალ ათონში უნდოდა წასვლა. იქ შემთხვევითი ხალხი ვერ შევიდოდა. ახალ ათონს თავისი პოლიცია ჰყავს და თავისი სავიზო რეჟიმი აქვს. ემორჩილება კონსტანტინეპოლის. მე წაგიყვანო, დაპირდა. წავიდნენ. უნდა ჩავიდეს ივერთ ლავრაში, ეს იყო მისი ოცნება. ჩავიდნენ ახალი ათონის მიმდებარე ქალაქში. ყველა ადამიანი უცხოს ეჭვის თვალით უყურებს. ისინი თავის ქვეყანას იცავენ. სასტუმროში მისულს ჰკითხეს, შენ ნებართვა გაქვსო. შეეშინდა, არ დამიჭირინო და ბაღში დაჯდა. ლამის ოთხ საათზე უნდა წასულიყვნენ. ძალიან ჩუმად იარეს და გადავიდნენ. ძალიან ბევრი იარეს, დაიღალნენ. მივიდნენ რუსულ ეკლესიაში, პანტელეიმონის სახელობის ეკლესიაში. ნანახმა გააოცა. რა არ ნახა, ყველა ეკლესია ნახა, რუსული, ბულგარული, სერბული, ქართული, ბერძნული... მაგრამ მსგავსი მასშტაბის არ ენახა. ისეთი მოვლილი იყო, გრანდიოზული, რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი

აქვთ საკუთრებაში, საქონლის ფერმა, ზეთისხილის ქარხანა, ბაღები, უამრავი მორჩილი, ადამიანი... გაოცებული იყო. ლამე გაათენეს, გამთენიას წავიდნენ. ორი დიდი მთა გადაიარეს, 45 გრადუსი სიცხეა. ჩავიდნენ ბულგარეთის ეკლესიაში, სულ ათი წუთით გაასწრო გემმა, რომელიც ივერთ ლავრაში მიიყვანდა.

ბულგარეთის ეკლესიაში ერთი ქართველიაო, უთხრა რუსმა მხლებელმა. იმას ჩაგაბარებო, ის დაგეხმარებაო. მოვიდა ახალგაზრდა ბიჭი, ქართველი, თბილისელი. მანაც გააფრთხილა, ჩუმად იყავი, თორემ ესენი სანდონი არ არიან, პატარა საეჭვოს თუ დაინახავენ, იმ წუთას პოლიციას დაუძახებენო. მიიყვანა ერთ ოთაში და ცოტა წასამხესებელი საჭმელი მიუტანა. თან გაეცნო, მე შევარდნაძესთან ვმუშაობდი განსაკუთრებულ დავალებათა შესასრულებლად. აქ ერთი ქართველი მღვდელია, წერეთელი. მასზე ძალიან ნაწყენი ვარო. როდესაც მიზეზი ჰკითხა, მოკლედ მოუყვა, რომ აღსარება ჩააბარა და მან უთხრა, მაგას ვერ შეგინდობო. იმდენად მძიმე დანაშაული და სიგლახე ჰქონდა ჩადენილი, რომ მღვდელიც კი გააოცა. იმდენი განუკითხაობა იყო იმხანად საქართველოში. ამიტომ განერიდა ყველაფერს და თავს იქ აფარებდა.

მეორე დღეს გაჰყვა გემსა, ჩაჯდა ავტობუსში და მივიდა ივერთ ლავრაში. როდესაც უკან მოიხედა, მიხვდა, რამდენად წინდახედულები, ნიჭიერები და ჭკვიანები ყოფილან ქართველები. ასეთი ზღვის პირი, ასეთი სივრცე, ასეთი სამოთხე, ასეთი ადგილი არ არსებობს ათონის მთაზე... ეს არის შედევრი.

იქ ქართველი არ უნახავს, მხოლოდ ბერძნები იყვნენ. ზვიად გამსახურდიას ფოტო და თინათინ მღვდლიაშვილის ლექსები მიჰქონდა, რომელიც სალონიკში ჩაუტანეს, თუ შეძლებს იქ ჩაიტანოს, მუზეუმშიო.

დაათვალიერა ფრესკები და მარიამ ღვთისმშობლის ხატთან მისვლის დროც დადგა, იქ ასეთი კანონია, რომ მხოლოდ ერთი სათხოვარი შეიძლება სთხოვო. მუხლზე დაჩოქილმა, ცრემლიანმა სთხოვა, აპატიე შენს წილხვედრ ქვეყანას, ქართველ ხალხს თავისი უგუნურობა, თავისი დანაშაული და თავისი წინდაუხედაობა.

ღვთისმშობლის ხატს იცავს ორი ბერი. სულ დგანან იქ. იცვლებიან, მაგრამ სულ დგანან შემოწირულობები იყო იმდენი, 20-30 კილო ოქრო მაინც იქნებოდა. ლოცვის შემდეგ გამოვიდა და ერთ-ერთი ბერი გამოჰყვა. რუსულად ლაპარაკობდა. მას ზვიად გამსახურდიას ფოტო გადასცა და სთხოვა, მუზეუმში დაედო. ვიცით ყველაფერი, ინფორმაცია გვაქვსო. მერე კი ოდნავი მორიდებით ჰკითხა:

– მაინტერესებს, რა სთხოვე ასე გულმხურვალედ ღვთისმშობელს, თუ შეგიძლია მითხარი.

– ვთხოვე, რომ აპატიოს ქართველ ხალხს თავისი შეცდომები...

– არა მგონია, მარიამ ღვთისმშობელმა შენი ვედრება შეისმინოსო, არა მგონია, აპატიოს ქართველ ხალხს, იმდენი ცოდვა გაქვთ ჩადენილი თქვენი სამშობლოს და ამ პატიოსანი კაცის წინაშე, რომელიც ღმერთმა გამოგიგზავნათ, რომ არა მგონია, შეისმინოს შენი ვედრებაო.

წამოვიდა დამძიმებული და ვერაფრით ივიწყებს იმ ბერის სიტყვებს: „არა მგონია“...

ყოველივე ამის შემდეგ ნაილი არველაძეს ვიზა აღარ მისცეს. რა არ იღონა, რა არ სცადა, ასლან აბაშიძესაც მისწერა მოკლე წერილი, დახმარება სთხოვა ვიზის აღებაში, მაგრამ პასუხიც არ მიუღია.

კიპრიანესა და იუსტინეს ეკლესიაში გაიცნო ქართველი მღვდელი სამაკაშვილი, რომელმაც მეუფე ამბროსი, რომელიც ლორდთა პალატის წევრის შვილი იყო, უგანათლებულესი, უწესიერესი, მრავალ ენას ფლობდა და მასთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ათენის ეკლესიაში ყოველ წელს აღინიშნებოდა იუსტინესა და კიპრიანეს დღე და სალონიკიდან ათენში მიდიოდნენ. მათთან ერთად მიდიოდა თამაზ ვაშაძე და ერთხელაც ხალხში საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პაპანდრეუსი შენიშნა, რომელიც გამოკითხის შემდეგ გაარკვია,

რომ ამ ეკლესიის მრევლი იყო. ერთ-ერთი ამ დღესასწაულის დროს გამოაცხადეს კიდევ, რომ მათთან იმყოფებოდა თბილი-სის მერი თამაზ ვაშაძე.

როდესაც საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეიცნო მრევლში, მეუფე ამბროსის სთხოვა დახმარება. იგი დაპირდა, რომ კათალიკოსს სთხოვდა დახმარებას.

ცოტა ხანში თბილისიდან დაურეკა ნაილიმ და შეატყობინა, რომ საბერძნეთის საელჩოში იბარებდნენ. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ნაილი გააფრთხილა, რომ თუ ჰკითხავდნენ, ეთქვა, რომ პაპანდრეუსი მათი ნათესავი იყო.

საბერძნეთის საელჩოში კარგად მიიღეს, ჰკითხეს, რამდენი ხნით გინდა ვიზაო. ნაილის უპასუხია, მე მასწავლებელი ვარ და ერთოვანი ვიზა მჭირდებაო. რას ჰკვია ერთი თვე, რომ არ იწვალო, სამწლიან ვიზას გაძლიერო. ასე ჩავიდა საბერძნეთში ნაილი.

2000 წლის 20 აპრილს დადგენილება მიიღო საქართველოს პარლამენტმა, რომლის მიხედვითაც ემიგრანტებს შეეძლოთ დაბრუნება, მხოლოდ შეწყალების თხოვნის შემდეგ. ამ დადგენილების მიღება აღორძინების დამსახურება იყო, მისი წევრების, ანზორ აბრალავას, მუხრან მაჭავარიანის, ვახტანგ ბოჭორიშვილის, ელიზბარ ჯაველიძის და სოსო სიგუას, დაიწყო ხალხმა დაბრუნება. ამის წინააღმდეგი კი იყო სარიშვილი და ყარყარაშვილი.

2000 წლის 14 სექტემბერს უნდა დაბრუნებულიყო. მეუფე ამბროსიმ ბილეთი აუღო ათენი-თბილისის მიმართულებით. დაემშვიდობა დეიდას, ნათესავებს. ავიდა იუსტინეს და კიპრიანეს მონასტერში, კელიაში გაათენა ლამე.

თბილისის აეროპორტში დახვდნენ სოსო სიგუა, მუხრან მაჭავარიანი, ანზორ აბრალავა, ელიზბარ ჯაველიძე. აბრალავა სასაზღვრო ზონაში გადმოვიდა, დეპუტატი იყო და ეს შეეძლო. პასპორტი გამოართვა და ყველა საჭირო პროცედურა შეასრულებინა და შემოიყვანა ქვეყანაში. ასე რომ არ გაეკეთებინა, აუცილებლად დააკავებდნენ, მერე შენყალების დაწერას მოსთხოვდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუშვებდნენ.

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე ურეკავდა ვასილ მაღლაფერიძე და სთხოვდა მასთან მისულიყო. რა თქმა უნდა, შეწყალების დაწერის მოთხოვნა იქნებოდა შეხვედრის მიზეზი. დაბრუნებულთაგან ხომ მხოლოდ თამაზ ვაშაძემ არ დაწერა შეწყალების თხოვნა. ხან რას ეტყოდა, ხან რას, ყველანაირად ცდილობდა თავი აერიდებინა. მაგრამ დასდევდნენ, არ ასვენებდნენ. ერთხელაც ელიზბარ ჯაველიძემ აჭარაში სამუშაოდ ჩასვლა შესთავაზა. დასთანხმდა. სხვა რა გზა ჰქონდა, თბილისში სამსახურს ვინ მისცემდა.

ჩავიდა აჭარაში და სულ სხვა ასლან აბაშიძე შეხვდა. გაუკვირდა მისი ამხელა ამბიცია, ამხელა პატივმოყვარეობა, თვითდაჯერებულობა.

სამშენებლო საქმეში ჩაერთო.

თავი მეშვიდე

პოლემი... არა უკვე ასე მეორდება და თითქოს დასას- რული არ უჩინს... ყოველი ხელისუფლება ასე ამთავრებს, ასეთი პროტესტით, ასეთი დაპირისპირებით... და მაინც ყველაზე მე- ტად პასუხგაუცემელია კითხვები და იმ მოვლენების მიზეზები, რომელიც გასული საუკუნის 90-91 წლებში განვითარდა. ყო- ველივე ამაზე ძალიან საინტერესოდ და, ვფიქრობ, ამომწურა- ვად პასუხობს ადამიანი, რომელიც იმ მოვლენების შუაგულში ტრიალებდა, რომელმაც ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა და ყოველივე ეს გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე, საკუთარ მოგონებებში დაწერა. აი, რას წერდა თემურ ქორიძე: „ჩვენც ის გავიარეთ, რაც ცივილიზებულმა სამყარომ თავისი არჩევანის გზაზე გაიარა. არაფერი განსაკუთრებული იმ დროს საქართველოში არ მომხდარა, უბრალოდ, ამან ჩვენი ერის გან- ვითარებას უსაზღვროდ მძიმე კვალი დაამჩნია. თორემ ჩვენ ვი- ცით საფრანგეთის რევოლუციების ისტორია, როდესაც ფორმა- ციები თვალის დახამხამებაში იცვლებოდა. მაგრამ ჩვენი მცირე ზომის ქვეყნისთვის ეს დამანგრევებლი რამ იყო, მით უფრო, რომ ძალიან მძიმე შედეგები მოიტანა ამ ყველაფერმა. ერთხელ ვთ- ქვი და ვიმეორებ: არასდროს გამოვაქვეყნებ იმას, რაც ამასთან დაკავშირებით მაქვს მოძიებული და, ალბათ, ჩემი გარდაცვა- ლებიდან ასი წლის შემდეგ თუ გამოქვეყნდება ეს ყველაფერი. იმდენად მძიმეა კონკრეტული პიროვნებების მონაწილეობის ფაქტები ამ საქმეში, რომ შეიძლება, ოჯახებიც კი დაინგრეს საქართველოში და მე ამას არ ვაპირებ, წმინდა ჰუმანური მო- საზრებების გამო. ჩვენ ბევრი რამ სამარეში უნდა ჩავიტანოთ.

ამას მოვუწოდებ ჩემს ახლო მეგობრებს. ჩემი პრინციპული მოსაზრებაა, რომ ყველაფერი არ უნდა ვთქვათ. მე უკვე იმ ასაკში ვარ, როდესაც კაცს მოეკითხება, უფრო ჭკვიანი იყოს და ვცდილობ, უფრო ჭკვიანი ვიყო. თქვენ განსაჯეთ, რამდენად ვახერხებ ამას. რატომ დაუპირისპირდნენ ზვიადს თანამოაზრები? ჩემთვის ეს შეკითხვა მძიმედ საპასუხოა, იმიტომ, რომ იმ ტრაგიკულ დღეებში, როდესაც სროლა დაიწყო, იარაღის ყველა სახეობიდან ესროდნენ ზვიად გამსახურდიას, თორემ ჩვენ ვინ ვიყავით?! პრინციპიც ასეთი იყო: ყველა მინუს ერთი. თუ მთელი იმ პროცესებიდან ამოვაგდებთ იმას, რომ ესროდნენ მხოლოდ ზვიად გამსახურდიას, მის წესს აზროვნებისას და, თუკი ჩავიკეტებით იმაში, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ბოლოტიკური პროცესი, პასუხს ვერ მივიღებთ. ეს იყო ბრძოლა ზვიად გამსახურდიას იდეასთან. ეს იყო კაცი, რომელიც მოვიდა იმისთვის, თავი დაედო საქართველოსთვის. ის თავისი ბავშვობიდან მოდიოდა აქეთკენ და ცოტა უცხო სხეულივით იყო საქართველოსთვის. მიუხედავად ამისა, ზვიად გამსახურდიამ შეძლო ის, რომ 1991 წლის 31 მარტს საბჭოთა საქართველოში აღზრდილმა და დაბადებულმა მთელმა ქართველობამ თქვა: დიახ, მე მინდა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო! ეს იყო ზვიად გამსახურდიას გარჯის, წვალებისა და წამების უდიდესი შედეგი და, ბოლოს, როდესაც ის ჯვარს აცვეს, ზვიადი მოწოდებული იყო იმისთვის, თავი დაედო სამშობლოსთვის და, რამდენიც უნდა უკიუნონ ამ პიროვნებას, რომ ცუდი პრეზიდენტი იყო, შეცდომები დაუშვა, ზვიად გამსახურდია, სანამ საქართველოს არსებობა უნერია, მაინც დარჩება საქართველოს ისტორიაში, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მესაძირკულე. მან ყოველგვარი სკიპტრის, ჯარისა და ლაშქრის გარეშე მიაღწია იმას, რომ საქართველო გათავისუფლებულიყო“.

სამი ათეული წელია მეორდება ერთნაირი ტრაგიკომედია, ძირითადად გვარებიც არ იცვლება, ისევ ძველები, ისევ ყოფილი „იმისტები“ ან „ამისტები“, თუმცა შიგადაშიგ ახლებიც დაემატენენ, იმ ტრაგიკულ დღეებში რომ არ გვახსოვს, ვერ ვარკვე-

ვთ, მაშინ სად იყვნენ, თუმცა შეიძლება ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდნენ, მაგრამ დაპირისპირებულები ხშირად ახსენებენ მათ მშობლებს, რომლებიც „იმისტები“ ან „ამისტები“ ყოფილან თურმე და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და განა სხვას რას ასწავლიდნენ ასეთ გარემოში გამოზრდილთ... და ბრუნავს ასეთ ორომტრიალში ქვეყანა და მაინც ვცდილობ ჩემს რესპონდენტთან მისულმა გავარკვიო ყოველივე ამის მიზეზი... და მაინც სად შეგვეშალა? სად დავუშვით შეცდომა? სანამ ეს არ გამოიკვეთება, განა შევძლებთ მდგომარეობის გამოსწორებას, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის რეალურად მიღწევას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას? და ისევ მახსენდება პატარა მონაკვეთი გოდერძი ჩოხელის წერილიდან: „უცნაური კვერცხი“, რა ზუსტად ასახავს ჩვენს დღევანდელობას:

„...მგლებივით ყმუიან პარტიათა ლიდერები; ძალებივით გლეჯენ ერთურთს მათი მიმდევარნი. იხარჯება უამრავი ფული საარჩევნო კამპანიებისთვის, იპეჭდება უძვირფასეს ქალალდზე გაფორმებული პლაკატები (ამ დროს მწერლებს ქალალდი ენანებათ, რომ რაღაცა დაწერონ და ისე იხოცებიან, ერი ვერც გებულობს ამას).“

სადღაც საქართველოს მახლობლად ყმუის ჩასაფრებული მგელი.

ყმუიან პარტიათა ლიდერები.

ყეფენ მათი მიმდევრები.

განევ-გამოწევა.

ჩხუბი და დედის გინება.

ცილისწამება და ორპირობა.

გაიძვერობა და – ტყუილი, ტყუილი, ტყუილი...

საქართველოს სახელით მკერდში მჯიდის ბრაგუნი და...

ყოველდღე დამშეული, განამებული, სულში ჩანიხლული ხალხის ერთურთზე წაკიდება. ოღონდ თვითონ „გავიდნენ“, მაღლა აცოცდნენ, მთავრობაში მოიკალათონ და რაც კიდევ დარჩა საქართველოს ნანამებ ძვლებს გამოსახრავი, გამოხრან.

ქვეყანა ჰგავს ერთ დიდ ორმოს, საიდანაც ხალხს ამოსვლა

უნდა, მაგრამ ამოსასვლელი კიბე თუ თოკი, არ არის. მოდიან „ზევით მძრომარენი“ და ლაქარდიანი ენით საარჩევნო ხმებსა სთხოვენ ამ ორმოში ჩაყრილ, გაწამებულ ხალხს. სანაცვლოდ თოკებსა და ოქროს კიბეებს ჰპირდებიან ორმოდან ამოსასვლელად. მეტი რა გზა აქვს ხალხს; იქნებ მართლა ვინმემ მოუტანოს თოკი, იქნებ მართლა ვინმემ ჩააზოდოს კიბე, კი არ სჯერათ, კი აღარ აქვთ იმედი, მაგრამ, იქნებ?

დამთავრდა არჩევნები.

ხალხმა დაპირებული კიბეებისა და თოკების სანაცვლოდ აირჩია „ძვირფასი“ დეპუტატები, „ძვირფასი“ პარტიები, რომლებიც თავპირისმტვრევით გაიქცნენ პარლამენტის შენობისაკენ... იქ, ზევით!

ვიღას ახსოვს ხალხი. ვიღას ახსოვს თოკი. ვიღას ახსოვს კიბე.

„ჭირსაც წაულია ორმო და ხალხი“.

„თუ გაძლებენ, გაძლებენ, თუ არადა, მით უარესი, ანდა მით უკეთესი მათვის“.

ტელევიზორი და პრესა კი: ოო, რა საამურია ქართველთა ცხოვრება!

ოო, რა დიდებულად გამოხატა ხალხმა თავისი არჩევანი!

ოო, რა მსოფლიო დონის ხელმძღვანელები გვყავს! ოო, რა დემოკრატია სუფევს საქართველოში! ორმო?

რა ორმო?!

ხალხი?

რომელი ხალხი?!

ეგენი ხომ „იმისტები“ არიან. ბრმა უნდა იყო, რომ ეს „სამოთხე“ ვერ დაინახო.

ორმოდან კი თანდათან ძლიერდება გოდების ხმა. ტირილი. კვნესა. მიცვალებულები. ისეთი სენი გავრცელდა, რომელსაც მედიცინის ენაზე თვითმკვლელობა ჰქვია.

– გადააფარეთ მაგ ორმოს ზემოდან...“

ამ განწყობით ვესტუმრე კიდევ ერთხელ თამაზ ვაშაძეს. წიგნის ბოლო თავზე უნდა ვიმუშაოთ. იმედი მაქვს, რომ ბოლოს მაინც აღმოვაჩენთ, ვიპოვით გამოსავალს... თეორიულად მაინც, თუ რა ბედი გველის?

ემიგრაციიდან დაბრუნებული თამაზ ვაშაძე ასლან აბაშიძესთან მივიდა, რომელმაც აჭარის მშენებლობის მინისტრობა შესთავაზა, რაზეც მან უარი უთხრა. არაო, უკვე ვიყავი მშენებლობის მინისტრი, არ მინდა. სამშენებლო შტაბი შევქმნათ და აქ ვუხელმძღვანელებ აჭარაში მიმდინარე ყველა მშენებლობას.

ერთ დღესაც მასთან კაბინეტში ჟურნალისტი მივიდა, რომელმაც უთხრა, რომ ფილმზე მუშაობდნენ, სადაც უნდა ესაუბრათ ეროვნულ მოძრაობაზე.

— ძალიან კარგი, — მოუწონა ჩანაფიქრი ჟურნალისტს და დაინტერესდა დეტალებით.

— ეროვნული მოძრაობის ლიდერები უნდა ჩავწეროთ, აი, მაგალითად ასლაბ აბაშიძე...

— რას ამბობთ, ასლან აბაშიძე არასდროს ყოფილა ეროვნული მოძრაობის ლიდერი, — გაოცება ვერ დამალა. — მე მაგ საქმეში ინტერვიუს ვერ მოგცემთ. ეროვნული მოძრაობის ლიდერს მხოლოდ ორ კაცს ვიცნობ, ესენი არიან ზეიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

ეს იყო და ეს. ამის მერე ასლან აბაშიძის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა მის მიმართ და უკვე აშკარა იყო, რომ მოსმენის ინსტიტუტი ჰყვაოდა აჭარაში. ყველაფერში იგნობოდა, რომ ასლან აბაშიძე მის მიმართ უკვე აღარ იყო დადებითად განწყობილი.

ბედი მოსინჯა ჭიათურის დეპუტატობის კანდიდატის არჩევნებზე. აქაც არ გაუმართლა, მაგრამ კეთილგანწყობით იგონებს, რომ ჭიათურაში არჩევნების დროს გაიცნო მისი შტაბის უფროსი, ჭეშმარიტი პატრიოტი, განათლებული პედაგოგი ნონა გაფრინდაშვილი, რომლის დიდი მადლიერია. სულ მალე წა-

მოვიდა ბათუმიდან და თბილისში დაიწყო მუშაობა ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე რიგით თანამშრომლად.

ერთ დღესაც მასთან სახლში სამი მისთვის ნაცნობი ადა- მიანი მივიდა. გაეცვნენ, როგორც ორგანიზაცია „ქართუს“ წარმომადგენლები. მაშინ ბიძინა ივანიშვილზე მხოლოდ ლაპა- რაკობდნენ, მას ჯერ არ იცნობდა საზოგადოება, მხოლოდ მის საქველმოქმედო საქმიანობაზე ვრცელდებოდა ინფორმაცია. შესთავაზეს სამუშაო, რამაც ძალიან გააკვირვა და უარი უთხრა. არ უნდოდა სიღრმეებში შესვლა. თვლიდა, რომ რთულია მისი გაგება, რადგან მუშაობის დროს მისი კრედო არის ერთადერთი – უნდა იმუშაოს დამოუკიდებლად, გადაწყვეტილება უნდა მიი- ღოს თავად და პასუხი აგოს თავად. არავის დიქტატი არ უნდა არსებობდეს. როგორ შეიძლება ადამიანს არ მისცე დამოუკი- დებლად, თავისუფლად აზროვნების უფლება. ამიტომ თვლიდა, რომ მასთან მუშაობა საკმაოდ რთულია.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ მეორედ და უთხრეს, რომ ყოველგვარ პირობებს შეუქმნიდნენ. დათანხმდა. ყველა მშე- ნებლობა ჩააბარეს, რომელიც ივანიშვილის დაფინანსებით მი- დიოდა. დღეს იგონებს, რომ საშინელი მდგომარეობა დახვდა იქ. სულ ცოტა ხანში გაარკვია, რომ თურმე ივანიშვილს ამ ორგანიზაციის გაუქმება უნდოდა, რადგან ვერაფრით აგვა- რებდნენ პრობლემებს და მისთვის უთქვამთ, მოვიყვანთ ადა- მიანს, რომელიც ყველაფერს მოაგვარებს და დაალაგებსო. ასე აღმოჩნდა ამ დაულაგებელ, აუწყობელ ორგანიზაციაში, სადაც ერთ პროფესიონალსაც ვერ ნახავდი, ამდენი უცოდინარი, რო- მელთაც მშენებლობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ არც სწავლით, არც პრაქტიკით, მანამდე არ ენახა...

დაიწყო და რა დაიწყო... უზარმაზარი მასშტაბის ობიექტე- ბი აამუშავა – ციცინათელა ქობულეთში, ბათუმის პარკები და დელფინარიუმი, საჩხერეში 13 სკოლა, მარჯანიშვილის თეატრი, თავისუფალი თეატრი, თუმანიშვილის თეატრი, გრიბოედოვის თეატრი, სავაჭრო ცენტრი „გალერეა“... დღესაც გაოცებული იგონებს, თუ რა დახვდა გრიბოედოვის თეატრის მშენებლობაზე,

იქ მისულს, თოკზე ჩაბმული ვედრით ეზიდებოდნენ ბეტონს... ასე რომ გაგრძელებულიყო, ეს შენობა დღესაც არ იქნებოდა აშენებული... ამწე კრანები დაამონტაჟა, ყველგან სამცვლიანი სამუშაო დააწესა, დღე და ღამე გუგუნებდა მშენებლობა.

ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შეხვდა ივანიშვილს.

სოფელ სავანეში სკოლას აშენებდნენ. პირველ იანვარს დიდი თოვლი მოვიდა, თამაზ ვაშაძე იბრძოდა, რომ ეს სკოლა მალე აშენებულიყო, რადგან მიწისძვრის შემდეგ, წლების მანძილზე, ეროვნული მთავრობის დამხობის, გადატრიალების შემდეგ ყველა მშენებლობა გაჩერდა და სწავლება რკინიგზის ვაგონებში მიმდინარეობდა. თამაზ ვაშაძისთვის ეს მშენებლობა მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ის შექლებდა წლების წინ მის მიერ დაწყებული, მაგრამ მერე ქვეყანაში დატრიალებული განუკითხაობის გამო, შეჩერებული საქმის გაგრძელებას და დასრულებას. მთელი სოფელი გახარებული იყო, განსაკუთრებით სკოლის დირექტორი. ერთხელაც სკოლის მშენებლობას-თან ივანიშვილის დედას გაუვლია. მას თურმე დიდი მადლობა უთხრეს ასეთი სასიკეთო საქმისთვის, რომელსაც მისი შვილი აფინანსებდა. ეს ამბავი ივანიშვილის ყურამდე მისულა, თუმცა ეს სულაც არ გახარებია და ერთგვარად უკმეხადაც კი უპასუხია. ეს ცუდად ენიშნა თამაზ ვაშაძეს. ამის შემდეგ სხვა ამბებსაც გებულობდა, თუ როგორ ატრიალებდნენ ენებს მისი მტრები, რომლებიც მასში კონკურენტს ხედავდნენ და სულაც არ სიამოვნებდათ მისი წარმატებები.

ერთ დღეს მასთან შეხვედრა სთხოვა ერთმა მისმა ნაცნობმა, რომელსაც მან ბევრი სიკეთე გაუკეთა და მისგან დავალებული იყო. დილმის მასივში შეხვდნენ ერთმანეთს.

— მინდა, გაგაფრთხილო, შენს თავზე დიდი უბედურება უნდა დაატრიალონ.

— რა იცი, ვინ გითხრა? რაშია საქმე?

— პატარა ბიზნესი მაქვს, ფოთში მყავს ბიზნესპარტნიორები, ჩავედი, პატარა სუფრა გააწყვეს და ერთ კაცს ელოდებიან. ვიცადეთ ცოტა ხანს, მერე დავჯექით და ნახევარ საათში მო-

ვიდა კიდეც, ვისაც ელოდებოდნენ. უსაყვედურეს, სადა ხარ, გიცდიდითო... ბოლიშს ვიხდი, მაგრამ ივანიშვილთან ვიყავი, რაღაც საქმეზე, ერთ კაცზე, თამაზ ვაშაძეზე ამბავი უნდა მიმეტანაო. მერე შენ იცნობ თამაზ ვაშაძეს-მეთქი, ვკითხე. არაო, დამავალეს და უნდა მეთქვაო. რასაც ეტყვი, მაშინვე სჯერა და რა მნიშვნელობა აქვს. კარგი კაცია თამაზ ვაშაძე-მეთქი, მაგრამ მე რა ვქნა, დამავალესო. ყური ისეთი აქვს, როგორც ლელვის ფოთოლი, რასაც ეტყვი, ყველაფერი სჯერა, დილით ვინც მიასწრებს და ამბავს მიუტანს, სულაც არ აინტერესებს, მართალია თუ არა...

ყოველივე ამას კი 14 კაცის დაპატიმრება მოჰყვა, რომელთაც ერთ-ერთ ობიექტზე 210 ათასი ლარის გადახარჯვას აპრალებდნენ. მათ შორის იყო თამაზ ვაშაძე. სასამართლოზე მან განაცხადა, ეს ხალხი სულ ტყუილად არის დაპატიმრებული, მე ვაგებ ყველაფერზე პასუხს, ესენი გაუშვითო. ადეიშვილმა წლების შემდეგ აღიარა, რომ მე ვასრულებდი ივანიშვილის დავალებას და უდანაშაულო ხალხს ვიჭერდიო.

სასამართლო თბილისში მოითხოვა, მაგრამ არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა. რამდენიმე თვეში სასამართლო შედგა და მოსამართლემ ყველა გაათავისუფლა.

ისევ უმუშევარი დარჩა...

ივანიშვილთან მუშაობის პერიოდში მან რამდენიმე ადამიანი გაიცნო, რომელთაც დღესაც მადლიერებით ისსენებს და მათ პროფესიონალიზმსა და პატრიოტიზმზე მუდამ საუბრობს. ერთ-ერთი მათგანია ანზორ აბრამიშვილი, იგი ყველა ტექნოლოგიური პროცესის ხელმძღვანელი იყო. როცა უკვირთ, როგორ აღწევდა იგი წარმატებას, მუდამ იმ ადამიანებს იხსენებს, რომლებიც მასთან მუშაობდნენ და ამაყობს მათთან მეგობრობით.

ერთ-ერთი კიდევ იყო დავით კილურაძე, ატუს უფროსი, პროფესიონალი, ნაღდი თბილისელი, პატრიოტი. რამდენიმე ასეთი ადამიანი გაიცნო ივანიშვილთან მუშაობის დროს, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდნენ და დღესაც აღნიშნავს, რომ ყველა წარმატება მათი პროფესიონალიზმის, საქმის სი-

ყვარულის, ერთად მუშაობის, ადამიანობის დამსახურებააო. აგრეთვე მაღალპროფესიონალი თენგიზ ჩაჩანიძე, რომელიც უბადლო შემსრულებელი იყო.

ასევე განსაკუთრებით აღნიშნავს უერთგულეს ადამიანებთან წლების მანძილზე ურთიერთობას, განსაკუთრებით: ია ბაქრაძეს, ნელი აბდუშელიშვილს, დალი იმნაძეს, დოდო ფარსადანაშვილს... მათთან ხომ დღემდე მეგობრობს.

2011 წელს დაიწყო არჩევნები, სადაც პირველად გამოჩნდა ივანიშვილი. 25 წელი ჩაინტერა თამაზ ვაშაძის გამოსვლა, სადაც ის ეხვეწებოდა ქართველ ხალხს, რომ არ დაეჯერებინათ მისთვის და ხმა არ მიეცათ ივანიშვილისთვის. ამ მონაკვეთს თითქმის სრულად მოვიყვან აქ, რათა უფრო ნათელი გახდეს ჩვენი უახლესი წარსულის შეცდომები.

„მე ვამბობდი და კიდევ ვამბობ, საქართველოში ოპოზიცია არ არის, ხაზგასმით ვამბობ, ეს არის განაწყენებული ხალხი, ეს არის გამოგდებული ხალხი, ესენი არიან ადამიანები, რომელთაც არავითარი პროგრამა არა აქვთ, გარდა ერთისა, მათი სურვილი, უმეტესობის, არის სახელმწიფოს დანგრევა. ახლა ახალი მოთამაშე შემოვიდა პოლიტიკურ სპექტრში, ეს არის ივანიშვილი. მე თავს მოვალედ ვთვლი, რომ ხალხს ვამცნო, ვინ არის ივანიშვილი, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში. სააკაშვილი მოგენატრებათ. მიუხედავად იმისა, რომ მე სააკაშვილის მომხრე არა ვარ, მე ვარ სააკაშვილის ოპოზიცია. მე ვამბობ ამას, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ოპოზიციაში ვარ, მაგრამ მე ვარ მოყვარე ჩემი ქვეყნისა, ივანიშვილს აქვს თვისებები, რომელიც არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მოხელეს, მისი პოლიტიკაში გამოჩენით ოპოზიციური სპექტრის უდიდესი ნაწილი, რომელიც წვეთოვანზე იყო და კვდებოდა, შეეკედლა ივანიშვილს, რათა ივანიშვილმა შეასრულოს ლოკომოტივის მოვალეობა და ეს არადამიანები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, შეიყვანოს პარლამენტში. ივანიშვილმა შემოიკრიბა ხალხი, რომელიც ზვიად გამსახურდიას

ეროვნულ მთავრობას ეპრძოდა, ხალხი რომელიც მითითებებს აძლევდნენ რუსებს, როგორ დაენგრიათ ქართული სახელმწიფო, აი, ეს არის სპექტრი, რომელიც შემოიკრიბა ბიძინა ივანიშვილმა, თუკი ესენი შევლენ უმრავლესობით პარლამენტში, ჩვენ მივიღებთ ხალხს, რომელთაც ქართული სახელმწიფო დააქციეს. სიები გამოქვეყნდა და აბა, ნახეთ ვის ეხმარებოდა ივანიშვილი, ეს სიები არის სამშობლოს მოლალატებით სავსე, ნუთუ სირცხვილი არ არის, ვინც საქართველოს ულალატა იმას 5000 ლარს ურიცხავს ყოველთვე და ჭეშმარიტი პატრიოტები არიან ემიგრაციაში, ამიტომ ვალდებული ვარ, სანამ ცოცხალი ვარ, ქართველ ხალხს ვუთხრა სიმართლე. მე თუ გახსოვთ, როცა ქალაქის მერი ვიყავი ვამბობდი, ვინც უურნალისტებზე აღმართავს ხელს მე ვიქნები მათი პირველი მტერი და უურნალისტების დამცველი, რა უნდათ უურნალისტებთან? ყველამ თავის განვლილ გზას მიხედოს, რომელიც ცუდად აქვთ განვლილი და ემინიათ, ყველაფერს უნდა გაუქდო, როცა პოლიტიკაში მოდიხარ და უურნალისტს წესიერად მოექცე, ივანიშვილს არ აქვს უფლება სხვის წარსულზე ისაუბროს და სხვის შეცდომებზე ილაპარაკოს... სად იყო ნაძირალა ივანიშვილი 12 წლის განმავლობაში დამალული, ჩადო ე. წ. ინტელიგენციაში ფული, ყველა მოისყიდა, რომ ემზადებოდა პოლიტიკაში მოსასვლელად, ვინ დაიჯერებს 7 მილიარდიანი ბიზნესი რუსეთში გქონდეს და საქართველოში აპანდებდე კაპიტალს, ესე იგი, პუტინის მტერს ეხმარები, ამას დაიჯერებს ვინმე, ეს არის ზუსტად რუსული პროექტი, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ეს ადამიანი არის უარესი, ვიდრე სააკაშვილი. რაც შეეხება ივანიშვილის ქველმოქმედებას, ესეც ფარსია. ის ამ ყველაფერს ფარად იყენებდა, რათა შემდეგ პოლიტიკაში მოსულიყო, შემაკავებელი ძალა არ არის საქართველოში, რომ ეს პუტინის აგენტი ივანიშვილი შეაჩეროს. ეს არის მარაზმი, ქართული საზოგადოებისგან ერთ ხმასაც ვერ მიიღებენ ესენი და ახლა ივანიშვილს ეკედლებიან, რათა პარლამენტში შევიდნენ, ეს იქნება ტრაგედია, ისევ ეს ხალხი რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, იგივე ხალხი, ვინც საქართველო დააქცია, ეს არის ერის უბედურება, ისტორია არ

უნდა განმეორდეს, ბატონებო, და მოღალატე ქართველი არ უნდა შემოუძლვეს ისევ რუსეთს საქართველოში ივანიშვილის სახით, ამას ყველა უნდა აღვუდგეთ წინ, ბიძინამ ყველა მოისყიდა იმი-ტომ, რომ ფული აქვს, როცა ეგ ვაჭრუკანა ცალ-ცალი კალოშით მოსკოვში ვაჭრობდა, მე მილიონები მებარა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასგან, რათა ქვეყანა მეშენებინა...“

აი, რას აცხადებდა ჯერ კიდევ 2011 წელს თამაზ ვაშაძე, მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს იმედი გაუჩნდა, რომ კეთილი ქველმოქმედი, მეცენატი საქარ-თველოს აღმშენებლობას შეუწყობდა ხელს, ხალხს დაეხმა-რებოდა, სამუშაო ადგილებს შექმნიდა, რათა საზღვარგარეთ გაქცეულები დაებრუნებინა სამშობლოში, კომუნალურ გადასა-ხადებს შეგვიმცირებდა, ღირსეულ აწმყოს შეგვიქმნიდა... რო-მელი ერთი ჩამოვთვალო, რომელი ერთი ვთქვა... არ დავუჯე-რეთ, არავის დავუჯერეთ, ვინც საპირისპიროს გვიმტკიცებდა, ისე, როგორც თამაზ ვაშაძე თავის ცნობილ გამოსვლაში. ამ გამოსვლას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უკვე წლების შემდეგ, როდესაც დაპირებულიდან არც ერთი არ შესრულდა, მთელი მსოფლიოდან ურეკავდნენ, შენ რა გულტმისანი ყოფილხარ.

უახლესი ისტორია ჩვენს მომავალ თაობას ისეთი უნდა შე-ვუნახოთ, როგორიც იყო რეალურად – თავისი დადებითი და უარყოფითი მოვლენებით, ყოველივე იმით, რამაც დღევანდელ მოუწყობელ, მრავალპრობლემურ სახელმწიფომდე მოგვიყვანა, რომელსაც დღემდე ვერ მოუხერხებია ამდენი მსხვერპლის და გა-საჭირის შემდეგ მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

როდემდე უნდა მივტიროდეთ გარდასულ მთავრობებს, უკე-თესის მოლოდინით, მაგრამ ბრძოლით მიღწეული არსებულის იმედგაცრუებით... როდემდე უნდა ვიცხოვროთ ცვლილებათა ეპოქაში? განა 30 წელი არ არის საკმარისი?

85 წლის თამაზ ვაშაძე იმედით და ოპტიმიზმითაა დღესაც.

არაშემოგვლიბო... 06ტემაზე

– ბატონო თამაზი, დავასრულეთ წიგნზე მუშაობა, დღევანდელი გადასახედიდან ვაფასებთ ყველა იმ მოვლენას, რომელიც ჩვენს თვალწინ მოხდა უახლოეს წარსულში. ისტორიას დრო სჭირდება. ჩვენ ვერ ვსაზღვრავთ სად შეგვეშალა, სად შევცდით... მაგრამ ამას ხომ დრო დაალაგებს?

– ჩემი მიზანი ამ წიგნის შესახებ იყო, რომ საქართველოს ისტორიას დარჩეს ნამდვილი ფაქტები, შეულამაზებელი, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე... მე ვარ კაცი, რომელიც არავის ტყუილს არ ვპატიობ. ადამიანის ყველაზე დიდი ნაკლი ტყუილია.

თავის დროზე რამდენჯერმე მქონდა საუბარი ზვიადთან, მისი პრეზიდენტობის დროს, იმის შესახებ, რომ საქართველოს წესიერ მართვას სჭირდება 170 პატრიოტი პროფესიონალი და პატიოსანი ადამიანი, რომლებიც შევლენ პარლამენტში, შეიქმნება მთავრობა და გამგებლები, რომლებიც პირად მაგალითს მისცემენ დანარჩენებს. თუ საქართველოში 170 კაცი ვერ მოინახა ასეთი კრიტერიუმების მქონე, მაშინ ჩვენი ქვეყანა ქეყანა არ ყოფილა.

საქართველოში ამჟამად არ არის ოპოზიცია, რაც მე ძალიან მწყინს... ხალხი ძალიან დაჩაგრულია... ამის რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ. მთავრობის სახლიდან გამოდის ერთ-ერთი დეპუტატი და საპროტესტოდ გამოსულ ქართველ ხალხს აგინებს... წარმოგიდგენიათ, რომ ელისეის სასახლიდან ან გერმანიის ბუნდესტაკიდან გამოვიდეს ვინმე და აგინოს ხალხს, თუნდაც აზერბაიჯანის მეჯლისიდან აგინოს ვინმემ აზერბაიჯანელ ხალხს... შეიძლება, დაუსჯელი დარჩეს ეს ქმედება? არავითარი რეაქცია არ ყოფილა...

– ოპოზიციას აგინებდა...

– ოპოზიციას კი არ აგინებდა, ქართველი ხალხი იდგა იქ... ქართველ ხალხს აგინებდა. ის რას ფიქრობდა რა მნიშვნელობა აქვს... არავის არ უგია პასუხი. აფხაზეთი დაიკარგა, ოსეთი დაიკარგა, ამდენი უდანაშაულო დახვრიტეს, მილიონები მოიპარეს... არავის პასუხი არაფერზე არ უგია. რომელი ერთი ფაქტი მოვიყვანო... დღეს საქართველოში არ არის ლიდერი... ლიდერის გარეშე არც ერთ ქვეყანას არ გაუმარჯვია. დღევანდელი ოპოზიციონერების მიზანი არის, ტელევიზიის ერთი არხიდან გადავიდნენ მეორე არხზე, მერე მესამეზე და ერთი და იგივე ილაპარაკონ, მხოლოდ ლაპარაკი, არავითარი საქმე... ჩავატაროთ ექსპერიმენტი, ეგრეთ წოდებული ოპოზიცია და ამ მთავრობის ხალხი წავიყვანოთ სოფლის კლუბში, მოვიწვიოთ მთელი სოფლის მოსახლეობა და წარმოთქვან სიტყვა. მერე ვკითხოთ მოსახლეობას, გაიგეს რამე? არავითარი შედევი არ იქნება, ესენი სულ სხვა ენაზე ლაპარაკობენ, არ მიდიან ხალხთან, არ იციან მისი გაჭირვება, მისი ძირითადი სატკივარი... მხოლოდ არჩევნებისთვის ხვდებიან ხალხს, რომ მათი ხმები მოიპოვონ, პირდებიან, ლამაზ-ლამაზ მოთხოვნებს ასახელებენ, რაც არჩევნების მერე აღარც კი ახსოვთ, შესრულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გაეროს მონაცემები წავიკითხე, რომლის მიხედვით 2050 წელს საქართველოს მოსახლეობა იქნება ერთი მილიონი... ეს კატასტროფაა, ამის გაგონებაც არ მინდა... ამიტომ ქართველ ერს უნდა წინამდლობლი, პატიოსანი და წესიერი და არა ისე, როგორც ახლაა, ვენახში სარეველები რომ ამოვა, ისე არიან ყოფილი მხედრიონელები, ედეპეშნიკები და, საერთოდ, ყოფილები... სავსეა პრეზიდენტის აპარატი, მთავრობის სტრუქტურები იმ ადამიანებით, რომელთაც დაღუპეს და დააქციეს საქართველო... აუცილებელია გაიგოს მომავალმა თაობამ ვინ-ვინ არის, არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ასი წლის

შემდეგ უნდა გამოქვეყნდეს მემუარები და სიმართლე... არა, ახლა უნდა იცოდეს ყველამ მათი სახელები, უნდა ვამხილოთ და ტელევიზიის ყველა არხმა და უურნალისტმა უნდა იცოდეს მათი რესპონდენტების წარსული.

დღეს ხალხის გასაჭირი არ ენაღვლებათ, რომ მოინდომო და გინდოდეს მათთან გასაუბრება, ვერ მიაღწევ, არ დაგაკავშირებენ... ეს სისტემა შევარდნაძისდროინდელია, პატარა ჩინოვნიკთანაც ვერ შეხვალ... ჩემი მერობის პერიოდში ყველას ვღებულობდი, უარი არასოდეს მითქამს, ყველას ვესაუბრებოდი, ვუკეთებდი საქმეს, თუ ვერ ვუკეთებდი, ვუხსნიდი, რატომ ვერ ვაკეთებ, რატომ არ შემიძლია... ადამიანს უნდა მოუსმინო, უნდა მიეხმარო, უნდა აუხსნა, ყველაფერი ხომ ადამიანისთვისაა შექმნილი... ამათ ეს არ ესმით, საბავშვო ბალიდან პირდაპირ მინისტრად მოდიან, არავითარი ცხოვრების გამოცდილება არ აქვთ.

– ბატონო თამაზ, მათ შორის, ვისაც თქვენ მოლალატეს ეძახით, ვინც ზვიადის დროს მეორე მხარეს აღმოჩნდნენ, მოინანიეს, ბევრმა გულწრფელად, შეიძლება ზოგიერთის მონანიება მოწვევებითი იყო, მაგრამ უმრავლესობამ მოინანია, თან დასაბუთებულად აღიარეს, რომ იმ დროს რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ, რასაც წლების შემდეგ სულ სხვა თვალით შეხედეს და აღიარეს, რომ შეცდნენ...

– მონანიება და პატიებაში მე სხვა კრიტერიუმები მაქვს. პატრიარქთან მქონდა შეხვედრა, როდესაც მან მითხვა, ვა-პატიოთო... მე ვუთხარი, თქვენო უწმინდესობავ, რასაკვირველია, ვაპატიებ, ვინც მე მომაყენა შეურაცხყოფა ან აუგად მომიხსენია, მაგრამ ვინც ქვეყანას უღალატა და სამშობლო დააზარალა, მე ვინ მომცა მათი პატიების უფლება, იმან პასუხი უნდა აგოს. არავის არა აქვს ღალატის უფლება დედამიწის ზურგზე, ყველამ პასუხი უნდა აგოს. ვინც მოინანია, ეს რა თქმა უნდა, არ არის ცუდი... საბერძნეთმა რომ კონსტანტინე-

პოლი დაკარგა, რვა მინისტრს ბერძენმა ხალხმა ჯირკზე თავი დაადებინა და ნაჯახით თავი მოკვეთა... აფხაზეთი რომ დაიკარგა შევარდნაძემ გენერლობა მიანიჭა დამარცხებულებს... აი, ეს არის განსხვავება...

— დღევანდელი გადასახედიდან, 30 წელია გასული იმ პროცესებიდან, 30 წელი ისტორიისთვის არაფერია, ჩვენ კი გვეჩერება, მაგრამ ისტორიისთვის ერთი წამია და ამ გადასახედიდან, შეიძლებოდა სხვანაირად განვითარებულიყო მოვლენები, ბევრად უკეთესად...

— არა, არ შეიძლებოდა და რატომ? გროზნოში ყოფნის დროს ზვიად გამსახურდიას ვკითხე, როდესაც ამ მიზნით საქართველოში დაბრუნდები, ამის შესახებ იცის რუსეთმა-თქო, მან მიპასუხა, რუსეთი ამ საქმეში თვალხილულად, ღიად ვერ ჩაერევაო... მერე ემიგრაციაში რომ ვიყავი, როდესაც ზვიადი უკვე გარდაცვლილი იყო, ჩემთვის გულსაკლავად ვფიქრობდი, ნახე, ბატონი ზვიად, ნაძირალა რუსეთი ხომ ყველაფერს იკადრებს, ჩაერია ჩეჩენეთის საქმეში, ჩაერია საქართველოს საქმეში, ახლა უკვე უკრაინის საქმეშიც? ამ საწყალ უკრაინელ, გმირ ხალხს ხოცავს, ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს... ეს ქვეყანაა...

— რა თქმა უნდა, რაც ბოლო წლებში დაგვემართა, ამ ყველა-ფრის უკან რუსეთი იდგა, ეს ნათელია...

— დიახ, მაგრამ ამას ყველაფერს, სამწუხაროდ, ქართველების ხელით აკეთებდა და დღემდე აკეთებს.

ბევრი რამ საბჭოთა კავშირის დროსაც არ იყო მოსაწონი. ახლა გამასხენდა. ერთხელ, როდესაც დუშეთში ვმუშაობდი, ჩარგალში ვაჟაობა ტარდებოდა და ვესწრებოდი. საზეიმო განწყობას საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა და ხელოვანთა გამოსვლები ალამაზებდა. მოულოდნელად ტრიბუნაზე, მიუხედავად წინააღმდეგობისა, გაჭირვებით ავიდა ახალგაზრდა ლამაზი გოგონა, ცოტა შორს ვიდექი და მისი სიტყვები გარკვევით არ მესმოდა. ჩემი ყურადღება იმან მიიქცია, რომ

უეცრად მილიციელთა გაურკვეველი მობილიზება შევნიშნე. გამიკვირდა და ვცადე გამერკვია რა ხდებოდა, როდესაც მოულოდნელად მიცვივდნენ სცენაზე ამ გოგონას, ძალით ჩამოიყვანეს დაბლა, თმებით მიათრევდნენ, თვითმცლელი მანქანის ძარაზე შეაგდეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და მილიციელების თანხლებით ჩემთვის გაურკვეველი მიმართულებით გააქანეს. როგორც შემდეგ გავიგე, ეს ნაზი შამანაური იყო, რომელმაც გაბედა და იმ პერიოდში მთავრობის კრიტიკული შეფასებით სურდა გამოსვლა, რაც არ აცალეს. მისი დაკავების ბრძანების გამცემიც იქვე იდგა, რაიკომის პირველი მდივანი ჰამლეტ კერესელიძე. ვერავინ გაბედა დახმარებოდა მას, ზვიად გამსახურდიას გარდა. ერთადერთი მისი ოჯახი აპროტესტებდა ამ უსამართლობას. დღემდე მაწუხებს კითხვა: სად იყავით ტალახის მსროლელებო და მათო შთამომავლებო? გეშინოდათ? შემდეგ ხომ ყველამ აღიარეთ, რომ ნაზი შამანაურს უსამართლოდ მოექცნენ და მოკლეს იმის გამო, რომ სიმართლეს ამბობდა.

– ბატონო თამაზ, დღეს უკვე მოდის ახალი თაობა, იმედისმომცემი თაობა... გეთანხმებით, რომ დღევანდელ ოპოზიციაში ბევრი რამ შესაცვლელია, ჩაკეტილ წრეზე ვტრიალებთ სამი ათეული წელია, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, დასავლეთის ორიენტაციის მხარდასაჭერად ახალგაზრდობა გამოვიდა, რომელსაც არც ერთი პარტია არ ხელმძღვანელობდა და ცოტა იმედი მომეცა, რომ ისინი სასიკეთოდ შეცვლიან, შედეგს დადებენ...

– რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, უნდა გამოიკვეთოს პატრიოტი ახალგაზრდები, ჭეშმარიტი ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული, საქართველო დასავლეთისაკენ მიდის, ყველა ინტერვიუში ამას ვამბობ და ვაცხადებ, ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, ერთადერთი გზა დასავლეთისკენაა.

– ბატონო თამაზ, როული ცხოვრების გზა გაქვთ გავლილი,

გზა, რომელიც წარმატებებთან ერთად ბევრ დაუმსახურებელ უსამართლობასაც იტევდა. მძიმე დღეების გადავლა ოჯახის მხარ-დაჭერის გარეშე წარმოუდგენელია...

– რა თქმა უნდა, დღესაც გაოცებული ვკითხულობ, რა გავაკეთე ისეთი, რომ უფალმა ჩემი მეუღლის, ნაილი არველა-ძის თანადგომით, ერთგულებით დამაჯილდოვა. სამოცუ წელი ვიცხოვრეთ ერთად, ერთი ზედმეტი სიტყვა არ მახსოვს მისგან. როდესაც დედაჩემმა მას უთხრა, ახლა ჩვენი შრომითი ბანაკი უნდა გადმოგაბაროო, შრომით ბანაკში ჩვენს დიდ ოჯახს გუ-ლისხმობდა დედა. შენ უნდა იყო ბანაკის ხელმძღვანელი, მე კი მისი რიგითი წევრი ვიქენები და რასაც დამავალებ ყველაფერს გავაკეთებო. იუარა ნაილიმ, მაგრამ არ გაუვიდა. ჩემი მეუღლე იყო ადამიანი, ვისაც დედაჩემმა და მამაჩემმა 26 წლისას სანო-ტარო ბიუროში მთელი ცხოვრება, ადგილ-მამული გადაუფორ-მეს და გაოცებულმა ნოტარიუსმა ჰქითხა, ბატონი მიხეილ, ვინ არის ასეთი თქვენი რძალიო. მამაჩემი კი თავის მოგონებაში წერს, რომ ჩემი რძალი ღმერთმა მაჩუქაო.

ორი ბიჭი შეგვეძინა – ზვიადი და ლაშა. ჩემი მეუღლე რომ გარდაიცვალა, ზვიადი ჩემთან გადმოვიდა. 1989 წელს შემეძინა შვილიშვილი, თავისი ცხოვრების წესით სამაგალითო მარია-მი, რამაც ძალიან გამახარა. მან ფრიადზე დაამთავრა თბილი-სის პირველი საშუალო სკოლა, ასევე წარმატებით დაამთავრა ჯერ თეატრალური უნივერსიტეტი, შემდეგ კი – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკური ფსიქო-ლოგიის ფაკულტეტი. თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა გოგი მარგველაშვილმა მითხრა, ასეთი ადამიანი თუ კიდევ იყო ამ ქვეყანაზე, არ მეგონაო... ზვიადის მეუღლეს, ნატოს დიდი წვლილი მიუძღვის მარიამის აღზრდაში. როგორც მამაჩემი, ბა-ტონი მიხეილი იტყოდა ხოლმე, ჩემი ნაილი ღმერთმა მაჩუქაო, ასევე მეც ვამბობ, ჩემი მარიამი ღმერთმა მაჩუქა. როდესაც ამ წიგნზე ვმუშაობდით, მარიამს გოგონა შეეძინა, ვივიენი. ღმერთ-

მა გაამრავლოს დავით ბენიძის ოჯახი, ვისი რძალიც საამაყო მარიამია. იგი ამჟამად პირველ არზე „მოამბის“ წამყვანად მუშაობს.

ჩემი ლაშა პროფესიით მშენებელია, ჩემს კვალს გაჰყვა. გა- მართლდა ჩემი იმედი. მისი მეუღლე ხათუნა მემარნიშვილია, მან სამხატვრო აკადემია დაამთავრა, ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს. შესანიშნავად უძლვება ოჯახს, მისი გაწყობილი სუფრა ნატურმორტი გეგონება... ორი შვილი ჰყავთ – მიხეილ ვაშაძე, 17 წლის, სპორტსმენი, წელს ამთავრებს საშუალო სკოლას. მომავალ პროფესიად პროგრამისტობა აირჩია. ყოველდღე ვც- დილობ, ჩავუნერგო, რომ მან უნდა გააგრძელოს ჩვენი ოჯახის, ვაშაძეების ტრადიციები, კარგი მოქალაქე და კარგი პატრიოტი უნდა იყოს. მეორე – ნინუკა ვაშაძე, შესანიშნავი ფრიადოსანი, მერვეკლასელი. კარგი სწავლისთვის ვაჯილდოვებ ხოლმე მცი- რეოდენი თანხით. წიგნის კითხვა უყვარს ძალიან.

ჩემს შვილიშვილებს მუდამ ვარიგებ, რომ სამშობლოს სიყ- ვარული აუცილებელია, უნდა იყვნენ ფრთხილები, მოზომილები, არასოდეს გადადგან არავითარი ნაბიჯი, რაც ენინაალმდეგება ქვეყნის ინტერესებს, მუდამ მის გვერდით უნდა იდგნენ. მა- მაჩემი ხშირად იტყოდა ხოლმე, არაფერი თუ არ შეგიძლია, წელიწადში ერთი ხე მაინც უნდა დარგო და გაახარო. მხოლოდ დარგვა კი არა, გახარებაა მთავარიო.

რაც შეეხება დედაჩემს, საოცარი ქალბატონი იყო. ის გი- ტარასაც კარგად ფლობდა და კარგადაც მღეროდა. მუდამ მახ- სოვს მისი ნამღერი:

„უფულობა წელში გაგწყვეტს,
თუგინდ იყო ტარიელი,
ნათესავსაც შესძულდები,
თუ ჯიბე გაქვს ცარიელი“.

მე ახლა 85 წლის ვარ. მინდა, გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ძალიან განვიცდი, ხშირად ვიგონებ, რომ ჩემგან წავიდნენ

ის ადამიანები, ბავშვობის, სამსახურის მეგობრები, რომლებთან ერთადაც ცხოვრების მრავალი წელი გავატარე. ლევან გოთუა, მუხრან მაჭავარიანი – მათთან ურთიერთობამ ბევრი რამ მასწავლა, ცხოვრების მიმართულების სწორი გზა მიჩვენეს, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიასთან ურთიერთობა იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი და ახლა ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო, რაც კი-დევ ერთხელ დაადასტურებს, თუ როგორ უყვარდა ის ხალხს და როგორ პატივს სცემდნენ მას. ის სამაგალითო პიროვნება იყო. ერთ-ერთი საარჩევნო კამპანიის დროს ვიყავით სამეგრელოში, აბაშის ცენტრში შეიკრიბნენ და ამ დროს ერთი წვერმოშვებული კაცი მოვიდა ზვიადთან. სახეზე გადატანილი ტანჯვის კვალი ეტყობოდა. მან ზვიადს სთხოვა, მომისმინე, ერთი სათხოვარი მაქვს, იქნებ შენ მიშველოო. ზვიადი ძალიან ყურადღებიანი იყო, არავის გაუშვებდა მოსმენის გარეშე. რაშია საქმეო, ჰყითხა. შვილმკვდარი მამა ვარ, ბიჭი მომიკლესო. დასაფლავების შემდეგ ჩემი ცოლი სასაფლაოზე ზის, წვიმაში, ქარსა და უამინდობაში, ვერაფრით ავაყენეთ, არავის უსმენს, ვინ არ მივიყვანეთ, გამგეობიდან, მღვდელი, ნათესავი... არავის უსმენს, ზის, ტირის და გოდებს, ვერავინ ააყენა საფლავიდან. იქნებ შენ დაგიჯეროს, მიშველე რამეო... დამიცადეო, უთხრა ზვიადმა. დამთავრდა შეხვედრა, წავედით. ჩვენც მივყვებით. მივედით. სასაფლაოზეა დამხობილი ეს ქალი, ოთარაანთ ქვრივივით, გლოვობს ტრაგიულად გარდაცვლილ შვილს. ზვიადი გვერდით ჩამოუჯდა. თავზე ხელი გადაუსვა. ჩვენ შორიახლოს გავჩერდით, არ გვესმოდა მათი საუბარი. ოცი წუთის შემდეგ ეს ქალი ადგა. ზვიადმა ხელი მოკიდა და მივდივართ, მივყვებით. მივედით მათ სახლში. მთელი მეზობლობა შეგროვდა, დატრიალდნენ, ლვინო მოიტანეს... ზვიადმა უთხრა არაფერია საჭირო, ჩვენ მაგის დრო არ გვაქესო. იმ ქალს მიმართა, მხოლოდ შენი მოდულებული ჩაი მინდაო. წარმოუდგენლად გამოცოცხლდა შვილმკვდარი დედა. დატრიალდა, ჩაი გაამზადა, ნამცხვარიც აღმოაჩნდა, მურაბაც მოიტანა. ზვიადმა დამშვიდობებისას უთხრა,

იცოდე, მზე რომ ჩავა, სასაფლაოზე გასვლა ქრისტიანულად არ შეიძლება, მიცვალებულმა უნდა დაისვენოსო, შენ მოვალე ხარ მოუარო სასაფლაოს, უნდა იცოცხლო დიდხანს, რათა კიდევ გყავს შვილები და მათ უნდა მოუარო... სახლში ასე დააბრუნა შვილმკვდარი, გამნარებული დედა... და ახლა კიდევ ერთხელ მახსენდება საბერძნეთში ერთი ბერის ნათქვამი, თქვენ იმდენი სიგლახე გაქვთ ჩადენილი ამ ადამიანის მიმართ, რომ არა მგონია, მარიამ ღვთისმშობელმა შეისმინოს შენი ვედრებაო...

– მე მაინც ყოველივე ამას ვაბრალებ იმას, რომ ჩვენ არ ვიცოდით, რა არის სახელმწიფო, სამწუხაროდ, ორ საუკუნეზე მეტი ვიყავით „დიდი ძმის“ ფრთხებქვეშ შეყუული. არ გვქონდა სახელ-მწიფოებრიობის გამოცდილება. ყველაფერში, სულ უმნიშვნელო საქმეშიც კი ნებართვა გვჭირდებოდა... დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება არ გვქონდა...

– კი, გეთანხმები, მაგრამ ელემენტარულად საქართველოს წინააღმდეგ არავითარი ნაბიჯი არ უნდა გადადგა, შენი ერის, სახელმწიფოს წინააღმდეგ რატომ უნდა წახვიდე...

– გეთანხმებით, ჩემი მოკრძალებული აზრი მინდა გაგიზიაროთ, მე მაინც მიმარინია, რომ პოლო დროის ყველა საქმეში რუსეთის ხელი ერია, ზოგიერთ ქართველთა დახმარებით, შეიძლება ვერც კი აცნობიერებდა ბევრი, რომ სამშობლოს საწინააღმდეგო საქმეს ემსახურებოდა, სამწუხაროდ, დღესაც ასე ხდება... გამოსავალზე ვსაუბრობდით და ვერ გამოვკვეთეთ. ბევრი გასაჭირი გამოვიარეთ, საუკუნეების მანძილზე მრავალი მტერი გვესხმოდა თავს და უფლის წყალობით ფენიქსივით ფერფლიდან აღდგენასაც ვახერხებდით. ოქროს ურდოც გვახსოვს, ორ საუკუნეზე მეტ ხანს რომ ბატონობდა... დაიშალა და ჩვენც გვეშველა, ყველა იმპერია დაიშალა, რუსეთსაც იგივე ბედი ელის აუცილებლად, სანამ რუსეთი იქნება ძლიერი, ვერაფერს მოვახერხებთ... იმედია უკირაინის ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდება...

– გეთანხმები, დარწმუნებული ვარ, უკრაინა გაიმარჯვებს,

რამდენიმე წელიწადში ის ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო სახელმწიფო იქნება და მსოფლიოც სწორედ ამის-თვის იბრძვის.

– ბატონო თამაზ, ამ გადასახედიდან, უკან რომ დავაპრუნოთ მოვლენები 90-იან წლებში...

– არაფერს შევცვლიდი... ცხოვრების გზას არ შევიცვლი-დი... მხოლოდ ის, რასაც ვთვლი, რომ შეცდომა იყო, გამო-ვასწორებდი. უფრო მყაცრი უნდა ვყოფილიყავით, ჩვენმა ასეთ-მა ლოიალურმა, კაცურმა და ვაჟკაცურმა დამოკიდებულებამ მოიტანა ეს შედეგი...


– ბატონო თამაზ, ალბათ ზვიადის ნათქვამს გულისხმობთ, ყვავილები ვესროლოთო...

– რა თქმა უნდა, ზვიადი უკიდურესად შემწყნარებელი, ჰუმანური, გულისხმიერი და უაღრესად პატრიოტი პიროვნება იყო.

ესაუბრა მანანა გორგიშვილი

ରେଖାଚିତ୍ରଣ

(ଯାନୀକଟିଶୀ ଆହୁତିଗୁଡ଼ିକ ପାଇଁ ମନ୍ଦିରରେ ପାଇଁ
ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ)



**საქართველოს ბესტუბლიპის პრეზიდენტს
გაფონ ზვიად გამსახურდის
აღდგენითი სამუშაოების ბესტუბლიპური ჟურნალის
ხელმძღვანელის**

მოხსენებითი ბარათი

ბატონო პრეზიდენტო!

1991 წლის 29 აპრილისა და 15 ივნისის კატასტროფულ-მა მიწისძვრებმა აუნაზღაურებელი ზარალი მოუტანა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს. დაინგრა ან მნიშვნელოვნად დაზიანდა 46 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის სფეროს ასობით ობიექტი, კომუნიკაცია და საინჟინრო ნაგებობა. დანგრეული და დაზიანებულია სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტები, აგრეთვე სხვა ნაგებობები, რომელთა რაოდენობა 1000-ზე მეტია.

ასეულ ათასობით მცხოვრები დარჩა უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ, დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი. მომხდარი მიწისძვრა ნგრევის ძალით რამდენამდე აღემატებოდა ცნობილ 1988 წლის სპიტაკის მიწისძვრას.

8 და 9 ბალის სიძლიერის მიწისძვრამ მოიცვა ონის, ამბროლაურის, საჩხერის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ცაგერის, ახალგორის, ქარელის, ხაშურის, გორის რაიონების, ჭიათურის, ტყიბულის ზონების სოფლები, სამარაბლოს რაიონები, სულ 7800 კვადრატული კილომეტრის ფართობი, რომელზეც 700-მდე სოფელია განლაგებული.

ულმობელმა სტიქიამ არ დაინდო მრავალსაუკუნოვანი კულტურის ძეგლებიც, დაზიანდა და დაინგრა: ნიკორწმინდის და ბარაკონის ტაძრები, იკორთის, წმინდა წინოს და კაცხის ეკლესიები, მოდინახეს და ხოტევის ციხეები, ონის სინაგოგა და ა.შ. სულ 123 ისტორიული და კულტურის ძეგლი, რომელთა შორისაც 21 პირველ რიგშია აღსადგენი.

მიწისძვრისაგან გამოწვეულმა ზარალმა 10 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ამ თანხამ კიდევ შეიძლება განიცადოს ცვლილება, რადგან მოცულობები ჯერ კიდევ ზუსტდება.

ტრაგედიის დღესვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ ადგილზე შემოწმების შემდეგ შეიმუშავა კონცეფცია მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ, აღდგენითი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაუყოვნებლივ დაწყებისათვის.

აღნიშნული კონცეფცია ითვალისწინებს დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაგივრად შესატყვისი სახლების აგებას, რათა ქართულ სოფლებს შეუნარჩუნდეს თავისი იერსახე, აღდგეს და აღორძინდეს დანგრეული რეგიონები სამომავლოდ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაწყების პერიოდში ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღსადგენ რეგიონებში გაგვეყვანა კეთილმოწყობილი გზები, წყალი, გაზი, ელექტროგადამცემი ხაზები, აგვეგო ხიდები, ფოსტა-ტელეგრაფი, მედპუნქტები, კულტურული დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურების და კვების ობიექტები, რათა სოციალურმა სიკეთემ მტკიცედ მოიკიდოს ფეხი მთაში ჩაკარგულ სოფლებში და შექმნას ისეთი ინფრასტრუქტურა, რომ სეზონური მაცხოვრებელი დაუბრუნდეს მამაპაპისეულ მიწა-წყალს.

ზემოაღნიშნული კონცეფცია მოიწონა უზენაესი საბჭოს კომისიამ და დაამტკიცა რესპუბლიკის მთავრობამ. მასში სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული დაზიანებულ რაიონებში მშენებლობის წარმართვის სტრატეგიული გეგმა.

მიწისძვრებთან დაკავშირებული აღდგენითი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დროულად ჩატარების მიზნით არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის წინადადებით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიმდინარე წლის 7 მაისს და 15 ივნისს გამოსცა შესაბამისი №334 ბ და №548 გ განკარგულებები, რომელთა საფუძველზეც დანგრეულ რაიონებში შეიქმნა შემდეგი სამშე-

ნებლო კომპლექსები და დაინიშნენ მათი ხელმძღვანელები:

1. საჩხერის რაიონში – ი. ქევხიშვილი, რ/გ „თბილქალა-ქმშენის“ უფროსი;

2. ჭიათურის ზონაში – ზ. კაპანაძე, რ/გ „საქქალაქმშენის“

№1 ტრესტის მმართველი;

3. ამბროლაურის, ცაგერის რაიონებსა და ტყიბულის ზონა-ში – 6. ხარაბაძე, რ/გ „საქქალაქმშენის“ უფროსის მოადგილე;

4. ქ. ონში – თ. ბერიკაშვილი, რ/გ „საქქალაქმშენის“ ქუ-თაისის №4 ტრესტის მმართველი;

5. ონის რაიონის სოფლებში – ა. ჩალაძე, „კავშირგვირაბ-მშენის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსი;

6. ზესტაფონის, თერჯოლის და ხარაგაულის რაიონებში – ვ. ლომთაძე, რ/გ „საქსოფმშენის“ №14 ტრესტის მმართველი;

7. გორის, ქარელის და სამაჩაბლოს რაიონებში – პ. დონდუ-ზაშვილი, რ/გ „საქსოფმშენის“ ტრესტ „ახურიანმშენის“ მმარ-თველი.

ზემოხსენებული კომპლექსების ხელმძღვანელები უფლება-მოსილნი არიან გადაწყვიტონ სამუშაოთა შეკვეთის, დაფინანსე-ბის, წინასწარი გამოკვლევის, დაპროექტების, მატერიალურ-ტე-ქნიკური უზრუნველყოფის და მშენებლობის ყველა საკითხი. ალდგენით სამუშაოებში მონაწილე ყველა ორგანიზაციის ხელ-მძღვანელი ემორჩილება და ასრულებს მათ გადაწყვეტილებას. ამავე დროს, კომპლექსის ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან მთავრობისა და არქიტექტურისა და მშენებლობის საქ-მეთა სამინისტროს ალდგენითი სამუშაოების რესპუბლიკური შტაბის წინაშე, რომ დროულად და ხარისხიანად შეასრულონ ალდგენითი სამუშაოები.

სამშენებლო კომპლექსების საერთო ხელმძღვანელობა, მათი მუშაობის კოორდინაცია და ალდგენითი სამუშაოების რეს-პუბლიკური შტაბის ხელმძღვანელობა დამევალა მე.

შტაბის ხელმძღვანელობა სისტემატურად ატარებს ღო-ნისძიებებს მიწისძვრისაგან დაზარალებული და დანგრეული ობიექტების მშენებლობის მართვის სწორი ორგანიზაციისთვის.

სამშენებლო კომპლექსების მართვა ცენტრალიზებულად ხდება შტაბიდან, ვიყენებთ სადისპეტჩერო სამსახურს. ადგილებზე ოპერატორულ ხელმძღვანელობას, საინჟინრო-სამშენებლო მომზადებას და მართვას კი ახორციელებენ ადგილებზე შექმნილი კომპლექსები.

ამასთანავე მე თვითონ პირადად ვატარებ შტაბის ოპერატორულ სხდომებს ადგილებზე, კვირის ყოველ ხუთშაბათს და პარასკევს. მუშაობის განვლილმა სამმა თვემ დაგვანახა, რომ შტაბის მუშაობის მიღებული სისტემა ქმედითია. სიტუაციის ექსტრემალურობის გამო გავატარეთ არაორდინალური ღონისძიებებიც.

ძირითადი სამშენებლო მასალები, სათბობ-საწვავი რესურსები, მექანიზმები, ავტოტრანსპორტი, შრომითი რესურსები, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსოები და სხვა აუცილებელი საშუალებანი თითქმის მთლიანად გადავისროლეთ და მივმართეთ მიწისძვრებისაგან დანგრეულ რაიონებში.

შტაბის ხელმძღვანელობის მიერ სამშენებლო კომპლექსებში დანიშნულნი არიან პასუხისმგებელი პირები, რომლებიც კურირებას უწევენ ამა თუ იმ რეგიონს. ისინი სისტემატურად აწვდიან შტაბს ოპერატიულ ცნობებს მათი მუშაობის შესახებ. შტაბში ხდება ამ ოპერატიული მონაცემების დამუშავება და შემდეგ ხელმძღვანელობის მიერ სათანადო ღონისძიებების გატარება. მშენებლობის შტაბის მიერ სამინისტროში ორგანიზებულია სადლელამისო სადისპეტჩერო სამსახური, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს კავშირის შეფერხებას.

კატასტროფის ზონებში არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მიმაგრებულია საპროექტო ინსტიტუტები, რომელთა წარმომადგენლებმა დეტალურად შეისწავლეს მიწისძვრების შედეგად მიყენებული ზარალის მასშტაბები და მოახდინეს შენობა-ნაგებობების კლასიფიცირება შემდეგ კატეგორიებად:

I. მცირედ დაზიანებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც საჭიროებენ მხოლოდ რემონტს;

II. დაზიანებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენასა და გამაგრებას, რაც უნდა შესრულდეს შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებელ ანტისეისმურ ღონისძიებათა დაცვით;

III. მთლიანად დანგრეული ანდა დასანგრევი შენობა-ნაგებობები, რომელთა მაგივრად ახლად აგებულ შენობებში გათვალისწინებული იქნება სეისმური ზონებისათვის დადგენილი ბალიანობა;

სულ მთლიანად მიწისძვრის ზონებში დანგრეული და დაზიანებულია 46, 518 ათასამდე საცხოვრებელი სახლი:

1. საჩხერის რაიონის სამშენებლო კომპლექსში – 9, 950.
 - I კატეგორიის – 1957
 - II კატეგორიის – 3.103
 - III კატეგორიის – 4, 087

მათ შორის დამეწყრილი – 803
2. ჭიათურის ზონის სამშენებლო კომპლექსში – 10,673
 - I კატეგორიის – 4, 700
 - II კატეგორიის – 4.120
 - III კატეგორიის – 1, 853
3. ზესტაფიონის რაიონის სამშენებლო კომპლექსში – 2, 811
 - I კატეგორიის – 2, 206
 - II კატეგორიის – 481
 - III კატეგორიის – 124
4. ონის რაიონის სამშენებლო კომპლექსში – 4, 675
 - I კატეგორიის – 1, 893
 - II კატეგორიის – 1,1641
 - III კატეგორიის – 1,141
5. ქ. ონის სამშენებლო კომპლექსში – 1,410
 - I კატეგორიის – 10
 - II კატეგორიის – 843
 - III კატეგორიის – 617
6. ამბროლაურის სამშენებლო კომპლექსში – 9696
 - I კატეგორიის – 3,986

- || კატეგორიის – 3.421
- ||| კატეგორიის – 2, 289
- 7. გორის რაიონის სამშენებლო კომპლექსში – 7, 243
- | კატეგორიის – 1, 856
- || კატეგორიის – 3.120
- ||| კატეგორიის – 2, 267

სულ:

- | კატეგორიის – 16, 608
- || კატეგორიის – 16, 729
- ||| კატეგორიის – 12, 378
- დამენცილი საჩერეში – 803

სულ: – 46, 518

მოსალოდნელია, რომ ეს მაჩვენებლები გაიზრდება, რადგან ხაშურის, ახალგორის და ცაგერის რაიონებში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა საინვენტარიზაციო და საპროექტო სამუშაოები.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე, რომელთა რაოდენობა (როგორც აღ-სადგენი, ისე ასაშენებელი) 103 ერთეულს შეადგენს; 20 ობიექტზე გათვალისწინებულია ახალი ამბულატორიების აშენება.

ასევე მძიმე მდგომარეობა განათლების ობიექტებზე, რომელთა რაოდენობა (როგორც აღსადგენი, ისე ასაშენებელი) 332 ერთეულს შეადგენს; კულტურის ობიექტებზე შემდეგი სურათია:

დანგრეული და ახლად ასაშენებელია 13 კულტურის სახლი, 40 კლუბი, 76 ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, სამუსიკო სკოლა და სხვა ობიექტები.

დაზიანებული და აღსადგენია 4 კულტურის სახლი, 32 კლუბი, 6 ბიბლიოთეკა, სამუსიკო სკოლა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დანგრეულია ა. წერეთლის სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზი, ხოლო თვით სახლ-მუზეუმი ძლიერ დაზიანებულია.

სულ ზემოაღნიშნულ რაიონებში აღსადგენია და შესაკეთებელია 1,161 კილომეტრი გზა, მათ შორის 162 კილომეტრი

ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობით, საუბნო გზები 233 კილომეტრი ხრეშოვანი საფარით; რაიონის ცენტრებთან მისასვლელი რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზები 241 კილომეტრი ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობით.

ამასთანავე სტიქიის ზონაში ასაშენებელია 40 ხიდი, საერთო სიგრძით 970 გრძივი მეტრი.

ასე მაგალითად, ამბროლაურის რაიონის მიხედვით შემდეგი სურათია: სულ აღსადგენი და შესაკეთებელია 436 კილომეტრი გზა, მათ შორის, სოფლებთან მისასვლელი გზები 241 კილომეტრი, აქედან 40 კილომეტრი ასფალტ-ბეტონის საფარით, საუბნო გზები 195 კილომეტრი ხრეშოვანი საფარით, 3 ხიდი საერთო სიგრძით 60 გრძივი მეტრი.

მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლად. საჩხერის რაიონში ყვირილაზე ასაშენებელია 500 მეტრი სიგრძის კაპიტალური საყრდენი კედელი და 10 კილომეტრზე მოსაწყობია გაბიონები ადგილობრივი მასალებისაგან.

მინისძვრის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის ყველა მშენებლის მაქსიმალური მობილიზაციის პირობებშიც კი სტიქიის შედეგების მთლიანი ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ ოთხ წელიწადში.

უპირველესი საქმე, რაც დაზარალებულ რაიონებში გავაკეთეთ ის იყო, რომ საპროექტო და სამეცნიერო ორგანიზაციებმა გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და საპროექტო გადაწყვეტილებები. დღეისათვის შენობა-ნაგებობების ვარგისიანობაზე რეკომენდაციები გაცემულია 30 000 ობიექტზე და ყველა აღნიშნულ სამუშაოებში მონაწილეობდა რესპუბლიკის 40-მდე ორგანიზაცია. ამ სამუშაოთა შესრულება მნიშვნელოვნად გაართულა განმეორებითმა მინისძვრებმა, რის გამოც ზოგიერთ რაიონებში (განსაკუთრებით შიდა ქართლში), აღნიშნულ სამუშაოთა მოცულობა 70-80 პროცენტით გაიზარდა. საქმეს კარგად გაართვა თავი ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიც არიან „საქსახპროექტი“ (რ. თოფურია), „საქალაქმშენსახპროექტი“

(ჯ. ბოკერია) და განსაკუთრებით მისი ქუთაისის ფილიალი (დ. მელქაძე), „თბილქალაქ პროექტი“ (ვ. ქურთიშვილი), სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი (გ. გაბრიჩიძე), „თბილზნიეპი“ (ნ. ედიშერაშვილი).

სალიკვიდაციო სამუშაოების ფრონტის გასაშლელად უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გეოლოგიური სამსახურების ოპერატიულ საქმიანობას, შესწავლილ იქნა ათასობით მიწის ნაკვეთი და უბანი. გაცემულია რეკომენდაციები მეწყერის საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად. აღნიშნულ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა და კოორდინაციას უწევდა ტერიტორიული გაერთიანება „საქეგოლოგია“ (თავმჯდომარის მოადგილე ზ. თევზაძე). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აქაურ სპეციალისტთა კომპეტენტურობის შედეგად შენარჩუნებულია ასობით საცხოვრებელი სახლი.

აღდგენითი სამუშაოების ფართო ფრონტით საწარმოებლად უპირველეს ამოცანად საგზაო მშენებლობა მივიჩნიეთ. პირველივე დღეებიდან გაერთიანება „საქავტოგაზის“ (ბ. სარალიძე, ტ. მდივნიშვილი, თ. შაიშმელაშვილი, გ. ესაკია) მოუნია მთელი არსებული მანქანა-მექანიზმებისა და მასალების მობილიზაცია რაჭისა და იმერეთის რაიონებში. დღეისათვის შეკეთებულია 516 კილომეტრი გზა, მათ შორის, ახლად დაგებულია 66 კილომეტრი ასფალტ-ბეტონის საფარით აშენებული 8 ხიდი, რომელთა სიგრძე 230 გრძივი მეტრია.

სტიქის ზონაში გზებისა და ხიდების აღდგენასა და შეკეთებაზე მობილიზებული არიან სახელმწიფო გაერთიანება „საქავტოგაზის“ რესპუბლიკის ყველა რეგიონის ორგანიზაციები, მათთან ერთად სამუშაოებს აწარმოებენ „კავკავირაბმშენი“ და საკავშირო სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ხიდმშენის“ №12 ტრესტი; სამუშაოები მიმდინარეობს გაძლიერებული ტემპით.

დღეს უკვე მიმდინარეობს ჩვენი ხუროთმოძღვრების დიდებული ტაძრების, ეკლესიების, სამონასტრო კომლექსების, ციხე-სიმაგრეებისა და სხვა ძეგლების (პირველ რიგში 21 ძე-

გლის) ხელახალი აგება და ნაწილობრივი აღდგენითი სამუშაოები. ეს ის ტაძრებია, რომლებსაც კედლის მხატვრობა აქვთ. ასეთებია: ნიკორწმინდის, კაცხის და ბარაკონის ტაძრები, ზემო კრიხის, ბუგეულის, სორის, ჭალის, სავანის, იკორთის, მრავალდალის ეკლესიები, ონის სინაგოგა და სხვა.

დღეისათვის მიმდინარეობს ნიკორწმინდის ტაძრის კარიბჭის რესტავრაცია, ბარაკონის ტაძარში კი – გამაგრებითი სამუშაოები. ზემო კრიხის ეკლესიის უნიკალური მხატვრობის გადარჩენაზე მუშაობს რესტავრატორთა ჯგუფი, პარალელურად მიმდინარეობს ძეგლის განმენდა-გასუფთავება. მსგავსი სამუშაოები ტარდება ბუგეულის, იკორთის, სავანის, კაცხისა და ქორთის ეკლესიებში. სორის ეკლესიაში მიმდინარეობს რესტავრაციის სამუშაოები, ჭალის და სავანის ეკლესიაში – აღდგენითი სამუშაოები.

დაწყებულია აკაკი წერეთლის სახლმუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოები სხვიტორში. იგივე სამუშაოები ტარდება აგრეთვე ჭელიშის, უდაბნოს, ხოტევის, კვაცხეთის, მრავალძალის, ფარახეთის, მეორე ტოლას და მანდაეთის ეკლესიებზე, შეუბნის კოშკზე, ონის სინაგოგაზე და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრის შედეგად დაზიანებული ძეგლების აღდგენითი სამუშაოები მთლიანად უზრუნველყოფილია ძირითადი სამშენებლო მასალებით.

ზემოაღნიშნული კულტურის ძეგლების ხელახალი აგების და ნაწილობრივი აღდგენის საძიებო, საპროექტო, სამხატვრო, სარესტავრაციო და სხვა სამუშაოების შესრულების საქმეში დიდი წვლილი შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს, კულტურის მინისტრის მოადგილეს ბატონ ლერი მეძმარიაშვილს.

როგორც აღვნიშნეთ, ჯანდაცვის და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ხაზით ასაშენებელი და შესაკეთებელი 103 ობიექტი (მოადგილე ვ. გურგენიძე). ამ ობიექტებზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამუშაოთა სწრაფად და ხარისხიანად წარმოებას. დღეისათვის 57 მათგანზე სამუშაოები

მიმდინარეობს სრული ტემპით. განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი ამბროლაურის, ჭიათურის, ზესტაფონის რაიონული საავადმყოფოების მშენებლობები, საჩხერის რაიონული საავადმყოფოს გასამაგრებელ-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ონის რაიონის ამბულატორიების მშენებლობა, რადგან ვიცით, რომ აღნიშნული ობიექტების დაუმთავრებლობა მნიშვნელოვან სირთულეებს შეუქმნის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას.

სამშენებლო კომპლექსების ყოველდღიური ყურადღების საგანია სასკოლო მშენებლობა, რომელსაც ხელმძღვანელობს განათლების მინისტრის მოადგილე კახა ქორიძე. მიზნად არის დასახული, რომ არც ერთ რაიონში არ იქნეს დაშვებული აკადემიური წლის გაცდენის შემთხვევა. ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა რაიონში, სადაც ასაშენებელია 33 სკოლა.

ონის რაიონულ ცენტრში დღეისათვის არ არსებობს არც ერთი ვარგისი სასკოლო შენობა. ამჟამად აქ მიმდინარეობს სამცვლიანი სამუშაოები, რომელთა მიზანია სასწავლო წლის დასაწყისისთვის ექსპლუატაციაში გადაეცეს სკოლა 800 მოსწავლისთვის. ასევე მნიშვნელოვანი სამუშაოებია გასაწევი ჭიათურისა და გორის რაიონებში, სადაც შესაბამისად 85 და 114 შენობაა შესაკეთებელი და ასაშენებელი.

განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული საბინა მშენებლობის ნარმოების პროცესი. აქ ძირითად ამოცანას ნარმოადგენს სოფლის მუდმივი მაცხოვრებლების გამოზამთრებისათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა. სამუშაოთა მოცულობის უდიდესი და ურთულესი ნაწილია ე. წ. მესამე კატეგორიის სახლები. ეს ის ნაგებობებია, რომლებიც ხელახლა უნდა აშენდეს, მათი რიცხვი კი 12 378-ზე მეტია. აქ საჭიროა ტერიტორიის მთლიანი გასუფთავება, სამშენებლო ნარჩენების გამოტანა. თითოეული სახლი დაახლოებით 150 ათას მანეთამდე ჯდება და მოითხოვს არა ნაკლებ 60 ტონა ცემენტს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ მათ რთულ რელიეფურ განლაგებას, რის გამოც ხშირად მასალათა გადაზიდვა მხოლოდ ხელით არის შე-

საძლებელი, ცხადი გახდება, თუ რა რთული საქმე უდევთ წინ მშენებლებს.

ამ სირთულეებმა გამოიწვია ის, რომ პირველ რიგში ვაშე-ნებთ იმ სახლებს, სადაც მუდმივად ცხოვრობს ხალხი, ხოლო მათ, ვინც გასულია რაიონიდან და აქ არ ცხოვრობს, ცოტა მოგვიანებით გავუწევთ დახმარებას. ამ პრობლემის გადა-საწყვეტად ფართოდ ვიყენებთ ადგილობრივ შრომისუნარიან მოსახლეობას.

მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვენ მეორე კატეგორი-ის სახლებიც, რომელთა რიცხვი 16 000 აჭარბებს. აქ, გარდა ტექნიკური სიძნელეებისა, რაც მათ სეისმომედეგობის უზრუნ-ველყოფაში გამოიხატება, მნიშვნელოვან სირთულეს წარმოად-გენს არსებული გადახურვის კონსტრუქციათა შენარჩუნება და საკედლე მასალების ხელმეორედ გამოყენება.

მიღებულია გადაწყვეტილება პირველი კატეგორიის შე-საკეთებელ სახლებზე სამუშაოები წარმოებულ იქნეს თვით მოსახლეობის მიერ, რისთვისაც მათ უფასოდ მიეცემათ სამშე-ნებლო მასალები.

ამჟამად სამუშაოები წარმოებს 7 433-ზე მეტ სახლზე, რო-მელთა შორის 4 000 მეორე და მესამე კატეგორიისაა. რაც შეეხება დამთავრებულ ობიექტებს, მათი რიცხვი უკვე 7 440-მდეა, რომელთა შორის 3 500 მეორე და მესამე კატეგორიისაა. შეიძლება ითქვას, დღეისათვის 30 000 ადამიანი უზრუნველყო-ფილია საცხოვრებელი ბინით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ უბინაოდ დარჩენილთა 20 პროცენტია, მაგრამ გასა-თვალისწინებელია ისიც, რომ მინისტრის ზონებში სამუშაოების დაწყების დღიდან მხოლოდ 3 თვეა გასული.

შესაძლოა გაჩნდეს აზრი, რომ 7 433 ობიექტი შედარებით მცირეა ამ პერიოდისათვის, მაგრამ ეს არ იქნება სწორი, რადგან გასათვალისწინებელია მომზადების პერიოდის ხანგრძლივობა, დიდი დრო წაიღო ბაზების და მუშახელის დისლოკაციამ, ახალი პოლიგონების შექმნამ, აღწერა-ინვენტარიზაციამ, პროექტირე-ბამ და სხვ.

ამასთან, ჩვენ მუშაობა გავშალეთ ყველაზე ძნელად მისა-დგომი ონის რაიონიდან, გავითვალისწინეთ მისი მდებარეობა, როული და ძნელი საგზაო პირობები (აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ გზა ცხინვალზე დაკეტილია, რის გამოც ორმაგი მანძილის დაძლევა გვიხდება, რაც უაღრესად ართულებს გადაზიდვების მდგომარეობას), სამშენებლო ბაზის უქონლობა და სხვ.

როგორც საბინაო მშენებლობა, ისე ინფრასტრუქტურის ყველა ობიექტები, მნიშვნელოვან შეფერხებებს განიცდიან ცემენტის უკმარისობის გამო. დღეისათვის, ცემენტის მომარაგების საკითხი განსაზღვრავს სამშენებლო კომპლექსების წარმატებით ფუნქციონირების უმთავრეს პირობას.

ყოველი ერთი ვაგონი ცემენტის მიუღებლობა აუშენებლად ტოვებს ერთ კერძო სახლს, ხოლო 5-10 ტონა ცემენტისა – დაუმთავრებელს ტოვებს მეორე კატეგორიის აღსადგენ ნაგებობას.

აქ მინდა ყურადღება გავამახვილო ცემენტის მოთხოვნილებაზე, რომლის საერთო რაოდენობა 1,5 მლნ ტონას აჭარბებს. ვინაიდან რესპუბლიკის ორივე ცემენტის ქარხანა დღე-ლამეში აწვდის დაზარალებულ რაიონებს დაახლოებით 2 000 ტონა ცემენტს, წლეულს ალბათ 1,0 მლნ ტონა ცემენტსაც ვერ გამოუშვებენ, რომელთაგან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ნახევარი თუ იქნება მიწოდებული მიწისძვრით დაზარალებული რაიონებისათვის, თითოეულ ხელახლად ასაშენებელ საცხოვრებელ სახლს კი სჭირდება 60 ტონა ცემენტი, ე. ი. გამოდის, რომ ყოველ თვეში შეგვიძლია ავაშენოთ დაახლოებით 1 000 სახლი, რაც ძალიან ცოტაა. ხე-ტყის აბსოლუტური დეფიციტი გვაიძულებს ბინების უმრავლესობა ჩაბარდეს მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესრულების გარეშე, უფრო მეტიც, ზოგ ოთახებში იატაკების მოწყობა ლინოლიუმით არის გათვალისწინებული.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ არ შევაჩერეთ ენერგეტიკის სამინისტროს „საქვიდროენერგომშენის“, მეტროპოლიტენის, სახელმწიფო დაკვეთის ობიექტების და სხვა მშენებლობა.

გამალებული ტემპებით მიმდინარეობდა ფოთის წყალსა-თხილამურო კომპლექსის მშენებლობა, რომლის ტემპები კი არ შენელებულა, არამედ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში გაორკეცდა კიდეც. დღეს ჩვენ სიამაყით ვიღებთ ევროპის სხვა კონტინგენტების სტუმრებს და ეს ყველაფერი მოხდა ცენტრის აქტიური ბლოკადის პირობებში. 15 აგვისტოს საქართველო იზეიმებს წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის გახსნას.

განსახილველ პერიოდში აჭარაში ამა წლის 7 ივლისის ძლიერმა სტიქიამ დააზიანა რამდენიმე სოფელი, 250 კმ გზა და 80 ხიდი. ზარალი დაახლოებით 17 მლნ მანეთია. ყოვე-ლივე ეს მატერიალურ რესურსებთან არის დაკავშირებული. სამინისტრო უკვე ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს და-ზარალებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების შესრულე-ბისათვის. იმავე წყალდიდობამ გურიაში დაანგრია 200 კმ გზა და 21 ხიდი, სადაც ზარალმა დაახლოებით შეადგინა 7 მლნ მანეთი.

ალბათ აქ უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ მიუხედავად იმი-სა, რომ სვანეთის და აჭარის ტრაგედიების შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, დღესაც არ დამთავრებულა მათთვის სახლე-ბის მშენებლობა, ყოველივე ამას თუ შევადარებთ დღევანდელ ტემპებს, ნათლად გამოჩნდება ჩვენი ძალისხმევა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მშენებლები ძალას და შესაძლებლობას არ დავიშურებთ, რათა მათთვის განკუთვნილი სახლების მშენე-ბლობაც დავამთავროთ უახლოეს მომავალში. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ თქვენმა მითითებამ რესპუბლიკის უმეტესი ობიექტების მშენებლობა შეჩერებულიყო და ყველა ძალები და რესურსები მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში გადაგვეს-როლა – დიდი ეფექტი გამოიღო.

როგორც სამთვიანი მუშაობის შედეგებმა გვიჩვენა, აღე-ბული მუშაობის ტემპები იძლევა იმის გარანტიას, რომ სამუ-შაოები ორ წელიწადში დავამთავროთ, ნაცვლად დაგეგმილი ოთხი წლისა.

უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები კარგად ართმევენ თაგა მათზე დაკისრებულ საქმეს. ასეთებია: ს/გ „საქალაქმშენის“ ქუთაისის №4 და №1 ტრესტები (ონისა და ჭიათურაში), „კავკაზგვირაბის“ სამშენებლო სამმართველო (ონის რაიონში), გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ სახლთმშენებელი ორგანიზაციები (საჩხერში), ს/გ „საქსოფლმშენის“ „ახურიანმშენის“ ტრესტი (გორში, ქარელსა და სამაჩაბლოში) და სხვები.

გულისტკუვილით უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია ამ გაჭირვების უამს ისე ვერ გვიდგას გვერდში, როგორც საჭიროა. ასეთებია:

1. „საქმედმრეწვმშენის“ სამმართველო – ძალიან სუსტად მუშაობს ონის რაიონის სოფ. ცხმორში;
2. ჩარხმშენებელი ქარხნის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ შეასუსტა მუშაობა ონის რაიონის სოფ. საკაოში;
3. „ელევატორმშენის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველო – სუსტად მუშაობს ონის რაიონის სოფ. წმენდაურში;
4. „საქვაჭრობსპეცრესმშენის“ ტრესტი – ფაქტიურად არ შეუდგა მუშაობას ონის რაიონის სოფ. ირში;
5. თბილისის პრეფექტურის მშენებარე რკინა-ბეტონის ქარხნის დირექცია – არ მუშაობს ონის რაიონის სოფ. ჭიორში.

რაც შეეხება კომუნალური მეურნეობის საკითხებს, ახალი წყალსადენები შენდება ტყიბულში, ამბროლაურში, ონში, ჭიათურაში.

დამთავრებულია საკანალიზაციო სისტემების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა ქალაქებისათვის – ონი, ამბროლაური, საჩხერე. მშენებლობა განხორციელდება ეტაპობრივად.

სტიქიით დაზარალებულ ქალაქებში მიმდინარეობს საქვაბების აღდგენა: ონში აღდგება 4 საქვაბე, ამბროლაურში – 4, საჩხერში – 4. მათი შეკეთების და რეკონსტრუქციის დამთავრებისთანავე დაიწყება თბოქსელების გამოცდა და მათი აღდგენა. უკვე აღდგენილია გარე განათების 10 კმ სიგრძის ელექტროხაზები. ასევე ხორციელდება კეთილმოწყობის სამუშაოები.

რკინიგზის ჩიხების მშენებლობებთან დაკავშირებით მო-

გახსენებთ, რომ ტრესტმა „კავკასტრანსმშენმა“ (მმართველი ლ. მეგრელიშვილი) ქ. საჩხერეში ააგო 3 ჩიხი, 1 კმ სიგრძით. იქვე მიმდინარეობს რკინიგზის გზაგამტარის მშენებლობა მშენებლობისათვის ინერტული მასალების მისაწოდებლად.

გაკეთდა 27 მეტრი სიგრძის ჩიხი „ჭიათურმარგანეცის“ კომპინატის ტერიტორიაზე.

ქ. ტყიბულში შეიცვალა 500 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი. შენდება ახალი 450 მეტრი სიგრძის ჩიხი. აქვე შენდება 250 მეტრი სიგრძის ასაქცევი ლიანდაგი.

სამშენებლო კომპლექსების საქმიანობაში მონაწილეობს 170-მდე ორგანიზაცია, რომლებიც ყველა სახის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებენ.

ეს მათ მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებაზე მეტყველებს.

ძირითადი მოცულობის სამუშაოებს ასრულებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: „საქალაქმშენი“, „სოფლმშენი“, „საქავტოგზა“, „ჰიდროენერგომშენი“, „კავკარაბმშენი“, „წყალმშენი“ და სხვები.

დღემდე სამშენებლო კომპლექსებს ცენტრალიზებულად მივაწოდეთ შემდეგი ძირითადი სამშენებლო მასალები:

გარეცხილი ქვიშა – 15 445 მ3

ქვიშა – 110 830 მ3

ლორლი – 135 764 მ3

პეტა – 36 865

აგური – 20, 0 მუნ ც

წვრილი საკედლე ბლოკი – 8, 0 მ3

რბილი სახურავი – 250 000 მ2

სამშენებლო თაბაშირი – 1 500 ტონა

ცემენტი – 252 ათ. ტონა

ლითონის ნაგლინი – 22 551 ტონა

მილები – 1 437 ტონა

ფურცლოვანი ლითონი – 933 ტონა

ლითონნაკეთობანი – 397 ტონა

შიფერი – 145 ათ. ც

ცემენტის დეფიციტის გამო მიღებულია არაორდინალური გადაწყვეტილება და ყოველ მშენებარე ორგანიზაციას უფლება მიეცა რესპუბლიკის გარედან კომერციულ ფასებში შეისყიდოს ცემენტი და შემოიტანოს დანგრეულ რეგიონებში სამუშაოების წარმოებისათვის.

აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ოპერატორულ საქმიანობას და პირადად მისი ხელმძღვანელის ბატონ რ. ვაჟაპეტრიაშვილის დაინტერესებას ამ საკითხებით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ უაღრესად დიდი ყურადღება ექცევა დანგრეული სახლების ხე-ტყის და სხვა მასალების ხელმეორედ გამოყენების ღონისძიებებს.

სამუშაოების ფართო მასშტაბური წარმოება შეუძლებელი გახდა სამშენებლო ინდუსტრიის ადგილობრივი სიმძლავრეების შექმნის გარეშე. ინერტული მასალების მიწოდების გაიოლების მიზნით, ადგილზე იქმნება ამ მასალების საწარმოო კვანძები. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ონის რაიონში ჩატარებული სამუშაოები. ონიდან 6 კმ მანძილზე დამონტაჟებულია ღორლისა და ქვიშის დამამზადებელი ქარხანა, რომლის მწარმოებლობა ცვლაში 200 კუბური მეტრია.

ონის მახლობლად აშენდა საწარმოო ბაზა, სადაც მოქმედებს ბეტონის კვანძი, რომელიც ცვლაში 250 კუბურ მეტრ ხსნარს უშვებს და ადგილობრივ სამშენებლო უბნებს ამარავებს სასაქონლო ბეტონით.

იმავე ბაზაში დამონტაჟდა და ამოქმედდა მცირე საკედლე ბლოკების საამქრო, რომლის წარმადობა 10 000 ცალი ბლოკია დღეში. ბლოკის საამქრო მუშაობს ადგილობრივ ნედლეულზე, რომლის მსუბუქი შემავსებლით მომარაგებისათვის ადგილზე გაიხსნა ახალი კარიერი. თვით ონში დამონტაჟებულია ორი ბეტონის კვანძი, თითოეული მათგანის სიმძლავრე ცვლაში 100 კუბური მეტრი ბეტონია. აქვე აღსანიშნავია, რომ აშენდა ისეთი სიმძლავრის ასფალტ-ბეტონის ქარხანა, რომელიც დაკმაყოფილებს რეგიონის მოთხოვნილებას. საჩხერის სამშენებლო

კომპლექსმა მოაწყო მატერიალური მომარაგების ბაზა, სადაც ცენტრალიზებულად იგზავნება ძირითადი სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები. დამონტაჟდა და ამოქმედდა 15 ბეტონისა და ხსნარის დამამზადებელი კვანძი, რომელთა საერთო სიმძლავრე დღეში 3 500 კუბურ მეტრ ხსნარს აღემატება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ კომპლექსის ხელმძღვანელობის ძალისხმევით კომპლექსში შემავალი ორგანიზაციები მცირე საკედლე ბლოკების გამოშვების სიმძლავრეს დღეში 30 000 ცალიდან 160 000 ცალამდე გაზრდიან.

შიდა ქართლი, სამშენებლო კომპლექსშიც განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. სამშენებლო ბაზის გასაძლიერებლად ამოქმედდა წლების განმავლობაში უმოქმედოდ მყოფი სამაჩაბლოს ერედვის კარიერი. კარიერთან არსებული ქარხანა ყოველდღიურად კომპლექსის ობიექტებს მიაწვდის 8 000 ცალ მცირე საკედლე ბლოკს და უზრუნველყოფს რეგიონის მოთხოვნებს მსუბუქი შემავსებლით. უახლოეს პერიოდში გორის რკინა-ბეტონის ქარხანა, საშენ მასალათა კომბინატი და სხვა წარმოებები მშენებლობებს ყოველდღიურად მიაწვდიან 10 000 ცალ სამშენებლო ბლოკს. ყველა ღონისძიება იქნება განხორციელებული, რათა სამაჩაბლოში არც ერთი ოჯახი არ დარჩეს ლია ცის ქვეშ.

ზესტაფონის სამშენებლო კომპლექსში შეიქმნა ბაზა სასაქონლო ბეტონის მისაღებად (სიმძლავრე 120 000 მ3 წელიწადში), რომელიც უზრუნველყოფს ამ რეგიონში აღდგენითი სამუშაოების წარმოებას სასაქონლო ბეტონით და ხსნარით.

ცემენტის დეფიციტმა გვაიძულა ბეტონის შემავსებლად გამოვიყენოთ ზესტაფონის სილიკომარგანეცის ნარჩენები. წლობით ნაგროვები ე. წ. „ფეროს მტვერი“, ახლა ხალხის სამსახურში ჩადგება და წელიწადში 200 000 ტონამდე ცემენტს გამოათავისუფლებს.

ამ ნარჩენების გამოყენებით გათვალისწინებულია მცირე საკედლე ბლოკების წარმოების გაზრდა დღეში 80 000 ცალამდე. დამთავრებულია მონტაჟი და მიმდინარეობს ბეტონის საამ-

ქროს გასაშვებ-გამმართავი სამუშაოები, მისი სიმძლავრე წელი-წადში 50 000 კუბური მეტრი ბეტონი იქნება.

ამბროლაურში დამონტაჟებულია სამსხვრევ-დამხარისხე-ბელი დანადგარი (წარმადობა 4,0 ათ. კუბური მეტრი ქვიშა და ლორლი დღეში), ხოლო სოფ. წესსა და სადმელში – ბეტონის დამამზადებელი ქარხნები, რომელიც თითოეული 85 კუ-ბურ მეტრ ბეტონს უშვებს ცვლაში. რიცეულასა და ზნაკვაში უახლოეს მომავალში გაიშვება ბეტონის გამომშვები ქარხნები იგივე წარმადობით.

ამბროლაურში დღეში მზადდება 7 000 ცალი მცირე საველე ბლოკი.

ზემოჩამოთვლილი ყველა ლონისძიება დიდ ეკონომიას იძლევა, რადგან იზოგება საწვავი, მცირდება სატრანსპორტო სარჯები, მასალების დანაკარგები და სხვა.

ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს ადგილებზე მუდმივად დატოვოს ზემოაღნიშნული სიმძლავრენი, რაც მომავალში ამ რეგიონებს მისცემს შემდგომი სოციალური განვითარებისა და აღორძინების საშუალებას.

მშენებლების უკან წამოსვლა არ ნიშნავს სამშენებლო ბაზების მოშლას. საჭიროა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, შრომისა და დემოგრაფიის სამინისტრომ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეისწავლონ შექმნილი სიტუაცია და შეიმუშავონ ამ მხარეების პერსპექტიული აღორძინება-განვითარების გეგმები.

უაღრესად მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს (მინისტრი ი. ჩხეიძე, მოადგილე გ. გოგიჩაშვილი), საავტომობილო ტრანსპორტის გაერთიანება, რომელიც მთელი ავტოგადაზიდვების ძირითად სამუშაოებს ასრულებს. მიწისძვრის ზონაში აღნიშნულ გაერთიანებას 3 720 ავტომანქანა ჰქონდა.

მთელ ამ კომპლექსში მუშაობს 6 200 ავტომანქანა. ყოველ-

დღიურად მარტო გაერთიანების ავტოტრანსპორტს გადააქვს 50 000 ტონა ტვირთი.

კომპლექსებში მუშაობს შემდეგი სახის ავტოტრანსპორტი:

– ავტოგამზევი – 600 ც.

– ძარიანი – 2 100 ც.

– ავტოთვითმცლელი – 2 500 ც.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ამიერკავკასიის რკინი-გზის სამმართველოს (გზის უფროსი რ. ვაშაკიძე, მოადგილე რ. კიკნაძე) უაღრესად ოპერატორი საქმიანობა, რომელმაც გარემოების შესაბამისად შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე თავის სისტემურ მიღვომებშიც კი შეიტანა ცვლილებები, თუკი რამე წარმატებაზე შეიძლება ლაპარაკი სამშენებლო კომპლექსების საქმიანობაში, ეს მნიშვნელოვან წილად ზემოხსენებული სამსახურების ძალისხმევითაა განპირობებული.

ძნელია გადაჭარბებით არ შეაფასო ის საქმიანობა, რომელ-საც მომარაგებისა და მატერიალური რესურსების სამინისტრო (მინისტრი ი. ჩხეიძე, მოადგილე გ. კლიმიაშვილი) და მის დაქ-ვემდებარებაში მყოფი სამსახურები ენევიან. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

„საქლითონბითუმვაჭრობა“ – გენერალური დირექტორი ა. თავართქილაძე;

„საქსაშენელექტრობითუმვაჭრობა“ – გენერალური დირე-ქტორი მენთეშაშვილი.

ამ სამსახურების მიერ უაღრესად ოპერატიულად წყდება წამოჭრილი საკითხები.

მნიშვნელოვანი სიძნელეებია გადალახული, განსაკუთრებით სამუშაოთა დაწყების პირველ დღეებში, რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს აქტიური თანადგომის შედეგად (მინისტრი გივი აბდუშელიშვილი), უმოკლეს ვადაში დამზადდა და სამშენებლო ორგანიზაციებს გადაეცა მცირე საკედლე ბლოკების დასამზადებელი დანადგარები, რამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი აღსადგენი საცხოვრებელი სახლების აღდგენითი სამუშაოების დამთავრებას. ასევე ოპერატიულად დაკმაყო-

ფილდა მშენებელთა მოთხოვნები ხელით გადასაადგილებელ ურიკებზე, კარვებზე, სხვა ინვენტარსა და მასალაზე.

კონცერნ „საქანავთოპპროდუქტების“ ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარე გ. მექმარიაშვილი) მიუხედავად ქვეყანაში არ-სებული სიძნელებისა გამონახა საწვავის მოწოდების გზები, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესრულებინა ტვირთბრუნვის პროგრამა. ამ ძალისხმევის შედეგად იმის იმედი გვაქვს, რომ სამშენებლო კომპლექსის მომსახურე ავტო ტრანსპორტი კვლავ შეუფერხებლად იმუშავებს უახლოესი თვეების განმავლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ კომერციულ ფასებში შეძენილია 50 000 ტონა ბენზინი.

დასახული პროგრამის შესრულებაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება სამშენებლო კომპლექსების ტვირთამნე მექანიზმებით უზრუნველყოფას. შესაბამისი სამსახურების მიერ სტიქიის ზონებში აღდგენით სამუშაოებზე მობილიზებულია:

500 ავტომანქანა;

70 კომუნიკაციები;

230 ისრიანი ამწე;

300 ექსკავატორი;

90 ბულდოზერი;

60 მიქსერი;

145 ტენიკური საჭიროების მექანიზმები.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მნიშვნელოვან სიძნელებს ვაწყდებით მექანიზმების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფაში. გვაკლია მცირე ჩამჩიანი და „ბელორუსის“ ტიპის ექსკავატორები, განსაკუთრებით კი ავტოამნები.

ამ საკითხებთან დაკავშირებით იძულებული ვიყავით მიგვემართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისათვის. მთავრობამ მიზანშენონილად ჩათვალა დაეკმაყოფილებინა ჩვენი თხოვნა, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა სამინისტროს, უწყებასა და ორგანიზაციას 5 თვის ვადით იჯარით გადაეცა დაზარალებული რაიონებისათვის, მათზე განპი-

რობებული ექსკავატორებისა და 6 ტონაზე მეტი ტვირთამწეობის ავტოისრიანი ამწების რაოდენობის 50 პროცენტი, მაგრამ, სამწესაროდ, მთავრობის ეს განკარგულება არ სრულდება.

ერთ-ერთ ურთულეს და მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩაითვალოს აღდგენითი სამუშაოების მუშა ხელით უზრუნველყოფა. დღეისათვის აღნიშნულ რაიონებში გადაყვანილია 20 000-მდე პროფესიონალი მშენებელი, რომელთა გვერდით ადგილობრივი 5-6 ათასი კაცი მუშაობს. ისინი უმთავრესად საკუთარი სახლების აღდგენა-აშენებაში მონაწილეობენ. ამას გარდა სამშენებლო ინდუსტრიის და დამხმარე საწარმოებში დასაქმებულია 5 ათასი ადამიანი, რომელთა გამოწვებული პროდუქცია იგზავნება დაზარალებულ რაიონებში. დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული აღნიშნული კონტიგენტის საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. მათი უზრუნველყოფა კარვებით, დროებითი საცხოვრებლებით, საწოლებით და თეთრეულით.

უაღრესად რთული სიტუაცია შეიქმნა აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო თანხების რაოდენობის დადგენის საქმეში. ამის მიზეზია სამშენებლო მასალების ფასების არასტაბილურობა, რაც გამოწვეულია მათი ღირებულების მკვეთრი ზრდით. მკვეთრი გაძირება განიცადეს სამშენებლო მანქანა-მექანიზმებმა და მათმა მომსახურეობამაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელი ხდება იმ გაანგარიშების გაკეთება, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით მოგვცემდა წარმოდგენას აღდგენითი სამუშაოების შესაძლო ღირებულებაზე.

სტიქიით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისათვის საგანგებო ექსტრემალურმა სიტუაციამ გამოიწვია მშენებლობის დაფინანსების საკითხების, მისადაგებული სქემის გამოყენება, რაც გამოიხატა საქართველოს რესპუბიკის მთავრობის მიერ გამოცემულ 29 მაისის N 442 განკარგულებაში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა ფართოდ გაგვეშალა ყველა დაზარალებულ რაიონში აღდგენითი სამუშაოები.

უნდა აღვნიშნო ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს და

პირადად მისი ხელმძღვანელის ბატონი გ. აბსანძის თანადგომა ექსტრემალურ პირობებში წამოჭრილი საკითხების ოპერატორულ გადაწყვეტაში.

დღევანდლამდე, აღდგენითი სამუშაოების წარმოებისათვის გამოყოფილია 85 მილიონი მანეთი, წლის ბოლომდე საჭიროა მთლიანად გამოიყოს 700 მილიონი მანეთი. უნდა მოგახსენოთ, რომ განვლილ 3 თვეში შესრულებულია 100 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ყოველდღიურად აღნიშნულ სამუშაოებზე შრომით ანაზღაურებისათვის მილიონ მანეთზე მეტი ხელფასია საჭირო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსახლეობის გამოსაზამთრებლად 3 000 სახლი-ვაგონის შეძენაა საჭირო, რომელთა საერთო ღირებულებაც 40 მილიონ მანეთს შეადგენს, 25 მილიონი მანეთით მეტი იქნება საჭირო ბენზინის კომერციულ ფასებში შესაძენად, რათა უახლოეს დღეებში არ შეფერხდეს სამშენებლო კომპლექსების მიერ წარმოებული სამუშაოები.

აღდგენითი სამუშაოების მსვლელობის პროცესში რესპუბლიკური შტაბის ხელმძღვანელობას ხშირად უხდება ურთიერთობა სხვადასხვა სამინისტროებთან, უწყებებთან და დირექტიულ ორგანოებთან. უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში წამოჭრილი საკითხები პოულობენ თავიანთ დადებით გადაწყვეტას.

მიგვაჩინა, რომ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის აპარატის მშენებლობის სამსახურები, მათ წინაშე დასმული საკითხების სირთულის მიუხედავად, უაღრესად მოკლე ვადებში წყდება ჩვენს მიერ მათთან დაყენებული საკითხები, რომლებიც რესპუბლიკის შიგა თუ გარე პრობლემებს ეხება.

აღსანიშნავია, რომ შტაბის მუშაობაში, როგორც თბილისში, ისე მის გასვლით სხდომებში, აქტიურ მონაწილეობას დებულობენ და პრაქტიკულ დახმარებას გვიწევენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე ა. საკანდელიძე, რესპუბლიკის მთავრობის კანცე-

ლარიის მთავარი სახელმწიფო მრჩევლები ნ. ჩანტლაძე და რ. ტყემალაძე და სხვები.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ყოველ ღონეს ვხმარობთ, იმისათვის, რომ ისტორიულ სამართლოში აღდგენითი სამუშაოები ანარმონ ქართველმა მშენებლებმა. ამ მიმართულებით უკვე ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება და დაწყებულია გზების გაყვანის სამუშაოები, სამართლოში ამ წინააღმდეგობების დაძლევის დროს, საქმე გვაქვს სიცოცხლისათვის სახითათო მომენტებთან. ამიტომაც ვმუშაობთ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა უშუალო დახმარებით. არ შეიძლება არ აღვნიშნო ის დიდი წელილი და თანადგომა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი დილარ ხაბულიანი გვიწევს.

ჩვენ გვინდა ბატონ დილარს ვთხოვოთ, რომ მათმა სამსახურებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სამშენებლო მასალების მოპარვის ფაქტებს რეინიგზის ჩიხებში, კერძოდ, ტყიბულში, ჭიათურაში, საჩხერესა და ქუთაისში.

ასევე მინდა მათ ვთხოვო, რომ სახელმწიფო ავტონინსპექციის მუშაკებმა უფრო მეტი კონტროლი დააწესონ იმ გზებზე, სადაც მასობრივად ხდება ტვირთების გადაზიდვა. ასეთი გზებია – ტყიბული-ონის, ქუთაისი-ონის, ზესტაფონი-ჭიათურის, ჭიათურა-საჩხერის გზები და სხვა.

ასევე მხარში გვიდგას საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა (თ. კვანტალიანი, გ. ლეუჟავა). ისინი „მოამბის“ და სხვა საინფორმაციო გადაცემების საშუალებით სისტემა-ტურად გადასცემენ ჩვენს განცხადებებს და ინფორმაციებს დანგრეულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

ასევე არ შეგვიძლია მადლობით არ მოვიხსენიოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობა (მთავარი რედაქტორი მ. ფაჩუაშვილი), რომელიც გვერდში გვიდგას და აშუქებს აღდგენითი სამუშაოების წარმოების მსვლელობას.

ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა სატელეფონო კავშირი სამშენებლო კომპლექსებთან და რაიონების ცენტრებთან, რაც მნიშვნელოვანნილად განაპირობა კავშირგაბმულობის მინისტრის მოდგილის თემურ ბუცხრიკიძის საქმიანობამ.

სამშენებლო კომპლექსების ხელმძღვანელთა გვერდით დიდი მონდომებით შრომობენ და ყოველდღიურ დახმარებას გვიწევენ დაზარალებული რაიონების პრეფექტები, რომელთა ძალისხმევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნულ სამუშაოთა შესრულება.

აქვე მინდა გაცნობოთ ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა სცილდება ჩვენს შესაძლებლობებს:

1. სამხედრო კომენდატურამ სამაჩაბლოში მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს აღდგენითი სამუშაოების წარმოებაში. უზენაესი საბჭოს საპარლამენტთაშორისო კომისიას ვთხოვთ, მიიღოს ზომები აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის.

2. ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ უმოკლეს ვადაში უნდა გადაგვიწყვიტოს 700 მილიონი მანეთის გამოყოფის საკითხი.

ბატონო პრეზიდენტო!

ვამთავრებ რა მოხსენებას განვლილ პერიოდში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ გაწეული აღდგენითი სამუშაოების შესახებ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის დიდი ზრუნვა და თანადგომა, რასაც პირადად თქვენ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა იჩენენ არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიმართ, ყველა საკითხი წყდებოდა და წყდება ოპერატიულად. ყოველივე ამან დიდი გარდატეხა მოახდინა და სტიმული მოგვცა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ აღდგენითი სამუშაოების შესრულებასა და მიმდინარეობაში. წება მოგვეცით დიდი მადლობა გითხრათ. აგრეთვე მინდა არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს სახელით მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც მხარში გვიდგას ამ ავბედით ჟამს, უდიდესი

მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და ქვეყნის ყველა სასულიერო პირი, მათ შორის კი განსაკუთრებით ნიკორწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე ამბროსი, რომელთა თანადგომა და ლოცვა-კურთხევა ძალას მატებს, როგორც უსახლკაროდ დარჩენილთ, ასევე მშენებლებს, რომელნიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა აღადგინონ დანგრეული ობიექტები და ის ისტორიული ძეგლები, რომელიც მუდამ იყო, არის და იქნება ქართველი ხალხის სიამაყე.

გმადლობთ!

ღმერთი იყოს თქვენი და საქართველოს მფარველი!

თამაზ ვაშაძე
1991 წლის 5 აგვისტო

საქართველოს გენერალურ პირობილობის
ქ. თბილისის მეტის 1991 წელს
თავმჯდომარებელის მე გენერალის

ნერილი ი-განმარტება

იძულებული ვარ, დავწერო და წერილობით დავადასტურო ყველა ის ფაქტი და მოვლენების კომენტარი, რაც მოხდა სახელმწიფო გადატრიალების დროს 1991-92 წლებში. აგრეთვე, რაც ვიცი და, ჩემი აზრით, სწორად მიმაჩნია ზოიად გამსახურდიას მკვლელობის გარშემო და მის მიზეზებზე, იძულებული იმიტომ, რომ წლები გადის და არავის არავითარი სურვილი არ გააჩნია, დაადგინოს სიმართლე, არადა, სიმართლე აუცილებლად დასადგენია, რადგან სწორედ მაშინ დაინგრა ჩვენი სამშობლო, რომლის შედეგებს ვიმკით ახლა და ეს პროცესი ჯერ კიდევ არ შეჩერებულა და ყოველდღიურად საქმე უარესობისკენ მიდის. არადა, წლები მემატება და ვაი, თუ რამე მოხდეს და სიმართლის დასადგენად საჭირო ფაქტები გაუხმაურებელი დარჩეს.

1). პირველი, რაც მინდა მოგითხროთ, ის არის, რომ 1991 წელს მე ვიყავი თბილისის მერი და ჩემი მოვალეობა იყო ქალაქში ყოფილიყო წესრიგი, რასაც ვახერხებდით კიდეც. გადატრიალების მზადება პრაქტიკულად დაიწყო ოქტომბრის თვეში, როცა ეგრეთ წოდებულმა ოპოზიციამ დაიწყო ქუჩების ჩახერგვა და მთავრობის სახლზე შემოტევა. იმელის წინ საამშენებლო ნაგვით ჩახერგა რუსთაველის პროსპექტი მოღალატე წერეთელმა და რუსთაველის თეატრის წინ მისმა კოლეგამ ჭანტურიამ, რამაც გამოიწვია თბილისის ცენტრალური ქუჩის პარალიზება. ისინი მოიწევდნენ მთავრობის სახლისკენ, რასაკვირველია, შეიარაღებულნი. ჩემი განკარგულებით მოეწყო მანქანებით ბარიერების წინაღობები, რათა არ შემოედინათ მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ძირითადად აქ იყვნენ წერეთლის პარტიის წარმომადგენლები თავიანთი ლი-

დერით და ედეპეს ხალხი. ქაშვეთის წინ, როდესაც პირისპირ ვიდექით ჩვენ და კრიმინალური ოპოზიცია, ჩემდა გასაკვირად ერთმა მოქალაქემ ჯიბიდამ ამოილო მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და ჰაერში ისროლა. ეს მოქალაქე იყო პოლიტოლოგი ცინცაძე. მეორე დღეს ეროვნული ძალების ძალისხმევით მთლიანად განმენდილი იყო რუსთაველის პროსპექტი და ქალაქის პირველ მაგისტრალზე აღდგა მოძრაობა. ძალზე ბევრი ხალხი დაზარალდა ამ ოპერაციის დროს. ერთ-ერთი შემიძლია დავასახელო – ვალერი გაბელია, რომელმაც ტვინის შერყევა მიიღო, სასწაულად გადარჩა, რომ არ დაიღუპა. სამი თვე იწვა საავადმყოფოში. ამ დროს საქართველოში მომხდარია მიწისძვრა და მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, მისი ხელმძღვანელი ვარ მე და თქვენ წარმოიდგინეთ, როგორ უშლიდნენ ხელს ეს შეიარაღებული ბანდები სასონარკვეთაში ჩავარდნილი ხალხის სახლების მშენებლობის საქმეს.

დეკემბრის მოვლენებთან დაკავშირებით შემიძლია დავაფიქსირო შემდეგი ფაქტები: შეიარაღებული ბანდები, რომელსაც ხელმძღვანელობდა კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი (მხედრიონი) უტევდნენ მთავრობის სახლს. მე მოვაწყვე ბეტონის ფილებით წინაღობები, რის მეშვეობით შევაჩერე მთავრობის სახლზე შეტევა, რასაკვირველია, დროებით. 20 დეკემბერს შემცივდა და სახლში წამოვადი, ჩავიცვი თბილი ქურთუკი – თბილი, მაგრამ ძნელად მოსახმარი და სწრაფად დავბრუნდი ისევ მთავრობის სახლთან. მორიგ დათვალიერებას ვაწარმოებდი. მე დაცვა არასოდეს მყოლია, სადაც მე დავდიოდი იქ ხალხის დიდი რაოდენობა არ იყო. უცემ უკნიდან მომვარდა 6-8 კაცი და ხელების დაჭერა დამიწყეს. ქურთუკი რომ არა, ამას ვერ მოახერხებდნენ. მე, რასაკვირველია, ვუწევდი წინააღმდეგობას, მაგრამ ამაოდ. ძალით ჩამსვეს 06 მარკის ჟიგულში და მთელი სისწრაფით წავიდნენ თბილისის ზღვაზე. ჩემი მოტაცების მომენტში იქვე იდგა ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი რ. მარგველანი და რომან გვენცაძე. ეს უკანასკნელი იმჟამად თბილისის პოლიციის უფროსი იყო ჩემს

მიერ დანიშნული, გაოცებას დავრჩი, როცა ისინი არა თუ მო-
მეხმარენ, რომ არ მოვეტაცებინე, არამედ თვალიც კი ამა-
რიდეს. როგორც შემდგომმა ანალიზმა მაჩვენა, კრიმინალურ
ოპოზიციას უნდოდა ჩამოეშორებინა ზვიად გამსახურდიასთვის
ერთგულები და საქმის ხალხი. ამიტომ ჩემზე ნადირობდნენ.
ამიყვანეს რა თბილისის ზღვაზე, შემიყვანეს ერთ ოთახში, სა-
დაც სასაუბროდ მომიყვანეს კასეტებითურთ ვინმე უურნალის-
ტი თამილა ანჯაფარიძე, რომელსაც დავალება ჰქონდა, რათა
ჩემზე ემოქმედა, რომ გადავსულიყავი მათ მხარეზე (მაგათ პა-
ტრონს). იმუამად იქ შევამჩნიე თენგიზ სიგუა, რომელმაც უარი
განაცხადა ჩემთან შეხვედრაზე, დეპუტატი ელდარ შენგე-
ლაია, ბობოხიძე, ლანჩავა, თ. გუგეშაშვილი, გ. ყარყარაშვილი.
შემდეგ ამისა წამიყვანეს და ჩამიყვანეს ერთ-ერთი შენობის
საადაფში, რომელიც მოწყობილი ჰქონდათ, როგორც საპა-
ტიმრო. შემოაგდეს ძველისძველი ჭუჭყიანი ლეიბი და წყალი.
იმ ღამეს საკანში შემოიყვანეს ნაცემი ელიავა და მარნეულის
პრეფექტის მოადგილე ტერენტი ქველიძე, დილით კი დეპუ-
ტატი ავთო რცხილაძე. სანამ საკანში მარტო ვიყავი ჩემთან
შემოვიდა თემურ გუგეშაშვილი. ეს პიროვნება ადრე მუშაობდა
ზვიად გამსახურდიას დაცვაში და უნდა ითქვას სიმართლე,
რომ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა. ალბათ, სინდი-
სის ქენჯნამ შეაწუხა და შემოვიდა. შემოიტანა ერთი ბოთლი
ღვინო და რაღაც მისატანებელი. დამინყო იმის ახსნა, რომ მას
არაფერი შეეძლო, მაგრამ ერთი კი იცის, რომ ყველაზე ბედ-
ნიერი კაცი მე ვარ, თითქოს. გამიკვირდა, რას ლაპარაკობს ეს
კაცი-მეთქი. რომ ვკითხე, რაში გამოიხატება-მეთქი, მიპასუხა
„რამოდენიმე დღეში გაიგებო“. იმ წუთში დიდი მნიშვნელობა
არ მიმიცია ამისთვის, შემდეგ კი მივხვდი, რომ საქმე ეხებოდა
სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმილ ოპერაციას. ამიტომ
ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ მთავრობის სახლ-
ზე იერიში იყო ადრე დაგეგმილი და შემდგარი არის ეგრეთ
წოდებული „საიდუმლო სერობა“. ამიტომ უნდა დაიკითხოს
აუცილებლად: თენგიზ სიგუა, კიტოვანი, შენგელაია, ყარ-

ყარაშვილი, ქარჩავა, გუგეშაშვილი, ვ. რაზმაძე. არსებობს კასეტა, სადაც ასეთი მომენტიც არის გადაღებული – ქუჩის პროკურორი ვ. რაზმაძე ასწავლის თ. სიგუას თუ რა უთხრას ტელეფონზე ზ. გამსახურდიას. ეს კასეტა უნდა მოიძიოთ. ისე ყველაზე მეტი საბუთი ამ მოვლენებთან დაკავშირებით ექნება მ. არჩვაძეს. ეს არის საკვანძო საკითხი და ამ ფაქტის გამოვლინების შემდგომ აღარ იქნება საჭირო კითხვა: ვინ ისროლა პირველად. ანდა რა კითხვა ეს? არსებობს სადმე ოპოზიცია მსოფლიო მასშტაბით შეიარაღებული? რასაკვირველია, არა. 1991-92 წლებში ეგრეთ წოდებული ოპოზიცია იყო შეიარაღებული კრიმინალების ბანდა. საკანში ხშირად გვიცვივდებოდნენ ხოლმე ნასვამი და ნარკოტიკებით გაბრუებული ბანდიტები, რომლებიც მოკვლის მუქარებს არ გვაკლებდნენ. ერთ-ერთი შემოტევის დროს მოინდომეს ა. რცხილაძის და ტ. ქველიძის დახვრეტა. შემძრა ამ მომენტმა, ამიტომ გადავწყვიტე, არ მიმეცა ამის საშუალება ამ არაკაცებისთვის. მე გამოვედი წინ, გადავეფარე ამ ორ ადამიანს, რომლებიც მუხლებზე ჰყავდათ დაყენებული და იხვეწებოდნენ, არ მოეკლათ და ვუთხარი: მე ამათ არ მოგაკვლევინებთ, ჯერ მე მესროლეთ და მერე რაც გინდა ქენით-თქო. ავტომატები შეაყენეს ნასვამმა ჯალათებმა. არ გავტყდი. ვეგებებოდი სიკვდილს. ალბათ ღმერთმა მიხსნა, ჩააგონა მკვლელებს, განზრახვაზე ხელის აღება. ჩემი საკანში ყოფნის დროს, როდესაც მთავრობის სახლზე იერიში მიჰქონდათ, შენობასთან მოფრინდა ვერტმფრენი. პილოტი იყო ჯიმი მაისურაძე. მოფრენის მიზანი ის იყო, რომ ვერტმფრენს უნდა წაეღო ხუთტონიანი ავზი ბენზინით სავსე და ჩაეგდო მთავრობის სახლში, სადაც იყვნენ კანონიერი მთავრობის წევრები და ისინი ხანძრის შემთხვევაში დაიწვებოდნენ. ეს პრაქტიკულად ვერ მოხერხდა, ვინაიდან ტექნიკურად ეს მოუგვარებელია, ამიტომ მათ გადაწყვიტეს შემდეგი: ვერტმფრენში შეაწყვეს რამდენიმე ბაკი ბენზინით სავსე და დავალება მისცეს ვიღაცას, რომ სახანძრო მანქანებში ჩაესხათ ბენზინი და ისე ჩაეშვათ ეგრეთ წოდებულ „ბუნკერში“ ხალხის დასაწვავად. ამ

ყველაფერს მე ვისმენდი მკაფიოდ და გარკვევით. ეს ყველაფერი სასწრაფო წესით შევატყობინე შინაგან საქმეთა მინისტრს ხაბულიანს და აღმოაჩინეს კიდეც ბენზინით დატვირთული სახანძრო მანქანები, ჩვენ ბედად გადავრჩით დიდ ტრაგელიას. ამის შესახებ იცის მაშინდელმა მინისტრის მოადგილემ მ. რაფავამ და აუცილებლად უნდა დაიკითხოს რესპუბლიკის მაშინდელი სახანძროს უფროსი (გვარი არ მახსოვს, მან იცის ამ ფაქტის შესახებ).

წინამდებარე ფაქტიდან რამდენიმე წუთში საკანში ჩემთან მოვიდა თენგიზ კიტოვანი და მითხრა: ერთი თხოვნა მაქვს, საკითხი უკვე გადაწყვეტილია და ნუ ჩაერევი მოვლენებშიო. დაგვსვეს მანქანაში მე, ელიავა და ტ. ქველიძე. ელიავა და ქველიძე დავტოვეთ დიდუბეში, რათა წასულიყვნენ სახლებში. მე კი მიმიყვანეს სახლში, მიმიყვანა ჭუბმურიძემ და დუმბაძემ. გამაფრთხილეს, რომ არ გავსულიყავი სახლიდან. ერთ საათში მე უკვე მთავრობის სახლში ვიყავი პრეზიდენტთან. მეორე დღეს, 1992 წლის 2 იანვარს, მერია გადავიტანეთ საბურთალოს ქუჩაზე Y.K.C.-ის შენობაში და დავიწყეთ მუშაობა, რათა ქალაქისთვის მიგვეხედა. საგამომძიებლო ნაწილმა უნდა იცოდეს, რომ მანამ, სანამ ოპოზიცია მთავრობის სახლს უტევდა, კრიმინალურ ოპოზიციას კაბინეტები ჰქონდათ ტრანსპორტის სამინისტროში ტაშქენტის ქუჩაზე მაშინდელი მინისტრის ა. ჩხეიძის კაბინეტში, საიდანაც მათ კავშირი ჰქონდათ შევარდნაძესთან სატელეფონო საუბრები და კონსულტაციებისთვის. ეს მე მიამბო ჩემმა მძლოლმა დათო ბოყოველმა, რომელსაც ეგონა, რომ ა. ჩხეიძე იყო ჩვენი მომხრე. ასე რომ, იმ ხალხთა გვარები, რომელსაც მე ხაზს ვუსვამ უნდა დაიკითხოს ჭეშმარიტების დასადგენად. რაც შეეხება შეკითხვას ქურთის ქალის მკვლელობის შესახებ და ვინ გაისროლა პირველად, გპასუხობთ – როდესაც შეტევა დაიწყო მე დაპატიმრებული ვიყავი, ქურთი ქალის მკვლელობის დროსაც დაპატიმრებული ვიყავი. ამის შესახებ უნდა გამოიძახოთ მაშინდელი თბილისის დასუფთავების სამსახურის უფროსი გუნდაძე. მომდევნო

დღეებში იყო სატელეფონო მუქარები, რომ არ მიმეღო არა-ფერში მონაწილეობა, თორემ ჩემს ლიკვიდაციას მოახდენდნენ. მეორედ მე შევხვდი პრეზიდენტს 3 იანვარს. შევედი, იგი უხასიათოდ იყო. მას გადავეცი ჩემი ბუმბულის ქურთუკი და სვიტრი. იგი შემცივნული იყო, უარობდა, შენ რას ჩაიცვამო. საერთოდ ასეთი ღვთისნიერი ადამიანი მე არასდროს მინახავს. იგი იყო ჩვენი ოჯახის მშვენებაც. მე მასთან და მამამისთან მქონდა ურთიერთობა ადრეულ წლებში. არა მგონია, ვინმემ დაიკვეხნოს ოჯახში იმდენი სტუმრობა ზვიად გამსახურდიასი, როგორც ჩვენმა ოჯახმა. ამაზე მეტყველებს მამაჩემის სახლ-მუზეუმი.

1992 წელი თითქმის იყო დატვირთული ჩვენი ოჯახის რე-პრესიებით. დღე არ გავიდოდა, რომ არ მოსულიყვნენ და არ დაერბიათ სახლ-კარი. განსაკუთრებით მათ ის აღელვებდათ, რომ არ შევიცვალე ჩემი პაზიცია. ჩემთან ერთხელ იყვნენ უკვე ხუნტის სამსახურში ჩამდგარი ჩეკისტები: გვენცაძე, ნინუა, მაისურაძე და კიდევ ორი, მათ გვარებს ვერ ვიხსენებ, რომლებმაც მიმანიშნეს, რომ მეთანამშრომლა მათთან. ჩემი პასუხი იყო ასეთი: „საქონელივით ბალახი რომ ვძოვო მათთან სამსახურში არ შევიდოდი“. ამის შემდეგ ჩემი ოჯახი დაარბია მხედრიონმა. ამ ბანდის მეთაური იყო შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრი ბანდიტი ხაჩიშვილი. მეტი ცინიზმი გინახავთ? მიაყენეს შეურაცხყოფა მამაჩემს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ავტომატი ურტყეს 91 წლის კაცს, მე მომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და ჩემს შვილებს. ეძებდნენ ფულს და იარაღს – „ამხელა თანამდებობა გქონდა და ფულს რატომ არ იღებდიო“. სატირალია, სასაცილო რომ არ იყოს. ამიტომ ვამბობდი თავიდან, რომ მაშინ დაინგრა საქართველო-თქო. თურმე თანამდებობაზე რომ დანიშნავ კაცს, ფული უნდა გამოართვა. ცნობისათვის: მთელი იმ ხნის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით 3 თვეს, რაც ეროვნულმა მთავრობამ იარსება პრეზიდენტის ბრძანებულებით მე მქონდა საგანგებო უფლებები: ვხსნიდი და ვხურავდი ბანკის ანგარიშებს, ჩემი დავა-

ლებები უნდა შეესრულებინა ყველა პირს, ყველა მინისტრს, ვათავისუფლებდი და ვნიშნავდი დიდი თანამდებობის პირებს. ჩემს ხელში გაიარა მილიარდ ორიათასმა რუბლმა, ე. ი. 840 მილიონმა დოლარმა და ვამაყობ, რომ გავაკეთე შეუძლებელი ჩემი ქვეყნისთვის. ერთ კაცსაც ვერ მონახავენ საქართველოში, თუგინდ ნასედკას, ვისთვისაც ფული მითხოვია ან გამომირთმევია. ასე მუშაობდა ყველა, ვინც ეროვნულ მთავრობაში მუშაობდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მხედველობაში მაქს ოჯახის დარბევა, ალიძრა საქმე დიდი გაჭირვებით მცხეთის რაიონში, პროკურორი მარჯანიშვილი, მაგრამ მერე ჩაიფარცხა. რატომ? თბილისის მერი მოიტაცეს, ოჯახი დაარბიეს. არავის პასუხი არ უგია. თუმცა რა გასაკვირია, საქართველო დაანგრიეს და პასუხი არავის უგია. დღეს 90 პროცენტზე მეტი მთავრობაში სამხედრო საბჭოს წევრებია ან მათი შვილები. ეს ცნობისთვის... შემდეგ გადავწყვიტე გადავსულიყავი ზუგდიდში და მიმეღო აქტიური მონაწილეობა კანონიერი მთავრობის აღდგენის საქმეში. მივედი მაშინდელ გვარდიის სარდალთან ლ. ქობალიასთან, რომელსაც ადრე ვიცნობდი. ერთი ფაქტი გამომრჩა, როდესაც მე დაპატიმრებული ვიყავი, ლოთი ქობალიამ უთხრა ზვიად გამსახურდიას, რომ მე წავალ ჩემი ხალხით და თბილისის ზღვაზე მივიტან იერიშს და თამაზ ვაშაძეს გავათავისუფლებო. კიტოვანი დაემუქრა ჩემი დახვრეტით, რაზედაც პრეზიდენტმა უარი თქვა. მომდევნო წლებში მე საყვედური ვუთხარი ზვიად გამსახურდიას, ნეტავ მე დავებრიდე და ეს არ მომხდარიყო-თქო. ზუგდიდში ყოფნის დროს ვმუშაობდი ჩვეულებრივად. ერთხელ მე და ზაურ ქობალია ვიყავით გროზნოში, სადაც შევხვდი ზვიად გამსახურდიას და ინფორმაციები გავცვალეთ. საუბარი შეეხებოდა სხვადასხვა სფეროს. იქიდან ხუთ დღეში დავბრუნდით. სექტემბრის თვეში ზუგდიდში ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქართველ ხალხში, ენით აუწერელი. დაიწყო კანონიერი მთავრობის აღდგენა – დასავლეთ საქართველოს ქალაქებში, რასაც ხალხი მშვიდად და სიხარულით ეგებებოდა.

სანამ პრეზიდენტი ჩამოვიდოდა იყო ასეთი შეხვედრა ბო-ბოყვათში, ასლან აბაშიძის ინიციატივით დაპირისპირებულ მხარეებთან მოლაპარაკების მიზნით, რათა არ მომხდარიყო შეიარაღებული შეტაკება კანონიერ მთავრობასა და სამხედრო საბჭოს ბანდიტებს შორის. ამის ჩანაწერი არსებობს აჭარაში და ამ კასეტის მოპოვება შეიძლება. იქითა მხარეს იყვნენ: ზ. უვანია, ა. ბურჯანაძე, ვ. რჩეულიშვილი, ა. მარგიანი, კე-კელია და სხვები არ მახსოვს. კანონიერი მთავრობის მხრიდან იყვნენ: ზ. ქობალია, ვ. შურდაია, ე. ჯაველიძე, თ. ვაშაძე, რ. მარგველანი, ტ. გელანტია... მეტი არ მახსოვს. იქ საუბარი თქვენთვის არ არის საინტერესო. საინტერესო არის მხოლოდ ერთი ფაქტი, ჩემი აზრით შემდგომი მოვლენებისათვის უცებ მოპირდაპირე ჯგუფს გამოეყო მარგიანი და დიდი სიხარულით გადაეხვია და გადაკოცნა რ. მარგველანი. ჩემი გაკვირვება გავუზიარე ე. ჯაველიძეს, თურმე ისინი მამიდაშვილები ყოფილან!

მანამ, სანამ ზ. გამსახურდია იმყოფებოდა საქართველოში და კერძოდ ზუგდიდში, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. ერთხელ, ალბათ, ეს იქნებოდა ოქტომბრის თვე, ფოთიდან ჩამოვედი ზუგდიდში, ავედი მეოთხე სართულზე, შევედი პრეზიდენტთან თითქმის უპრობლემოდ. გამიკვირდა ასეთი ქმედება დაცვის მხრიდან. ამის შემდეგ ჩემი ინიციატივით მოვიწვიეთ თათბირი, სადაც დავაყენე საკითხი დაცვის გადაყენების შესახებ და ჩვენ თვითონ დავიცავდით პრეზიდენტს, რადგან რატომლაც შემეშინდა და სამართლიანადაც. ამ თათბირს ესწრებოდნენ გ. აბსანძე, ტ. გელანტია, ე. ჯაველიძე, ე. ნიუარაძე, ზ. ქობალია და სხვანი.

რაც შეეხება ჩემს მიერ გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს, სადაც ვწერ იმის შესახებ, რომ მე როდესაც შევხვდები აბსანძეს და გელანტიას შემდეგ ჩამომიყალიბდება აზრი თუ ვინ მოკლა ზვიად გამსახურდია. მოგახსენებთ შემდეგს: როგორც ცნობილია, გარდაცვალების წინა დღეებში ზვიად გამსხურდიას ჰქონდა მუცლის არეში დიდი ტკივილები.

შემიძლია განვაცხადო, რომ ზვიად გამსახურდიას მრავალი წელი ვიცნობდი და მას არასოდეს არ აწუხებდა კუჭ-ნაწლავი. ჩემი აზრით, იგი ჯერ მოწამლეს, რაღაც ნივთიერებით საკვებთან ერთად. მეორე, მე მინდოდა მეკითხა გურამ აბსანძისა და გელანტიასათვის ერთი რამ, როგორ მოხდა, რომ ჩვენ ყველანი ცოცხლები დავრჩით და ის კი გარდაიცვალა-თქო. მათმა და მათთან ერთად მყოფმა ყველა მოქალაქემ პასუხი უნდა გასცენ ამ შეკითხვას. მე როდესაც გამაგზავნეს ბათუმში, სადაც უნდა მეშვეობა სალიარკა და შემომეტანა ანაკლიაში, გამგზავრების წინ გელანტიას ვკითხე, როგორ არის მოგვარებული ზვიად გამსახურდიას უსაფრთხოების საკითხი-მეთქი. თანაც ისიც ვუთხხარი, რომ ანაკლიაში იდგა სეინერი საწვავით უზრუნველყოფილი-თქო. მან, ე. გელანტიამ მიპასუხა: შენ ნუ წუხარ, ჩვენ ყველაფერი მოგვარებული გვაქვსო. მე ბათუმში ვიშვნე დიზელის საწვავი და როდესაც უნდა წამომელო ტანკერით გ. აბსანძემ დამირკა, არ წამოხვიდე, თორემ დაგიჭერენ, ფოთის აკვატორიას უკვე აკონტროლებენ. ამიტომ ჩემთვის გაუგება-რია, რატომ მოხვდა ზ. გამსახურდია მცირერიცხოვან ადამია-ნებთან ერთად, რამაც გამოიწვია მისი გარდაცვალება. ერთი რამ კი ცხადია, რომ მასზე მიდიოდა ნადირობა, რადგან არ აწყობდათ ზ. გამსახურდია ცოცხალი. ჩემი აზრით, ამის შესახებ ყველაფერი იციან საქართველოს მტრებმა: ე. შევარდნაძემ, ი. ბათიაშვილმა, ი. გიორგაძემ, გ. მელუამ, ჯ, იოსელიანმა, ა. მარგიანმა, ო. ფაცაციამ, თ. კიტოვანმა და სხვა ნაძირლებმა. ჩემი აზრით ზ. გამსახურდია იქნა მოკლული. უნდა დაიკითხონ ბ. გუგუშვილი და ის ხალხი, ვინც იყო იმ დროს ახლოს მასთან.

2001 წლის 14 სექტემბერს დავბრუნდი საქართველოში ემიგრაციიდან. 8 წელიწადი ვიყავი ემიგრაციაში. რომლის გახსენება ჩემში უარყოფით ემოციებს იწვევს, რადგან ვიყავი საშინლად შეურაცხყოფილი და რაც მთავარია, დამინგრიეს სამშობლო.

ოჯახში დაბრუნებისთანავე იყო ჩემზე ზენოლა, რომ უნდა დამენერა განცხადება შეწყალების ან მისი მსგავსი რამე სა-

ბუთის შესაქმნელად. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა შეწყვეტილი ჩემს მიმართ ალძრული საქმე და გაიცემოდა პასპორტი. დღესაც ამ მთავრობის სამარცხვინოდ დიდუბის მილიციაში, რუსეთის ყველა დიდ ქალაქში გამოკრულია ჩემი სურათები, როგორც სამშობლოს მოლალატე და ძებნილი საერთაშორისო კანონით. მე რომ ძალა მქონდეს ე. ი. კანონიერ მთავრობას, მაგენი უნდა ჩაისვას ციხეში. მე, მარტო მე არ დავწერე ასეთი დოკუმენტი... მხოლოდ გაზეთ „ახალ თაობაში“ დავწერე ლია წერილი. მოგიყვანთ ნაწილს ამ წერილიდან: მანამ არ აგიდ-გათ გვერდები შენ ე. შევარდნაძე, ზ. უვანია და მეფარიშვილო, სანამ თამაზ ვაშაძისგან ასეთი დოკუმენტი ვერ მიიღოთ თუ ჩემი ციხეში ჩასმა გინდათ, არ შეაწუხოთ ვინმე გამოგზავნისთვის, დამირეკეთ და ორთაჭალის ციხეში 10 წუთში გეახლებით. ძალიან გამიჭირდა მატერიალურად, თანაც წინა-დადება მივიღე ა. აბაშიძისგან, რომ მემუშავა მასთან, სადაც მევალებოდა მშენებლობის კურირება. მე იგი მიცნობდა 1962 წლიდან, თანაც ეროვნული მთავრობის დროს აჭარაში მოხდა სტიქიური უბედურება და ყველა მშენებლობას მე განვაგებდი და ყველაფერი ჩემს ხელში იყო. ასე ვთქვათ, დიდი საქმეები გაკეთდა. ამით იყო გამოწვეული ჩემი მინვევა აჭარაში, სადაც დაყვავი ორ წლამდე. ხელფასი მქონდა 350 ლარის ოდენობით, ვცხოვრობდი მთავრობის ბინაში მოკრძალებულად. როდესაც ჩავედი მასთან შესახვედრად იმ წუთში მივხვდი, რომ საქმე მქონდა სულ სხვა ადამიანთან, იგი ძალზე შეცვლილი იყო უარესობისაკენ. სხვადასხვა ადამიანებისაგან ვლებულობდი წინადადებებს, რომ დამენტერა მასზე საქებარი სტატიები, რაზეც მე უარყოფითად ვრეაგირებდი. ამიტომ მე იქიდან წამოვედი ყოველგვარი კომენტარის გარეშე. ჩემი აზრით, საქართველოში უდიდეს ნაწილს ჩინოვნიკობას, მათ შორის აჭარაში, ზვიად გამსახურდია ცოცხალი არავის არ უნდოდა, რადგან მისი პრეზიდენტობის დროს ასეთ ქაოსზე, როგორც დღეს და განსაკუთრებით მაშინ ე. ი. კანონიერი მთავრობის დამხობის დროს ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. სიმართლე უნდა ითქ-

ვას ერთ ფაქტზე, გადატრიალების შემდეგ ა. აბაშიძემ პევრი ადამიანი გადაარჩინა უსამართლო შეურაცხყოფისგან, ეს ადა-
მიანები არიან ე. წ. ზვიადისტები, ჭეშმარიტი პატრიოტები.
თვითონ ზვიად გამსახურდია ჩემთან საუბარში უარყოფით
ემოციებს ამჟღავნებდა ა. აბაშიძის მიმართ. საერთოდ თავი-
დანაც ვწერდი და ახლაც ვაცხადებ, რომ საქართველო დაან-
გრიეს 1992 წელს და ჩვენ ყველა, ვისაც ოდნავ მაინც ებრა-
ლება თავის სამშობლო, ვალდებული ვართ, პასუხი ვაგებინოთ
მათ ავტორებს.

თამაზ ვაშაძე
2004 წელი 28 მარტი

თუ რამე დამატებითი კითხვები გაგიჩნდებათ მზად ვარ,
ვუპასუხო.

საქართველოს პასუბლიკოს სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობა

1992 წლის გადატრიალების შემდეგ საქართველოს მმართველი ორგანო 2 იანვრიდან 10 მარტამდე იყო სამხედრო საბჭო, რომლის წევრები იყვნენ: ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა. სამხედრო საბჭომ ძალაუფლება გადააბარა დროებით (არალეგიტიმურ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, რომელიც 1992 წლის 10 მარტს შეიქმნა ძალაუფლების უზურპაციის გზით მოსული საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრების მიერ და იარსება 1992 წლის 16 ოქტომბრამდე.

ქართველმა ხალხმა და განსაკუთებით მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ამ შემადგენლობამ შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება და ლომის წილი დადო საქართველოს დაქცევაში.

სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი

ედუარდ შევარდნაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე;

ჯაბა იოსელიანი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დრამატურგი, დოქტორი, პროფესორი;

თენგიზ სიგუა – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თენგიზ კიტოვანი – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე;

ვახტანგ გოგუაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ირაკლი ანდრიაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელ-

მწიფო საბჭოს საქმეთა მმართველი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოკუმენტი;

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრები:

ვალერიან ადვაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის თავმჯდომარე;

ლევან ალექსიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მერაბ ალექსიძე – გეოფიზიკის ინტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი;

ჭაბუა ამირეჯიბი – მწერალი, ამერიკა-საქართველოს ერთობლივი საწარმო „ისრის“ გენერალური დირექტორი, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის წევრი;

ჯემალ აჯაიშვილი – მთავარი მთარგმნელობითი ცენტრის უფროსი მეცნიერი, რედაქტორი, მწერალი;

ირაკლი ბათიაშვილი – ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

აკაკი ბაქრაძე – მწერალი, ლიტერატორი;

გურამ ბერიშვილი – კიბერნეტიკის ინსტიტუტის მოდელირების განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკური პარტიის წევრი;

დავით ბერძენიშვილი – ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი;

იგორ ბოგომოლოვი – მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა შემსწავლელი ცენტრის განყოფილების გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

კოტე გაბაშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოკუმენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

თამაზ გამყრელიძე – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

გურამ გეგეშიძე – მწერალი, რუსთაველის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი;

ნაირა გელაშვილი – მწერალი, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის დირექტორი;

არჩილ გოგელია – დამოუკიდებელ გაზეთ „დრონის“ რედაქტორი;

ვასილ გოცირიძე – ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე;

რომან გოცირიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის კათედრის დოკუნტი;

გურამ თევზაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

ალექსანდრე კავსაძე – საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქანების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე;

თამაზ კვაჭანტირაძე – უურნალ „ბალავარის“ მთავარი რედაქტორი, სახელმწიფო უნივერსიტეტის დოკუნტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

პაატა კოლუაშვილი – საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

რაულ კუპრავა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრო-სამედიცინო აპარატურის კათედრის დოკუნტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

დავით კუპრეიშვილი – მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

ოთარ ლითანიშვილი – ქალაქ თბილისის მერი;

ნოდარ ლომოური – აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მირზა მაშოვი – ტელე-რადიო დეპარტამენტის რედაქტორი,

რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული აზერბაიჯანული ასოციაციის პასუხისმგებელი მდივანი;

ლევან მესხი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი;

ზურაბ მურვალიძე – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნეიროქირურგიის კათედრის ასისტენტი;

გურამ მუჩაიძე – სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე;

მიხეილ ნანეიშვილი – ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული კავშირის თავმჯდომარე;

თევდორე ნინიძე – უურნალ „სამართლის“ რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,

თემურ ნერგაძე – ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;

იზა ორჯონიკიძე – ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის დირექტორი, პოეტი;

თედო პაატაშვილი – ინჟინერ-ფიზიკოსი, „ქარტია-91“ თავმჯდომარე;

დავით პატარაია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი;

ზურაბ უვანია – მწვანეთა პარტიის სპიკერი;

თემურ უორუოლიანი – მონარქისტული პარტიის თავმჯდომარე;

ვიქტორ რცხილაძე – უურნალ „რელიგიის“ რედაქტორი;

ირინა სარიშვილი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-მდივანი;

ფრიდონ საყვარელიძე – ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის ასისტენტი, „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის“ წევრი;

გიორგი სიგუა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი;

თემურ ფიფია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

თორნიკე ფიფია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ინჟინერ-ფიზიკოსი;

ირაკლი ქადაგიშვილი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე;

ლანა ღოღობერიძე – კინორეჟისორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

რევაზ შავიშვილი – გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის“ თავმჯდომარე;

ლეიიზა შავიშვილი – ტელე-რადიო დეპარტამენტის რეჟისორი;

თემურაზ შაშიაშვილი – დროებით უმუშევარი;

გივი შაჰნაზარი – მწერალთა კავშირის მთავარი მთარგმნელობითი ცენტრის „ხომლის“ უფროსი მეცნიერი, რედაქტორი;

გიორგი შენგელაია – კინორეჟისორი;

ელდარ შენგელაია – კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, კინორეჟისორი;

ჯანსულ ჯარკვიანი – უურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი;

თამარ ჩხეიძე – საქართველოს სახელმწიფო არქივის მეცნიერ-თანამშრომელი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი;

ვახტანგ ძაბირაძე – რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე;

ნიკო ჭავჭავაძე – ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დოქტორი, პროფესორი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამეობის წევრი;

გიორგი ხაინდრავა – კინოპერატორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტმს“-ის სამხატვრო ხელმძღვანელი;

ივლიანე ხაინდრავა – ერთობლივი საწარმოო „უნიფარმის“ განყოფილების გამგე, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე;

ვახტანგ ხმალაძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის“ თავმჯდომარის მოადგილე;

ალექსანდრე ჯავახიშვილი – ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის დირექციის მრჩეველი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

თამაზ ჯანელიძე – კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

სხვადასხვა დროს ჩატანილი 06ტექვიუები

პა შესთაგზებს გურიაშ შატაბდებს სიკვდილებდე ეპიზო დღით ადგე

„ასავალ-დასავალი“, 28 მაისი – 3 ივნისი, 2007 წელი

რადიო თავისუფლების დილის პროგრამაში გრძელდება წინასაარჩევნო პროექტი, რომლის დროსაც თბილისის მერობის კანდიდატები საკუთარ პროგრამებს აცნობენ მსმენელს. ამჯერად სტუდიაში სტუმრად იყო მერობის კანდიდატი პოლიტიკური მოძრაობა „სოლიდარობიდან“ თამაზ ვაშაძე. მან უპასუხა შეკითხვებს უმუშევრობის, სოციალური საკითხების, ჯანდაცვის, ინფრასტუქტურისა და ეკოლოგიის შესახებ.

– თუ გაქვთ რაიმე გეგმა, რომელიც მერად გახდომის შემთხვევაში გრძელვადიანი სამუშაო ადგილების წარმოქმნას შეუწყობს ხელს და უმუშევრობის პრობლემას მოაგვარებს?

– მადლობა ამ შეკითხვისთვის. მერობის ყველა კანდიდატს აქვს საკუთარი პროგრამა, როგორ აპირებს უმუშევრობის მოვარებას. მეც მაქვს. წერელ გამოვიდა გიგი უგულავა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში და გაგვაცნო თავისი პროგრამა. მე, მაგალითად, ცუდად გავხდი: როგორ შეიძლება კანდიდატს, რომელიც მერობას აპირებს, ასეთი საარჩევნო პროგრამა ჰქონდეს? როგორ შეიძლება თბილისში 100 ათასი სამუშაო ადგილი და ოაზისი შეიქმნას, როცა მკვდარი ქალაქებით არის სავსე მთელი საქართველო? ეს არის აბსურდი, ტყუილი. ჩემი ამოცანა სწორედ ის არის, რომ ესენი გავაშიშვლო და სიმართლე ვუთხრა ხალხს. თუ თბილისში შეიქმნება 10 სამუშაო ადგილი, რაიონებში უნდა შეიქმნას 5, იმისათვის, რომ ეს ხალხი თავის ბუდეებში დავაბრუნო, თორემ უახლოეს 10 წელიწადში თბილისში მოიყრის თავს მთელი მოსახლეობა. ამიტომ მე მაქვს ასეთი გეგმა: მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა იქნეს წახალისებული და გათავისუფლებული ყოველგ-

ვარი ზენოლისაგან და, რაც მთავარია, ახალი სამუშაო ადგი-
ლების შემქმნელებზე უნდა გავცეთ უპროცენტო სესხი.

მთელი მსოფლიოს ვადაგასული და უხარისხო პროდუქტი
აქ მოედინება და გამკითხავი არავინ არის. ამიტომ მე მერიის
ფონდებიდან გამოვყოფ მილიონებს, რომ ავამუშაო მკვდარი
ქალაქები: დუშეთი, მცხეთა, გარდაბანი, საიდანაც შემოვა
პროდუქტი. ვინ დამაჯერებს მე, რომ საქართველოში არ მო-
დის ხახვი, ნიორი და ქათამი არ დებს კვერცხს? ეს ყველაფე-
რი გაკეთებულია მაფიის მიერ, რომელიც ზის პარლამენტი.
სხვაგან არ არის ეს მაფია. ასევე, ვინც ამბობს, ავამუშავებთ
ქალაქში გაჩერებულ ქარხნებსო, ეს არის ტყუილი. იმ ქარხ-
ნებში ის მოწყობილობა, გაუხსნელიც რომ ეწყოს, გადასაყრე-
ლი იქნებოდა – მოძველდა და იქ წარმოებული პროდუქტია
მსოფლიო ბაზარზე ვერ გავა. ამიტომ ამ ქარხნების ფართები
საჩუქრად უნდა მიეცეთ ბიზნესმენებს, რომ წავახალისოთ,
რომ მოიძებნოს ბაზარი და დაასაქმოს ხალხი.

დასაქმების პროგრამა არის მთელი საქართველოს პრო-
გრამა და არა მერის პროგრამა. ის, რასაც ესენი ამბობენ,
არის ლაყბობა. 20 წელია შეჭამეს საქართველო და არავის
ამაზე პასუხი არ უგია. შევარდნაძე, სააკაშვილი – ესენი არიან
პირველი დამნაშავეები. მათ საქართველოს ტერიტორიები
დაუკარგეს. აღარაფერს ვამბობ წვრილმან საკითხებზე.

– ბატონი თამაზ, თქვენ პრძანეთ, უმუშევრობის პრობლე-
მას არაფერი ეშველება, თუ მკვდარი ქალაქებიც არ გამოცო-
ცხლდაო... როგორ გესახებათ თბილისის მერიის ბიუჯეტიდან
ამ ქალაქების დაფინანსება? თქვენ თქვით, რომ მილიონებს გა-
მოყოფთ ბიუჯეტიდან ამისათვის.

– ეს რამდენიმე მილიონი არის სოფლის მეურნეობისათვის.
რამდენიმე მილიონი მოინახება იმისათვის, რომ დუშეთში გან-
ვითარდეს მეურნეობა, რომ მოიყვანონ იქ ხახვი, ნიორი და
თბილისში როგორმე ვიშოვი 20 წესიერ, პატრიოტ ადამიანს,
შევქმნი ლაბორატორიას და ეს ხალხი იმუშავებს ამ ლაბო-
რატორიაში და დაიცავს ქვეყანას ცუდი, უხარისხო პროდუქ-

ტებისაგან. მე ტყუილს არ ვლაპარაკობ. ყველაფრის საბუთი მაქვს. აი, რომ დაიჭერენ ადამიანს, რომელსაც ბრაზილიიდან შემოაქვს გაფუჭებული თევზი, რომლითაც უნდა მოწამლოს ხალხი და მერე გაუფორმებენ საპროცესოს და ისევ გაუშვებენ იმ თავის ცეხში სამუშაოდ, რომ კიდევ წამლოს ხალხი, ესენი ყველანი შეკრულები არიან მთავრობასთან.

საიდან იშოვა ნოღაიდელმა ამდენი ფული? ცალი კალო-შით არის ჩამოსული... მილიონები მებარა მე და მეტროთი და „მარშრუტები“ დავდივარ. მოიპარა ე.ი. დაიჭირონ მერე. ახლა მეოთხე „კრუგზე“ შემოდიან, რომ ისევ შეჭამონ საქართველო. არა, ბატონებო, ჩვენ ამის უფლებას არ მივცემთ.

– რადგან მოწამვლა ახსენეთ, ბუნებრივად გადავიდეთ შემ-დეგ კითხვაზე. ეს არის ჯანდაცვა. როგორია თქვენი ხედვა ქალა-ქში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს გა-საუმჯობესებლად?

– სანამ ჩემს პროგრამაზე გეტყვით, მანამდე მინდა ვთქვა: გამოდის მერობის კანდიდატი და ამბობს, 173 მილიონი ლარი გამოიყოფა ახალი საავადმყოფოების ასაშენებლადო. 170-ს კი არ ამბობს, 173-ს, რომ კიდევ უფრო გააბითუროს ხალხი. საიდან უნდა მოიტანოს ეს მილიონები? ბიუჯეტი უძირო კასრი კი არაა, ამას კომპენსაცია სჭირდება. საავადმყოფოების მხრივ საშინელი მდგომარეობაა. ელვის სისწრაფით უნდა გაიხსნას მინიმუმ 2 უფასო საავადმყოფო, რომ ადამიანი, რომელსაც ფული არ აქვს, სიკვდილისგან ვიხსნათ. სად გაგონილა, რომ ადამიანი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო... კი, ბატონო, უნდა იყოს ფასიანი საავადმყოფოებიც, მაგრამ იქნება უფასოც. უფასო დაზღვევის პროგრამები გაკეთდება. წამალი არ იქნება ყველასთვის უფასო, – მთელ მსოფლიოში ასეა: უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანებს აძლევენ უფასო წამლებს, მა-გრამ აფთიაქებში დღეს არსებული მაფია არ იქნება, რომელიც ყოველდღე უმატებს ფასს კარგად გასაღებულ წამლებს. ამ ყველაფერს მოუვლის სამაგალითო, პატიოსანი და შეუვალი კაცი. პატიოსნება და განვლილი გზა არის ყველაზე მთავარი

რამ. არც ერთი მერის კანდიდატი არ არის პატიოსანი. პატიოსანია ჭანტურია? თქვენ გეკითხებით. არაფერი შეგეძალოთ.

– მინდა გკითხოთ ქალაქის მეურნეობაზე – ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგება, ტრანსპორტის თემა... თუ გაქვთ გეგმები ამ კუთხით?

– დიდი გეგმები მაქვს, ბატონი. ახლა ამბობენ, რომ წყალი უნდა იყოს უფასო და გაზი 5 თეთრი, ანუ პრაქტიკულად უფასო. ეს არის ხალხის მოტყუება და სირცხვილი. დავუშვათ, წყალი იყოს უფასო. საიდან უნდა დაბალანსდეს ეს ფასი? მთელი თბილისის კომუნიკაციები არის დამპალი. მაგას აქვს სათავე ნაგებობები, სანიტარული ზონა... აზრზე არ არიან, ბატონებო, გაგებაში არ არიან მერის ფუნქციების... ფასების დაწევა არის მარეგულირებლის ფუნქცია და პრეზიდენტი ზედამხედველობს მაგას. პრეზიდენტი 2 იმპერატორის უფლებებითაა, ყველა კანონის გატანა შეუძლია. პარლამენტში ყურმოქრილი მონები არიან მაგისი და ქვეყანაში არ არის ოპოზიცია, რომელიც ამას ხელს შეუშლის. არც ბურჯანაძე, არც ალასანია არ არის ოპოზიცია. გუშინ მაგასთან მუშაობდნენ. უნდა მოვიდეს ახალი ხაზი, ახალი გზა, ახალი ხედვის ადამიანი, პატიოსანი. უგულავა გამოვიდა გუშინ, ვიტირე. როგორ შეიძლება მერი იყოს ასეთი გაუნათლებელი? იძახის, „გასაკეთებელი კიდევ ბევრიაო“. ჩვენც ვიცით, ბატონი. ლოს-ანჟელესის მერიც ამასვე იტყვის. ერთი სიტყვაც ვერ მოვისმინე მისგან იმის დასტურად, რომ ის არის პერსპექტიული ადამიანი, ფილოსოფოსი... ფილოსოფოსობა არის ის განათლება, რომლის გარშემოც უამრავი სპეციალობა იყრის თავს. ერთხელაც ვერ დავინახე ეს. ერთხელ კორესპონდენტმა დამისვა კითხვა, გამარჯვების რა შანსი გაქვთო. გავიმარჯვე, გავიმარჯვე! უკვე ხალხამდე მივიტანე სწორი აზრი, ქართველი ხალხი გამოფხილდეს და ნახოს, ვინ ვინ არის.

დამპალია მთელი თბილისის ინფრასტრუქტურა, ნახალოვაა, დიდუბე, ავლაბარი, ალსადგენია უამრავი სახლი. მშენებლებს უნდა მივცეთ ოაზისი, რომ ჩაიდოს ინვესტიცია და გან-

ვითარდეს თბილისი. გადმოხედავ ფუნიულიორიდან და მინდა ლამაზი და უკეთესი თბილისი. ამათ რომ შექამეს უამრავი ფული, ნახეთ პლეხანოვზე რას ჩალიჩობენ, რა „შტუკატურკას“ აკეთებენ. მე გავათავისუფლებ თბილისს „შტუკატურკისა“ და „ბრიზგისგან“. ნახეთ მსოფლიომ რა გიგანტური ნაბიჯები გა-დადგა – დუბაიში, შანხაიში რა მასალებით აშენებენ. ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება რაღაც მაიმუნობები ვაშენოთ... ჩვენ უნდა ვამენოთ ხარისხიანი... როგორც ინგლისელები ამბობენ, ჩვენ სად გვაქვს ფუფუნება, იაფთასიანი კოსტიუმი ვიყიდოთ.

– **შემდეგი საკითხია ქალაქის იერსახის განვითარება. როგორ უნდა განვითარდეს ის?**

– უნდა შეიქმნას საბჭო და მან უნდა გადაწყვიტოს უბან-უბან ამა თუ იმ შენობის აშენების საკითხი. გააუქმეს ქალა-ქის მთავარი მხატვარი. ის ხედავს ქალაქის მთელ გამას. ახლა ქალაქის მთავარი მხატვარი არის მიხეილ სააკამპილი, ის ამბობს: ეს მოქერით! ეს დარგეთ! ეს შეღებეთ! აი, „ახა-ლი სიცოცხლე“ რომ არის, პროექტი კალაუბანში... შეხედეთ, სანიალვრეებს არ აკეთებენ. მერე მოვა წვიმა და სტიქიურ უბე-დურებას უწოდებენ. ეს არის იმის ბრალი, რომ სისტემაში არ არის მოყვანილი ყველაფერი. მეურნე კაცი უნდა იყოს ქალაქის მერი, რომელმაც იცის ეს საქმე. არავითარი პარტია! პარტია მოკვდეს! აქ უნდა იყოს კოალიციური მთავრობა. განათლე-ბული და განვითარებული, არავითარი ასაკობრივი ზღვარი... მთავარია ცოდნა, პროფესიონალიზმი და პატიოსნება.

– **რაც შეეხება ქალქის ეკოლოგიას, ამ თემაზე საუბრის სურ-ვილი თავიდანვე გქონდათ?**

– საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც გამწმენდი ნაგებობა კი არ მუშაობს, უბრალოდ, არ არსებობს. ეს არის დანაშაულთა დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ნახეთ ბათუ-მი... ზღვაში იღვრება ფეკალი ღია წესით. ფოთი, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე... გული აგერევა. ზღვა კი არა, საერთოდ წყალი შეგძლდება. როგორც დიდი კონსტანტინე ამბობდა, ქართველ კაცს თავის ჭირივით ეზიზლება წყალი. ახლა შემოვი-

დეთ აღმოსავლეთ საქართველოში. დაწყებული ახალციხიდან, მთელი ფეკალიები მოედინება მტკვარში და შემოდის თბილის-ში დაბინძურებული, მომსპარი, ჩაოხრებული მტკვარი. მერე გამოდიან მერობის კანდიდატები და ამბობენ, რომ ყველაფერი უნდა მოირჩიას და შადრევნებში გამოიყენონ ტექნიკური წყალი. გაგებაში არ არიან, რა არის ტექნიკური წყალი. იმისათვის, რომ თბილისში შემოვიდეს სასმელი წყლის პარალელურად ტექნიკური წყალი, მილიარდები უნდა იმ სადგურის ამუშავებას, რომელიც ამ წყალს გაფილტრავს. ეს არის ზღაპრები. ესენი ყველანი არიან მოლაყბები და, როგორც ამბობდა დიდი აკაკი, „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შეუ უდევს დიდი ზღვარი“.

როცა მე მერი ვიყავი, ხელი მოვაწერე, რომ სადაც ახლა ელიავას ბაზრობაა, იქ უნდა გაშენებულიყო დიდი პარკი. ახლა რკინიგზა გადაგვაქვსო და აქ უნდა აშენდესო ბიზნეს-ცენტრები. თბილის არა აქვს პარკები. ნახეთ, რა უქნეს ვაკის პარკს. იქ ვილებს იშენებენ ჩინოვნიკები. მერს შეუძლია იმ მგლების მადა, რომლებიც მაღლა სხედან, შეაკავოს, რომ არ აშენდეს პარკებში არაფერი. უნდა იყოს უფასო სპორტული მოედნები. სამუშაო ადგილებზე ლაპარაკობენ, მაგრამ არავინ არ ლაპარაკობს მეცნიერების განვითარებაზე. მე პრეტენზია მაქვს... მე მუსხელიშვილის და ვეკუას, გოგიჩაიშვილის და რაზმაძის ქვეყნიდან ვარ. იქნება მერე მსოფლიომ დაუკვეთოს ჩვენს მეცნიერებს რაღაცა, სადაც მერე ხალხი დასაქმდება. მარტო სასტუმროს მომსახურე და მხვეტავი არ უნდა იყოს, ქართველმა ერმა მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში ლომის წილი დადო.

– ბოლოს, ბატონო თამაზ, შეგიძლიათ ისაუბროთ იმ თემაზე, რომელიც შესაძლოა ჩვენ გამოგვრჩა და გსურთ თქვენი აზრი გამოხატოთ?

– მე მინდა მსოფლიოში ქართულ დიასპორას მივმართო. მე თვითონ ემიგრაციაში ვიყავი საბერძნეთში. ვიცი ეს ხალხი როგორ მუშაობს საზღვარგარეთ, ეწევიან მონურ შრომას, უამრავი ხალხი გაედინა საქართველოში მომხდარი გადატრიალების

დროს, უამრავი ხალხი დასაფლავდა უცხო მიწაზე, ოჯახები დაინგრა და არაფერი არ კეთდება იმისათვის, რომ ეს ხალხი დაბრუნდეს უკან. ამას არ აკეთებს არც ერთი მთავრობა. ამბობენ, რომ საელჩოებში გაიხსნება საარჩევნო უბნები. მინდა მივმართო იმ ხალხს, ვისთან ერთადაც წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი. დაურეკეთ თქვენს ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს და არ დაიზაროთ და მიდით და ჩააგდეთ ერთი პატარა ფურცელი, რომ დაგახვედროთ ისეთი სამშობლო, ისეთი თბილისი, როგორზეც ოცნებობთ, რომ მოვიშოროთ ეს „ნაციონალური მოძრაობა“, უფრო სწორად, „მოქალაქეთა კავშირი“, – ძირითადად, ეგენი არიან ახლა ამ პარტიის წევრები, – რომ მოვიშოროთ ეს ჭირი, რომელმაც შექამაქვეყანა. გავაშავოთ ეს მტარვალები და, მოდით, მოვახდინოთ საქართველოში სასწაული, რომელიც იქნება საქართველოს ბედნიერებისათვის გადადგმული ნაბიჯი.

ნიკო ნერგაძე

06ტებერვალი თამაზ ვაშაძე გაშაპასთან

თბილისის ყოფილი მერი თამაზ ვაშაძე ერთ-ერთი უკანასკნელთაგანია, ვინც გურამ შარაძეს შეხვდა. მათი დიალოგი უნივერსიტეტის მერვე კორპუსში, მეოთხე სართულზე, გურამ შარაძის მიერ დაარსებულ ქართული ემიგრაციის მუზეუმში გაიმართა და კონფიდენციალური ხასიათისა გახლდა! ვაშაძემ აკადემიკოსს თავისი ჩანაფიქრი გაანდო და საუბრის ბოლოს უთხრა, – ბატონო გურამ, თქვენგან პასუხს ასე ნაუცბათევად არ ვითხოვ, დაფიქრდით, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და როცა გადაწყვეტილებას მიიღებთ დამიკავშირდითო!..

სამწუხაროდ, გურამ შარაძეს ფიქრის დრო არ მისცეს, მისთვის ვიღაცის ხილულ თუ უხილავ ხელს სასიკვდილო წამზომი უკვე ჩაერთო. რაც შეეხება თამაზ ვაშაძეს, მას ორშაბათს, 21 მაისს, ჭავჭავაძის პროსპექტზე შევხვდი – გურამ შარაძის სახლის წინ. თბილისის ყოფილი მერი მომხდარით შეძრული იყო... მთელი ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის პროსპექტი ფეხით ჩამოვიარეთ და რედაქციაში მივედით.

ვაშაძემ საინტერესო ამბავი მიამბი!

– თავზარდაცემული ვარ! არ მეგონა თუ ამ დონეზე მივიდოდა ქართველი ხალხი, მისი ჩინოვნიკები, რომ გურამ შარაძეს ტყვიას ესროდნენ!

– ბატონო თამაზ, თქვენ გურამ შარაძის მკვლელობაში ხელისუფლებას ადებთ ხელს?

– დიახ, ხელისუფლებას ვადებ ხელს და თუ რატომ, ამას ქვემოთ მოვახსენებთ! გურამ შარაძეს მე შევხვდი მკვლელობამდე ერთი დღით ადრე, 19 მაისს. ჩვენ ტელეფონით შევთანხმდით, რომ ემიგრაციის მუზეუმში შევხვდებოდით. ცოტა ადრე მივედის!

– რომელ საათზე შეხვდით?

– დილის 12 საათზე. თავისი „აკაკი წერეთლის“ მესამე ტომი უკანასკნელად მე მაჩუქა ავტოგრაფით. დავათვალიერე ემიგრაციის მუზეუმი, ბიძაჩემის – პავლე ვაშაძის სურათებიც

ვნახე. იგი გახლდათ დიდი პატრიოტი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1921 წლის გამოსვლებისა საჩიხერე-ჭიათურაში. ბიძა-ჩემი ლევილში, გრიგოლ ურატაძის გვერდით არის დასაფლავებული. არ გაინტერესებთ, რატომ მივედი გურამ შარაძესთან?

ცხადია, ბატონო თამაზ, ძალიან მაინტერესებს!

– გურამ შარაძესთან მივედი ერთადერთი მიზნით, რათა ქართველმა ხალხმა გააცნობიეროს, რომ თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში საქართველო აღარ იარსებებს! აღარ იარსებებს ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი ტრადიცია, წესი, რიგი, კულტურა. ყველაფერ ამის გადარჩენა შესაძლებელია, თუ საქართველოს ეყოლება ღირსეული და ეროვნული პრეზიდენტი. ხელისუფლება ისეთ აფერას დაატრიალებს, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში 14 საპრეზიდენტო კანდიდატს წამოაყენებს. ალბათ, თეა თუთბერიძე და ხათუნა გოგორიშვილიც კი მიიღებენ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. გნებავთ, ათი ათას კაცს ნახავენ ოპოზიციონერ-სა და არაოპოზიციონერს, რომელიც „საპრეზიდენტო კანდიდატი“ იქნება. აქედან გამომდინარე, მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტი – ნიკოლას სარკოზი, რომელმაც ნამდვილად არ იცის, ვინ არის თუთბერიძე, გოგორიშვილი ან ბერძენიშვილი, იტყვის, – „საქართველოში დემოკრატიაა, რადგან ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებში ათი კანდიდატი მონაწილეობს!“ ცხადია, ასეთ შემთხვევაში ე.ნ. ყოველგვარი ნორმის დაცვით სააკაშვილი გაიმარჯვებს და სწორედ ეს რომ არ მოხდეს, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მივსულიყავი გურამ შარაძესთან.

1996 წელს, ემიგრაციაში ყოფნის დროს, მე ბატონ ელიზ-ბარ ჯაველიძეს გერმანიაში წერილი მივწერე, – დღეს საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე გურამ შარაძეზე უფრო ეროვნული, პატრიოტი, შეუვალი და განათლებული კანდიდატურა არ მეგულება და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ არჩევნებში ბატონმა გურამმა იყაროს კენჭი-მეთქი! ცხადია, მე ილუზია არ მქონია, რომ სისხლით მოსული შევარდნაძე ხელისუფლებას არჩევნების გზით დათმობდა, მაგრამ

ეს იქნებოდა პრეცედენტი იმისა, რომ შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ ისევ დაუპირისპირდა ეროვნული ძალა. სწორედ, ამ მიზნით მივედი მე გურამთან სიკვდილამდე ერთი დღით ადრე და ვუთხარი, – ბატონო გურამ, ძალიან გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ! თქვენგან პასუხს დღეს არ ვეღი, მაგრამ იფიქრეთ ამ საკითხზე. ერთ წელზე მეტია დარჩენილი საპრეზიდენტო არჩევნებამდე, საქართველო დაიღუპება, თუ ეროვნული კაცი არ მოვიდა ხელისუფლების სათავეში და გთხოვთ, იფიქროთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე-მეთქი! მე მას ვუთხარი, რომ ყველა პარტიისათან მივიდოდი, რკინის ქალამნებს ჩავიცვამდი, მთელ საქართველოს სოფელ-სოფელ შემოვივლიდი! მე მაქვს ავტორიტეტი, ამას ხაზს ვუსვამ და მთელი ჩემი ცხოვრება ისე გამიტარებია, რომ ჩემზე ზედმეტს ვერავინ იტყვის. ბატონ გურამს დავპირდი, რომ ქადაგად დავვარდებოდი და მთელ ქვეყანას ფეხზე დავაყენებდი.

– რა გითხრათ ბატონმა გურამმა?

– მან ძალიან დიდი ყურადღებით მომისმინა, არც არაფერი უთქვამს და არც ვითხოვდი მისგან იმ წუთას პასუხს, მაგრამ ბოლოს მაინც ვუთხარი, – ბატონო გურამის თანხმობის შემთხვევაში, გადაწყვეტილი მქონდა მივსულიყავი ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან და საპრეზიდენტო არჩევნებში ოპიზიციის ერთიანი კანდიდატის – გურამ შარაძის მხარდასაჭერად კონსულტაციები დამეწყო ყველა იმ პარტიისათან, რომლებსაც საქართველოს წინააღმდეგ დანაშაული არ ჩაუდენიათ. დიახ, ყველასთან მივიდოდი, მაგრამ „ედპ“-სთან – არა! დაუუმვათ გურამ შარაძეს ვერ გაემარჯვა. ბატონი გურამი გაყალბების ნიადაგზე ვერ გაიმარჯვებდა, თორემ სხვანაირად არ არსებობდა ვარიანტი მისი დამარცხებისა, რადგან გურამ შარაძე ზვიად გამსახურდიას გზის გამგრძელებელი და სისხლითა და ხორცით პატრიოტი იყო, ხოლო ზვიად გამსახურდია ვინც იყო, მისმა და-საფლავებამ აჩვენა, როცა მთელი საქართველო ფეხზე დადგა!

– ბატონი თამაზ, თქვენს საუბარს თუ ესწრებოდა ვინმე?

– არავინ! მე მას მუზეუმში ველაპარაკე ერთი ერთზე.

– **სულ არაფერი უთქვამს ბატონ გურამს?**

– ჩემმა წინადადებამ გააკვირვა. თქვენ ნახავთ, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ხელისუფლება ისეთ კანდიდატებს მიაღებინებს მონაწილეობას შეიძლება, სიცილით მოკვდეს კაცი! ეს იქნება ტრაგედიის ტრაგედია!

– **კიდევ რაზე ესაუბრეთ ბატონ გურამს, თუ საიდუმლო არ არის?**

– მე მას ვუამბე, რომ როცა ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა, იმ რამდენიმე კაცს შორის, რომლებიც ექვთიმეს კუბოს მიაცილებდა, მამაჩემიც იყო. მამაჩემმა მეც თან წამიყვანა ექვთიმეს დაკრძალვაზე, ახლა რომ ვაკვირდები, ალბათ, დაპატიმრების ეშინოდა. დიახ, მამაჩემმა თავი ვალდებულად ჩათვალა, რომ იქ მისულიყო, რადგან მისი ძმა, ბიძაჩემი – პავლე ვაშაძე, როცა ექვთიმე საქართველოში წამოვიდა, იმ დღიდან ექვთიმეს ოთახში ცხოვრობდა. ბატონ გურამს მე გაკვირვებით ვესაუბრებოდი იმაზე, თუ ფიზიკურად როგორ მოახერხა ივანე ჯავახიშვილმა ასეთი ფუნდამენტური ნაშრომების შექმნა, როგორ შეძლო ამ ხეიბარმა კაცმა – ექვთიმე თაყაიშვილმა, ფეხდაფებ შემოევლო მთელი ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები და შთამომავლობისთვის დაეტოვებინა უნიკალური ფრესკები, რომლებიც უკვე გამქრალია და განადგურებული. ბოლოს ვუთხარი, – აი, ამათი შვილი ხარ შენ, ჩემი გურამ, და, ალბათ, შენც იმიტომ შეძელი ამოდენა მექუიდრეობა შეგექმნა-მეთქი! გურამ შარაძის მონოგრაფიები ილიაზე, აკაკიზე, – ხელთუქმნელი განძია, ნახეთ მისი „უცხოეთის ცის ქვეშ“, ნახეთ მისი „ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორია“, მონოგრაფია მემედ აბაშიძეზე. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. და რა მიიღო ამის სანაცვლოდ? – ტყვია! სირცხვილი არ არის? გურამ შარაძე იყო მებრძოლი კაცი, მართლმადიდებლობას იცავდა და იეღოველებს ებრძოდა. 1999 წელს ევროსაბჭომ მოითხოვა, რომ საბერძნეთის პასპორტი-

დან ამოელოთ რეკვიზიტი, სადაც წერია „მართმადიდებელი ქრისტიანი“.

– **რას ამბობთ, ბატონო თამაზ, საბერძნეთის პასპორტში მსგავსი გრაფა არსებობს?**

– როგორ არა, ბატონო, ჩვენთან დააქციეს და წაშალეს ყველაფერი ამ ნამუსგარეცხილებმა, თორემ, რას მიქვიან, არის? დიახ, ეს რეკვიზიტი უნდა ამოელო საბერძნეთის პრეზიდენტს. საბერძნეთის პატრიარქმა ჯერ სალონიკში მოაწყო მილიონ-ნახევრიანი მიტინგი ამის საწინააღმდეგოდ, ხოლო ათენში ორ მილიონზე მეტი ბერძენი გამოვიდა ქუჩაში. საბერძნეთის პატრიარქმა სულ „ხულიგანი“ და „ნაძირალა“ უძახა პრეზიდენტს, ერთ კვირაში დაგამხობო, დაემუქრა! პრეზიდენტი გამოვიდა და ბოდიშები იხადა. აი, პატრიარქი, აი, ერი, აი, სად იცავენ მართმადიდებლობას!

– **ბატონო თამაზ, ისინი ალბათ „ფანატიკოსები“ იყვნენ...**

– როგორ გეკადრებათ! ბერძნები თავისუფლებისმოყვარე, მართლმადიდებელი ხალხია. ისინი პატივს სცემენ თავიანთ რელიგიას და ლირსეულ ხალხებს. აბა, ერთი ალბანელს ვინმემ რამე გაუბედოს საბერძნეთში! არავინ ისეთი „დაჩმორებული“ და თავში ჩარტყმული არ დადის საბერძნეთში, როგორც ქართველი! ეკლესიებს ანგრევენ ეს უსინდისოები, ამის გაკეთება შეიძლება? აბა, თუ ანგრევენ მეჩეთებს ირანსა თუ თურქეთში, წამიყვანონ და მაჩვენონ! რა უფლებით აიღეს ჯვარი ხამურში, ხობში, ჩოლოქთან?

სად არის კათალიკოს-პატრიარქი? გურამ შარაძის მკვლელობა ხომ საშინელებაა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი საშინელების სიმპტომი ეკლესიის დანგრევა და ჯვრების დამხობაა!

მამაჩემი იგონებს თავის წიგნში, რომ ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას დასანგრევად მიადგნენ კომკავშირელები. სამ მოხალისეს, რომლებსაც ჯვარი უნდა ჩამოეგდოთ გუმბათიდან, სოფელში ჭკუასაკითხავმა კაცმა – გერვასიმ უთხრა: ეკლესიას ხელი არ ახლოთ, თორემ ღმერთი შეგაჩვენებთო! ახალგაზრდები

ღიმილით აძვრნენ გუმბათზე, ჯერ ჯვარი დაამხეს, მერე კრა-
მიტებს დაუწყეს ჩამოყრა და გერვასის სიცილით ჩამოსძახეს
მალლიდან: გერვასი, მიყო შენმა ღმერთმა რამე? მიყო? – მეტი
რაღა უნდა გიყოს, გაგაგიჟათ და ისაა! – უთხრა კომკავშირე-
ლებს გერვასიმ. გააგიჟა სააკამპილი ღმერთმა და ეკლესიებს
ანგრევს, ვერ ხედავთ? რატომ დაეცა ჩემი ერი ასე, რატომ,
რატომ არის ხალხი ასეთი ინერტული?

– ბატონი თამაზ, მართლაც და რატომ?

– იმიტომ, შვილო, რომ ერს წინამძღვლებს უკლავენ და
ეს ხდება მიზანმიმართულად! მოკლეს ზვიად გამსახურდია,
მოკლეს გურამ შარაძე!

რატომ არ გამოდის პატრიარქი, რისი ეშინია, სიკვდილის?
სიკვდილი ხომ ბედნიერებაა, როცა ქრისტეს საქმისთვის კვ-
დები! რამ შეაშინა ეს ხალხი? ზვიადი მოკლეს – არაფერი,
შარაძე მოკლეს – არაფერი, ეკლესია დაანგრიეს – არაფერი,
სამაჩაბლო გაყიდეს – არაფერი! იცით, რატომ მივედი გურამ
შარაძესთან? საქართველოს პრეზიდენტად ერის წინამძღვლი
გვჭირდება და არა ის ე.წ. რეიტინგული ბიზნესმენები, ფულით
სავსე ტომრები, უნიგნურები და უვიცი ადამიანები, რომლებ-
საც ხალხში გამოჩენისა ეშინიათ.

ბეჭობელია

„ჩემი მერობის დროს, ადამიანები დასაქმდებიან არა პარტიული, არამედ პროფესიონალიზმის ნიშნით“ (აცხადებს თბილისის მერობის კანდიდატი პარტია „სოლიდარობიდან“ თამაზ ვაშაძე).

თამაზ ვაშაძე – შრომითი საქმიანობა დაიწყო 14 წლისამდე და ლირსეულად განვლონ დამხმარე მუშიდან დედაქალაქის მერობამდე. 20 წლის ახალგაზრდაზე გივი ჭელიძემ დაწერა წიგნი „ყვირილას პირას იზრდებოდა ფალავანი“. 24 წლის ასაკში მყოფ თამაზზე კი შალვა ჩაგუნავამ გადაიღო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გზა მომავლისა“.

იგი პროფესიონალი მშენებელი ინჟინერია. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას დროს იყო თბილისის მერი. 1991 წლის 29 აპრილს, რაჭა-იმერეთისა და სამაჩაბლოს დამანგრეველი მიწისძვრის დროს, პირადად ხელმძღვანელობდა სარეაბილიტაციო შტაბს, განაგებდა საამშენებლო სამუშაოებს და მასთან დაკავშირებულ ფინანსებს. მასვე მოუწია ამ პერიოდში მომხდარი აჭარის სტიქიის დროს მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაც.

1991 წელს წყალ-სათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარებასთან დაკავშირებით მან უსწრაფეს ვადაში ააშენა სპორტული კომპლექსი მალთაყვაში, სადაც წარმატებით იასპარეზეს მსოფლიოს წამყვანმა სპორტსმენებმა. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილშვილი.

– ბატონო თამაზ, ახალშექმნილმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „სოლიდარობა“ თქვენ წამოგაყენათ დედაქალაქის მერობის კანდიდატად. ამ ორგანიზაციის წამდვილი წევრი ბრძანდებით, თუ, უბრალოდ, მათ მიერ დასახელებული კანდიდატი?

– მე არ გახლავართ „სოლიდარობის“ წევრი, მაგრამ მე დავთანხმდი ამ ორგანიზაციის ლიდერების შემოთავაზებულ წინადადებას, ვიყარო კენჭი უმთავრესი მიზნით – ერთხელ

და სამუდამოდ (ვიმეორებ, ერთხელ და სამუდამოდ!) მოვსპონ და დავასამარო საქართველოში პარტიული კუთვნილების ნიშნით კადრების შერჩევისა და დასაქმების დისკრიმინაციული და ყოვლად უსამართლო პრაქტიკა. დღეს, არამცთუ თანამდებობებზე, არამედ თვით უბრალო სამუშაო ადგილებზეც კი, ინიშნებიან (საქმდებიან) მხოლოდ გაბატონებული პარტიის წევრები, ხოლო უპარტიოს, ან ოპოზიციური პარტიის (ნამდვილი ოპოზიციის) ნარმომადგენელს არავითარი პერსექტივა არა აქვს ამ ქვეყანაში, არამედ განწირულია უმუშევრობისათვის და შიმშილით სიკვდილისათვის. თბილისის მერი უნდა იყოს უპარტიო.

მე ვიზიარებ ყველა იმ პარტიის პლატფორმას, რომელიც ითვალისწინებს ხალხის, საზოგადოების და თბილისის მოსახლეობის თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, განურჩევლად ასაკისა, პარტიული კუთვნილების და აღმსარებლობისა და ეროვნებისა.

– **თქვენ ბრძანეთ, ასაკი. ეს საკითხი, სააკაშვილის ანტისახალხო ხელისუფლებამ ძალზე მტკიცნეული გახადა.**

– 40 წელს მიღწეულ ადამიანებს წაართვა შრომისა და დასაქმების უფლება და სამსახურებიდან გამოყარა.

– **თქვენი მერობის შემთხვევაში ვიქონიოთ იმედი, რომ მოსპობთ ამ ყოვლად გაუმართლებელ ასაკობრივ ცენზს და ადამიანს მისცემთ შესაძლებლობას იმუშაოს საპენსიო ასაკამდე მაინც და დასწევთ, თუ არა საპენსიო ასაკს?**

– საპენსიო ასაკს აუცილებლად დავწევ, ხოლო ადამიანებს მიცემ შესაძლებლობას, არამცთუ საპენსიო ასაკამდე, არამედ (თუ იგი შრომისუნარიანია) იმუშაოს საპენსიო ასაკშიც. თბილისის მერმა უნდა შეძლოს კონსოლიდაცია ყველა პარტიის ლიდერების, რომ მათთან ერთად შეიმუშაოს ახალი სამუშაო ადგილებისა და დედაქალაქის განვითარების პროგრამა, ხოლო კადრების შერჩევა უნდა ხდებოდეს მხოლოდ პროფესიონალიზმის, კეთილსინდისიერებისა და პატრიოტიზმის ნიშნით. ყველა თანამდებობის პირს უნდა უყვარდეს თავისი ქალაქი და

ხალხი. ერთპარტიული სისტემა მიუღებელი და დაუშვებელია, რამეთუ იგი წარმოშობს ანტაგონიზმს და მუდმივი დაპირის-პირების სახიფათო მუხტის მატარებელია. ეს შეამიანი წყარო უნდა მოისპოს, რათა დამკვიდრდეს მშვიდობა თანამოქალაქეებს შორის, რათა სიყვარულით ვაკეთოთ და ვაშენოთ. ჩემი მერად არჩევის შემთხვევაში კადრები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებით დაკომპლექტდება. მე ამის პირობას ხმამაღლა ვდებ. ეს არის ჩემი კრედო, ხოლო ჩემი სლოგანი – „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“.

– ბატონო თამაზ, მაშასადამე, თქვენ, როგორც მერობის კან-დიდატი, თბილისის ამომრჩევლების წინაშე დებთ პირობას, რომ მოქალაქეთა დასაქმების საკითხში აღმოფხვრით შევარდნაძის ეპოქიდან დამკვიდრებულ დისკრიმინაციას და იხელმძღვანელებთ მხოლოდ პატიოსნების, პროფესიონალიზმისა და არა პარტიული კუთვნილების ნიშნით?

– მე საქართველოში მიცნობენ, როგორც შეუვალ და უღალატო პიროვნებას. მე ვიქნები პირველი გამტარებელი და დამცველი სამართლიანობის. ჩემს ქალაქში, ჩემი მერობის პერიოდში, დაჩაგრული ადამიანი, თავის კანონიერ უფლებებში, აღარ იარსებებს! თბილისელებისათვის, ჩემთან მოსასვლელი ყველა გზა იქნება ღია. მე, მოქალაქეებს, სააკაშვილის მინისტრებისა და მერების მსგავსად, არ დავემალები, არამედ მოქალაქეები-სათვის დავანესებ ყოველკვირეული მიღების დღეებს. შეიძლება ყველას ყველა პრობლემა ვერ მოვუგვარო, მაგრამ თავიანთი პრობლემის ჩემთან მოტანის უფლებას არ წავართმევ. მე ვიქნები ნამდვილი სახალხო მერი, ჩემს ხალხზე და ქალაქზე ჭეშმარიტი მზრუნველი მერი.

– როგორი იქნება თქვენი მიღგომა ძველი თბილისის უბნები-სადმი, ისტორიული და კულტურული ძეგლებისა თუ საცხოვრებელი სახლებისადმი, იზრუნებთ თუ არა მისი იერსახის შენარჩუნებისა და დაცვისათვის?

– ეს ჩემი, როგორც პატიონტი პიროვნებისათვის ღირსების საკითხია და მასზე ზრუნვა პრიორიტეტი იქნება ჩემთვის. სი-

ძველეებთან მიმართებაში დაცული და გათვალისწინებული იქნება თვით ნიუანსიც კი. ჩემი საქმიანობა, მშენებლობა-რეკონსტრუქციის საკითხში, დაემორჩილება ერთადერთ დიქტატს – არქიტექტურას, რომ არ დამახინჯდეს ხედები და არ დაინგრეს თვით ნაკლები მნიშვნელობის ძველი შენობა-ნაგებობაც კი. ძველი თბილისის აღდგენა-შენარჩუნება წახალისებული იქნება ბიზნესის მხრივ, მაქსიმალურად გავამარტივებთ ბიზნესმენთა საქმიანობას ძველ თბილისთან მიმართებაში, რათა თბილისი გადაიქცეს კიდევ უფრო მიმზიდველ ქალაქად.

– ბატონო თამაზ, ძველ თბილისზე არანაკლებ პრობლემატურია ურბანისტული თბილისიც, რომელსაც საბჭოური და პოსტ-საბჭოური ეპოქებიდან შემორჩა დაწყებულ-დაუმთავრებელი შენობები, რომლებსაც, თითქმის ყველა, თვით ცენტრალურ უბნებშიც კი მრავლად ვაწყდებით. უპატრონოდ დაგდებულ-მიტოვებული ეს შენობები (დაუანგულ ამნე-კრანებიანად) საზარელ სიმახინჯედ ქცეულან. ვიქონიოთ იმედი, რომ თქვენი მერად არჩევის შემთხვევაში, ბოლოს და ბოლოს დასრულდება დაწყებული მშენებლობები და თბილისში ალარ იარსებებს რკინა-ბეტონის საზარელი ჩონჩხები?

– აუცილებლად! ჩემი არჩევისთანავე, ძალიან სწრაფად შედგება ნუსხა დაწყებული მშენებლობებისა, მივიღებთ კონკრეტულ მიმართულებას და გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ობიექტების, მშენებლობების დასრულებისა, ხოლო, რომელიც ვერ ჩაჯდება დღევანდელი არქიტექტურის საერთო ანსამბლში, მოვახდენთ მის დემონტაჟს. ამ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო საკითხის გადაწყვეტაში მე მოვიწვევ ყველა სპეციალისტს, რათა კომპლექსურად შევისწავლოთ და გადავწყვიტოთ საკითხი – გავათავისუფლოთ თბილისი ყოველგვარი სიმახინჯებისაგან. რასაკვირველია, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ვექცეოდი და მოვექცევი საკულტო დანიშნულების ძეგლებს, რომელიც ფაქტიზ მიდგომას საჭიროებს. არ შეიძლება მკვეთრი დისონანსის არსებობა ძველ და ახალ ნაგებობებს შორის. მოკლედ, იმუშავებს სპეციალისტებისა და პატრიოტების ჯგუფი, რომლებიც

მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს, რათა მომავალ თაობებს დარჩეს ძველი თბილისის უნიკალური ნაგებობები.

– როგორც მერობის კანდიდატი, რას პირდებით თბილისის მოსახლეობას სოციალური დონის ამაღლების მხრივ, როგორ აპირებთ გაბატონებული სილარიბის დაძლევას, გაქვთ თუ არა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თქვენებული პროგრამა?

– საქართველოში ყოვლად მოუწესრიგებელია საპენსიო სისტემა. არ შეიძლება მაღაროელსა და ქუჩების მხვეტავს, ან ყარაულს თანაბარი პენსია ჰქონდეს. სამუშაო ადგილების შექმნაც და საპენსიო საკითხებიც ცენტრალურ მთავრობასთან ერთად გადასაწყვეტი საკითხებია. უნდა შემუშავდეს დიფერენცირებული საპენსიო პროგრამა და ამასთანავე, გაიზარდოს მინიმალური პენსია. ხოლო, პენსიონერის დაკრძალვის ხარჯები, მთლიანად სახელმწიფომ უნდა გაიღოს. ასეა ეს ყველა ცივი-ლიზებულ ქვეყანაში. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს თავის მოქალაქეებზე – ცოცხლებზე და გარდაცვლილებზეც. ჩვენ პენსიონერებს ძალიან დიდი პატივი უნდა ვცეთ, უნდა შევიმუშავოთ სათანადო პროგრამა. რაიონის გამგებლებს უნდა მივცეთ მეტი უფლებები, რომ ადგილზე გადაწყვიტონ მრავალი პრობლემა და ყველაფერში დამოკიდებული არ იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებაზე. ადამიანებს უნდა მივცეთ უფლებები თავად წყვეტდნენ მრავალ პრობლემას.

– ბატონო თამაზ, ალბათ, თქვენი მერობის დროსაც იქნებიან უკმაყოფილო ადამიანები, იქნება მიტინგები, როგორ გამოხატავთ თქვენს დამოკიდებულებას მომიტინგეთა მიმართ, თქვენც დაარბევთ?

– არავითარ შემთხვევაში! მე, მიტინგების დარბევის განკარგულებას, თვით პრეზიდენტისგანაც კი არ აღვასრულებ! მიტინგების უფლება კონსტიტუციური უფლებაა და ამ მხრივ, მოქალაქეებს სრულ თავისუფლებას მივანიჭებ – თვით ჩემს კაბინეტშიც მივცემ მიტინგის მოწყობის უფლებას. მე არ დავემალები და არ გავეძლევი ჩემს ხალხს. მიტინგები მოაქვს არასწორ მუშაობას. სწორად და სამართლებრივად უნდა იმუშაო

და მიტინგებიც აღარ იქნება. აი, ეს არის გამოსავალი და არა, დარბევა.

– მერად არჩევის შემთხვევაში, ხომ არ იზრუნებთ, თბილისის სკოლებში რელიგიის სწავლების აღდგენაზეც, რამეთუ მოზღვავებული გარყვნილობის ინსტიტუციების ფონზე კატასტროფულად ირეცხება მოზარდის ზნეობა და მორალი, იშლება ფსიქიკა, ხდება წაქეზება კრიმინალისადმი, რის შედეგადაც ვკარგავთ მომავალ თაობებს.

– დიახ, სამწუხაროდ, მოზარდის ზნეობრივ-მორალური ფორმირება, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გლობალურ პრობლემად იქცა და მან, გეთანხმებით, ძალზე საშიშ ზღვარს მიაღწია. ჩვენ, ეკლესიასთან ერთად, უნდა ვიზრუნოთ ამ პრობლემაზე, მოვალენი ვართ. მართლმადიდებლური რელიგია, ყველა რელიგიაზე მეტად პროგრესული რელიგიაა და იგი სკოლებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს, თუმცა, ვაცხადებ რა ამას, ეს არ ნიშნავს, რომ პატივს არ ვცემდეთ სხვა რელიგიებს. ეს ქვეყნის განვითარებას ხელს არ შეუწყობს.

– ბატონი თამაზ, როგორია თქვენი პოლიტიკური ორიენტაცია: დასავლეთი – ნატო, თუ რუსეთი?

– ჩვენი გზა და ხიდი ყოველთვის იყო ევროპა, ამ გზით გაგვქონდა ჩვენი კულტურა და მას საქართველოს სახელი ერქვა, ხოლო რუსეთთან კავშირით, ყოველთვის ჩაკარგული ვიყავით, როგორც კოლონია. რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა გვქონდეს და უნდა ვიაროთ ევროპის გზით.

– გმადლობთ საინტერესო ინტერვიუსთვის, არჩევნებში გამარჯვებას გისურვებთ.

ესაუბრა ქეთევან ჭანტურია
გაზითი „განმათავისუფლებელი“ №24
2010, მარტი

აჰჩევნების ექთ

თბილისის მერის არჩევნები ახლოვდება. მაისის ბოლოს ქალაქის მოსახლეობა გადაწყვეტს, ვინ იქნება დედაქალაქის მერი 4 წლის განმავლობაში. ოპოზიციური კანდიდატები საარჩევნო კამპანიის დაწყებას არ ჩეკარობენ. მოძრაობა „სოლიდარობამ“ კანდიდატად თამაზ ვაშაძე წარადგინა. ვაშაძე ქალაქის ისტორიაში პირველი მერი, 1991 წელს, უკვე იყო. მისი თქმით, იმ დროს ბევრი ცუდი რამ დაემთხვა, მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ეროვნული ხელისუფლება დაემხო. როგორც ვაშაძე აცხადებს, ბრუნდება იმიტომ, რომ რაც 20 წლის წინ ვერ მოახერხა, ახლა გააკეთოს.

– დაახლოებით ოცი წლის წინ თქვენ იყავით ქალაქის თავი. როგორ ფიქრობთ, რითი დაამახსოვრეთ თავი ხალხს და დაგეხმარებათ ეს გამარჯვებაში?

– ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა თბილისში. იმ პერიოდში სახელმწიფო გადატრიალებასთან ერთად მოხდა საქართველოში ყველაზე დიდი მიწისძვრა, რამაც მასობრივი ნგრევა გამოიწვია რეგიონების. მაშინ მიმართული ვიყავით იმისკენ, რომ არ მომხდარიყო რეგიონების მიგრაცია.

იმ პერიოდში მიეცა დიდი ბიძგი მუსკომედიის თეატრის შენებლობას. გავაკეთოთ გლდანი-ნაძალადევის გზა, რაც საცობებს ქმნიდა. ქალაქში არ მომხდარა არც ერთი მკვლელობა და დანაშაული.

ვიღებდი ქალაქის მოსახლეობას, არა ისე, როგორც დღეს: ადამიანები რომ ეზიზლებათ. შეიძლება ადამიანს არ გაუკეთო, ვერ გაუკეთო, მაგრამ არ მოუსმინო – არის უდიდესი დანაშაული. ამ მთავრობამ ვერ გაიგო, რომ ხალხის დაქირავებულია, ის უხდის ფულს და უნდა ემსახურებოდეს. ლითანიშვილიდან მოყოლებული, ჩემ შემდეგ ვინც იყო, ყველა ქალაქის მერზე კომპრომატები დევს. დღეს ამბობენ, რომ შევარდნაძე, ბურჯანაძე, ნოღაიდელი, ძიძიგური, პოლიტიკოსები არიან. სამარცხვინოა, პოლიტიკოსი გერქვას და ქვეყნის ტერიტო-

რიებს კარგავდე. ვერავითარი სასწორი ვერ გადაწონის, რაც შევარდნაძემ და სააკაშვილმა გააკეთეს.

– გარდა იმისა, რომ გაქვთ მერობის გამოცდილება, კიდევ რა გამოგარჩევთ სხვა კანდიდატებისგან?

– ამ ბრძოლის ველზე ყველა გამოიდის გავლილი გზით. მომავლით ვაჭრობა არ შეიძლება, იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, მომავალში ვინ რას გააკეთებს. ყველა რგოლი გავიარე, ოსტატიდან დაწყებული, მინისტრით და მერობით დამთავრებული. არც ერთი რგოლი არ გამომიტოვებია, როგორც დანარჩენებმა, დაიბადნენ და საბავშვო ბალიდან პირდაპირ ქალაქის მერი უნდა გახდენენ.

მჯერა თბილისის მოსახლეობის სალი აზრის, რომელიც მივა საარჩევნო ყუთთან და არ გაყიდის სამშობლოს. მე ხელი წავავლე თბილისის მოსახლეობას მაჯაში და მისი მაჯისცემა მესმის. შინაგანი ძალა არც ერთს არ აქვს. შინაგან ძალას ღმერთი დებს კოდში, ამას სწავლა-განათლება არ უნდა.

– რას მოიცავს თქვენი პროიგრამა? რას სთავაზობთ ამომრჩევლებს?

– პირველი, ეს არის თბილისის განტვირთვა; ასევე, შეიქმნას სამუშაო ადგილები რეგიონებში, რომ დავაბრუნოთ თბილისიდან ხალხი თავიანთ კუთხებში. თუ ათ წელიწადში ეს არ მოხდა, საქართველოს მშველელი დედამიწის ზურგზე არ იქნება. უნდა შევუქმნათ ყოველგვარი პირობა, ავუშენოთ სახლები, რომ მოვახდინოთ მათი მიგრაცია, თორემ დაცარიელებულ ადგილებს დაიკავებს სხვა ერი, ეს ლოგიკაა.

– როგორ წარმოგიდგენიათ ამის გაკეთება?

– ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად. სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას თბილისში. მეცნიერებასთან ერთად უნდა გადაწყდეს, რა დარგის ქარხნები უნდა აშენდეს, სად დასაქმდეს ხალხი და როგორ. ამაზე უნდა იმუშაონ ექსპერტებმა. უნდა იყოს კოალიციური მთავრობა. არავითარი პარტიული მერი! ჩვენს მთავრობაში ყველა პარტიის წარმომადგენელი იმუშავებს, ოლონდ უნდა იყოს პროფესიონალი. არ იქნება

ასაკობრივი ზღვარი. გაიზრდება პენსიონერების პენსიები და მასწავლებლების ხელფასები.

რომ ნახონ, რა თანხებია ჩადებული ნაციონალების საარჩევნო კამპანიაში, რომლებსაც ყოველ 10 კაცზე ერთი 150-ლარიანი კოორდინატორი ჰყავთ, შოკში ჩავარდება თბილისის მოსახლეობა. უდიდეს დახმარებას გავუწევ ხელოვნების მუშავებს, სპორტსმენებს, ახალგაზრდობას, ამაზე იმუშავებს კომისიები.

– რას მოიცავს თქვენი საარჩევნო კამპანია?

– ხალხთან შეხვედრებს კარდაკარ, უბან-უბან. ვთხოვთ ხალხს, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, იფიქრონ და გააკეთონ ნორმალური არჩევანი.

– რა რესურსებს გამოიყენებთ საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად?

– დაფინანსება მნირი გვაქვს. არ გვაქვს ბილბორდების გაკეთების საშუალება. იმედი გვაქვს, ჩვენს აზრს მივიტანთ ხალხამდე და ხალხი გადაწყვეტს.

– თქვენი პოლიტიკური კარიერა დიდი ხნის განმავლობაში შეჩერებული იყო და მხოლოდ 20 წლის შემდეგ გადაწყვიტეთ ასპარეზზე გამოსვლა. რატომ?

– 10 წლის განმავლობაში იმიგრაციაში ვიყავი. სამშობლოს ღალატის მუხლით დამდევდა შევარდნაძის მთავრობა. მაგრამ შემდეგ მთავრობამ მცნო, როგორც რეპრესირებული და 2001 წელს დავბრუნდი.

– რატომ გადაწყვიტეთ მაინცდამაინც ახლა მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

– ინტელიგენციის უდიდესმა ნაწილმა, პროფესორებმა, მთხოვეს, მეყარა კენჭი. მეც თავს მოვალედ მივიჩნევ, დავაბრუნო ჩემი კანდიდატურა. შემიძლია უდიდესი საქმე გავაკეთო ჩემი ქალაქისთვის.

– რას გვეტყვით სხვა კანდიდატებთან დაკავშირებით? სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით ოპოზიციურ კანდიდატებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი ირაკლი ალასანიას აქვს.

– ეს რეიტინგები ისე კეთდება, როგორც უნდათ. ალა-სანიას როგორ ექნება მაღალი რეიტინგი, კვირაში ოთხჯერ იცვლის პოზიციას და თხუთმეტჯერ მიმართულებას. მტერიც უნდა გიყვარდეს, იმიტომ, რომ იცი, მტერია.

– კანდიდატებიდან ვის მიიჩნევთ თქვენს კონკურენტად?

– ჩემი კონკურენტი არის მხოლოდ გიგი უგულავა, ვინაიდან უგულავა იყენებს სახელმწიფო რესურსებს ყველა მიმართულებით. ყოველ საღამოს გამოდის და ამბობს, წყალი გავაკეთეთ, გზა გავაკეთეთ. თბილისელებო, ქართველებო და არაქართველებო, თბილისის მერი იმიტომ არის, რომ გზაც დააგოს და სახურავიც გააკეთოს. ფული და რესურსები იმას აქვს. პარტიული მერი იმიტომ არ უნდა იყოს, რომ ინვესტორები არ დაფრთხნენ: 2 წლის მერე სხვა პარტია მოვა და დაზარალდება.

– უგულავასთან კონკურენციაში გამარჯვების შანსს როგორ შეაფასებთ?

– მე შანსი არ მაქვს, შანსი აქვს თბილისის მოსახლეობას.

– თქვენს პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით რას გვეტყვით?

– მხოლოდ დასავლეთი. პირდაპირ უნდა გავიდეთ პროგრესულ ევროპაზე. არც იმას გამოვრიცხავ, რომ რუსეთთან უნდა გვქონდეს ნორმალური ურთიერთობა. რუსეთი რა მტარვალია, ყველამ იცის, მაგრამ მეზობელს ვინ შეგვიცვლის?!

– რა კომენტარი გაქვთ იმ პოლიტიკოსების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რუსეთთან ლია კავშირი რომ გადაწყვიტეს?

– მაგათ გააკეთეს თავიანთი თავის ლუსტრაცია. თუ ვინმეს ჰასკონია, რომ იქ ჩასვლით აფხაზეთს და ოსეთს დაიბრუნებს, ეს არის ხალხის მოტყუება. ასე ატყუებდა შევარდნაძე ხალხს, 96 წლიდან დაიწყება აღმავლობა საქართველოში. ასე ატყუებდა სააკაშვილი ხალხს, მეორე არჩევნებზე აფხაზეთი ჩვენი იქნებაო და დაკარგა კიდევ ამხელა ტერიტორია.

საქართველოში პასუხი არავის არაფერზე არ უგია. სახელ-

მწიფო გადატრიალება მოხდა, დააქციეს საქართველო, ერთი კაცი არ არის დასჯილი და მათი ლიდერები ლექციებს კითხულობენ – კიტოვანი, სიგუები და სხვები. ეს ცინიზმია. ასეთი ქვეყანა ქვეყანა არ არის.

იმიტომ ვპრუნდები, რომ დამნაშავეები ვამხილო.

„ჯი-ეიჩ-ენი”, ესაუბრა ინგა ბაჯელიძე

ქართველი ხალხი 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის გამარჯვებას ცის გახსნასავით ელოდა. ყველა თვლიდა, რომ ის იყო ადამიანი, რომელიც საქართველოს ჭაობიდან ამოიყვანდა და ფეხზე დააყენებდა. იხსენებდნენ და აფასებდნენ მის გაკეთებულ საქმეებს და იმედის თვალით შეჰყურებდნენ. ერთი წლის თავზე კი აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთ-ერთ დანაპირებს ასრულებს – პოლიტიკიდან მიდის. იმედგაცრუებული მოსახლეობა გაოცებული კითხულობს: ან რისთვის მოვიდა, ან სად მიდის და ვის ხელში გვტოვებს? ვინ არის ბიძინა ივანიშვილი? როგორ იცნობენ მას ყოფილი თანამშრომლები და რა ინტერესები ჰქონდა ხელისუფლებაში მოსვლისას, „საქართველო და მსოფლიოს“ თბილისის ყოფილი მერი თამაზ ვაშაძე ესაუბრა.

– ბატონო თამაზ, ბიძინა ივანიშვილის გარშემო მრავალი მოსაზრება არსებობს: ზოგი ამბობს, რომ ის მესიაა, ზოგი ამბობს, რომ ის განაწყენებული ბიზნესმენია, რომელიც რევანშისთვის მოვიდა. თქვენ მას იცნობთ, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი?

– ბიძინა ივანიშვილის ახლობლობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ის საქართველოს ეკონომიკას ვერ ააღორძინებს. მინდა, ყველამ კარგად იცოდეს, რომ ფულის შოვნა ეკონომიკის ცოდნას არ ნიშნავს. ფულის შოვნის უამრავი თაღლითური გზა არსებობს. ბევრი თაღლითი ვიცი, რომელსაც ფული აქვს, მაგრამ ბევრმა მათგანმა ეკონომიკის საკითხები არ იცის. ეს რომ ასე არ იყოს, განა ერთი წელიწადი ცოტა დროა იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკას წინსვლის ნიშანწყალი ეტყობოდეს!?

მქონდა „ბედნიერება“, ივანიშვილის ორგანიზაციაში მემუშავა. რაც იქ დამხვდა და ვნახე, იმის გადმოცემა შეუძლებელია. სამი თვე მიმდინარეობდა ჩემთან მოლაპარაკება, რომ იქ დამენცყო მუშაობა, ჭაობიდან ამომეყვანა და ეს გავაკეთე კიდეც. ზუსტად იქ ნანახი მაძლევს იმის თქმის საშუალებას,

რომ ივანიშვილი ეკონომიკის აზრზე არ არის. ამ სიტყვებს ყველგან და ყველასთან ვიტყვი.

ყველას აინტერესებს, რატომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი? იმიტომ, რომ ის ყოველთვის სხვის განკარგულებას ასრულებდა – ჯერ შევარდნაძის, მერე სააკაშვილის, მაგრამ მობეზრდა და, როგორც კი მომენტი წახა, იმ წუთში ოცნება აისრულა. არისტოტელე ამბობს: „ოცნება ფხიზელი კაცის სიზმარიაო“... ის მთელს ფულს წლების განმავლობაში ინტელიგენციისთვის თავის მოსაწონებლად ხარჯავდა, ქველმოქმედებდა... დამისახელეთ მთელ მსოფლიოში ერთი მილიარდერი ან თუნდაც მილიონერი, რომელსაც ფულის ხარჯვას არ აიძულებენ.

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს რომ ვერ გადაარჩენს, იქიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ დაუსჯელები არიან ის ადამიანები, რომელთაც მიწები დაკარგეს ყოფილ და ახლანდელ პრეზიდენტებს ვგულისხმობ. არ არის ბიძინა ივანიშვილი ის კაცი, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის დარდსა და წუხილს გაიზიარებს. ვითომ რამე გააკეთა და ახლა იძახის, რომ მივდივარ, ჩირგვში დავჯდები და კონსულტაციებს იქიდან გაგინევთო. გეკითხებით უურნალისტებს, მსოფლიოში ასეთი პრეცენდენტი არსებობს? არსებობს ისეთი რამ, რომ პრეზიდენტი ან პრემიერი ოფიციალურ შეხვედრებს საკუთარ სახლში მართავდეს? საქართველოში კანცელარია არ არსებობს, სამუშაო ოთახები არ გვაქვს? ან ვინმეს თუ უნახავს, რომ ამერიკის ელჩი ჯერ ოპოზიციის, ხოლო შემდეგ მთავრობის მეთაურს შინ სტუმრობდეს? ძალიან შემაშფოთებელი და საეჭვო ვითარებაა.

ვმუშაობდი ივანიშვილთან და კარგად ვიცი, რას, როგორ უძღვებოდა. მე მისი პირადი პატიმარიც ვიყავი და ჩემი გულისთვის 20 პატიოსანი ადამიანი განირა.

– რისთვის დაგიჭირეს?

– ობიექტი გაძვირდა 220 ათასი ლარით და ეს სადაცო გახდა, ამას მედავებოდნენ. ისინი ამბობდნენ 220 ათასს და ვერ მიმტკიცებდნენ, რატომ ასახელებდნენ აღნიშნულ თანხას, მათ არ ჰქონდათ შესაბამისი საბუთები. ჩემი მასთან მუშაო-

ბის პერიოდში მან მილიონები იშოვა, ასე ვთქვათ, ვაჩუქე. არნახული სასამართლო პროცესი მქონდა. ივანიშვილი დღეს ადეიშვილს იმიტომ ნატრობს, რომ იმ პერიოდის პროკურატურას სწორედ ჩვენი პრემიერი განაგებდა. დღევანდელი გადასახედიდან ვთვლი, კარგია, რომ დამიჭირეს, რადგან მაშინ ბევრი რამ ვნახე. ბევრი პატიმრის ცოდვა გამომძიებლების კისერზეა. პროკურატურასა და სასამართლოში რომ უცოდინარები ისხდნენ, ისეთი არსად მინახავს.

ნორმალური ხელისუფლების პირობებში შეიძლება სააკაშვილი გარეთ დადიოდეს? ქართველების დიდ ნაწილს ნანახი არ ექნება, რა ტერიტორიები დავკარგეთ. შეუძლებელია, ივანიშვილმა საქართველო წამონიოს. ნახეთ, ვინ დგანან მის გვერდით.

მან წამოაბიბინა საქართველოს დამლუპველი ადამიანები. მისი მრჩეველია ირაკლი მელაშვილი, ადამიანი, რომელსაც საქართველოს საკეთილდღეოდ ერთი დღეც არ უცხოვრია. ის მთელი ცხოვრება საქართველოს წინააღმდეგ მუშაობდა.

არ ვიცი, რა სურვილები აქვს ივანიშვილს. ბიბლიაში ნათქვამია: „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო...“, მაგრამ შვიდმილიარდიან ბიზნესს კეთილი საქმეებით არავინ გაწარმოებინებს. შეხედეთ მის მინისტრებს. ვთქვათ, განათლების მინისტრი. პატარა გოგო, რომელსაც დედამიწის ზურგზე არაფერი გაუკეთებია, არ უცხოვრია, ამბობენ, რომ კარგი ფინანსური მენეჯერია. თუ ფინანსური მენეჯერია, მაშინ სხვა თანამდებობა შეურჩიონ. განათლების მინისტრმა ურთიერთობა უნდა იქონიოს აკადემიკოსებთან, პროფესორებთან. რაკი ასეთ თანამდებობაზე შესაფერის კადრს არ ნიშნავ, ე. ი. შენ არ გინდა ამ სფეროს წინსვლა.

ვინ არის რეინტეგრაციის მინისტრი? მოგისმენიათ ტერიტორიების დაბრუნების მისეული გეგმა? თურმე ჩვენ ისეთი ცხოვრება უნდა შევქმნათ, რომ აფხაზებმა და ოსებმა ჩვენთან ცხოვრება მოისურვონ. დარბიან და მთელ მსოფლიოში გაყვირიან, არალიარების პოლიტიკას მივხედოთო, იმდენს ვერ

ხვდებიან, რომ თავად რუსეთს არ აძლევს ხელს აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება. მინდა ვკითხო: – ვის აბურთავებენ? ვის ასულელებენ ეს მართლა სულელები? დამიჯერეთ, ეს ადამიანები შეურაცხადები არიან!

ივანიშვილმა და მისმა გუნდმა იმას მიაღწიეს, რომ დღეს სააკაშვილი გამოდის და „ნაციონალების“ აღორძინებაზე საუბრობს. ლანდსბერგისი გამოვიდა და თქვა: „ქართველი ხალხი ხმებს ყიდისო“, მერე გამოვიდა თინა ხიდაშელი და ლანდსბერგისის ლანდგვა დაიწყო, კაცის, რომელმაც მთელი უზენაესი საბჭო გადაარჩინა და მალულად გზა ევროპისკენ გაუხსნა. ვინ არის თინა ხიდაშელი, ამას რომ ბედავს? არადა, ის ადამიანი მართალი იყო, ჩვენ ბრძოდ ვიქეცით, მართლაც ვყიდით ხმებს და ასეთი უამრავი ფაქტის დასახელებაც შემიძლია.

ერთი წელი გავიდა და საწარმოების გახსნაზე ისევ ამაოდ საუბრობენ. რაჭაში რომ მინისძვრა მოხდა და იქაურობა დაინგრა, ზუსტად ორ კვირაში ყველა საწარმო აღდგენილი იყო და მუშაობდა. რა უშლის ხელს საწარმოების გახსნას? არ არის ნება და არ არიან სპეციალისტები. ჩვენ წინა მთავრობას ვუჩიოდით, რომ მინისტრებმა შრომის წიგნაკები მინისტრის თანამდებობით გახსნესო, ასეთივე სიტუაციაა დღესაც.

პრეზიდენტობის კანდიდატები მინდა ვახსენო. მარგველაშვილი ჯამების რახუნით შეაშინა ბენდუქიძემ და უკან დაახევინა, წიგნები უფასოდ დაარიგა და ამას ისეთი ინსტრუქცია მოაყოლა, რომ ბავშვები შიშით წიგნს ხელს ვეღარ ჰყიდებენ; მთა-თუშეთში ხალხთან შეხვედრისას განაცხადა, ჩემი საარჩევნო კამპანია სილადეზეა დამოკიდებულიო. რას წიშნავს სილადე? ლალია? ბედნიერია? მარგველაშვილი ივანიშვილის კიდევ ერთი ფარსია.

დავით ბაქრაძე ქართველ ხალხს ჩანგლით ბრძოლისკენ მოუწოდებდა. ყველა ბინძური კანონის მიმღები ეგ არ არის?

ვინ არის გიორგი თარგამაძე? ნუთუ დაავიწყდა ხალხს მისი და გრიგოლიას ტყუილები? წყალი, გაზი და შუქი უფა-

სოდ გექნებათო? მტკვრიდან უნდა დაგველია წყალი? წყალი სახლში სანამ მოვა, ნეტავ, იცის, რა გზები უნდა გაიაროს?

საქართველოში აუცილებელია, იყოს კანონი, რომელიც ფულის წარმომავლობის საკითხს შეისწავლის. ასეთი კანონი ყველა ქვეყანაშია, მაგრამ ხელს არ აძლევს ქურდებს. მე იმ ქურდებს არ ვგულისხმობ, კანონიერებს რომ ეძახიან. ამ ქვეყანაში უღირსი საქციელი ღირსებად იქცა.

– პრემიერი თავადაც ამბობს და ხალხიც ასე აფასებს, რომ ის გულწრფელია.

– ის, რომ გულწრფელი იყოს, პრემიერობას არაფრით და-თანხმდებოდა. ქვეყნის მართვის ნიჭის ადამიანს ღმერთი აძლევს. საქართველოში ასი ათასი პრობლემაა, მან ამის მართვა ვერ შეძლო და გაქცევა არჩია. გინახავთ სადმე, პრემიერად არჩეული ადამიანი თანამდებობიდან ასე წავიდეს? შეიძლება ანგელა მერკელმა თქვას, რომ მე მივდივარ და კულისებიდან გიხელმძღვანელებთო? გვეუბნება, ინვესტორები მოვლენ და ფულს ჩადებენო. რომელი ინვესტორი მოვა და ჩადებს ფულს იმ ქვეყანაში, რომელშიც პრემიერი ყოველდღე იძახის მივდივარო. ივანიშვილი უკან გადადგმული ნაბიჯია. ის იმისთვის მოვიდა, რომ პოზიციები გაიმყაროს.

– ვიდრე ამხელა ფულს იშოვიდა, სად მუშაობდა ბიძინა ივანიშვილი?

– რა კარგი შეკითხვა დასვით. საქმე ისაა, რომ მას არას-დროს არსად უმუშავია. მის გარშემო რომ ამხელა ინტერესია, დაწეროს, სად მუშაობდა. 1985 წლიდან 1995 წლამდე რუსეთში უდიდესი ფული ტრიალებდა, განუკითხაობა იყო. ჩემთვის სულ ერთია, ფული ვის მოპარეს – რუსს თუ აფრიკელს, უბრალოდ, მიუღებელია. ორი მაგდენი ფული ჰქონდა ხოდორკოვსკის, მაგრამ დღეს ზონაში ფაჩუჩჩებს აკერინებენ. ივანიშვილი ის ადამიანი არ არის, რომლისგანაც პროგრესი იქნება მოსალოდნელი. შეხედეთ მის თითის ქნევას, უდიდეს დიქტატორებსაც კი არ უკადრებიათ უურნალისტებისთვის თითის ქნევა. მისი საქციელი სირცხვილია. მან ქართული ენაც კი არ იცის.

- ინგლისური იცის!
- კი, შექსპირი აქვს ნათარგმნი.
- კარგით, ივანიშვილი ასეთია, მაგრამ იქნებ მისმა გარემო-
ცვამ შეძლოს ქვეყნის ფეხზე დაყენება?

– რა გარემოცვა? ვინ რა უნდა გააკეთოს? რესპუბლი-
კელების რეიტინგი ერთ პროცენტზე მეტი არასოდეს ყოფილა,
ე. ი. ხალხს არ უყვარს. ჟორჟოლიანი? რომელიც ზუგდიდში
ხალხს ხოცავდა, ყოვლადწყალნაღებული კაცი; გაჩეჩიდაძე –
ადამიანი, რომელიც ზვიად გამსახურდის ჩაუშესკუს ეძახდა;
ნუკრი ქანთარია მხედრიონელი იყო. რომელი ერთი შეიძლება
ჩამოთვალო. დღეს ივანიშვილმა „მხედრიონი“ ააღორძინა, თან
ისე, რომ ყველაფერი იცოდა. მას ერთი ეროვნული ადამიანი
არ უდგას გვერდით, ეროვნული მხოლოდ სიტყვით კი არა, სა-
ქმითაც. ერთ წელიწადში ისე გასუქდნენ, რომ მაგათა ყურება
აღარ შეიძლება, ქუთაისში კარგი კერძების კეთება იციან.

აფხაზეთიდან დევნილი ხალხი ცემეს და ქუჩაში გამოყა-
რეს. ამ ადამიანების დაბინავება ზუსტად ერთ კვირაშია შე-
საძლებელი. დედასამშობლომ ისინი ვერ დაიცვა. კიბის ქვეშ
ბავშვებს აჩენენ, რომ საქართველოს მომავალი არ დაიკარგოს
და ესენი მათრახს ურტყამენ, დასცინიან. საქართველოს დე-
მოგრაფიული წინსვლა ყოველთვის სამეგრელოსა და აჭარის
ხარჯზე მიმდინარეობდა. ივანიშვილმა საქართველოს კუთხეე-
ბი არ იცის. დარწმუნებული ვარ, მას ბზიფის ხეობა ნანახი
არ აქვს, არ უნახავს, გულზე როგორ გახტებიან შვლები და
ირმები. მან არ იცის, რა დავკარგეთ, თორემ ეს რომ იცოდეს,
ამის დამკარგავი კაცი ტახტზე წამონალილი ვერ იქნებოდა.

ბიძინა ივანიშვილის აღსაზრდელი ვინ არის?! თურმე სა-
ზოგადოებრივ სექტორში გადადის და იქიდან უნდა გამოგვ-
ზარდოს. ივანიშვილით დაწყებული მთელი მთავრობა, ძველი
თუ ახალი, ყველანი ქოსატყუილები არიან. სოფლის მეურნეო-
ბაში ფული ჩადეს, რამე ნახეთ? დამიჯერეთ რა, ივანიშვილმა
მართვა არ იცის, არც შეიძლება რომ იცოდეს, რადგან არსად
უმუშავია.

პრემიერი ხალხთან შეხვედრებს ერიდება, მათი მოსმენა არ იცის. ერთხელ შაშიაშვილმა თქვა: „ბიძინასთან შეხვედრა მინდოდა და ასე შემომითვალა, შევარდნაძემ მითხრას და მიგიღებო“ . გარემოცვას აბრალებენ. ასე ხდება-ხოლმე ყოველთვის, როცა ცუდი მმართველია. ის თავის ხალხს გადაწყვეტილების მიღების უფლებას არ აძლევს. ივანიშვილის გარეშე ტუალეტში ვერ დადიან. წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავცვივდებით? ის წავა და ესენი კი მის გარეშე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ.

ესაუბრა ეკა ნასყიდაშვილი
„საქართველო და მსოფლიო“

გ ა ს ზ ე...

ბატონ თამაზ ვაშაძის წიგნის გამოცემას მივესალმები, რომელიც შეუფასებელია საქართველოს უახლესი ისტორიისათვის. უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, რომ დამდეთ პატივი, რათა დავაფიქსირო საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი პერიოდი, როდესაც საქართველოს მოსახლეობამ 1990 წლის 28 ოქტომბერს ხმა მისცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ხელმძღვანელს ზევიად გამსახურდიას, როთაც საფუძველი ჩაეყარა სამოცდაათწლიანი კომუნისტური მმართველობის დასრულებას; საქართველო განთავისუფლდა ოკუპანტებისაგან, რომელიც საყოველთაოდ იქნა აღიარებული 1990 წლის პირველ სესიაზე. ამ პერიოდიდან იწყება კომუნისტური სტრუქტურების მმართველობისა და იდეოლოგიის დემონტაჟი: იცვლება სახელმწიფო სიმბოლიკა-დროშა, გერბი, ჰიმნი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნაცვლად ცხადდება საქართველოს რესპუბლიკა, იქმნება დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ახალი კონსტიტუცია, რომლის პრეამბულაში ნათლად ფიქსირდება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების თარიღი – 1991 წლის 9 აპრილი, რომლის შემდგომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მსოფლიოს სახელმწიფოები აღიარებენ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს ყოფილ საბჭოთა სივრცეში. საქართველოსა და იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც ცნეს და აღიარეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების აქტი. მყარდება დიპლომატიური კავშირები, შესაბამისად საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა შორის იხსნება საელჩოები, ინიშნებიან ელჩები შესაბამისი უწყებებითა და საერთაშორისო კანონების დაცვით.

საქართველო ხდება ერთადერთი პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც ახორციელებს

ახალი მმართველობითი სისტემის შექმნას, იწყება საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი. საქართველოს დიდ ქალაქებში, სა-დაც კომუნისტური მმართველობის პერიოდში ფუნქციონირებდა რაიკომები, აღმასკომები და სხვა სტრუქტურები ფაქტობრივად ექვემდებარებოდნენ ზემდგომ ორგანოებს.

საბჭოთა ნომენკლატურისაგან განსხვავებით ეროვნული ხელისუფლების მიზანი იყო დამოუკიდებელი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც წარმოადგენდნენ ქალაქის განვითარების გეგმას – განათლება, ეკონომიკა, ჯანმრთელობის დაცვა, საფინანსო-სოციალური, ხელოვნების და მრავალ პრობლემებს მოსახლეობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით. შემოღებულ იქნა მერიის, პრეფექტურის, გამგეობის, საკრებულოს არჩევითი ორგანოები. ქ. თბილისის პირველი მერი გახდა ბატონი თამაზ ვაშაძე (1991 წლის აგვისტო), რომელიც უშუალოდ დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზევიად გამსახურდიას განკარგულებით. ბატონი თამაზ ვაშაძე არის პიროვნება, გარდა უმაღლესი პროფესიონალური გამოცდილებისა, ეროვნული იდეების დამცველი, შესანიშნავი მამულიშვილი, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული. მისი ფუნქცია მხოლოდ თბილისის აღმშენებლობისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვაში არ მდგომარეობდა, იგი ქმნიდა ახალ მნიშვნელოვან პროექტებს, რომელიც საქართველოს და მის დედაქალაქს სანიმუშოდ და მისაბაძ ქალაქად აქცევდა. მან შექმნა რამოდენიმე უნიკალური პროექტი, რომელიც შერწყმული იყო ჩვენი დედაქალაქის არქიტექტურულ იერსახესთან და ტერიტორიულ უნიკალურ ლანდშაპთან. იგი კატეგორიულად ემიჯნებოდა უსახო მრავალსართულიანი, თბილისისთვის და საქართველოსთვის მიუღებელ მშენებლობებს, როგორც საცხოვრებელს, ასევე საერო დაწესებულებების. იგი პრეზიდენტთან ერთად ითვალისწინებდა ქალაქის ეკონისტემის გაუმჯობესებას, მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის შენობებისა და პარკების მოწყობას. თანამშრომლობდა გეოლოგებთან, სეისმოლოგებთან, რითაც დაცული იქნებოდა საქართველოს მოსახლეობა. ქალაქის შე-

მოგარენში მწვანე საფარის შექმნის აუცილებლობა შეიმუშავა პრეზიდენტთან ერთად, რომელიც ეკალოგიურად დაიცავდა მოსახლეობას და შენობა-ნაგებობებს იხსნიდა სტიქიური უბე-დურებებისაგან. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მემო-რიალურ სახლებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რეაბილიტაციას, რათა შეენარჩუნებინა საუკუნეების მანძილზე დაცული ეროვნული თვითმყოფადობა, დედაქალა-ქისთვის გათვალისწინებული უნიკალური იერსახე. აქვე გათვა-ლისწინებული იყო ცენტრალური და რეგიონალური მუზეუმე-ბისა და სახლმუზეუმების რეაბილიტაცია-განახლება. ბატონი თამაზი უშუალოდ მონაწილეობდა კოლეური კოშკის აღდგე-ნა-რეაბილიტაციის პროექტზე, რომელიც სამწუხაროდ პუტჩის გამო ვერ განხორციელდა. პრეზიდენტთან ერთად ახორციე-ლებდა ეკლესია-მონასტრების პროექტებს, რომელთა აღდგენას საქართველოს ისტორიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონ-და. გარდა ზემოთაღნიშნული პროექტისა დაიგეგმა საუკუნის პროექტი, სრულიად საქართველოს მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემის ახალი ფორმით გარდაქმნა, კერძოდ, ქალაქის მიმ-დებარედ იგეგმებოდა ცენტრალიზებული სამედიცინო ქალაქის მშენებლობა.

საბჭოთა სისტემის ჩანაფიქრი იყო გიგანტური ჰესებისა და კაშხლების მშენებლობა, რაც უარყოფითად აისახებოდა საქარ-თველოს ტერიტორიასა და ეკოსისტემაზე. შემუშავდა მცირე ჰე-სების მშენებლობის პროექტი. ასე მზადდებოდა პროექტი სრუ-ლიად საქართველოს მაშტაბით საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავებელი ქარხნების მშენებლობისა, რაც ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სარგებელს მოუტანდა ქვეყანას.

1991 წლის 29 აპრილს ადგილობრივი დროით 13:13 საათ-ზე საქართველოს მტრების მიერ გამოწვეულმა ხელოვნურმა მიწისძვრამ უდიდესი მატერიალური ზიანი მიაყენა რაჭასა და იმერეთს. ეპიცენტრი ონსა და ამბროლაურში იყო 7 მაგნიტუ-და. მიწისძვრის შედაგად დაინგრა და დაზიანდა 46 000 შენო-ბა, დაზიანდა სახელმწიფო ობიექტები, რაჭაში განადგურდა

მრავალძალის ძველთუქველესი ტაძარი. ზარალი მაშინდელი კურსით 100 მილიონ მანეთს აჭარბებდა. მიწისძვრის შედეგები 700 სოფელზე გავრცელდა. განმეორებითი ბიძგები რამოდენიმე დღე გრძელდებოდა. საქართველოს ფინანსური დახმარება არც ერთი სახელმწიფოსგან არ მიუღია, შეთავაზებასაც ადგილი არ ჰქონია. რაჭა-იმერეთის მოსახლეობა დარჩა საცხოვრისის გარეშე, შეიქმნა სამთავრობო ჯგუფი, რომელიც უმოკლეს დროში შეძლებდა საცხოვრებელი სახლების აშენებას და მოსახლეობის დაბინავებას, რათა ზამთარი „ვაგონებში“ არ გაეტარებინათ. ბატონი თამაზი მაქსიმალურად ცდილობდა სამშენებლო მასალების მოზიდვას დაზარალებულ რეგიონებში. ტერიტორიული სიშორე ხელს უშლიდა აღდგენითი სამუშაოების დროულად დასრულებას. მისი უშუალო ინიციატივით ამბროლაურის რაიონში აშენდა რამოდენიმე ქარხანა, რომელიც უახლოესი ტერიტორიიდან მიაწვდიდა სამშენებლო მასალებს, რაც დააჩქარებდა მოსახლეობის დროულად შესახლებას. აქვე მინდა აღვნიშნო, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა სახლებისა იყო ერთსართულიანი ხის მასალის, ბატონი თამაზის ინიციატივით აშენდა ორსართულიანი აგურის შენობები, რომელიც უზრუნველყოფილი იყო საჭირო ინვენტარით. საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ძალების უდიდესი დარტყმა რამოდენიმე თვეში გრანდიოზული მშენებლობით დასრულდა. მტრული ძალების მიერ მიუღებელი აზრი დაფიქსირდა – „რა საჭირო იყო ორსართულიანი სახლები?!“ პასუხი: „ჩვენ ახალ საქართველოს ვაშენებთ!..

შეუფასებელია ბატონი თამაზის სიყვარული, ერთგულება, თავდადება სამშობლოს წინაშე. 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოში განხორციელებული პუტჩის დროს იერიში მასზე მიიტანეს. ბატონი თამაზი გატაცებულ იქნა კრიმინალური ბანდების მიერ, რომელიც რამოდენიმე დღე ტყვეობაში იმყოფებოდა, როგორც სამშობლოსა და პრეზიდენტის ერთგული. სამწუხაროა, რომ საქართველოს ისტორიის გამყალბებლები არსად არ აღნიშნავენ, რომ საქართველოს ჰყავდა სამაგალითო

პიროვნება ქალაქ თბილისის მერის სახით, რომელიც სიცო-ცხლეს არ იშურებდა თავისი სამშობლოსათვის. დღემდე ეს თემა ტაბუირებულია. არსად არ არის დაფიქსირებული ბატონ თამაზ ვაშაძის ლვანლი საქართველოს წინაშე.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია
21.07.2022 წელი

თამაზ ვაშაძე ისეთ ოჯახში, ისეთ გარემოში გაიზარდა, რომ წარმოუდგენელია მისგან სხვა მიმართულების კაცი დამ-დგარიყო, თუ არა საქართველოს ჭირისუფალი, საქართველოს მეციხოვნე, ქართული ეროვნული მოძრაობის მხარდამჭერი და აქტიური მონაწილე. ბატონი თამაზის ცხოვრების გზა განათე-ბულია იმ ულამაზესი წლებით, როდესაც მთელი ერი აქოჩილი გახლდათ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საბრ-ძოლველად.

ზვიად გამსახურდია, ეროვნული მოძრაობის თავკაცი, ჩემი თანაკურსელი იყო. ჩვენ უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით და იმ კარგ უნივერსიტეტში, სადაც არ შეიძლებოდა, ივანე ჯა-ვახიშვილის სკამზე მჯდარიყო უორა სიმონგულოვი (როგორც ეს ახლა ხდება) ჩვენ მარტო მეცნიერებას კი არ ვეუფლებოდით, არამედ ჩვენი მოძღვარი მამები და, მათ შორის ბევრი უნივერ-სიტეტის დამაარსებელთაგანი იყო, გვასწავლიდნენ, როგორ, რა გზებით უნდა მოგვეპოვებინა ის, რაც თაობათა სურვილი და ნატურა იყო.

ცოტა მოგვიანებით, ჩვენ რომ უნივერსიტეტი დაგამთა-ვრეთ, მიტინგებზე არაერთგზის ვხედავდი მაღალ, წარმოსადეგ, სიმპათიურ კაცს ზვიადის გვერდით. მოგვიანებით შევიტყვე, რომ იგი თამაზ ვაშაძე ბრძანდებოდა. გადიგრიალა რევოლუ-ციის ქარბორიებმა, გაჰყვა იმ გრიგალებს საბჭოთა რეუიმის „მშვენიერებანი“ და, როგორც იქნა, ქართველი ერის საამაყოდ

და სადიდებლად, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. იმ ბედნიერ დღეს სრულიად საქართველოისა, როცა ზვიად გამსახურდიამ ბრძანა, დამოუკიდებლობის ქარტიას ხელი მოვაწეროთ, თამაზ ვაშაძე ჩემს გვერდით იდგა. მე ახლაც ყურში ჩამესმის, რა ენთუზიაზმით, რა შინაგანი სიძლიერით უკრავდა იგი ტაშს თავისი ღონიერი, მძიმე ხელებით იმას, რომ ქართველი კაცის ოცნება აღსრულდა. მერეც ბევრჯერ დაეკიდა დამოკლეს მახვილი საქართველოს თავზე, მაგრამ ყველა პატიოსანი ქართველი ქარის მხრიდან ხელს აფარებდა ჩვენ დამოუკიდებლობას და თავისუფლების პატრუქი დღესაც ანთია მტრების ჯინაზე, დღესაც შუქს გამოსცემს და დღითიდღე უფრო ძლიერდება ამ აბურდულ-დაბურდულ მსოფლიოში.

არავის არ გაგვკირვებია, როდესაც თბილისის მერად ბატონი თამაზი აირჩიეს. იგი იყო მართლაც რევოლუციის გუგუნით მოსული პირველი მერი ჩვენი დედაქალაქისა. მე მომიხდა ერთხელ მისვლა მის კაბინეტში და გაოცებული დავრჩი. არავითარი მკაცრი მდივანი კაბინეტთან, არავითარი მიღების საათები. როგორც შეეფერებოდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამოუკიდებელ დედაქალაქს, ისე შედიოდნენ ეროვნული მოძრაობის ჯარისკაცები თავისუფლად და გამოდიოდნენ მერის ოთახიდან, ე. ი. თამაზ ვაშაძის კაბინეტიდან. მთელ თბილისში რომ ყველგან ჩაქრებოდა სინათლე, თამაზ ვაშაძის კაბინეტში ენთო და მე მიხაროდა, როცა ჩავივლიდი მწერალთა კავშირიდან წამოსული მის ფანჯრებთან, მიხაროდა, რომ მერი თავის ადგილზე იყო.

მერე, მოგეხსენებათ ისევ დაიგრაგნა შავი ღრუბლები ჩვენი დამოუკიდებლობის თავზე, შინაური და გარეშე მტრების დახმარებით დაამხეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება და სრულიად ბუნებრივია, მას გააყოლეს თბილისის მერი თამაზ ვაშაძეც და ამ უბედური წლების შემხედვარეს, მე როგორ უნდა მომნატრებოდა თბილისის ვაჟეაცი და მართალი მერი და როგორ უნდა გამხარებოდა, რომ რამდენიმე წლის მერე შევხვდი მას, ისევ შემართულს საბრძოლველად, ისეთივე მგზნებარე

იმერელ კაცს და მითხრა მაშინ, რვა წელიწადი საბერძნეთში, ჩემო რეზო, ავტობუსებს ვრეცხავდი და იმით ვირჩენდი თავსო.

თამაზ ვაშაძე – ეროვნული მოღვაწე, თამაზ ვაშაძე – უანგარო ფართო მასშტაბის ეროვნული ხელმძღვანელი, თამაზ ვაშაძე – დიდი ოჯახის შვილი, ბრწყინვალე ქართველი მსახიობის, მიხეილ ვაშაძის პირმშო დღესაც სჭირდება საქართველოს და თუ სადმე სამართალია, ჩვენი დედაქალაქის და ჩვენი ქვეყნის საერთოდ სწორად აშენებისა და აღდგენისათვის თამაზს, მამაჩემსა აქვს ცხონება, დღესაც ჭუას უნდა ეკითხებოდნენ.

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

თამაზ ვაშაძე არის მაღალპროფესიონალი რანგის მშენებელი და სამუშაოს მწარმოებლის თანამდებობიდან ტრესტის მმართველის უმაღლეს თანამდებობას მიაღწია მხოლოდ საკუთარი საინჟინრო ინტელექტითა და დღედაღამ დაუღალავი თავაუწეველი შრომით. გარდა ამისა, ის იყო „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ბლოკის აქტიური მხარდამჭერი და ზეიად გამსახურდისა უერთგულესი თანამებრძოლი. ამიტომ იყო, რომ როცა საქართველოს უზენაესი საბჭოს მშენებლობის კომისიაზე, რომლის თავმჯდომარევ ვიყავი, იხილებოდა ახალდშექმნილი არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროების მინისტრის მოადგილის საკითხი, რომელიც კურირებას გაუწევდა მშენებლობას, ჩვენ წარვადგინეთ ბატონი თამაზის კანდიდატურა. არადა, მდგომარეობა იყო ურთულესი, რადგან ფაქტიურად ოთხ სამინისტროს, კერძოდ, მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი, მშენებლობის სამინისტრო, სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, საშენი მასალების სამინისტრო და 3 სამინისტროსთან გათანაბრებული უდიდესი სახელმწიფო უწყების ბაზაზე უნდა შექმნილიყო არქიტექტურისა და მშენებლობის ერთი სამინისტრო.

მუდმივი კომისიის თავმჯდომარესთან ბაკურ გულუასთან, ბატონ თამაზთან და ცნობილ მშენებელთან, შოთა ლომიძეს-თან ერთად ჩვენ ძირითადად მივაღწიეთ, რომ თითქმის ყველა ნომენკლატურულ თანამდებობაზე, როგორც უმაღლეს, ისე საშუალო და დაბალ რგოლებში, დავნიშნეთ მხოლოდ პირადი პროფესიონალური თვისებებით გამორჩეულები. ამან გადაარჩინა საქართველო, რადგან როცა ახალი სამინისტროს დაკომპლექტების შემდეგ მალე, კერძოდ 1991 წლის 28 აპრილს საქართველოში მოხდა ცხრა ბალიანი საშინელი მიწისძვრა, რომელიც განმეორდა 1991 წლის 14 მაისს, ახალი არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს ყველა რგოლი უკვე დაკომპლექტებული იყო უმაღლესი პროფესიონალებით!

სასწრაფოდ შეიქმნა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სახელმწიფო კომისია პრემიერ-მინისტრის თენიგიზ სიგუას თავმჯდომარეობით, რომელმაც დაადგინა, რომ რაჭა-ლეჩიშვილისა და მთიანი იმერეთის რეგიონებში დანგრეული იყო, დაახლოებით 50 ათასი საცხოვრებელი სახლი, ეკლესია-მონასტრები, საავტომობილო გზები, ხიდები, სახელმწიფო დაწესებულებები და ა. შ. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში იყო ნიკორწმინდის ეკლესიის ულამაზესი გუმბათი, რომელიც მიწისძვრის განმეორების შემდეგ დაიძრა და გადმოგდების ზღვარზე იყო. ზვიად გამსახურდიამ დაურეკა თამაზ ვაშაძეს და უთხრა: „როგორმე გადაარჩინე ნიკორწმინდა. ნიკორწმინდა რომ დაინგრეს, გალაკტიონის ბრწყინვალე ლექსიც მოკვდებაო“. თამაზმაც ყველა ღონე იხმარა, რომ იტყვიან, ცხრა ტყავში გაძვრა და გადაარჩინა ნიკორწმინდა და მასთან ერთად გალაკტიონის ლექსიც ნიკორწმინდაზე!

შეიქმნა უზარმაზარი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების შტაბი თამაზ ვაშაძის ხელმძღვანელობით. წარმოიდგინეთ, 50 ათას დანგრეულ სახლთან სათითაოდ ხომ უნდა მივსულიყავით, შეგვედგინა თითოეული სახლის დაზიანების დეფექტური აქტი, შემდეგ ამ აქტის საფუძველზე დაგვემუშავებინა სახლის აღდგენის პროექტი, ამ პროექტის მიხედვით მო-

გვეხდინა სახლის აღდგენა და მფლობელთან გაგვეფორმებინა მიღება-ჩაპარების აქტი.

აღდგენითი სამუშაოების დამთავრება გათვლილი იყო 4 წელზე. ჩვენ ვიმუშავეთ მხოლოდ 1991 წლის ივნისიდან დეკემბრამდე. სამუშაოები ძირითადად შევწყვიტეთ მკაცრი ზამთრის დადგომისა და ძალადობრივი გზით სახელმწიფო გადატრიალების გამო. ქართველი მშენებლების ნამდვილად გმირული შრომის შედეგად ამ ნახევარ წელიწადში ჩვენ მოვასწარით დაახლოებით 25 ათასი საცხოვრებელი სახლის აღდგენა, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 3-ჯერ მეტი. ასეთივე მონაცემები იყო დაახლოებით ეკლესია-მონასტრების, საავტომობილო გზების, ხიდებისა და სახელმწიფო შენობების აღდგენის სამუშაოებშიც.

მე და ბატონი თამაზი ვიჯექით ერთ მანქანაში და 6 თვის განმავლობაში ჩვენი საკვირაო განრიგი რეგიონული შტაბების თათბირებზე იყო ასეთი: ყოველ ორშაბათს თბილისიდან დილაუთენია გასვლა. პირველი გაჩერება გორში, შემდეგ თათბირი ქარელში, შემდეგ საჩხერეში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ტყიბულში, ამბროლაურში და ბოლოს ონში... თბილისში ვპრუნდებოდით შაბათს, კვირას სამინისტროში დიდი თათბირი გვქონდა მომარაგების უზრუნველყოფის საკითხებზე და ორშაბათს კი ისევ იწყებოდა თათბირების გამართვა 8 რეგიონულ შტაბში.

შემდეგში ჩვენი განრიგი კიდევ უფრო გადაიტვირთა, რადგან დაგვემატა სამუშაოები ფოთის მალთაყვის საწყლოსნო სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციისა და ფოთის კეთილმოწყობის სამუშაოები. ფოთში კი 1991 წლის აგვისტოში უნდა ჩატარებულიყო ევროპის პირველობა საწყლოსნო თხილამურებით, რომელსაც ბრწყინვალედ გავართვით თავი და საერთაშორისო ფედერაციების მადლობაც კი დავიმსახურეთ.

ყველაფერ ამ უზარმაზარ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების თავის დროზე ხარისხიანად შესრულების მთავარი ორგანიზატორი იყო ბატონი თამაზი. რომ არა ის, ალბათ, ჩატარებული სამუშაოების ნახევარიც კი ვერ ჩაგვეტარებინა და რაჭა-ლეჩუმი და მთიანი იმერეთი კიდევ უფრო კატასტროფუ-

ლად დაიცლებოდა. რაც შეეხება მშენებლობის სამინისტროს უმაღლესი რანგის სპეციალისტების სასწაულ თავდადებულ საქმიანობას, რაც მართლაც აღტაცებას იწვევდა და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ სწორი იყო ის აღიარება, რაც მათ მოიპოვეს ყოფილი საბჭოთა კავშირის მშენებლობის სამინისტროებს შორის. ამ 6 თვეში ქართველმა მშენებელმა, როგორც მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა, ისე ინჟინრებმა, სპეციალისტებმა და მუშებმა მართლაც ჩაიდინეს გმირობის ტოლფასი შემდეგი საოცრებები:

1. ცნობილმა ქართველმა მშენებელმა. წარმოშობით რაჭველმა ავთანდილ ჩალაძემ, რომელიც იყო ონის კომპლექსის მშენებლობის უფროსი, ონში ერთ თვეში გამართა სასაქონლო ბეჭონის, ცოკოლის ბლოკებისა და მცირე საკედლე ბლოკების გამომშვები ბეჭონის ქარხანა, რომელმაც გადაარჩინა მთელი რაჭა.

2. ამ ქარხნის ინერტული მასალებით მომარაგებისათვის თამაზ ვაშაძესთან და შოთა ლომინაძესთან ერთად გადავწყვიტეთ, დაგვეშალა აზერბაიჯანის საზღვართან განთავსებული ლეჟბადინის ინერტული მასალის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხანა და გადაგვეტანა ონში, რაც გავაკეთეთ რეკორდულად მოკლე, სულ რაღაც 27 დღეში!

3. ონში 5 თვეში ავაშენეთ ახალი სკოლა, სადაც 15 სექტემბერს დაიწყო სწავლა.

ამ ამბავს ერთი საინტერესო სახალისო ისტორიაც ახლავს. როდესაც ითქვა, რომ სკოლა სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა აშენებულიყო, თამაზ ვაშაძესა და მაშინდელ განათლების მინისტრს, ელიზბარ ჯაველიძეს შორის დაიდო ნიძლავი... ბატონ ელიზბარს ეჭვი ეპარებოდა, რომ ამას შევძლებდით, მაგრამ შევძელით.

ასეთი ნამდვილი გმირობის მაჩვენებლები მართლაც ბევრი ფაქტი იყო და ამიტომ მინდოდა რა მათი ღვაწლი დაფასებულიყო, 1992 წელს, როგორც უზენაესი საბჭოს მშენებლობის კომისიის თავმჯდომარემ, სახელმწიფო მეთაურსა და პარლამენტის

თავმჯდომარეს, ედუარდ შევარდნაძეს მივმართე წერილით, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „მშენებლობა და არქიტექტურა-ში“ თხოვნით, გამორჩეული მშენებლები და პირველ რიგში თა-მაზ ვაშაძე დაგვეჯილდოებინა სამთავრობო ჯილდოებით, რაც სამწუხაროდ უყურადღებოდ დარჩა. პასუხიც კი არ მომწერეს.

ანზორ საკანდელიძე

1991 წლის აპრილში საქართველოში მოხდა ძალიან დიდი მასშტაბის მიწისძვრა, რომელმაც გამოიწვია საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობების ნგრევა. სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო შეიქმნა ერთიანი სამშენებლო ბრიგადა თბილმშენისა და სხვა ორგანიზაციების (მთავარი გაერთიანებები, სამშენებლო ტრესტები, სამმართვე-ლოები), რომელთაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყ-ვეტილებით ამ საქმეს ხელმძღვანელობდა მაშინდელი მშენე-ბლობის მინისტრის მოადგილე თამაზ ვაშაძე. რამდენიმე თვის განმავლობაში მან მოახერხა მეტად რთული და მასშტაბური სამშენებლო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

ამ ფაქტს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახლად არ-ჩეული ეროვნული მთავრობის უნარისა და შესაძლებლობებისა-თვის ავტორიტეტის შესაქმნელად, რომელსაც თავი ჩინებულად გაართვა თამაზ ვაშაძემ.

ბაკურ გულუა
საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი
ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების, გან-ვითარების იდეას მუდამ ჰყავდა ოპოზიცია, ოლონდ ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის იყო. მაგრამ აქ იყო კიდევ ერთი რამ

მე მგონი, რომ ზვიად გამსახურდიას მისწრაფებები და ხედვა დღესაც მთლად არ არის გაცნობიერებული იმიტომ, რომ იგი ცოტა სხვა განზომილებით უყურებდა ამას და სხვა სიღრმიდან ხედავდა. მას სხვანაირად ჰქონდა ეს შეგრძნება. ეს არ იყო მაგალითად დიდ იმპერიასა და მეტროპოლიას შორის ურთიერთობა. ეს იყო ცოტა სხვა რაღაცა, ფიზიკური შეთანასწორება, მორალური, კულტურული, ისტორიული, ეს უფრო ფართო ჭრილში იყო, ფილოსოფიური, უფრო დიდი გაგება იყო... იმიტომ, რომ ჩვენ ხომ პრეტეზიული ერი ვართ და არც თუ უსაფუძვლოდ. ჩვენ ეს დავიყვანეთ მარტივ გამოთქმად, რომ რაც კარგები ვართ ქართველები ვართ, ვიღაც სადღაც რომ იტყვის, მაგრამ ეს ინსტიქტურად ხდება, ჩვენ ისტორიის მანძილზე მუდამ ჩვენს ასპარეზს ვპოულობდით, ჩვენ არ ჩამოვრჩენილვართ რენესანსის ეპოქას, არც წინარე ეპოქებს... ჩვენ გენეტიკურად ვართ ნიჭიერები. მაგრამ ამას დაემთხვა ჩვენი ანტისახელმწიფოებრივი აზროვნება. სამწუხაროდ ზვიად გამსახურდიას და იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილის აზროვნება არ აღმოჩნდა თავსებადი. ბევრს არ ესმოდა ეს, ბევრს ესმოდა. თვითონ ქართველი კაცი თავისი ბუნებით დისიდენტურად ცხოვრობდა, მაგრამ არ სჯეროდათ დამოუკიდებლობის ასე სწრაფად მოპოვების...

ანზორ აბულაშვილის ერთი ლექსის პატარა პწკარი მინდა მოვიყანო – „და კიდევ ერთი ჩემო კეთილო, შვილო და ძეო დედა თამარის, რაც უნდა დიდი იყოს სამყარო, საქართველოზე მეტი არ არის“ თუ ეს არა გაქვს შინაგანად ზვიად გამსახურდია არ იქნები. ზვიადს ჰქონდა, მას მიაჩნდა, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს.

თამაზ ვაშაძე არის ძალიან აქტიური, მებრძოლი... ჯერ ერთი ბუნებრივად ენერგიული და სპორტსმენი, მთამსვლელია, ბობოქარი და ემოციურიცაა. ყველაზე მთავარი ისაა, როდესაც კრიტიკული მომენტი დადგა, საზოგადოება არჩევანის წინაშე აღმოჩნდა 9 აპრილის შემდეგ, 9 აპრილი ხომ გარდამტეხი იყო ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ყველა ოჯახში, ისევე

როგორც ჩემთან, მუდმივად იყო ამ თემებზე საუბარი, მათ ეს იდეა მუდმივად ჰქონდათ, მაგრამ ის, რომ ეს მალე მოხდება და სტალინის რკინის ხელით გამოჭედილი ეს მსოფლიოს მექანიზმები გადაჭიმული ატომური სახელმწიფო დაინგრეოდა, ამის რჩმენა ხალხს ნაკლებად ჰქონდა. მაგრამ თამაზს ეს სჯეროდა. მარტო გინდოდეს, ეს არ არის საკმარისი, უნდა გჯეროდეს...

იმ დროის ერთ-ერთი სისუსტე ის არის, რომ ძალიან ბევრი გამოჩნდა პრაგმატული ნიშნით, მათვის ეროვნული მოძრაობა გადაიქცა პიროვნულ მოძრაობად. თამაზი ქუჩიდან კი არ მოსულა, ის თავისი დარგის პროფესიონალია და ერთგულია. ფიზიკურადაც, გამოცდილებითაც, ცოდნითაც გამორჩეულია, მაგრამ ისტორიამაც ისე შემოგვთავაზა პრობლემები, მიწისძვრამ რომ გააჩინა. ამ ენერგიის და გამოცდილების კაცი ბევრი სჭირდებოდა იმ დროს საქართველოს, მაგრამ...

წლების შემდეგ, როდესაც თამაზ ვაშაძე დაბრუნდა ემიგრაციიდან ჩვენმა ორგანიზაციამ იგი წარადგინა თბილისის მერობის არჩევნებზე მერის კანდიდატად. გვინდოდა, ჩვენი ძალები მოგვესინჯა და საზოგადოებასაც გაეგო, დაენახა, რომ არის ხალხი ვისაც აქვს ენერგია, ვისაც აქვს მუხტი, ვისაც ესმის ამ ქალაქის ჭირ-ვარამი, ვისაც აქვს სიყვარული და არის პატრიოტი და არა ის, რომ დადიან უტარო გიტარასავით, უხასურნი და არავინ არ იცის რა ფუნქცია აკისრია. არ არის მნიშვნელოვანი, რომ ვერ გავიდა თამაზ ვაშაძე, მონანილეობა იყო მნიშვნელოვანი. ილია ჭავჭავაძე არ აირჩიეს ქალაქის თავად თავის დროზე და აირჩიეს სტეფანე ხატისოვი. მთავარი მონანილეობა იყო. ეს ბრძოლა დავიწყეთ იმისათვის, რომ საზოგადოება გამოგვეფიზოლებინა. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თამაზ ვაშაძის ოჯახი, მისი მეუღლე, ქალბატონი ნაილი, შვილები... ჩვენ ხშირად ვიკრიბებოდით მათთან და დღემდე გვაქვს ურთიერთობა, რასაც მეტად ვაფასებ.

ანზორ აბრალავა

თამაზ ვაშაძე მაშინ გავიცანი, როდესაც ფონდმა „ქართუმ“ გრიბოედოვის თეატრის რემონტი დაიწყო და ბატონი თამაზი ამ სარემონტო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. მან პირველივე წამიდან გამაოგნა თეატრისადმი თავისი სიყვარულით, დიდი არტისტის შვილმა კარგად იცოდა თეატრის ფასიც და მისი დანიშნულებაც. „თქვენ თეატრს აკეთებთ და მთელი გული და სული უნდა ჩადოთ ამ საქმეში“, ასე ეუბნებოდა ის უბრალო მუშებსაც და თვითონაც, ეს საოცრად ორგანიზებული ადამიანი, ასე ეკიდებოდა საქმეს. კონტროლზე ჰყავდა აყვანილი თეატრის ყველა ჭანჭიკიც კი და დაუნდობელი იყო მათ მიმართ, ვინც გულგრილად ეკიდებოდა საქმეს. ჩემს წინ იდგა ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თეატრი და ყველა, ვინც ემსახურება თეატრს. მოგვიანებით, როდესაც გავიგე მისი რთული ბიოგრაფიის შესახებ, არც გამკვირებია, რადგან მხოლოდ ასეთ ადამიანებზე იდგა და დგას ჩვენი ქვეყანა. საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებულ თამაზ ვაშაძეს არც შეეძლო მარტივი ცხოვრების გავლა.

ბატონო თამაზ, მინდა საჯაროდ გითხრათ მადლობა თქვენი რთული ცხოვრებისათვის, თქვენი უღალატო, კაცური საქციელებისათვის და იმისათვის, რომ პირადად მე დამანახეთ, რომ მხოლოდ სამშობლოსადმი დიდი სიყვარული ბადებს დიდ საქმეებს.

პატივისცემით, მუდამ თქვენი
ავთო ვარსიმაშვილი.

პატივისცემით, მუდამ თქვენი ავთო ვარსიმაშვილი.

თამაზ ვაშაძე, ეს ციცერონის მჭერმეტყველებით დაჯილდოებული საოცარი კაცი, მიუხედავად სიჭარმაგისა, დღესაც გაოცებას ადამიანს, იგი მოსიარულე ლეგენდაა, ლეგენდა, რომელიც არ ბერდება და ამაყად დააბიჯებს თბილისის ქუჩებში, რომლის მერიც კი გახლდათ ეროვნული ხელისუფლების დროს

და რომელიც ჭექდა ტრიბუნიდან. საოცარი კაცია, თბილისის მე-რად რომ დაინიშნა, თანამშრომლებს განუცხადა: არ ვარ უმწიკ-ვლო, არც თქვენ ბრძანდებით ანგელოზები და არც მიკვირს, ჩვენ ხომ საბჭოთა რეჟიმმა სახე დაგვაკარგინა, მაგრამ დღეიდან მორ-ჩა, ჩვენ დამოუკიდებელ ახალ საქართველოს ვქმნით და ვისაც არ შეუძლია პატიოსნად ტვირთვის ზიდვა, მისთვის სჯობია ახლავე დაგვტოვოსო. ეს იყო ბომბი და ამ ბომბმა სამწუხაროდ დიდხანს ვერ იმუშავა, მთელი თბილისის შავბნელი ძალები შეიკვრნენ და დაუწყეს შესაფერის მომენტს ლოდინი, რომელმაც არ დაახა-ნა და პუტჩის სახით აფეთქდა. „აჯანყებულმა თილისელებმა“ შტურმი მერიაზე მიიტანეს და... დაინყო ნადირობა, ნადირობა დაუნდობელი! ეს შეიარაღებული ოლრაშები (როგორც თვითონ უყვარს თქმა), გაფაციცებით დაეძებდნენ და როგორ გადარჩა არც კი ვიცი, ერთხანს ბათუმს მიაშურეს, მერე კი დედულეთს, საბერძნეთს შეაფარა თავი... ეს ჭეშმარიტი ინტილიგენტი ცხო-ვრებამ სად არ ატარა, მაგრამ ვერ გატეხა, ვერ დააჩოქა ეს ამაყი ვაჟაცი და ცხოვრების ეპიზოდიც ამიტომაც გავიხსენე, იგი საამაყო ქართველია, მაგრამ ნურას უკაცრავად, თუკი უწესო-ბა შეგამჩნია, უფროთხილდი, სილაქიც არ გაგრას. მე როგორც მისი უმცროსი მეგობარი, ყოველნაირად ვუფროთხილდები მასთან ურთიერთობას და მისდამი უზარმაზარი პატივისცემით გამსჭვა-ლული ვუთვლი მას: ბატონო თამაზ, მაგრად იყავი, შეგახსენებთ, რომ ალგეთზე ლეკვები დასაზრდელია და ისინი თქვენისთანა ვაჟაცმა უნდა დაზარდოს. სხვაფრივ ვერ იქნების, ეს წიგნი კი ერთგვარი არწყვაა თქვენი ცხოვრებისა და მწვანე გზა მას!

ნოდარ კობერიძე

დედმამიშვილზე ახლობელი, ძვირფასი ადამიანი მეორე არ მეგულება.

ჩემი ძმა ჩემს გვერდით იდგა მუდამ, ჭირსა და ლხინში. ის ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანია და ახლაც, შეძლებისდა-

გვარად, ჩემი იმედია და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

თამაზმა ძალიან რთული გზა გაიარა. გაგიჟებით უყვარდა და უყვარს თავისი სამშობლო.

ჩვენი ბავშვობა იყო ბედნიერი. თამაზი ბავშვობიდან იყო შრომისმოყვარე და ბეჯითი, ყოველთვის ცდილობდა, ოჯახს ამოსდგომოდა გვერდში. სკოლაში კარგად სწავლობდა. ეკონომიკურად დალენილი ოჯახი არ გვყავდა, თუმცა არ გვმიოდა. ამის მიუხედავად, ჩემი ძმა 13 წლის იყო, მუშაობა რომ გადაწყვიტა, მამაჩემმა არ მისცა ნება, მაგრამ თამაზი მუდამ ახერხებდა, დახმარებოდა ოჯახს. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩამოაყალიბა ბრიგადა და სხვადასხვა მშვენებლობაზე მუშაობდა. ცხოვრება სულ შრომაში გაატარა და იყო წარმატებული.

მახსოვს, სამეცვარდნოს კლდეზე რაღაც უნდა აეშენებინათ. ქალაქის ხელისუფლება მიდიოდა, ნახულობდა, მსჯელობდა, როგორ მიეშენებინათ ის რაღაც. ისე, რომ არავინ იცოდა, მივიდა თამაზი „თავისი ბრიგადით“ ღამის სამ საათზე და დავალება შეასრულა. აი, ასეთი მშრომელი იყო. საქმის ერთგული და ულალატო.

კიდევ ერთ ისტორიას გავიხსენებ: ჭიათურაში დიდი ზამთარი იცოდა. ჩვენს ეზოში კი დეკემბერსა და იანვარში ისევ ყვაოდა წითელი ვარდი. ერთ დღეს სკოლაში წასვლის წინ ჩემმა ძმამ მოწყვიტა და გერმანულის მასწავლებელს, ვერა გველესიანს მიართვა. დღეს ყვავილები ყოველ ნაბიჯზეა და არავის უკვირს. მაშინ კი ზამთარში ვარდი ძალიან იშვიათი რამ იყო.

როდესაც ჩვენი ოჯახი ჭიათურიდან წამოვიდა, სოფელ დილომში დასახლდა. მაშინ ჩემმა ძმამ გადაწყვიტა, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაუსწრებელზე სამშენებლოს განხრით ჩაებარებინა. პარალელურად მუშაობდა მეტროს მშენებლობაზე და ლექსიც კი მიუძღვნეს.

ვაშა ჩვენს თამაზ ვაშაძეს,
ყვირილისპირელ ფალავანს,
ჭიათურიდან მოვიდა,
მტკვარქვეშ აშენებს გალავანს.

იყო პერიოდი, როცა ზვიად გამსახურდია გადასახლებული იყო ყიზლარის საძოვრებზე. ჩემს ძმას კი ობიექტი ჰქონდა ქ. კოჩუბეიში. იქვე ჩადიოდა ყიზლარის საძოვრებზე და ნახულობდა ზვიადს. საუბრობდნენ საქართველოს ბეჭის. მუდამ საპასუხისმგებლო საქმეზე მუშაობდა.

მამაჩემის, მიხეილ ვაშაძის და ჩემი ძმის თავზე გადაიარა იმ ტრაგიკულმა დღეებმა, საქართველოში რომ დატრიალდა. ჩემი ძმა გვერდში ედგა ზვიად გამსახურდიას. არის უდალატო და ერთგული. რომ შეძლებოდა მის გვერდით ყოფნა, მწამს, არ მიატოვებდა და შეიძლება ახლა ცოცხალი არც ყოფილყო. საშინელება იყო, როდესაც ჩვენს ოჯახს მხედრიონი არბევდა. ეს იყო დრო, როცა ქართველი არ ინდობდა ქართველს, დაუნდობელი დრო.

როდესაც თამაზმა ოჯახი დატოვა და ემიგრაციაში იძულებით წავიდა, მას თან გაჰყვა მეუღლე, ნაილი არველაძე. ჩემი ძმისშვილები ზვიადი და ლაშა სახლს გაარიდეს. შინ რჩებოდა მამაჩემი მიხეილ ვაშაძე და ჩემი ვაჟიშვილი, იმხანად უნივერსიტეტის სტუდენტი მალხაზ სვანიძე. მე ქუთაისში ვცხოვრობდი, ოჯახი მყავდა, მეუღლე, ორი შვილი, საბავშვო ბალში მუსიკის პედაგოგად ვმუშაობდი. მივატოვე სამსახური და ჩამოვედი, რათა ჩემს ოჯახს დაეხმარებოდი გასაჭირში.

ერთ დღეს, ნაშუადღევს ჩვენი სახლის ეზოს ხუთი პოლიციელი მოადგა. არ ვაუღებდი კარს. ჩემი ვაჟიშვილი მალხაზი ახალი ნაოპერაციები იყო, ვიფიქრე ხელით არ შეეხონ-მეთქი. მამაჩემი გამოვიდა და მითხრა, გაუღე კარიო. შემოვიდნენ, გაჩხრიკეს ყველაფერი, სახლი და ეზო. ჩააბარეს მამაჩემს რაღაც ქაღალდი, რომელზეც ეწერა: „მიესაჯოს დახვრეტა, ზვიად გამსახურდიასთან ერთად, თამაზ ვაშაძეს“. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა მამაჩემი, მიხედავად ამისა, არ გაუშვა „უპატივცემულოდ“ – მოკრძალებული სუფრა გავშალეთ დარბაზში. იმ დარბაზს, სახლის პირველ სართულზე, იყო დრო, ზვიად გამსახურდია სტუმრობდა, პარლამენტის წევრებთან ერთად. ერთმა მილიციელმა კედელზე წაიკითხა წარწერა:

„გაუმარჯოს საქართველოს“
ზ. გამსახურდია

და დაპირა ამ წარწერის წაშლა. მაშინ მე, აღელვებულმა ვუთხარი: შენ ისტორიაში შეხვალ, როგორც მოლალატე-მეთქი. აღარ წაშალა. წავიდნენ. ვერაფერი „ნახეს“ ან რა უნდა ენახათ?!

გავიხსენებ კიდევ ერთ საბედისწერო ამბავს. ღამის პირველი საათია. მე და ჩემი ვაჟიშვილი მალხაზი ვსხედვართ. აღარ მახსოვს, ვინ დაგვირეკა. გვითხრა, ზვიადმა თავი მოიკლაო. აღარ ვიცოდი, რა მექნა. გათენდა. მამაჩემი მსახიობი იყო და იმ წუთში შემამჩნია, რომ რაღაც მანუხებდა. რა იყო, რა მოხდაო. ზვიად გამსახურდია ყოფილა ავად, ასე დარეკეს-მეთქი, ვუპასუხე. თუმცა, მგონი, მიხვდა, რა მოხდა სინამდვილეში.

ამ გადასახედიდან რომ ვიხსენებ იმ ტრაგიკულ დღეებს, ჩვენმა ქვეყანამ რომ გადაიტანა, სულ არ მიკვირს, ზვიადი რომ მოკლეს.

„როცა ხალხს ამდენი მოლალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო, წერდა კ. გამსახურდია... და კიდევ – „დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავებიო“.

P. S.

როდესაც თბილისიდან მიკავშირდებოდნენ, მეუბნებოდნენ, ვრეკავთ თქვენთან სახლში და მამაშენი გვპასუხობს: მიხეილი ვარ, ვაშაძე, მარტო ვარ, არავინ არ არის სახლში... არავის ელაპარაკებოდა... ეს ის დრო იყო, როცა ბევრმა ალმაცერად შეხედა ჩვენს ოჯახს და იმ სახლს, რომელიც მანამდე ძალიან ბევრ ლირსეულ და ცნობილ ადამიანს მასპინძლობდა. ამიტომ, დიდი ვაჟას სიტყვებით ვინატრებ მეც: „ლმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი და საქართველო, რადგან ამ უკანასკნელს არა დაუშავებია რა“.

თამილა ვაშაძე

თბილი, მოსიყვარულე, მხიარული, გულჩვილი და დამყოლი – ალბათ, ბევრისთვის რთულად წარმოსადგენია, რომ ასე თა-მაზ ვაშაძეს ვახასიათებ, სხვებისთვის ძალიან მკაცრ, ძალიან მომთხოვნ და იშვიათად მომღიმარ კაცს, მაგრამ ნამდვილად ასეთია ჩემი წილი თამაზ ვაშაძე, ჩემი ბაბუა.

მისი სიმკაცრე არასდროს მიგრძნია, ორი მოთხოვნა ჰქონ-და - მეცხოვრა ისე, რომ ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯების გამო არასდროს მეგრძნო უხერხულობა და აუცილებლად მი-მეღო კარგი განათლება. მინერგავდა კითხვის სიყვარულს, მუ-დამ მამარავებდა კარგი წიგნებით. ჩემს ბიბლიოთეკაში დიდი ადგილი სწორედ მის ნაჩუქარ წიგნებს უკავია.

11 წლის ვიყავი, როდესაც ემიგრაციიდან დაბრუნდა, მა-ნამდე მხოლოდ წერილებით და ტელეფონით ვიცნობდი, მაგრამ სიშორე არასდროს მიგრძნია, ეს ალბათ ჩემი არაჩვეულებრივი ბებიის, ნაილი არველაძის დამსახურებაა, რომელმაც ბაბუის სიყვარული თავიდანვე ჩამინერგა და ამიტომ მისი ჩამოსვლის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა ისე გაგრძელდა, თითქოს განშო-რების წლები არც ყოფილა.

რთულია ოჯახის წევრზე ობიექტურად ისაუბრო, რადგან სიყვარული მაინც სუბიექტურობისკენ გიბიძგებს, მაგრამ ვინც მას იცნობს, ალბათ დამეთანხმება, რომ იშვიათია ადამიანი, ასე უყვარდეს თავისი სამშობლო. ზოგჯერ მგონია, რომ ყველაფერ-ზე მეტადაც კი... პატრიოტიზმის მაგალითი ჩემთვის სწორედ ბაბუაჩემია. სიძლიერის მაგალითიცაა, ბევრი უსამართლობის მიუხედავად, ბრძოლის უნარი და წინსვლის სტიმული არას-დროს დაუკარგავს. მიყვარს მის მიერ მოყოლილი ისტორიების მოსმენა, საოცარი იუმორის გრძნობა და თხრობის მანერა აქვს.

არ არის მარტივი იყო თამაზ ვაშაძის შვილიშვილი, ეს ერთ-გვარი პასუხისმგებლობაა, თუმცა, ამავდროულად, საამაყოა მისი პიროვნული თვისებებისა და განვლილი ცხოვრების გამო.

ბაბუ, მიყვარხარ და ვამაყობ შენით!

მარიამ ვაშაძე

ଓଡ଼ିଆଲୋକାନ୍ଧିତା




ზვიად გამსახურდია, მანანა არჩევაძე-გამსახურდია





ოლღა მარუფიდი

ოლღა მარუფიდი
თამაზ ვაშაძე



სოფია მავრიკიდი (ბებია) 1948 წ. ყაზახეთი



ოლღა მარუფიდი-ვაშაძისა



მიხეილ ვაშაძე, ოლღა მარუფიდი-ვაშაძისა, თამილა ვაშაძე, თამაზ ვაშაძე



სიმონ ვაშაძე, ლალო უგრეხელიძე (ბებია, ბაბუა)



ლალო უგრეხელიძე, მიხეილ ვაშაძე



მიხეილ ვაშაძე, ოლღა მარუფიძი



ლალო უგრეხელიძე, მიხეილ ვაშაძე



მიხეილ ვაშაძე, პავლე ვაშაძე



მიხეილ ვაშაძე



პავლე ვაშაძე



მიხეილ ვაშაძე, ოლღა მარუფიდი-ვაშაძისა



მიხეილ ვაშაძე, პავლე ვაშაძე. პარიზი 1985 წ.



მიხეილ ვაშაძე, პავლე ვაშაძე



პავლე ვაშაძე, თამაზ ვაშაძე.
პარიზი 1964 წ.



მიხეილ ვაშაძე, პრიმა ბალერინა
ეთერ ფალავა 1966 წ.



თამაზ გაშაძე, ნაილი არველაძე





თამაზ ვაშაძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი




თამაზ ვაშაძე კომპლექსური ბრიგადის წევრებთან ერთად




თამაზ ვაშაძე. მოსკოვი. 1961 წ. ყრილობის დელეგატებთან ერთად



თამაზ ვაშაძე კომპლექსური ბრიგადის წევრებთან ერთად



თამაზი ვაშაძე მეტრომშენებლობაზე






ଦୂର୍ଧ୍ୱାଳୀତଥେ ପାଇନ୍‌ଡିଲ୍‌କ୍ୟାମ୍ ଏବଂ ଅର୍ପିତ୍‌ରେଣ୍ଟିଙ୍ ପାଇନ୍‌ଡିଲ୍‌କ୍ୟାମ୍ – ଯାହାତି ପାଇନ୍‌ଡିଲ୍‌କ୍ୟାମ୍ବଳେ ଏହି ପ୍ରଥମ ଫର୍ମରୁଲାର୍‌ଜ୍ ଏବଂ ଏହି



თამა ვაშაძე ბუკა ნაკაიძის საგვარეულო ოჯახთან ერთად



მიტო დანგაძე, აგი აპაშიძე, თამაზ ვაშაძე. პამირის ექსპედიცია 1976 წ.



პამირის ექსპედიცია.

შოთა მირიანაშვილი, აგი აბაშიძე, მიტო დანგაძე, თამაზ ვაშაძე



შოთა მირიანაშვილი, მიტო დანგაძე, აგი აბაშიძე, ნანი რთველიაშვილი,
თამაზ ვაშაძე



თამაზ ვაშაძე, ზეიად გამსახურდია





თამაზ ვაშაძე ზეიად გამსახურდიასთან ერთად. 1991 წ.



სოსო სიგუა, ვალერი გაბელია, თამაზ ვაშაძე, ელიზბარ ჯაველიძე. 1993 წ.



თამაზ ვაშაძე, ელიზბარ ჯაველიძე, მუხრან მაჭავარიანი



ბათუმი. 1993 წ.



თამაზ ვაშაძე მიწისძვრით დაზარალებულთა შტაბის სხდომაზე



თამაზ ვაშაძე მიწისძვრით დაზარალებულ მრავალშვილიან ოჯახში. 1991 წ.



თამაზ ვაშაძე მუხრან მაჭავარიანის იუბილეზე საჩერეში





მიხეილ ვაშაძე, ლაშა ვაშაძე



მიხეილ ვაშაძე, ზვიად ვაშაძე




ნაილი არველაძე, მარიამ ვაშაძე



ნაილი არველაძე



თამაზ ვაშაძე ემიგრაციაში. სალონიკი. 1993 წ.



სალონიკი. ზვიად ვაშაძე, თამაზ ვაშაძე, ნაილი არველაძე



სალონიკი. თამაზ ვაშაძე, ზვიად ვაშაძე, ნაილი არველაძე



ელენე მარუფიძი, გავრილ პაპადოპულო



თამილა ვაშაძე, მირიან სვანიძე



მამია ვაშაძე, ჯულიეტა ჭარპაძე




ლიდა კურემენოვა



მარინე ბროლაძე, ლიდას რძალი



შალვა ჯანგირაშვილი
გამორჩეული პროფესიონალი



ძურა ნაკაძე
მეცნიერი, პატრიოტი



ირაკლი დონდუზაშვილი
გამორჩეული მშენებელი




ზაურ ნოზაძე
გამორჩეული ინჟინერ-მშენებელი



გიგლა ბახტაძე
გამორჩეული მშენებელი



ვაშაძეების საოჯახო დარბაზი



ვაშაძეების საოჯახო დარბაზის კედლის ავტოგრაფები

բայոնտ ուժեց
30 դրամ, -
առվազ-ցանություն ու
սեփական հպատական.

Դռան-Է,

Լինուած Հայոց վայրէն
Յօսուման-Ցըստանէն.

24/12. 1991.

Խաչիք շախ,
Տյաղական
Ծալ Հակիմ



John (BS) N
H. F. at present
W. G. W. S.
John

მთავრობას პრეზიდენტის
დამკარგი განხილვისას და
განაცხადის მსოფლიოს

22. 7. 61
S. V. P. 321,
L. M. 521-2

25m's 62n's per

months before going

1932

Conrad Berg

Ms. 2007

3-6 26/12 2018
3529) 212
3-6 26/12 2018
3-6 5/3/21 3/221 20/12/2018
5/22 20/12/2018
12 XII 94

ବ୍ୟକ୍ତିଗତ ପାତାରେ

၁၀၂၈၂၇၂၀၀
၁၀၂၈၂၇၂၀၀
၁၀၂၈၂၇၂၀၀

19.02.09
3.9.09. 17,-
Cup + Maizel
30 min
B.M.W.
16. VI. 2004.

ଓৰু মুখে
জোড়া কোথা যাব
কোথা
জোড়া কোথা যাব
কোথা

କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

დღეთა
პპრეპტან
ვდგავარ
მუნიციპალიტეტი

Scaphium marginatum
Lippe and 82-
open supradorsal,
longitudinal,
transverse
lateral lappet

27.12.2009.

Scaphium marginatum
Lippe and 82-
longitudinal
supradorsal longitudinal
transverse
lateral lappet
KALYANI MULAYAN 1976
Tutor - Jitendra
30/8/2009

Scaphium marginatum
Lippe and 82-
longitudinal
supradorsal
lateral lappet
KALYANI MULAYAN 1976



ცხადები ესვან და ვანის განვითარებულ მასალა



ესაკერთი



მანანა არიენის ასული გორგოშვილი დაბადება თბილისში. დამზადენა თბილის 30-ე საშეაცხ სკოლა, ჩამახუა იქ-ნე ჯავახიშეკილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსოსტუმის უფრატეტში. რომელის დამზადებას შემდეგ მემობა გამოისახებოდა სატელე-რაიონ მარკეტის ახალგაზრდობის რედაქტორი, მემობა სატელევიზიო არანალიტიკურის „რედაქტორის 1995-2008 ნულები კოსტუმუმა დაქმიებს ფარნალისტურის ტავალტეტში სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

2006 წლის დანიშნა საქართველოს მწერალია კავშირის თა-შეკვეთისას რედაქტორით. ამავე წლითამ შეიძინა მწერალია კავშირის საზოგადოებრივი ურთიერთობის საქმიანობა და ასეთი მწერალია კავშირის პრინციპული ინიციატივის „მწერლის გაზიარება“ პრეზიდენტული რედაქტორის ფუნქცია.

მანანა გორგოშვილი კარგი ბანია, რაც მწერალია კავშირის მილიანოვსა და აეტონისტებისა და სიყვარულის სარგებლივს ქართველ მწერალთა შორის, იგი აეტონისტებისტერულ-აეტონისტულ ნიტილებისა, რომელსაც გამოიწვიოთ და სიღრმეს დაფიქტოს გამოიწვიოთ.

იგი არავითა მოყვითა თუ პროცესუალ ერთეულის რედაქტორისა და ამ კრებულთა აეტონისტის მიღლივებისა და პატივის ცენტ ნათელი დადგისტურება ქადაგური მანანას მაღალმიტინებელსა.

მანანა გორგოშვილი მინიჭებული აქვს ნიურ ნიულობისა და მარიკა პარასამებელის სახელობის პრემიები.

ამ უმაღლეს იგი გამოიმუშავება „მწერლის“ დაწესეტისა.

ISBN 978-9941-493-75-1



9 789941 493751